უჟგოროდის (უკრაინა) წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის
ღვთისმეტყველების აკადემია

ნიკოლოზ ჩიხლაძე

მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები

სპეციალობა: თეოლოგია

თეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ღვთისმეტყველების დოქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, არქიმანდრიტი **ვიქტორ ბედი**

უჟგოროდი – 2011

შინაარსი

წინათქმა ---------- 10

თავი I. ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხი ---------- 15

1.1. მართლმადიდებლობის ძირითადი ეკონომიკური პარალელები ----------15

1.2. „დიდაქეს“ ეკონომიკური სწავლება ---------- 38

1.3. რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლურ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით ---------- 45

1.4. შრომისა და სამეწარმეო უნარის მართლმადიდებლური გააზრებისათვის ------ 53

თავი II. გადასახადის, წყალობისა და მადლის მართლმადიდებლური ასპექტები ---83

2.1. გადასახადები და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები ---------- 83

2.2. ჩრდილოვანი ეკონომიკის საკითხები მართლმადიდებლობის მიხედვით ----- 97

2.3. წყალობის და მადლის „გაზომვის“ ეკონომიკური და მართლმადიდებლური პარალელები ---------- 113

თავი III. ფულით სარგებლობის ფასის და მოხმარების მართლმადიდებლური გააზრება ---------- 127

3.1. საპროცენტო განაკვეთის და „მევახშეობის“ მართლმადიდებლური გაგებისათვის ----------127

3.2. მევახშეობის მართლმადიდებლური გაგება თანამედროვე საბანკო საქმიანობის კონტექსტში ---------- 139

3.3. ქრისტიანული და ეკონომიკური სწავლებები მოხმარების შესახებ ---------- 148

თავი IV. ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ეკონომიკური შეხედულებები ---------- 163

4.1. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომიკურ შეხედულებები ---------- 163

4.2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ეკონომიკური შეხედულებები ---------- 171

დასკვნები ---------- 184

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 191

თემის აქტუალობა. ტერმინი „ოიკონომია“ („სახლმშენებლობა“) მიმოქცევაში შემოიტანეს არისტოტელემ და ქსენოფონტემ. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით რესურსების ეფექტიან, რაციონალურ და მისაღებ გამოყენებას უკავშირდება.

საქართველოში სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მსოფლმხედველობრივი და თეორიული საფუძველი ფაქტობრივად ყოველთვის იყო წმინდა წერილი და მასზე დაფუძნებული „სახლმშენებლობა”, “სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა”. ეს უკანასკნელი უპირატესად მოიაზრებოდა, როგორც მეცნიერება პატიოსანი შრომის, შინამეურნეობებისა და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმართვის, სიყვარულით შექმნისა და უპოვართა მხარდაჭერის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე.

საბაზრო ურთიერთობათა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში თითქმის სრულად იყო უგულებელყოფილი ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. თუკი საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზნად ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური მოგების ნებისმიერი გზით მიღება იქცევა, ასეთ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას, საზოგადოების სულიერ დაცემას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას იწვევს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებში სულ უფრო მძაფრდება და მყარ საფუძველს იძენს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ წმინდა წერილის მცნებების დარღვევით გამოწვეული ეკონომიკური დეფორმაციები უდიდეს მაშტაბებს აღწევენ არა მარტო სულიერ სფეროში, არამედ მატერიალური წარმოების კუთხითაც. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ თუ მართლმადიდებლები აღასრულებენ ბიბლიურ მცნებებს, ეკონომიკაში პოზიტიური ძვრები განხორციელდება და ქვეყანა სწრაფად განვითარდება (საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გადასახადთა რიცხოვნობის და საგადასახადო განაკვეთების შემცირება უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის არაერთ ეპისტოლურ შეგონებას და მხურვალე ლოცვას მოჰყვა).

ბოლო წლებში ეკონომიკის ძირითადი პრინციპების მართლმადიდებლური გააზრების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, გამოიცა ნაშრომები, ჩატარდა სამეცნიერო ფორუმები და ა.შ. თანდათან იკვეთება შედარებით ახალ მიმართულების – თეოლოგიურ ეკონომიკის საჭიროება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.

ეკონომიკისა და მართლმადიდებლური სწავლების მიმართების საკითხები სხვადასხვა კონტექსტში განხილული აქვთ და ავტონომიური გამოკვლევები მიუძღვნეს პროფესორებმა: გ. შიხაშვილმა, აკ. ბაკურაძემ, ი. მასურაშვილმა, პ. კოღუაშვილმა, ი. მესხიამ, ბ. ახვლედიანმა, ნ. ბაკაშვილმა, მ. ცეცხლაძემ, ი. გაგნიძემ, ს. გელაშვილმა, ა. კნუტოვმა, ს. ლუკინმა, მ. რუმიანცევმა, დ. დუნაევმა, ზ. კოდისოვსკიმ და სხვებმა (უფალმა მომიტევოს, თუკი რომელიმე გამოგვრჩა ან მათ ნაშრომებს ნაკლებად ვიცნობთ).

რწმენისა და ეკონომიკური საქმიანობის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოშიშობა შესაძლოა ბაზრის ეფექტიანობის რღვევის ძირითად მიზეზად იქცეს. შეიძლება ითქვას, რომ საკითხი მართლმადიდებლობაში ეკონომიკური პარალელების გააზრებისა და მისი ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების, რწმენისა და ბიზნესის სინთეზის, თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლების ფორმირების საკითხები თანამედროვე პირობებში სათანადოდ არ არის შესწავლილი. სწორედ ამან განაპირობა სადისერტაციო თემის შერჩევა. ამითვე განისაზღვრა პრობლემის აქტუალურობა.

ქრონოლოგიური ჩარჩო. დისერტაცია განიხილავს ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებებს ბიბლიის მიხედვით. წმინდა წერილის უმთავრესი ეკონომიკური პარალელები ძირითადად განხილულია ქრონოლოგიის დაცვით, დასაბამიდან თანამედროვე ეპოქამდე. დისერტაციის პირველი სამი თავისათვის კონკრეტული ქრონოლოგიის დაცვა ხდება შემდეგი სქემით: ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, წმინდა მამათა გამონათქვამები და უახლესი ისტორიის წმინდა მამათა ეკონომიკური შეხედულებები. ამ მხრივ გამორჩეულია მეოთხე თავი, სადაც მოტანილია ორი დიდი საეკლესიო მოღვაწის, იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრის, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (1825-1896) და საქართველოს ეკლესიის ფაქტიური მწყემსმთავრის, საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეკონომიკური შეხედულებები. ცალკე აღნიშვნის ღირსია "დიდაქე" („მოძღვრება თორმეტი მოციქულისა", ბერძ. „Διδαχὴ Κυρίου διὰ τῶν δώδεκα ἀποστόλων"), რომელიც, როგორც ადრექრისტიანული ძეგლი, ქრისტეშობიდან პირველი საუკუნეებით თრიღდება და ადრექრისტიანული კრებულის (თემის) ეკონომიკისა და საერთო მენეჯმენტის საკითხებს მოიცავს. შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი დროითი ინტერვალი ფართოა და კონკრეტდება გამოკვლევის კონკრეტულ ასპექტებში.

სამეცნიერო სიახლე. ზოგადად სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს მართლმადიდებლობაში ძირითადი ეკონომიკური პარალელების გამოვლენასა

და მათ სისტემატიზაციაში, რწმენისა და ბიზნესის სინთეზისა და თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლების ფორმირების აუცილებლობის დასაბუთებაში.

კონკრეტულად, კვლევის შედეგები და მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ***დასაბუთებულია,*** რომ რწმენისა და ბიზნესის ჰარმონიული შერწყმა აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობას ან ნაკლებ ღვთისმოშიშობას და ბაზრის ეფექტიანობას შორის უარყოფითი კორელაციური დამოკიდებულება არსებობს. აღნიშნულს კი შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობის დონე, საბიუჯეტო შემოსავალი, ექსპორტ-იმპორტის ბალანსი, ასევე პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა.შ.

- **გაანალიზებულია** გადასახადების და ბეგვრის მართლმადიდებლური საკითხები. თანამედროვე მიდგომებით და გათვლებით ჩატარებულია მეათედის, როგორც მთავარი გადასახადის შედარებით სრულყოფილი ანალიზი. ნაჩვენებია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კანონმორჩილების გამოვლენა მართლმადიდებელი ქრისტიანის განუყოფელი მოვალეობაა. გადასახადის (ხარკის) გადახდის უმთავრეს პრინციპს თვით უფალი აკანონებს, როცა ცალსახად მიანიშნებს ფარისევლებსა და ჰეროდიანთ: „Reddite guae sunt Caesaris, Caesari: et guae sunt Dei, Deo“ - „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაუკჳრდა ამას ზედა და წარვიდეს“ (მარ. 12:17). ეს არის ვალდებულების ფორმირების, თუნდაც გადამხდელის კულტურის ფორმირების აუცილებელი პირობა. ამასთან, გადახდა არის თანასწრობის დაცვის ერთგვარი გარანტია: “რადგან არა იმისთვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანასწორობისათვის” (II კორ. 8:13). ღირს ვიფიქროთ, რომ ამგვარი თანასწორობა გულისხმობს ფინანსური რესურსების სამართლიან განაწილებასა და გადანაწილებას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის მცდელობას უპოვართათვის და სხვა სოციალური გარანტიების დამკვიდრებას;

- **გამოკვლეულია** რესურსების შეზღუდვის ეკონომიკური და მართლმადიდებლური კანონზომიერებები. ამ მხრივ ვლინდება წმინდა წერილის ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, როცა უფალი რესურსებს ზღუდავს გარკვეულ გარემოებათა გამო (უმთავრესად ეს არის უფლის მცნებათა დარღვევა) და მეორეც, უფლის მიერ რესურსები არ იზღუდება მხოლოდ ცალკეულ, გამორჩეულ შემთხვევებში. ნაჩვენებია, რომ თანამედროვე პირობებში, თუკი

რესურსების იშვიათობის პრობლემა საზოგადოების მიერ ყველა დონეზე - ინდივიდიდან სახელმწიფომდე, არის გასიგრძეგანებული, ეს აიძულებს სახელმწიფოს გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა,

- **შემოთავაზებულია** სულიერ ზრდასა და ალერნატიულ არჩევანს შორის კანონზომიერების ასახვის მოდელი. ამისათვის აგებულია „ზეციური მარგალიტების“ ძიების შესაძლებლობათა მრუდი, რაც ინდივიდების მიერ სხვადასხვა ძალისხმევის და შესაბამისად, მიღებული სიკეთეების პროპორციულია; საკითხი ღრმავდება „წყალობისა“ და „ცოდვილიანობის“ მრუდების ანალიზით. დგინდება, რომ „წყალობისა“ და „ცოდვილიანობის“ სიდიდეებს შორის არსებობს კორელაციური დამოკიდებულებები. მათ ძირითად განმსაზღვრელ სიდიდედ მიჩნეულია უფლის სასიკეთოდ აღსრულებული საქმეები.

- ეკონომიკაში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ურთიერთობების უფალთან სინთეზის ასახვის მიზნით **შემუშავებულია** სივრცული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვა ბლოკებთან და სექტორებთან ურთიერთობას ყველა ძალისხმევით მოგების მისაღებად, არამედ, პირველ რიგში, უფალთან ურთიერთობას და ისეთი საქმიანობის გაწევას, რომელიც უზენაესისაგან იქნება ხელდასხმული. ეს არის „რესურსების, პროდუქტებისა და შემოსავლების წრებრუნვის სივრცულ-სინერგიული მოდელი“. პირდაპირი გაგებით ამ „მიწიერი“ ეკონომიკური ბლოკების მიერ მიღებული სარგებელი იქნება უფლის წყალობა და მადლი, ამ საქმიანობის „უფლისმიერი აღიარება“, რაც მთლიანობაში უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე მარტოოდენ „პირადი ინტერესი“ (ადამ სმიტი). ამდენად, ამ მოდელში უმთავრესი „მარეგულირებელი რგოლი“ უნდა გახდეს უფალი და არა მთავრობა, რაც სინერგიულ ეფექტს მოგვცემს.

- **აქტუალიზირებულია** დასკვნა იმის შესახებ, რომ ქრისტიანულ ეთიკას დაქვემდებარებული მოხმარების ძირითადი პრინციპების პრაქტიკული რელიზება, საოჯახო მეურნეობებსა და რეალურ სექტორში ეროვნული ეკონომიკის სასიკეთოდ გარდაქმნის რეალურ ქვაკუთხედად იქცევა. მოთხოვნის შეკვეცით (დარეგულირებით) და მართებული ეკონომიკური პოლიტიკით შესაძლებელია მოვახდინოთ მიმდინარე პროდუქციის დიდ წილის ინვესტირება მომავალში, რაც უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის ერთგვარი გარანტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესურსების მზარდი მიწოდება ასევე ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. დროთა განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობის ზრდას შეუძლია გამოიწვიოს სამუშაო ძალის რაოდენობრივი ზრდა და მათი მეწარმეობითი შესაძლებლობების გადიდება.

- **კონსტატირებულია, რომ** საეკლესიო მოღვაწეთა გადაწყვეტილებებს გაცილებით სწრაფად შეუძლიათ პოზიტიური შედეგების მოტანა ეკონომიკისათვის, ვიდრე გრძელვადიან

და მათემატიკური პროგნოზირების საფუძველზე გათვლილ „თანმიმდევრულ ღონისძიებებს“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივა ყველა ოჯახის მესამე და შემდგომი შვილის მონათვლის შესახებ, მნიშვნელოვანი შობადობის სტიმული და დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების კუთხით უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თუკი სამუშაო ძალა, მართლმადიდებლური მრწამსით იხელმძღვანელებს, მაშინ იგი, როგორც უმთავრესი რესურსი, ერისათვის მეტს შექმნის როგორც მატერიალურად (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი), ისე სულიერად - ღვთისაგან შექმნილს მცირედსაც კი დიდი ძალა ექნება!

- **მიჩნეულია, რომ** საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითმყოფადი ეროვნული ტრადიცია შრომასთან დამოკიდებულებაში მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი კრიტერიუმების შერწყმას ეფუძნებოდა. ნაშრომში მოტანილია სხვადასხვა სამუშაოებისა და პროფესიების (მშენებლობა, მეჯოგეობა, მეზვერეობა, მჭედლობა, ბებადურობა და ა.შ.), ასევე ბიბლიური პერსონაჟების შრომითი საქმიანობის ტიპოლოგიზაცია. ანალოგია ფიქსირდება თანამედროვე გაგებით ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაშიც: განმეორებადი მდგომარეობა, დიდი (ორმოცდაათწლიანი) და მცირე პერიოდებისათვის სწორედ ეკონომიკურ ციკლებზე გვაფიქრებინებს. შვიდწლიანი იყო ეგვიპტეში მოუსავლიანი პერიოდი (თანამედროვე მიდგომით, საქმიანი აქტივობის ციკლი 7-11 წელს გრძელდება); ძველაღქმისეული ორმოცდაათწლიანი განმეორებადობა ახლოა დიდ ციკლთან, რომელიც 50-60 წელს გრძელდება („კონდრატიევის დიდი ციკლი“ 48-55 წელიწადს გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ „უძველესი ციკლები“ უფრო მკაცრად იყო გაწერილი და მეტი სიზუსტითა და პროგნოზირებადობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე თანამედროვე კონიუქტურული ციკლები.

- **ხაზგასმულია,** რომ უფლისათვის მისაღებია პატიოსანი, ღვთის მოსაწონი და მისი ხელდასხმით განხორციელებული საქმიანობა: “წყეულიმც იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს!” (იერ. 48:10). მხოლოდ ასეთი საქმიანობის (შრომის) შედეგად საზრდოს მოპოვება არის ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: “ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!” (ფსალმ. 127). შეურიგებლობა სიზარმაცისა და სარჩოს დაუმსახურებლად მოპოვებისადმი ამავდროულად ერთგვარი გამოწვევაცაა კორუფციისა და უშრომელი შემოსავლისადმი, ათასგვარი მაქინაციებით, მოტყუებით, ქრთამის აღებ-მიცემობით საქმის კეთებისადმი. რასაც უნდა აკეთებდეს ადამიანი, მარტოოდენ მოგები (სარგებლის) მიღებას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მხოლოდ ქრისტესთვის უნდა აკეთებდეს, აცნობიერებდეს, რომ

უფალი ხედავს, თვალყურს ადევნებს. ვინც მხოლოდ ენით აღიარებს ქრისტეს, საქმით კი მისი მცნებების წინააღმდეგია, შეიძლება ქრისტეს მოღალატედაც ჩავთვალოთ.

- **შეფასებულია** მევახშეობისადმი მართლმადიდებლური მიდგომა და გავლებულია პარალელი ეკონომიკაში კრედიტების მნიშვნელობასთან. საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის არ არის უბედურების მომტანი - მისი ზომიერი ოდენობა ინფლაციის გათვალისწინებით ეკონომიკისათვის, სამეწარმეო საქმიანობისათვის სტიმულირებადიც კი შეიძლება იყოს.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანი ზოგადად მოიცავს ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის შესაბამისობას და ძირითადი პარალელების გამოვლენა-დაზუსტებას წმინდა წერილთან, ფსალმუნებთან და წმინდა მამათა გამონათქვამებთან. კვლევის საგანია მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების კორელაცია რესურსების შეზღუდულობის, შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის, მევახშეობის, მოხმარების, ჩრდილოვანი ეკონომიკის, გადასახადებისა და დაბეგვრის ძირითადი პრინციპების შესახებ. ასეთი კვლევა მოიცავს როგორც სამეცნიერო აგებებსა და დისკუსიებს, ასევე თეორიულ დამუშავებასა და პრაქტიკულ ქმედებებს.

კვლევის ობიექტია ეკონომიკური პრინციპები, ურთიერთობები, ფორმები, მოვლენები და კანონზომიერებები მართლმადიდებლური სწავლების ჭრილში, ასევე სამეურნეო და ეკონომიკური პოლიტიკის მართლმადიდებლური გამოცდილება.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. დისერტაციის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კვლევის საგანი. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელების კვლევა და საერთოდ, თეოლოგიური ეკონომიკა შედარებით ახალი მიმართულებაა, რომლის საჭიროებაც ჟამთა ვითარებამ დაადასტურა. ეს საკითხები აქტუალური და სადღეისოა ეკლესიისთვისაც. რაც შეეხება წმინდა ეკონომიკურ ურთიერთობებს, თანამედროვე ბიზნესსექტორსაც არ უნდა სჭირდებოდეს ზომბირებული და რობოტიზებული მუშაკები, რომელთათვის უმთავრესი მხოლოდ პირადი სარგებლის მიღებაა. მეორე მხრივ, ასეთი მიდგომით გაიზრდება სოციალურ ურთიერთობებში დაბანდებები, ანუ ბიზნესის სოციალური ინვესტიციები ხელს შეუწყობენ ურთიერთობების ოპტიმიზაციას სახელისუფლებო რგოლებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და ბუნებრივია, საზოგადოებასთანაც.

დისერტაციის ძირითადი დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას სასულიერო სემინარიებისა და აკადემიების, შესაბამისი მიმართულების სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი და ანალიტიკური ცენტრების მიერ.

გამოკვლევის პერსპექტივები. ჩატარებული ანალიზი, თეორიულ-პრაქტიკული ზასიათის იდეები, წინადადებები და რეკომენდაციები გვაძლევს ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომას რიგი პრობლემებისათვის, ძირითადად თეოლოგიური ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სპეციალობებზე სავსებით შესაძლებელია არჩევით კურსად დაინერგოს „თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლები“ (ქუთაისის უნივერსიტეტებში ჩატარებული გამოკითხვა ამ მიმართულებით სტუდენტების ინტერესს ადასტურებს, რაც ამავდროულად განპირობებულია თანამედროვე პირობებში საქართველოში ეკლესიური ცხოვრების აღორძინებით). ეს ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის ბაზარზე ქრისტეს რწმენით გაჟღენთილი სპეციალისტების გამოშვებას და მიწოდებას. გარდა ამისა, უფრო ფართო პერსპექტივით, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა კვალიფიკაციათა ჩამონათვალი, რომლის „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა“ მიმართულებაში (№11) ფიგურირებს „თეოლოგია“ (1103). მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი დისერტაცია ხელს შეუწყობს ამ მიმართულებაში ერთ-ერთი ქვედარგის (სპეციალიზაციის) სახით ფიგურირებდეს „თეოლოგიური ეკონომიკა“. განზრახულია დისერტაციის წიგნის სახით გამოცემაც, რაც ხელს შეუწყობს დისერტაციაში წამოჭრილი საკითხების და საზოგადოდ, მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლების პოპულარიზაციას.

გამოკვლევის თეორიული და პრაქტიკული ბაზა. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია წმინდა წერილი, ფსალმუნები, წმინდა მამათა ცხოვრება და გამონათქვამები, საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების თეორიულ-მეთოდოლოგიური და გამოყენებითი ხასიათის შრომები, გამოკვლევები თეოლოგიური ეკონომიკის მიმართულებით და ამავე პროფილით ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების მასალები. საინფორმაციო ბაზის სახით ძირითადად გამოყენებულ იქნა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის, უკრაინის მართლმადიდებლური კანონიკური ეკლესიის ოფიციალური ვებგვერდები, მართლმადიდებლური საიტები და საგანმანათლებლო პორტალები, ასევე საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს მასალები.

დისერტაციაში დასმული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ლოგიკური, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, ანალოგიის, სტატისტიკური დაკვირვების, ანალიზის, სისტემურ-სტრუქტურული, დაჯგუფების, განმაზოგადებელი მაჩვენებლების, ისტორიული და სხვა თანამედროვე მეთოდები.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მსოფლმხედველობრივი და თეორიული საფუძველი ფაქტობრივად ყოველთვის იყო წმინდა წერილი და მასზე დაფუძნებული „სახლმშენებლობა", "სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა". ეს უკანასკნელი უპირატესად მოიაზრებოდა, როგორც მეცნიერება პატიოსანი შრომის, შინამეურნეობებისა და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის საკუთარი ძალებით წარმართვის, სიყვარულით შექმნისა და უპოვართა მხარდაჭერის შესახებ ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე.

ადამიანებს შორის სამეურნეო ურთიერთობები - ანუ ფართო გაგებით ეკონომიკა, სათავეს იღებს საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე. ეკონომიკური მეცნიერება - ახალი დროის „პროდუქტია". მისი ჩამოყალიბება მართალია მეთვრამეტე საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ, როგორც ბევრი სხვა მეცნიერება, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ტერმინი „ეკონომიკა" („Οικονομία") წარმოდგება ბერძნული სიტყვებისაგან - „Οικος" (oikos, house - სახლი (სამშობლო) და „νομος" (nomos, "custom", "law" - სწავლება, წესი, ადმინისტრირება, კანონი). შესაბამისად, მისი შინაარსი უკავშირდება საოჯახო მეურნეობის წარმართვის ხელოვნებას. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით რესურსების ეფექტიან, რაციონალურ და მისაღებ გამოყენებას უკავშირდება.

ტერმინი „ოიკონომია" („სახლმშენებლობა") მიმოქცევაში შემოიტანეს არისტოტელემ და ქსენოფონტემ. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით რესურსების ეფექტიან, რაციონალურ და მისაღებ გამოყენებას უკავშირდება.

სამწუხაროდ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ზეობის პერიოდში ეკონომიკურ და საერთოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ათწლეულების მანძილზე მიიჩქმალა ქრისტიანულ დოგმატზე დაფუძნებული ქცევის მოდელი. თავის მხრივ, ეს იყო შედეგი მეცნიერების სახელით რელიგიის უარყოფისა, მეცნიერებასა და რელიგიას შორის ღრმა უფსკრულის გაჩენისა, რაც მათი ჰარმონიის რღვევის პროპაგანდით „დაგვირგვინდა" დროებით ბოროტის სასიკეთოდ.

საბაზრო ურთიერთობათა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში თითქმის სრულად იყო უგულებელყოფილი ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. თუკი საზოგადოებრივი

წარმოების საბოლოო მიზნად ამქვეყნიური სიამოვნებისა და მაქსიმალური მოგების ნებისმიერი გზით მიღება იქცევა, „ასეთ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას, საზოგადოების სულიერ დაცემას და ადამიანთა საბოლოო წარწყმედას იწვევს“.[1]

ბოლო პერიოდის ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში სულ უფრო მძაფრდება და მყარ საფუძველს იძენს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ წმინდა წერილის მცნებების დარღვევით გამოწვეული ეკონომიკური დეფორმაციები უდიდეს მაშტაბებს აღწევენ არა მარტო სულიერ სფეროში, არამედ მატერიალური წარმოების კუთხითაც: „ბიბლიური მცნებების დარღვევის ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენის მექანიზმები ამა თუ იმ დონით მოქმედებს რეალურ საზოგადოებაშიც, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში. მშპ-ს ციფრების შემცირება ბიბლიური მცნებების შეუსრულებლობის გამო ფაქტიურად შეიძლება განსხვავდებოდეს სრულყოფილი საზოგადოებისგან, მაგრამ ერთი სავსებით ცხადია, რომ ადგილი აქვს მცნებების დარღვევის ნეგატიურ გავლენას ეკონომიკაზე და ეს გავლენა ჩვენს დღეებში ძალიან ძლიერია. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ნელ-ნელა ვითარდება. თუ საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე გახდა ქრისტიანი და შეუდგნენ ბიბლიური მცნებების შესრულებას, სახელმწიფო დაწევს გადასახადებს და გაადვილებს საგადასახდო სისტემას; ჩვენი ეკონომიკა მძლავრ დადებით იმპულსს მიიღებს და დაიწყებს განვითარებას სწრაფი ტემპებით“[2] ღრმად ვართ დარწმუნებული რომ გადასახადთა რიცხოვნობის და საგადასახადო განაკვეთების შემცირება უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არაერთ ეპისტოლურ შეგონებას და მხურვალე ლოცვას მოჰყვა (უფრო დაწვრილებით იხ. წინამდებარე ნაშრომი - ავტ.).

გასათვალისწინებელია გლობალიზაციისა და მისი მოსალოდნელი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების საფრთხეც. გლობალური იმპერიები ხომ პროპაგანდისტულ მანქანასთან ერთად თავიანთ „ფინანსურ და პოლიტიკურ მუსკულატურას“ იყენებენ, რომ ჩვენი სკოლები, ფირმები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მათ მრწამსს (იგულისხმება არაქრისტიანულს - ავტ.) ქადაგებდნენ, აქედან გამომდინარე დასკვნებითა და ლოგიკური გაგრძელებებით.[3]

---

[1] **შიხაშვილი გ.** ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. თბ., „ზედაშე“, 1996.

[2] **მასურაშვილი ს.** საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანობა. ჟურნალში „ახალი ეკონომისტი“, №2, 2009 წ. (ელექტრონული ვერსიის მიხედვით)

[3] **პერკინსი ჯ.** ეკონომიკური მკვლელის აღსარება. თბ., „ქართული წიგნი“, 2007. გვ. 13.

გლობალიზაციისა და გლობალური ფინანსური კრიზისის[1] პირობებში წარმოქმნილ პრობლემებს შორის აკად. ვლ. პაპავა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეკონომიკაზე ზომბიფირმების შეტევის და „ზომბი-ეკონომიკის“ (ზომბიფირმების, ზომბიბანკების და მთავრობის ურთიერთობის შედეგი) თემას, რომელიც დამატებით პრობლემებს უქმნის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსაც, ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების წარმოქმნისა და არსებობის შესაძლებლობას და საბოლოო ჯამში ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებს.[2]

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები არცთუ უსაფუძვლოდ ასაბუთებენ გლობალიზაციის რეალურ საფრთხეს და ხსნას უპირველესად, ქრისტეს რწმენაში განმტკიცებაში ხედავენ: „საერთო ჯამში გლობალიზაციის მთავარი მიზანია ქრისტიანული სამყაროს გამოწვევა... გლობალიზაციის აქამდე არსებული ყველა მოდელის შექმნის მთავარი იდეა მდგომარეობდა და მდგომარეობს მხოლოდ ბოლო იმპერიის შექმნაში... შესაბამისად იგი გულისხმობს ქრისტიანული აზროვნების მიზანმიმართულ დეკონსტრუქციას და საბოლოო ნგრევას... ამდენად ქართველი ერი დადგება დიდი საშიშროების წინაშე“.[3]

ბოლო წლებში ეკონომიკის ძირითადი პრინციპების მართლმადიდებლური გააზრების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, გამოიცა ნაშრომები, ჩატარდა სამეცნიერო ფორუმები და ა.შ. თანდათან იკვეთება შედარებით ახალ მიმართულების – თეოლოგიურ ეკონომიკის საჭიროება, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.[4]

სავსებით ვეთანხმებით ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთ ნაწილს, რომ „თანამედროვე პირობებში აუცილებელია სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის რადიკალური ჰუმანიზაცია რელიგიური პრინციპების და ზნეობის საფუძველზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სახელდობრ

---

[1] წმინდა მამები სამართლიანად გვირჩევენ, სიტყვა „კრიზისს“ „ღვთის მსჯავრი“ ვუწოდოთ.

[2] **პაპავა ვ.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. №8, თბ., „სიახლე“, 2010. გვ. 33-34.

[3] **ბაკურაძე ა.** გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის გააზრების საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია“ კრებული. ქუთაისი, 2009 წ. გვ. 268.

[4] უფრო დაწვრილებით იხ. “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ” (შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი), სწავლულ ეკონომისტთა გამოსვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პატრიარქის სტუმრობისას (2004 წლის 27 მაისი), თბ., 2004; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “დიდაჭარობა” (ხულო-დიდაჭარა, 2009).

საქართველოსთვის, სადაც ესოდენ მწვავედ ვლინდება გაუაზრებელი და უზნეო ეკონომიკური საქმიანობის სავალალო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები".[1]

ჩვენს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა წმინდა წერილში ან დასახელებულ სხვა წყაროებში ეკონომიკურ პარალელებს „ვპოულობდით"...ეკონომიკურ კანონთა და კანონზომიერებათა დიდი ნაწილი ხომ „კარგად დავიწყებული" ბიბლიური მცნებებია. მერე კი გვრცხვენოდა ჩვენი „აღმოჩენისა", ასევე იმისა, თუ უღვთოთ ცხოვრებამ როგორ დაგვაკარგვინა განუზომელი სიბრძნე და უფლის უსაზღვრო მადლი. თუმცა, არც თავდაჯერებას მივცემივართ და ამ რთული თემების სარეცენზიოდ არაერთხელ მიგვიმართავს ქუთაის-გაენათის ეპარქიისათვის, რისთვისაც მღვდელმსახურებს დიდ მადლობას ვწირავთ.

გაწეული შრომის მიუხედავად, სირთულეები და ეკონომიკისათვის გაუაზრებელი პრობლემები უთუოდ დაგვრჩებოდა, რაც სახარების უფლისმიერი იგავების განმარტების მეტად საჭირბოროტო საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: „ყოველი იგავი ხატოვნად, სახეობრივად განმარტავს რომელიმე საგნის ან სათქმელის არსს. მაგრამ იგი - იგავი - ყველაფერში არ არის მსგავსი იმ საგნისა, რომლის ახსნისთვისაც მოუხმობენ ხოლმე იგავს. ამიტომ იგავის ყველა ნაწილის დეტალური, ზედმიწევნითი განმარტება ყოველთვის არ არის საჭირო. ზოგჯერ გარკვეული ნაწილები იგავისა უნდა გამოვტოვოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ - ამ ნაწილების საღვთისმეტყველო მნიშვნელობის თვალსაზრისით, და ეს ნაწილები აღვიქვათ როგორც იგავის მხოლოდ შინაარსობრივი მახასიათებელი, სიუჟეტური ქსოვილის ის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც თვით ასახსნელ საგანთან და, მით უფრო, იგავის მთავარ სათქმელთან, არც უშუალო კავშირი აქვს და არც შესაბამისობაშია". ჩვენთვის ხომ მთავარია არა მცდელობა ღვთის გამოკვლევისა, არამედ მცდელობა, უფრო მეტად მივემსგავსოდ მას (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი).

[1] **შიხაშვილი გ**. თეოლოგიური ეკონომიკა-ახალი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თსუ, თბ., „სიახლე" 2010.გვ. 154.

თავი I. ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხი

1.1. მართლმადიდებლობის ძირითადი ეკონომიკური პარალელები

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქადაგებებსა და ეპისტოლეებში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ჩვენ რთულ დროში გვიხდება ცხოვრება - მაღალი სიჩქარეებისა და დაბალი მორალის პირობებში“. უწმინდესის გულისტკივილი ამის შესახებ მეტად დამაფიქრებელია, რადგან თითქმის ყველა ჩვენგანი ამა თუ იმ დოზითა და ხარისხით ჩაბმული ვართ ეკონომიკურ ურთიერთობებში, რათა სხვადასხვა გზით მოვიპოვოთ სარჩო-საბადებელი.

თანამედროვე პირობებში, როცა ასე მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და რიტმული გახდა ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის წარმოიშვა მასიური, ინტენსიური კონტაქტები და სიგნალები, შეიძლება უჩვეულოდაც გვეჩვენოს ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და მართლმადიდებლური მორალის შეთანაწყობა – უფალი, როგორც მოძღვარი სიყვარულისა, სიკეთისა, სათნოებისა და მიტევებისა და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზება, გაძღოლა, დღემუდამ ფიქრი, ზრუნვა კონკურენტების დამარცხებასა და ბაზარზე უპირატესი პირობების მოსაპოვებლად, პირადი ინტერესის როლის პრიორიტეტულობა, ერთი სიტყვით, ზრუნვა მხოლოდ მიწიერი ღირებულებებისათვის.

გადავხედოთ ზოგიერთ წინააღმდეგობას, რომელიც თითქოს სრულიად გამორიცხავს ეკონომიკის კავშირს ღვთის არსთან, რომელსაც, “როგორც არავის არასდროს ჩაუსუნთქავს მთელი ჰაერი, ასევე ვერც გონება დაიტევს მთლიანად და ვერც ხმა მოიცავს” (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი):

1. საბაზრო სისტემას, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების მექანიზმს არ ახასიათებს რაიმე სახის ეთიკური პრინციპები: ის საოჯახო მეურნეობები (ე.წ. “ჰაუსჰოლდები”), რომელთაც ეძლევათ შესაძლებლობა მატერიალური რესურსების დიდი რაოდენობა დააგროვონ მემკვიდრეობით, მძიმე შრომისა და მომჭირნეობის, განსაკუთრებული საქმიანი გამჭრიახობის თუ მოტყუების (!) მეშვეობით, დიდ შემოსავალს იღებენ და შესაბამისად, ეუფლებიან საზოგადოებრივი პროდუქტის დიდ ნაწილს. აქ მთავარია პირადი ინტერესის მოტივი, რომელიც აწესრიგებს ეკონომიკის

ფუნქციონირებას[1] (შეად. ჰელვეციუსის თეორია და პირადი ინტერესის ეგოიზმთან გაიგივების შესაძლებლობა-ავტ.). ყოველთვის ჩნდება კითხვები: მაშ რა ქნას საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ვერ შრომობს ან კონკრეტულ მომენტში შრომის ბაზრის შესატყვისი კვალიფიკაცია არ გააჩნია? იყოს მარტოოდენ სახელმწიფოს, ანუ „კეთილი დესპოტის“ ანაბარა? ასეთი დამოკიდებულების არაეფექტიანობას და სახელმწიფოს ხშირ შემთხვევაში მინიმალური ძალისხმევის შედეგებს ისიც ცხადყოფს, რომ უმუშევრობა (ინფლაციასთან ერთად) თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება.

2. მომხმარებლის დიქტატი და არჩევანის თავისუფლება მოითხოვს მეწარმისაგან ისეთი საქონელი მიაწოდოს ბაზარს, რომელზეც არსებობს (მაღალია) მოთხოვნა. ფასების მაორიენტირებელი ფუნქციაც მოგების მიღების სანაცვლოდ მეწარმეს კარნახობს ბაზრისათვის აუცილებელი საქონლის სახეობას, თუმცა ზოგიერთი ასეთი საქონელი და მომსახურება ქრისტიანული მორალისა და პრინციპებისათვის მიუღებელია (ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი, ალკოჰოლური სასმელები, უხამსი ვიდეო და სხვა სახის პროდუქცია და ა.შ.). ამასთან, საქონლის წარმოების პროცესი კონკურენტუნარიან სივრცეში დაგეგმვის და პროგნოზირების მკაცრ პრინციპებს (ზრუნვას ხვალინდელზე) უნდა დაექვემდებაროს. სახარება კი გვამცობს “ამრიგად ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავისთავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი” (მათ. 7:34) ან კიდევ „მიანდე უფალს შენი საზრუნავი და ის შეგეხიდება“.

3. ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ამა თუ იმ დონით დამახასიათებელია ჩრდილოვანი ოპერაციები, როგორც კონკურენტების დამარცხების, მათი ბაზრიდან განდევნის, მაღალი მოგების (ხშირად ზემოგების) მიღების მისწრაფება, კანონის დარღვევის მთავარი წინაპირობა (აღრიცხვა-ანგარიშგების გაყალბება, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პირადი ინტერესების დაქვემდებარება და ა.შ.), ანუ “მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს” (მარ. 12:17) რთულად აღსრულებადია რეალურ ცხოვრებაში.

---

[1] **Макконнелл К., Брю С.,** Экономикс. М., Инфра-М, 2000. ст. 65.

ჩამონათვალი, რომელიც წინააღმდეგობათა ჯაჭვს წარმოგვიდგენს და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას ყოფიერი მიზნების მისაღწევად ქრისტიანულ დოგმებს არღვევს, შეიძლება გავაგრძელოთ. უფრო საინტერესო იქნება მათ შორის კავშირების ძებნა, თუ რამდენადაა შესაძლებელი საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში, ამ დროს წარმოქმნილ ურთიერთობებში დაცულ იქნას პატიოსნება და წესიერება, სათნოება და მოყვასის სიყვარული.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი წარმოებით ურთიერთობებში საკანონმდებლო რეგულირება, სამართლებრივი ბაზისა და სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფაა. საზოგადოდ, ქრისტიანული ეპოქა საზოგადოების ცხოვრებაში კანონიერების დამკვიდრების ეპოქაა მოქმედების, საქმიანობის სფეროს განურჩევლად.

იგავი მოწყალე სამარიტელზე გვამცნობს, რომ რჯულის მოწმის მიერ გამოსაცდელად დასმულ შეკითხვაზე "რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?" იესო პასუხობს: "რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?" (ლუკ. 10:25-26), ან კიდევ "არ იფიქროთ თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი" (მათ. 5:17). დასახელებულ იგავში ნაჩვენებია, რომ სამარიტელმა უპატრონა დაჭრილს, უმწეოს, მიიყვანა სასტუმროში, პატრონს 2 დინარი მისცა და უთხრა: "იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემ" (ლუკ. 10:35). ამდენად, ამ ურთიერთობებისათვის არ არის უცხო პატიოსანი სიტყვა მხარეებს შორის, ყოველგვარი ვალდებულებითი დოკუმენტის გარეშე.[1]

კანონმორჩილებას გამოხატავს უფალი კაპერნაუმში მისვლისას, როცა ემორჩილება დიდრაქმის ამკრებთ და იხდის სტატირს, რათა არ ცდუნდნენ ისინი (მათ. 17:24-27). ნიშანდობლივია, რომ გადასახადის გადახდა (საგადასახადო ადმინისტრირება) და საბაჟოს გავლა ერთგვარი ბარიერია და ჩრდილოვანი ოპერაციების წარმოების საუკეთესო ადგილი. მას მებაჟე ზაქეს ისტორიაც ადასტურებს.[2]

---

[1] საგულისხმოა, რომ აღმსარებელმა მოძღვრის წინაშე უნდა მოინანიოს პირცვალება, ანუ პირობის გატეხვა

[2] უფრო ვრცლად იხ. წინამდებარე ნაშრომი (§2.1.).

გადავხედოთ სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფისა და ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთ თანამედროვე ელემენტს:

ა) სრული დასაქმების მიღწევა – სამუშაო უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, ანუ ერისკაცთა მეცადინეობა უნდა მიემართოს იმისაკენ, რომ ღვთის იგანჩინებით ყველამ გამოიმუშაოს საზრდო, ღვთისაგან ბოძებული. ამასთან, ღვთიურ განგებას მინდობილი ბიზნესი უნდა ემორჩილებოდეს ცნობილ მცნებას, რომლის მიხედვითაც კვირაში 6 დღე პატიოსან შრომას უნდა ეთმობოდეს, ერთი კი მხოლოდ ღმერთს; დავუკვირდეთ, რომ კაპერნაუმში მისვლისას უფალი ემორჩილება რა გადასახადის გადახდის სავალდებულობას, პეტრეს ავალებს სტრატირის გადახდას.

ბ) შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ეკონომიკური გარანტიები – საზოგადოების ერთი (მცირე) ნაწილი მაღალ შემოსავლებს იღებს, როცა მეორე ნაწილს არასათანადო განათლება (კვალიფიკაცია) აქვს მიღებული და შესაბამისად, მათი შემოსავალი მცირეა. საზოგადოებაში ასევე არის მრავალი ხანდაზმული, ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანების მქონე პირი. მოკლედ, საბაზრო სისტემა მნიშვნელოვან უთანაბრობას წარმოშობს ფულადი შემოსავლების (ეროვნული პროდუქტის) გადანაწილებაში (შეად. ლორენცის მრუდი). სახელმწიფო, როგორც "სამართლიანი დესპოტი" მოწოდებულია აღმოფხვრას უთანაბრობა.

გ) ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება – უნდა გამოირიცხოს ინფლაცია ან დეფლაცია, რასაც ეკონომიკური რყევების გამოწვევა შეუძლია. Fასების სტაბილურობა მშვიდობის, საზოგადოების მშვიდი თანაცხოვრების უმთავრესი გარანტია.

დ) ეკონომიკური ეფექტიანობა – მაქსიმალური უკუგების მიღება მინიმალური დანახარჯებით, ანუ ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრის, რესურსების მომჭირნეობით, რაციონალური გამოყენება.[1]

თანამედროვე, ცივილიზებული ბაზრის ძირითადი პრინციპია საბაზრო კონტრაგენტებისათვის თანაბარი, სამართლიანი მდგომარეობის უზრუნველყოფა, თუმცა არცთუ იშვიათია საბაზრო დეფორმაციები (მონოპოლიზმის ელემენტები, გავლენიანი ჯგუფების ზემოქმედება და ა.შ.), რაც ხელს უშლის სტაბილურობას და სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას წარმოშობს (შეად. ეკონომიკური ციკლის

[1] აღმსარებელი მორწმუნის მიერ მოძღვრის წინაშე აღიარებულ ცოდვას განეკუთვნება ფულის ფლანგვა.

სახელმწიფო რეგულირების კეინსური თეორია). ბაზარი, როგორც რთული და ამავე დროს ფაქიზი მექანიზმი, თითოეული მონაწილისაგან გარკვეულ მსხვერპლს (ხარკს) მოითხოვს. სანამ მიიღებ რაიმე აუცილებელს სხვა ადამიანებისაგან, უნდა შეგეძლოს მათთვის საჭირო, ფასეულის მინიჭება. გამოჩენილი მკვლევარი ფილიპ კოტლერი მარკეტინგს განიხილავს, როგორც საქმიანობის ფორმას, რომელიც მიმართულია მოთხოვნებისა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაცვლის მეშვეობით. "თამანედროვე მარკეტინგი გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე კარგი საქონლის შექმნა, ხელმისაწვდომი ფასის დაწესება და მისი მიზნობრივ მომხმარებლამდე მიტანაა... ფირმებმა ასევე უნდა განახორციელონ კომუნიკაცია (სტიმულირების კომპლექსი-ავტ.) თავიანთ დამკვეთებთან".[1] ამდენად, საბაზრო კონტრაგენტების ურთიერთობა, როგორც მუდმივი პროცესი, ორმხრივ სარგებლიანობას უნდა ეფუძნებოდეს: "როგორც გინდათ, რომ თქვენ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისე მოექეცით მათ" (ლუკ. 6:31). ამასთან, საქონელგაცვლასა და საერთოდ, საქონელმიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობების საფუძველი გაცვლაში მონაწილე სუბიექტების თავისუფლების ფონზე ჩამოყალიბებული ინტერესთა თანასწორობაა, როცა თითოეული მათგანის გადაწყვეტილება ასევე თავისუფალია ვისიმე ან რომელიმე ორგანოს დირექტივისაგან (ადმინისტრირებისაგან), ანუ გარიგების ექვივალენტობის პრობლემა თვით გარიგების მონაწილეთა გადასაწყვეტია. სწორედ ასეთი სიტუაცია განაპირობებს გამყიდველისა და კლიენტის ერთგვარ ჰარმონიას. ბიბლია ღაღადებს: "როცა რაიმეს მიჰყიდი შენს თვისტომს, ან რაიმეს იყიდი შენი თვისტომისაგან, ნუ მოატყუებთ ერთმანეთს"- გვმოძღვრავს წმინდა წერილი.

რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოშიშობა შესაძლოა ბაზრის ეფექტურობის რღვევის ძირითად მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის

[1] **Котлер Ф.**, Основы маркетинга. М., «Прогресс», 1991, ст. 33.

ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა.შ.[1]

საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება განიხილება შეზღუდული რესურსების პირობებში. როგორც ცნობილია, ძირითადი რესურსებია: შრომა, სამეწარმეო უნარი (არამატერიალური რესურსები), მიწა და კაპიტალი (მატერიალური რესურსები). მიწა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მოიცავს არა მარტო სახნავ-სათეს სავარგულებს, არამედ ღვთისაგან (ბუნებისაგან) ნაბოძებ მთელს სიმდიდრეს - მადნებს, ტყეებს, აირად და თხევად საწვას, ბუნებრივ ქვებს, მინერალებს და ა.შ.

მიწის ფლობის საკითხის განხილვა სცილდება ამქვეყნიურ რეალიებს. ადამიანი სიმბოლურადაა ამ რესურსების მფლობელი, რომელსაც მას ღმერთი უძღვნის, ანუ ადამიანის ამქვეყნად მოვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრებასაც. ამდენად, მიწის მესაკუთრე ფაქტობრივად არის სიმბოლური მმართველი, მენეჯერი მართვის უფლებით. შესაბამისად, ღმრთისაგან ნაბოძები სიმდიდრის მმართველს უპირველესად ღვთის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა. ასევე, ნებისმიერი ქონება (მით უმეტეს, რესურსები -ავტ.) ღვთისგან ბოძებულია და ადამიანი თავისი ქონების ბატო-პატრონი კი არ არის, არამედ მოურავია, განმკარგავია და ღვთისგავაც იმის მიხედვით მიეზღვება, როგორც განკარგავს (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი).

კაპიტალი საინვესტიციო რესურსია და მოიცავს მანქანებს, დანადგარებს, მოწყობილობებს და ა.შ. ამ საშუალებათა წარმოება და დაგროვება არის სწორედ ინვესტირების პროცესი. მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სიმდიდრისაკენ მისწრაფების, დაგროვების მიმართ მრავალმხრივ გააზრებას მოითხოვს. აქ მთავარია სულიერი მარგალიტების ძიება და დაგროვება, მიწიერი სიმდიდრის ძებნა კი ამაოა, ფუჭია: “დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ ულევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ დააზიანებს, ვინაიდან სადაც თქვენი საუნჯეა, გულიც იქ იქნება” (ლუკ. 12:33-34). შეიძლება თუ არა ცალკეულ შემთხვევებში მიწიერი სიმდიდრის დაგროვება ნიშნავდეს სულიერი სიმდიდრის დაგროვებასაც? თუკი

[1] ამ მხრივ ბევრ გვავალებს ქართული ეროვნული ვალუტის ბანკნოტებზე წმინდა თამარ მეფის, წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა ილია მართლის გამოსახვა. გავიხსენოთ ისიც, რომ ამერიკულ დოლარზე წარწერა In God We Trust (ჩვენ გვწამს ღმერთი) ჯერ კიდევ 1864 წელს დაიტანეს, რაც გავრცელებული აზრით, შემდგომში დოლარის ძლიერების საფუძელი გახდა.

მატერიალური ფასეულობების (ღირებულებების) დაგროვება მიმართულია ღვთის მცნებათა აღსასრულებლად, ადამიანთა სასიკეთოდ, ამგვარი ქმედება გამართლებული და საცხონებელია. ამქვეყნიური სიკეთეებისადმი მისწრაფება მფლობელს ვნების მონად აქცევს: "არ უნდა ისურვო ისეთი რამ, რომელსაც ოდესმე ვეღარ მოიხმარ და რომლის მუდმივ ფლობასაც ვერ შეძლებ" (წმ. ნილოს სინელი). წუთისოფლის კეთილდღეობაც ხომ ამაო და დროებითია – იგი სულაც არ არის უცვლელი და სიხარულს მწუხარება და ვაება მოჰყვება (ეკონომიკურ (საქმიანი აქტივობის, კონიუქტურული) ციკლში, რომელიც ეროვნული ეკონომიკის რეგულარულად განმეორებად მდგომარეობას ასახავს, დეპრესიის, დაცემის, გამოცოცხლებისა და ზრდის სტადიები ურთიერთმონაცვლეობენ. ეკონომიკის სწრაფი "გამოჯანმრთელება" კი ღვთიურ პრინციპებს დამორჩილებული საქმიანობის სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული). ამდენად, სკეპტიკოსებისაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ მიწასა და ზეცაში სიმდიდრის დაგროვებას შეიძლება მოეძებნოს გარკვეული ალტერნატივა.

შრომას და სამეწარმეო უნარს ეკონომიკა განსაკუთრებულ არამატერიალურ რესურსად განიხილავს. შრომა, როგორც ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ხარჯვა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში, სამეწარმეო უნარი კი, როგორც განსაკუთრებული რესურსი.

ღირს ვიფიქროთ, რომ კაპიტალის დაგროვების პროცესში მთავარია არა ის, თუ რამდენს ფლობს ინდივიდი, არამედ როგორ მოიპოვა და რა ნორმების დაცვითაა ჩართული ეკონომიკურ ურთიერთობებში. "რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაცა აქვს" (მარ. 4:25). უპრიანია ღრმად ჩავუკვირდეთ ამ სიბრძნეს. მქონებელია, ვინც ეფექტურად იყენებს საკუთარ ქონებას (სიმდიდრეს) სხვათა სასიკეთოდ, არამქონებელი კი რომელმაც არ იცის ან არ შეუძლია ამის კეთება. თუმცა, სიმდიდრის ქონა არ ზღუდავს ქველმოქმედების არეალს. უფალი ამბობს: "გაყიდეთ ქონება თქვენი და გაეცით მოწყალება (ლუკ. 12:33)". უფალს არ უყვარს მოწყალება, რომელიც თვალთმაქცურად, ანგარებით კეთდება და რომლის მიზანია ქების დამსახურება რაიმეს მიღების (ტაში, დიდება, წოდებები, საზოგადოებრივი აღიარება) სანაცვლოდ: "შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა" (მათ. 6:3). სესხის გაცემასა და ამა თუ იმ საქმიანობისათვის

ფინანსური სახსრების მოპოვებაში სასურველია არ შეიქმნას დამაბრკოლებელი გარემოებანი, რაც სათნოებასთან ერთად, ეკონომიკურ ურთიერთობათა სტიმულირების, ადამიანთა დასაქმებისა და კეთილდღეობის საფუძვლად უნდა იქცეს. უფალი გვარიგებს: "ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ იმას, ვისაც შენგან სესხება სურს" (მათ. 5:42).

ეკონომიური ურთიერთობებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ბიბლიური მცნების "არ იპარო" დაცვა. იგი პირდაპირი მნიშვნელობით გაგებასთან ერთად და გაცილებით ტევადი და მრავლისმეტყველია თანამედროვე საქმიანი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, ხელფასების გაუსტუმრებლობა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესუსტება, თაღლითობა (საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების დამახინჯება და გაყალბება), კონკურენტებთან არაკეთილსინდისიერი ბრძოლა (ფასების შეკავება, დემპინგი, ფასების ფიქსირება, არაკეთილსინდისიერი რეკლამა), ასევე კლიენტთა მოტყუება, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება, ძალადობა და შანტაჟი კონკურენტებთან ბრძოლაში, კლიენტებთან ურთიერთობის ხელოვნურად გაფუჭების მიზნით, ქილერების მიგზავნა და ა.შ. ღვთისმგმობი ქმედებებისათვის ვერდიქტი ერთია: "რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე მოკვდეს".

ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანი მომავალი ცხოვრებისთვის მზადებას ამ ცხოვრებაში იწყებს. მას უხდება არჩევანის გაკეთება - ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრების სიამეებსა და სულის საუკუნო ცხონებას შორის. შესაბამისად, მამონას თუ ღმერთის სამსახური.

ქრისტეს მოწაფე (ქრისტეს მეგობარი) სწორედ მეორე გზას ირჩევს. ცათა საუფეველის მოპოვება განუზომელი სწრაფვა და სიხარულია ნებისმიერი მოკვდავისათვის: ,,ცათა საუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს; როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და იყიდის მას" (მათ. 13:45-46). ფაქტობრივად ანალოგიური პრინციპები (გაიღოს ნაკლები ახლა, მომავალში მეტი სარგებლის (ფასეულობის) მიღების მოლოდინში) უდევს საფუძვლად გაცვლის პროცესს წმინდა ეკონომიური თვალსაზრისითაც (თუკი ეს მოსაზრება მკრეხელობაში არ ჩაგვეთვლება).

მართლმორწმუნე მზადაა მსხვერპლად გაიღოს ხანმოკლე მიწიერი სიამენი და სანაცვლოდ მიიღოს ცხონება იმ ქვეყნად.

მეორე მხრივ, მიწიერ ურთიერთობებში (ეკონომიკურ ურთიერთობებში), რომელშიც მას უხდება ყოფა, ქრისტიანი ცდილობს მეტი გასცეს, ვიდრე მიიღოს, რაც ქრისტიანული ეკონომიის ძირითადი პრინციპია. ეს პრინციპი მას საშუალებას აძლევს ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის დროს იყოს სიცოცხლისუნარიანი. მისთვის არც საზოგადოებრივ მდგომარეობას და არც გარემოს აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს მისი ცხოვრების დოგმაა. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავს: ,,არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორეს სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი სიყვარული ასრულებს სჯულს“ (რომ. 13:8). სასუფეველი ერთია, თუმცა მრავალი სავანე არსებობს მის წიაღში. საუფევლისათვის მეტის გამცემს, ბუნებრივია მეტი მიეცემა. წმინდა მამები და წმინდა გვირგვინოსნები, რომელთაც არაფერი აკლდათ, დღემუდამ ევედღებოდნენ უფალს: მცირედსა ზედა დაგვამკვიდრეო.

მიწიერისა და სულიერის დაპირისპირება კარგად ჩანს ძველ აღთქმაში. როგორც ცნობილია, პირმშოობით საღვთო მადლი გადადიოდა პირმშოზე-უფროს შვილზე. ამასთან, ქონების დიდი ნაწილიც მას რჩებოდა. ისააკის შვილებიდან - ესავიდან და იაკობიდან პირმშო ესავი იყო. ერთხელ ესავი ნადირობიდან მშიერი დაბრუნდა და იაკობს საჭმელი სთხოვა. იაკობმა შესთავაზა სანაცვლოდ პირმშოობა მიეყიდა. ესავიც ასე მოიქცა. ამდენად, მან ერთ დანაყრებაში გაცვალა პირმშოობა, მომავალში მამის ქონების ფლობა, რადგან არ ფიქრობდა სულიერზე.

როგორც აღინიშნა, კეთილსინდისიერი საქმიანობა ამომავალი ბიბლიური პრინციპია. ძველ აღთქმაში პირდაპირ არის მინიშნებული ამის შესახებ: ,,ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი - დიდი და მცირე. ნუ გექნება სახლში ორი განსხვავებული საწყაო - დიდი და მცირე. საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს, რომ დღეგრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს. რადგან საძაგელია უფლისთვის, შენი ღმერთისთვის ყველა, ვინც უკანონობას სჩადის“ (II სჯ. 25:13-16).

ამდენად ჯანსაღი და კეთილსინდისიერი კონკურენცია, სამართლებრივი ბაზის დაცვა და უპირობო შესრულება, დღეგრძელობის ერთგვარი გარანტია. ამ ქმედებით ეკონომიკური სუბიექტიც (მეწარმეც) არ სჩადის ცოდვას (მოტყუება, გამოძალვა) და პირნათელია უფალთან და მეორე მხრივ, მომხმარებელიც დაცულია მოტყუებისაგან.

ეკონომიკური ურთიერთობების მართლმადიდებლური საწყისების გააზრება ხშირად ეჭვს ბადებს იმ მხრივ, რომ სამეწარმეო საქმიანობა მოგების მიღებისკენ და კონკურენტის დამარცხებისკენაა მიმართული და შეუძლებელია მათი შეთავსება. რაც მეტია ფასი, იმატებს მეწარმის სტიმული, მეტი პროდუქცია მიაწოდოს ბაზარს, გაზრდილი მოგების მიღების საზღაურად (ფასი= თვითღირებულება + მოგება). ამიტომ მიწოდების მრუდიც აღმავალია (იხ. ნახ 1.1.1.):

ნახ. 1.1.1 მიწოდების მრუდი



ბუნებრივია, კონკურენციის არაკეთილსინდისიერი მეთოდები, ჩრდილოვანი ოპერაციები, მომხმარებლის მოტყუება და სხვა შებღალული საქმიანობა ყველა ეპოქაში არსებობდა და მას მართლმადიდებლობის დოგმებთან არაფერი აქვს საერთო. მოგებისა და მისი განაწილების კუთხითაც, თუ ჩავუღრმავდებით და საკითხს მართლმადიდებლური პრინციპების ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ არც მთლად რთულადაა საქმე.

ჯერ განვიხილოთ მაკროდონეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), ანუ ერის მიერ ერთი წლის განმავლობაში გამოშვებული პროდუქტის ,,მოძრაობა“ ცალკეულ ეტაპებზე, წმინდა ეროვნული პროდუქტიდან (წეპ), ეროვნული შემოსავლის (ეშ), პირადი შემოსავლისა (პშ) და განკარგვადი შემოსავლის (პშ) ფორმირების ჩათვლით (იხ. ნახ. 1.1.2.).

მთლიანი შიდა პროდუქტიდან უნდა გამოვრიცხოთ გიგანტური საამორტიზაციო ანარიცხები, რომლითაც მივიღებთ წმინდა ეროვნულ პროდუქტს. მასშიც არის ჩადებული გარკვეული „შელამაზების ტენდენცია“, ამიტომ მას აკლდება უცხოელთა რესურსებით წარმოება და ირიბი გადასახადები ბიზნესზე (დღგ, აქციზი, გაყიდვიდან გადასახადი და სხვა), რომლებიც მყისიერად ზრდიან ფასებს და წვლილი არ შეაქვთ რეალური პროდუქციის წარმოებაში, რითაც ეროვნულ შემოსავალს (გამომუშავებულ შემოსავალს) ვღებულობთ.

ნახ. 1.1.2.

მშპ-დან განკარგვადი შემოსავლის ფორმირება

ეროვნული და პირადი შემოსავალი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მარტივი მიზეზით, რომ შრომით გამომუშავებული შემოსავლის ნაწილი ვერ ხვდება საოჯახო მეურნეობაში (სოციალური დაზღვევის შენატანები, კორპორაციათა მოგების გადასახადები, გაუნაწილებელი მოგება). ამიტომ, პირად შემოსავალზე დასაყვანად საჭიროა ეროვნულ შემოსავალს, ანუ გამომუშავებულ შემოსავალს გააკლდეს ყველა დასახელებული კომპონენტი და მიემატოს ტრანსფერტული გადასახდელები (დახმარებები, სუფსიდიები და ა.შ.), რითაც საბოლოო ჯამში ვღებულობთ პირად შემოსავალს. ეს ის შემოსავალია, რომელიც თავისუფალია სხვა რაიმე ვალდებულებებისაგან და შეიძლება ორი მიმართულება გააჩნდეს: დაზოგვა და ან მოხმარება.[1]

მიკროდონეზე საკითხის განხილვა კიდევ უფრო სიცხადეს შეიტანს დაწყებული მოსაზრების ფორმირებაში. სამეწარმეო მოგების დიდი ნაწილი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ხარჯების გაწევის შემდეგ, როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას, სრულყოფას და დივერსიფიკაციას ხმარდება. ეს გვაძლევს ახალ სამუშაო ადგილებს და ზრდის გამოშვებული პროდუქციის მოცულობას.

---

[1] **ჩიხლაძე ნ.** „ზოგადი ეკონომიკსი“. ქუთაისის სამართლის და ეკონომიკის უნივერსიტეტი, 2008. გვ 85-86.

რაც შეეხება წმინდა მოგებას, რომელიც საწარმოში ძირითადი თანხების ,,შებრუნების“ შემდეგ რჩება, მას შეიძლება არც ქონდეს გრანდიოზული და საშიში ზომა. ყველა შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი მოიხმარება და მაინც ეროვნულ მოხმარებაში და მშპ-ის ზრდაში შეიტანს წვლილს. ამასთან, სამეწარმეო საქმიანობა საკმაოდ რთული და რისკიანი საქმეა და მეწარმეც ღირსია მიიღოს შესაბამისი ფულადი ჯილდო.

საინტერესოა კვლავ ამ წმინდა მოგების განაწილების მიმართულება. თუ ასეთი მოგება მეწარმე ქრიტიანთან აკუმულირდება, მისი გადანაწილების, მოხმარების „მექანიზმიც“ ქრისტიანულია - მოყვასთათვის ზრუნვა და კეთილი საქმეების კეთება (ღარიბთა და უპოვართა დახმარება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მონაწილეობა და საქველმოქმედო საქმიანობა). საბაზრო სისტემის ფუნდამენტური პრინციპი - მეწარმეობის თავისუფლება, ამას არ ზღუდავს.[1]

მკვლევართა მეორე ნაწილი „ვერ უთავსებს“ ერთმანეთს მართლმადიდებლობის ძირითად დოგმებსა და სიმდიდრეს. წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესი მნიშვნელოვანი აქტივების ფლობისა და განკარგვის აუცილებლობას უკავშირდება. წარმოიშვება საკითხი - როგორ ხედავს მართლმადიდელობა სიმდიდრეს და როგორია მეწარმეობის სოციალური ვალდებულება.

ძველი აღქმისაგან განსხვავებით, სადაც აღიარებულია ისეთი სიმდიდრე, რომელშიც არ არის განივთებული ცოდვა და ბოროტება, ხოლო სიღარიბე მეორეხარისხოვანია, ახალ აღქმაში მიწიერი მატერიალური სიმდიდრე აშკარად უარყოფითად ფასდება. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული თვალთახედვით სიმდიდრე და სიღარიბე არ არის ერთგვარი ნეიტრალური კატეგორიები. მაცხოვარი ნეტარებას უწინასწარმეტყველებს სულით ღარიბთ, ხოლო ოქროსა და ტაძრის შედარებისას აღნიშნავს: ,,რა უფრო დიდია, ოქრო თუ ტაძარი, ოქროს რომ წმედს?“ (მათ. 23:17). ჭაბუკს, რომელიც ღვთის მცნებებს იცავს, უფალი ეუბნება, რომ ზეცაში საუნჯის

[1] ამ მხრივ, საკმარისია გავიხსენოთ ძმები ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, თანამედროვეთაგან ბიძინა ივანიშვილი და სხვები. ასევე უპრიანია მოვიტანოთ წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუკი ვინმეს სხვაზე მეტი არ ექნება, მაშინ არც გაცემის (მოყვასისა და უპოვართა შეწევნის) საშუალება იარსებებს.

მოსაპოვებლად გაყიდოს მისი ქონება, ღარიბებს დაურიგოს და გაჰყვეს მას. ჭაბუკი განშორდა დაღონებული, იგი არ იყო ამის მქმნელი, ამიტომ უფალმა მდიდრებს თითქოს განაჩენი გამოუტანა: "უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის საუფეველში" (მათ. 19:24).

ქრისტეღმერთის ამ ქადაგებას (აქლემის ყუნწში მდიდარი) წინ უსწრებს მის მიერ ახალ მცნებათა საოცარი ჩამონათვალი, რომელსაც ადამიანი (ახალი აღქმით) შეჰყავს სასუფეველში. აქ მაცხოვარი სიმდიდრეს არ უწოდებს ბოროტებას და არც ის უთქვამს, რომ სასუფეველში შესვლის აუცილებელი პირობა სიღარიბესა და გაჭირვებაში მუდმივი ყოფაა და რომ ადამიანი ამისათვის არ უნდა ფლობდეს, თუნდაც რაიმე სახის ქონებას, საერთო ჯამში კი სიმდიდრეს, რამეთუ ,,მდიდრები კი არა სიმდრის მსახურნი განისჯებიან". წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს რა მაცხოვრის ამ ქადაგებას, გვამცნობს შემდეგს: ,,ქრისტე ამ სიტყვებით არ უაყოფას სიმდიდრეს, არამედ მისდამი მონურ დამოკიდებულებას, მხოლოდ მუდმივად გამდიდრების მიზნით მიწიერი სიცოცხლის უკეთ მოსაწყობად და სხვა არაფერს". ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას მრავლად ჰყავდა მტკიცე და შეურყვნელი რწმენის მდიდარი და დიდგვაროვანი წარმოშობის მორწმუნეები, ძლიერებითა და სიმდიდრით გამორჩეული მეფეები და დედოფლები, რომლებიც თავიანთ ეპოქებში გახდნენ, წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,ქრისტეს მხნე რაინდები" და წმინდანებადაც შეირაცხნენ (ლუკ. 13:28). ამდენად საქმე გვაქვს არა მხოლოდ სიმდიდრისა და ე.წ. მამონას მონებთან, არამედ მდიდარი ადამიანების ქრისტესთან მიმართებასთან და ამავდროულად მაცხოვრის სახარებისეულ მცნებებთან.[1]

გავიხსენოთ, რომ წმინდა მოციქულებს, უამრავ მორწმუნესთან ერთად, ყველაფერი საერთო ჰქონდა. ყველა მესაკუთრე ჰყიდდა საკუთარ ქონებას, (ყანებს, სახლებს), გაყიდულის საფასური მიჰქონდა მოციქულებთან და თითოეულს უნაწილებდა საჭიროების შესაბამისად. ასევე მოიქცა იოსებიც - იგივე ბარნაბა, (,,ნუგეშისცემის ძე"), რომელმაც ყანა გაყიდა და მოციქულებთან მოიტანა თნხა (საქ. 4:32-37).

---

[1] . **ბაკურაძე ა., კირთაძე შ.,** სიღარიბესთან ბრძოლის ქრისტიანული საკითხისათვის, საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დიდაჭარობა" (მასალები). ხულო-დიდაჭარა. 2009. გვ. 127.

სიმდიდრესთან დამოკიდებულება ნათლად სჩანს ასევე იგავში „მდიდარი და ლაზარე“. გლახაკი სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ხვდება, მდიდარი კი ჯოჯოხეთში. მდიდრის ენით აუწერელი ტანჯვა-წამების ნუგეშის მოთხოვნაზე აბრაამი მიჯნავს ორ სამყაროს, სადაც მდიდრები და ღარიბები განისვენებენ: „ჩვენსა და თქვენს შორის დიდი უფსკრულია დამყარებული, ისე, რომ ვერც აქედან თქვენსკენ გადმოსვლის მსურველები გადმოვლენ თქვენსკენ და ვერც თქვენგან ჩვენსკენ“ (ლუკა 16:26). ქრისტიანული სიმდიდრის მორალი მდგომარეობს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის უარყოფაში სხვათა სასარგებლოდ. ეს ნიშნავს, რომ ცოდვაა გარკვეული მატერიალური ფასეულობების, აქტივების ქონა, თუმცა მათი ფლობის განხორციელება ისე უნდა მოხდეს, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის.

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით სიმდიდრეს და ქონებას მფლობელმა შესაბამისი მიმართულება უნდა მისცეს ღარიბ-ღატაკთა და უპოვართა სასარგებლოდ. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სიმდიდრე ერთგვარი ,,გამოწვევაა“, გამოცდაა, თუ როგორი იქნება ინდივიდის ქცევა. ამდენად, ყოველგვარი ქონება ,,ქონება უფლისა, რა გზითაც არ უნდა იყოს შეგროვილი, თუკი ჩვენ მას გლახაკებს ვუწილადებთ, დიდ სიმდიდრეს შევიძენთ. ღმერთმა დაუშვა, სხვებზე მეტი გქონოდა არა იმისთვის, რომ სიძვაში, მემთვრალეობაში, ნაყროვანებაში, ძვირფას ტანსაცმელსა და განცხრომის სხვა საგნებში დაგეხარჯა, არამედ იმისთვის, რომ გაჭირვებულთათვის გაგენაწილებინა“- ბრძანებს წმინდა მამა.

საუკუნეების მანძილზე მატერიალური სიმდიდრე არ მიიჩნეოდა ცხოვრებისეული წარმატებისა და საზოგადოებისაგან კეთილი დამოკიდებულების სიმბოლოდ. სიმდიდრის ლეგიტიმურობა არცთუ იშვიათად უკავშირდებოდა საქველმოქმედო ურთიერთობებს მესაკუთრესა და გარემომცველი სამყაროს შორის. ამით მესაკუთრე იძენდა ერთგვარ ,,მორალურ აქტივებს“. მისი სიმდიდრის შემცირება ასევე აკნინებდა მესაკუთრის საზოგადოებრივ სტატუსს.[1]

ბერი პაისი აღნიშნავდა: „ვინც უფლის სიყვარულით საზრდოობს, ის ხშირად გულგრილია მატერიალური სიამეებისადმი, საზრდოსადმიც. იგი ღრმად შეიგრძნობს ღმერთს და იკვებება მისი სიყვარულის ტკბილი კურთხევით. უფლის სიყვარულით

[1] **Румянцева М.А..,** „Православие и социальная ответственность предпринимательства“. журн. „Проблемы современной экономики, №3, 2008.

ანთებული გული თავად იქცევა ცეცხლის ალად, მას შეუძლია დაწვას ამაოება, რომელიც მას ეხება და მოიპოვოს შინაგანი სიმშვიდე“.[1]

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლმადიდებლური რწმენა სიღარიბისაკენ და ერთგვარ სამეურნეო აპათიისაკენ მოგვიწოდებს. ის ასტიმულირებს, იწონებს შრომით საქმიანობას, სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც მოგება მოაქვს.

კლიმენტი ალექსანდრიელი მოგვიწოდებს, არ გავფანტოთ სიმდიდრე, რამეთუ იგი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ახლობელთათვის. კეთილი მოპყრობა სიმდიდრისა მოითხოვს მესაკუთრისაგან გულისხმიერებასა და ქველმოქმედებას, რაც უპირველეს ყოვლისა მწყურვალის დარწყულებით, „მშიერთათვის ლუკმაპურის მიწოდებითა და უცხოს მიღებით“ გამოიხატება.

საზოგადოებრივი თვალთახედვით, სიმდიდრისა და საკუთრების ,,გამართლებული მოხმარება“ ამავდროულად სამუშაო ადგილების შექმნას და შენარჩუნებასაც გულისხმობს. ამით მათ გარანტირებული აქვთ სამართლიანი შრომის ანაზღაურება და ოჯახების გამოკვება. ამდენად მართლმადიდებლობა არ განიკითხავს სიმდიდრეს, როგორც კატეგორიას. აქ მთავარი საკითხია სიმდიდრის (ქონების) სწორი განაწილება, ზნეობრივი ორიენტირების დაცვა მისი მოპოვებისა და გადანაწილებისას.[2]

მიგვაჩნია, რომ საქართველოში აუცილებელია ბიზნესსა და საზოგადოებას შორის, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ნდობის აღდგენა და სოციალურად პასუხისმგებელი მეწარმეობის ტრადიციების აღორძინება. გავიხსენოთ თუნდაც 2006-2008 წლებში საკუთრების უხეში ხელყოფის ფაქტები საქართველოში, უხეში ჩარევა სამეწარმეო საქმიანობაში, თვითნებური აკორდული გადასახადების დაწესება (ე.წ. ,,მოჭრით“ გადახდა), წინასწარ გადასახადის გადახდის პრცედენტები და სხვა, რაც ბუნებრივია დასახელებული პროცესის დროში წანაცვლებას ემსახურება.

რა სარგებელი შეიძლება მიიღონ მეწარმეებმა სოციალურ ურთიერთობებში დაბანდებებისაგან? შეიძლება დავასახელოთ ორი მიმართულება:

---

[1] ჟურნ. „კარიბჭე“, №14, 2010. გვ. 16.

[2] ამ დამოკიდებულებებს თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ,,სოციალურ კაპიტალს“ უწოდებენ. იგი გულისხმობს ისეთ კავშირებს ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელიც ნდობას ემყარება და არა წმინდა ვოლუნტარისტულ მისწრაფებებს ან ეგოიზმს.

1. იქმნება უაღრესად პოზიტიური რეპუტაცია და საზოგადოებრივი აზრი, რაც ხელს უწყობს ინვესტორებისა და აქციონერების დაინტერესებას;

2. ბიზნესის სოციალური ინვესტიციები ხელს უწყობენ ურთიერთობების ოპტიმიზაციას სახელისუფლებო რგოლებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და ბუნებრივია, საზოგადოებასთანაც.

თანამედროვე პირობებში საქველმოქმედო საქმიანობის რეგულირება, მეწარმეთა სტიმულირების კუთხით, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით, საერო ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს. მართლმადიდებლობისათვის ცალსახად მიუღებელია მეწარმეთა ერთი ნაწილის ,,საქველმოქმედო განწყობა“: „დამიწესე საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები და უფრო კარგი ქველმოქმედი გავხდები“ (იგულისხმება დასაბეგრი მოგების შემცირების შესაძლებლობა და სხვა). ეს დასაწყისშივე წამგებიანი პოზიციაა ასეთი „ქველმოქმედი მეწარმისათვის“, რამდენადაც შეღავათების დაწესებით ფაქტობრივად „მორჩენილი“ თანხის ხარჯზე გაიწევა ქველმოქმედება და არა იმ „თამაშის წესების“ ფარგლებში, რომელიც არსებობს, რაოდენ კაბალურიც უნდა იყვნენ ისინი.

სწორედ საკუთარი მოგების ხარჯზე გასაწევი მოგება და არა შეღავათებით გაზრდილი მოგების გაცემა! (მავანი შემოგვედავება და გაამართლებს ამ გზით მოგების გაზრდას, რამდენადაც მოგების დიდ ნაწილს მეწარმეები საწარმოში „აბრუნებენ“ ინვესტიციების სახით, რაც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, წარმოებული საქონლის და მომსახურების მოცულობის გაზრდას და ა.შ. ეს კი სოციალური ურთიერთობების და კაპიტალის ფორმირების საფუძველია).

მეორე მხრივ, საერო ხელისუფლებამ, რომელიც იზიარებს და ეყრდნობა მართლმადიდებლურ პრინციპებს, შესაბამისი ნორმატიული ბაზით უნდა უზრუნველყოს ქველმოქმედების სტიმულირება. შესაძლებელლად მიგვაჩნია ასეთი ვარიანტების განხილვა: ა) დასაბეგრი მოგების შემცირება საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯებით (მთლიანად ან ნაწილობრივ); ბ) გარკვეული თანხის ქველმოქმედების გაწევისას, საწარმოს სიდიდის მიხედვით (მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები) შემცირებული საგადასახადო განაკვეთებით სარგებლობა (ზოგიერთ გადასახადზე); გ),,უპოვართა სახლებისათვის“ გარკვეული საბიუჯეტო ხარჯვითი

ნორმატივის შემოღება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის, რომელიც შეიძლება დიფერენცირებულიც იყოს წლიური ბიუჯეტების მოცულობის მიხედვით და ა.შ.[1]

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება დახმარების გაწევა იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დახმარება ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის ინვალიდებისათვის, მოხუცებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულთათვის, ასევე დახმარება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის. გამოდის, რომ მხოლოდ ეს დახმარებები მიიჩნევა საქველმოქმედო საქმიანობად, რომლებზეც არსებითი ხასიათის შეღავათები არ ვრცელდება. ასევე გაურკვეველია, საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის ვინ უნდა იქნეს მიჩნეული „ხელმოკლე ფიზიკურ პირებად“.

ნახ. 1.1.3.



[1] საქართველოში მსხვილს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1500 ათას ლარს. ,,საშუალო წარმოებისათვის“ იგი 100 დასაქმებულითა და 1500 ათას ლარანი ბრუნვით შემოიფარგლება, ხოლო ,,მცირე საწარმოს“ სტატუსი ენიჭება საწარმოს, სადაც 20 კაცამდეა დასაქმებული და წლიური ბრუნვა 500 ათას ლარს არ აჭარბებს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში საბაზრო პრინციპების დამკვიდრების ფონზე სულ იზრდება საბაზრო მეურნეობისა და სულიერი ტრადიციების შერწყმის საჭიროება. ჩვენი ერის სისხლით მორწყულ ისტორიაში გამოიკვეთა ტრადიციული ქართული მეწარმეობის განსაკუთრებულობანი და სპეციფიურობანი, რომლის ფესვები მართლმადიდებლური ეთიკის შეურყვნელი პრინციპებია. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ: ქველმოქმედება, როგორც გარდაუვალი პირობა სულის გადასარჩენად, შრომითა და ოფლით მოპოვებული სიმდიდრის აღიარება, მეწარმეთა მაღალი თვითშეგნება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეთა საკეთებლად, სინდისისა და პატიოსნების აუცილებელი დაცვა სამეწარმეო საქმიანობისას და ა.შ.

ერთ-ერთ მტკივნეულ და პრობლემატურ საკითხად რჩება შემოსავლების არათანაბარზომიერი გადანაწილება.[1] იგი ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისთვისაა დამახასიათებელი და სერიოზულ პრობლემად იქცევა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ქვეყნები, სადაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილი ცხოვრობს. განსაკუთრებით მრავლადაა ასეთი ქვეყნები აფრიკაში, სადაც ამ კატეგორიის მოსახლეობა 70-85%-ს შეადგენს (იხ. ცხრ. 1.1.1.). მაღალია ეს მაჩვენებელი აზიის ზოგიერთ ქვეყანაშიც (მაგ., ავღანეთში 53%, ტაჯიკეთში 60%).

ცხრილი 1.1.1.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა
მსოფლიოს 20 ქვეყანაში[2]

№	ქვეყანა	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვ. წილი %
1	ზამბია	86,0
2	ჰაიტი	80,0
3	ლიბერია	80,0
4	ჩადი	80,0
5	სიერა-ლიონე	70,2
6	მოზამბიკი	70,0
7	ნიგერია	70,0

1 UNICEF-ის მონაცემებით, ყოველდღიურად 26.5-30 ათასი ბავშვი იღუპება სიღარიბის გამო.
[2] **Олейник А.** Страны мира в цифрах/2010. Электронное издание. ст. 58.

8	სურინამი	70,0
9	სვაზილენდი	69,0
10	ბურუნდი	68,0
11	ზიმბაბვე	68,0
12	ნიგერია	63,0
13	ბოლივია	60,0
14	კომორები	60,0
15	რუანდა	60,0
16	ტაჯიკეთი	60,0
17	გვატემალა	56,2
18	სან-ტომე	54,0
19	სენეგალი	54,0
20	ავღანეთი	53,0

მნიშვნელოვნად გამწვავდა სიღატაკისა და ჩამორჩენის პრობლემა, რომელიც ამჟამად მკაფიოდ გამოხატული გლობალური ნიშნებით ხასიათდება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ე.ი. დღეში 2 დოლარზე ნაკლებად) 2 მლრდ. კაცი ცხოვრობს. პლანეტის უმდიდრესთა 20%-ისა და უღარიბეს 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა თუ 1960 წელს იყო 30:1, 1991 წელს - 61:1, 1994 წელს - 78:1, 2004 წელს შეადგენდა 150:1. როგორც ჩანს, ყოველმხრივ გამართლდა ცნობილი სენტენციის -"მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები ღარიბდებიან" რეალობა. უთანასწორობის ზრდა გამოკვეთილი ტენდენციაა. გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით (2008 წლის ივლისი) მსოფლიოში ყველაზე მდიდარ 400 ოჯახზე მოდის უფრო მეტი რესურსი, ვიდრე მილიარდ ღატაკზე.[1]

ამდენად, საოჯახო მეურნეობების შდარებით მცირე ნაწილის ხელში ხვდება შემოსავლების დიდი ნაწილი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება ლორენცის მრუდის მოტანა, რომელიც შემოსავლების დიფერენციაციას გვიჩვენებს. აბსცისათა ღერძზე აღებულია ოჯახების ხვედრითი წილი (%), ხოლო ორდინატთა ღერძზე ამ ოჯახების შემოსავლების ხვედრითი წილი (%). თუკი შემოსავლებისა და რაოდენობის მიხედვით გადანაწილება იქნებოდა თანაბარზომიერი და ჰარმონიული, მაშინ განაწილებას გამოხატავდა ბისექტრისა, (OE). მრუდის ჩაზნექილობა გვიჩვენებს

[1] დაწვრ. იხ. **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, №8, თბ. „სიახლე", 2010. გვ. 90.

შემოსავლების არათანაბარ განაწილებას სხვადასხვა საოჯახო მეურნეობებზე - რაც მეტია დაშორება მრუდსა და ბისექტრისას შორის, (ე.წ. ,,მუცელი"), მით მეტია უთანაბრობის ხარისხი. უთანაბრობის შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ ჯინის ინდექსი. იგი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას თანაბარი განაწილების ხაზიდან (იხ. ნახ. 1.1.3.). თანაბარი განაწილების ჯინის ინდექსი 0-ის ტოლია (ბისექტრისი ნახაზზე). მაგალითისათვის მოპვიყვანოთ ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობების საქართველოში 2004-2007 წლებში, რომელიც აშკარად მიუთითებს შემოსავლების არათანაბარ განაწილებას (იხ. ცხრილი 1.1.2).

ცხრილი 1.1.2.

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 2004- 2008 წლებში
(საშუალო მაჩვენებლები)

მაჩვენებელი	2004	2005	2006	2007	2008
ფულადი შემოსავლების მიხედვით	0.53	0.53	0.53	0.53	0.52
მთლიანი შემოსავლების მიხედვით	0.44	0.44	0.47	0.47	0.48
ფულადი ხარჯების მიხედვით	0.46	0.45	0.45	0.47	0.47
მთლიანი ხარჯების მიხედვით	0.41	0.41	0.41	0.42	0.43

წყარო: www.geostat.ge

შესაფასებლად საინტერესოა ასევე დეცილური კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის მაღალშემოსავლიან 10%-სა და ნაკლებადუზრუნველყოფილ 10%-ს შორის შემოსავლების დამოკიდებულებას.[1]

სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ამ მაჩვენებელთა განხილვა ადასტურებს პრობლემის სიმწვავეს და არაქრისტიანულ დამოკიდებულებას მოყვასისადმი (იხ. ცხრ. 1.1.3.).

ამდენად, ამ ნაწილში მოკრძალებულად შევეცადეთ გაგვევლო ზოგიერთი პარალელი ღვთიურ სიბრძნეს, უზენაესის ფასეულობებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის. აუცილებელია აღიარება იმისა, რომ სამეწარმეო

[1] ჟურნალ Forbes -ის მონაცემებით, 2007 წელს 497 მილიარდერის (მსოფლიოს მოსახლეობის 0,000008%) ქონებამ 3.5 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ანუ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%(!)

საქმიანობა, ბიზნესის უზენაესი გაგება ღმერთს უკავშირდება, რამდენადაც ღმერთი საწყისია, მისი კურთხევის გარეშე არც ერთი საქმე არ აღესრულება.

ცხრილი 1.1.3.

დეცილური კოეფიციენტები ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით

№	ქვეყანა	კოეფიციენტი
1	ბრაზილია	45.8
2	კოლუმბია	46.9
3	ნეპალი	40.6
4	სამხრეთ აფრიკა	44.7
5	რუსეთი	30.6
6	აშშ	29.9
7	იტალია	26.8
8	ესპანეთი	26.6
9	ყაზახეთი	25.9
10	ყირგიზეთი	24.3
11	შვეცია	22.2
12	გერმანია	22.1
13	ესტონეთი	22.6

წყარო: World Development Report 2008. The World Bank, Washington D.C., 2007.

ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ წარმოების, გაცვლის და რესურსების ეფექტიანად განაწილების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებთან, არამედ მისი განხილვა უწინარესად საჭიროა, როგორც ადამიანისა ღმერთთან და მის კანონებთან. ამ სახით წარმართული ეკონომიკური საქმიანობა საწინდარია ბიზნესის რეალიზებისა, როგორც სულის გადარჩენისა, ამ საქმიანობაში მიღწევების ან წარუმატებლობის მიუხედავად. მავანთა აზრით, შეუძლებელია აქტიურად ჩაება ეკონომიკურ ურთიერთობებში (ბიზნესში) და დაიცვა ბიბლიური მცნებები და ძირითადი მართლმადიდებლური ფასულობები, რაც ეშმაკეული შეგონებაა. ცალსახად აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია, თუმცა ეს იქნება დიდი ძალისხმევის, სულიერი ზრდის, მოთმინებისა და ღვთივსიყვარულის შედეგი და თუკი ეკონომიკური ურთიერთობები კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა, ყოველი გამოგონება შესაძლოა ღვთის სამსახურში ჩააყენო და ადამიანის სასიკეთოდ მიმართო.

ეკონომიკაში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ურთიერთობების ასახვის მიზნით მიღებულია შემოსავლების, პროდუქტებისა და რესურსების წრებრუნვის განხილვა, სადაც სულ 4 ძირითადი ბლოკი მოიაზრება: პროდუქტების ბაზარი, რესურსების ბაზარი, საწარმოები და საოჯახო მეურნეობები (კლასიკური ფორმით ის წარმოადგენს ნახაზის (იხ. ნახ. 1.1.4) ჰორიზონტალურ სივრცეს). ამ ურთიერთობებში ჩართულია მთავრობაც, როგორც მწარმოებელი და მარეგულირებელი, „ცენტრალური“ რგოლი. იგი აწარმოებს შესყიდვებს პროდუქტებისა და რესურსების ბაზრებზე. რესურსების ბაზარზე მთავრობა შეისყიდის იმ კომპონენტებს, რომლითაც ანაზღაურებს პარლამენტის, ჯარის, წესრიგის დამცველი ორგანოების და ა.შ. შენახვას. ამავე დროს, მთავრობა საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების დაბეგვრის შედეგად იღებს შემოსავლებს გადასახადების სახით.

ნახ. 1.1.4.

რესურსების, პროდუქტებისა და შემოსავლების წრებრუნვის სივრცულ-სინერგიული მოდელი



საწარმოები წარმოქმნიან მოთხოვნას რესურსებზე, რითაც იწარმოება საქონელი და მომსახურება. გადასახდელები, რომლებსაც იხდიან რესურსების ყიდვის დროს საწარმოები, ამავე დროს წარმოადგენენ ამ საწარმოთა ხარჯებს. თავის მხრივ, ეს წარმოქმნის ფულად ნაკადს ხელფასის, რენტის, სარგებლისა და მოგების სახით. ამდენად, თითოეულ ბლოკს აქვს ურთიერთობა დანარჩენ ორთან, ხოლო მთავრობას -

ყველა ბლოკთან. ამ მოდელში ყველა ბლოკისათვის (სამთავრობოს გარდა) მთავარი მამოძრავებელი მოტივია მოგების მიღება, არცთუ იშვიათად „აკრძალული მეთოდებითაც“.

მიგვაჩნია, რომ უფალთან ურთიერთობაში, ღვთივსათნო საქმეების ასახვის მიზნით უპრიანი იქნება ავაგოთ სივრცული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვა ბლოკებთან და სექტორებთან ურთიერთობას ყველა ძალისხმევით მოგების მისაღებად, არამედ, პირველ რიგში უფალთან ურთიერთობას და ისეთი საქმიანობის გაწევას, რომელიც უზენაესისაგან იქნება ხელდასხმული (ნახ.ნახ. 1.1.4). პირდაპირი გაგებით ამ ბლოკების მიერ მიღებული სარგებელი იქნება უფლის წყალობა და მადლი, ამ საქმიანობის „უფლისმიერი აღიარება“, რაც მთლიანობაში უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე მარტოოდენ „პირადი ინტერესი“ (ადამ სმიტი). ამდენად, ამ მოდელში უმთავრესი „მარეგულირებელი რგოლი“ უნდა გახდეს უფალი და არა მთავრობა, რაც სინერგიული ეფექტის მომტანი იქნება.

1.2. „დიდაქეს” ეკონომიკური სწავლება

ბოლო პერიოდში საქართველოში სულიერი ცხოვრების აღორძინება, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების “მართლმადიდებლურ პრიზმაში” გატარება, სულ უფრო განამტკიცებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სულიერი აღმასვლის გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სოციალური პრობლემების დაძლევა, ანუ როგორც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს “იბერიის გაბრწყინება”.[1] საქართველოში სულ უფრო მეტად ესმით, რომ “არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი” (მათ. 4:4). ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი მდგენელების შესწავლა, არამედ იმ ადრექრისტიანული ყოფისა და განვითარების ფაქტორების განზოგადებაც, რითაც უკეთ შევიცნობთ რეალურ ყოფას და წარმოდგენას შევიქმნით მომავალზე.

პირველქრისტიანთა ყოფის შესწავლა მრავალმხრივ საინტერესოა. ამჯერად ჩვენი ყურადღების და კვლევის ვექტორს ეკონომიკური ურთიერთობებისაკენ მივმართავთ, თუმცა ღრმად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთა მიერ სრულად დატევა, შემეცნება და აღქმა იმისა, რაც ნათქვამია ფასდაუდებელ მართლმადიდებლურ საუნჯეებში, ფაქტობრივად შეუძლებელია („კიდევ ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ” (იოან. 16:12) – ბრძანებს უფალი).

“დიდაქე” („მოძღვრება თორმეტი მოციქულისა”, ბერძ. „Διδαχὴ Κυρίου διὰ τῶν δώδεκα ἀποστόλων“) ადრექრისტიანული ძეგლია, რომელიც უფლის მოწაფეთა ავტორობით პატივდებულ შრომას წარმოადგენს. ამ ეპოქის სხვა ძეგლებში, რომელთა განხლივას ჩვენ აქ არ შევუდგებით, “დიდაქე” მოხსენიებულია, როგორც “წერილი”. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ადრექრისტიანულ ეპოქაში ახალმოქცეულთათვის იგი ქრისტიანული მოძღვრების მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. ოდნავ

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით დამაფიქრებელ განმარტებას გვაძლევს დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი: „ივერიის გაბრწყინება სახარების ნათლით მის გაცისკრობნებას ნიშნავს. ეს გულისხმობს ერის სულიერ აღორძინებას, ჩვენს ცხოვრებაში ეკლესიის ადგილისა და მნიშვნელობის ამაღლებას, როდესაც დღევანდელისაგან განსხვავებით, ჩვენი ერის შვილები იფიქრებენ არა იმაზე თუ რამდენი შეჭამეს, არამედ თუ რამდენი ილოცეს თავიანთი შემოქმედი ღმერთის მიმართ“ („საპარტიარქოს უწყებანი“, 2008 წლის სვეტიცხოვლობა).

მოგვიანებით, IV საუკუნეში, ათანასე დიდი და ევგენი კესარიელი დასახელებულ ძეგლს მოიხსენიებენ, როგორც "მოციქულთა სწავლებას".[1]

"დიდაქე" დაწერილია არა უშუალოდ მოციქულთა, არამედ წმინდა მამათა ხელით, მაგრამ მას მოციქულთა მოძღვრება ეწოდება, რადგან ყოველივე, რაც ამ ძეგლშია თქმული, მოციქულთა სხვადასხვა შეგონებებისა და სწავლებების კრებულს წარმოადგენს.[2] მამებმა მოციქულთა მოძღვრებებიდან და სწავლებებიდან უცვლელად გამოკრიბეს და ახალმოქცეულთათვის ერთ კრებულად შეადგინეს, პირველდაწყებით სახელმძღვანელოდ, კატეხიზმოდ ჩამოაყალიბეს, რაც ახალმოქცეულს ესაჭიროებოდა: "დაწერილიდანვე მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რპომელნი აწღა მოუხდებოდიან და ენების დამოწაფებაჲ კეთილად მსახურებისა სიტყვისაჲ" (წმ. ათანასე).[3]

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადრექრისტიანული კრებულის (თემის) საერთო მენეჯმენტის საკითხი, მით უმეტეს, როცა "იზრდებოდა ღვთის სიტყვა და ძალიან მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში" (საქ. 7:7). პავლე მოციქულის ეპისტოლეებში აღწერილი კრებულის სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდებოდა იერუსალიმის მოდელისაგან. "მოციქულთა საქმეების" მიხედვით, კრებულს ხელმძღვანელობდა თორმეტი მოციქული, უფლის მოწაფენი, რომელთა რიგები ივსებოდა კოოპტაციის გზით, წილისყრით ორი კანდიდატიდან ერთის არჩევით (მაგალითად, ასე მოხდა, როცა იუდა ისკარიოტელის ნაცვლად იოსებსა (ბარსაბასა) და მატათიას შორის ეს უკანასკნელი აირჩიეს (საქ. 1:15-26). კრებულს საერთო ქონება გააჩნდა: "არც ერთი თავის ქონებას არ უწოდებდა თავისას, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ" (საქ. 4:32). მოციქულთათვის უმთავრესი იყო "ლოცვისა და სიტყვის მსახურება" (საქ. 6:4), თუმცა საერთო ტრაპეზისათვის ამოირჩიეს "შვიდი სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით სავსე კაცი – სტეფანე, პროხორე, ფილიპე, ნიკონორი, ტიმონი, პარმენასი და ნიკოლოზი.

პირველქრისტიანთა მოღვაწეობის ურთულეს ეპოქაში უმთავრესი ამოცანა იყო შეუვალი რწმენის მქონე მღვდელმთავრებისა და დიაკვნების მართებულად შერჩევა და

---

[1] **Кодисовский З.** Сказания Евангелистов. М., 1985.

[2] "დიდაქე ტონ აპოსტოლონ" (ბერძნ.) - "დიდაქე მოციქულთა".

[3] **ჭელიძე ე.** ეკლესია – სძალი უფლისა. თხ., თბ. 1990 (ელვერსია საიტზე www.orthodoxy.ge. გადამოწმებულია 27.07.2010 წ.)

განაწილება, რომლებიც მისაბაძი იქნებოდნენ სხვებისათვის: “დაადგინეთ თქვენთვის ეპისკოპოსები და დიაკვნები, ღირსნი უფლისა, კაცნი მშივდნი და უვერცხლონი, ჭეშმარიტნი და გამოცდილნი, რომ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა ლიტურგია ამსახურონ მათაც თქვენს შორის” (დიდ. XV, 1).[1]

ადრექრისტიანული კრებულის სტრუქტურაში არ ვხვდებით მკვეთრად გამოხატულ იერარქიას, თუმცა ამის გარკვეული მცდელობები ფიქსირდება. პავლე მოციქული მის მოწაფეს ტიტეს ავალებს “დააყენოს ყველა ქალაქში ხუცესები” (ტიტ. 1:5). ხუცესნი (ეპისკოპოსნი) სამეურნეო ფუნქციების შემსრულებელი არიან და ისინი “ორმაგი პატივის ღირსნი უნდა იყვნენ” (I ტიმ. 5:17). ამასთან, ეპისკოპოსს (პრესვიტერს, დიაკონს) ირჩევს კრებული და მათი ხელდასხმა ხდება მოციქულის ან მისი მოწაფეების მიერ. სხვადასხვა, ძირითადად სამეურნეო ფუნქციების შესრულება შეეძლოთ სამოც წელზე მეტი ასაკის ქვრივებს, რომლებიც კრებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. დროთა განმავლობაში მართვაში შეიმჩნევა ცენტრალიზაცია, რამდენადაც ეპისკოპოსს ემორჩილება პრესვიტერები და დიაკვნები. საეპისკოპოსოს შიგნით მსახურება ცენტრალიზებულ ხასიათს იძენს შეუძლებელი ხდება შემთხვევითი პიროვნებების მოხვედრა, თუმცა საეპისკოპოსოთაშორისი იერარქია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

ადრექრისტიანული ეპოქის კრებულის საერთო მენეჯმენტისათვის მიუღებელია ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა, რაც ერთგვარ დაბრკოლებად შეიძლებოდა ქცეულიყო ჩანასახში მყოფი რწმენისათვის: “მონას თუ მხევალს, რომლებიც იმავ ღმერთს სასოობენ, გამკაცრებით ნუ უმბრძანებლებ, რომ არ დაკარგონ ღვთის შიში” (დიდ. IV, 10).

“დიდაქეს” მიხედვით შრომის უნარი ერთ-ერთი უმთავრესი ნიჭია, ღვთისაგან ბოძებული, რომელიც ამავე დროს, საზოგადოების ყოფიერებისა და მოყვასის თანადგომის ერთ-ერთი უცილობელი პირობაცაა. ამის შესახებ დასაწყისშივეა ნათქვამი: “ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ და ლიტონი, არამედ საქმით აღსავსე” (დიდ. II, 5). “დიდაქეში” შრომა შეიძლება რამდენიმე კუთხით განვიხილოთ: ღვთივსათნო შრომა, როგორც ქრისტიანის ყოფის აუცილებელი პირობა, შრომა განშორებული სიცრუისაგან, შრომის ნაყოფის მსხვერპლად გაღება უფლისა და მოყვასის მიმართ, ანუ მოწყალების

[1] სიტყვა დიაკონოს (ბერძნ.) ნიშნავს “მსახურს”. ზემოხსენებულ კრებულთან მიმართებაში მას ჰქონდა “სუფრის მსახურის” დატვირთვა. მოგვიანებით მოციქულები ახდენდნენ მათ ხელდასხმას (საქ. 6:6).

გაცემა. უფალს არ უყვარს სხვის კმაყოფაზე მცხოვრები, უქნარა და ზარმაცი ადამიანი, თვით მოციქულთა ჩათვლით.

ყველა ვალდებულია შეიწყნაროს მოციქული, როგორც უფალი, მიიღოს და უმასპინძლოს მას მხოლოდ ორი დღით, ხოლო "როცა დაგტოვებთ მოციქული, არაფერი წაიღოს საგზლად, გარდა პურისა; თუ ვერცხლს მოითხოვს, ცრუ წინასწარმეტყველი ყოფილა იგი" (დიდ. XI, 6). თუმცა, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი "ღირსია თავისი საზრდელისა. ასევე ჭეშმარიტი მოძღვარი, როგორც მუშა-კი, ღირსია თავისი საზრდელისა" (დიდ. XIII, 2-3). ამდენად, მოძღვარი, რომელიც უფლის მოწაფეთა ხელდასხმულია და როგორც "მკურნალი" ზრუნავს ადამიანთა სულების გადასარჩენად, სულიერი ღვაწლის, მოსაგრეობის სანაცვლოდ იღებს პატივისცემას, სითბოს და ხორციელ საზრდოსაც ადამიანთაგან და ეს არ არის საძრახისი, ისე როგორც შრომის საზღაურის მიღება არ არის საძრახი საქციელი, თუკი ეს შრომა კეთილსინდისიერი და ღვთივსათნოა (შეად. "ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა" (I ტიმ. 5:18).

ვფიქრობთ, "მუშაკისათვის საზრდელის მიღება" ნიშნავს, რომ ერთის მხრივ, დასაქმებული შრომის ანაზღაურების გარკვეული ფორმით მიღების სანაცვლოდ აწვდის სამუშაო ძალას შრომის ბაზარს, ხოლო მეორე მხრივ, იღებს რეალურ შემოსავალს, რომლითაც გარკვეული საქონლისა და მომსახურების ნაკრების შეძენა შეეძლება.

სიცრუე, როგორც უმთავრესი სენი, "დიდაქეს" მიხედვით არის გზა ქურდობისაკენ, რაც თავის მხრივ, მექრთამეობის წინაპირობაა: "შვილო ჩემო, ნუ იცრუებ, რადგანაც სიცრუე ქურდობისაკენ მიგიძღვება; ნუ იქნები ვერცხლისმოყვარე, ნურც ცრუმედიდი, რადგანაც მათგან ქურდობა ჩნდება" (დიდ., III, 5). სასტიკ მსჯავრ ახსენებს "დიდაქე" მას, "ვინც თვით მიიღებს", ე.ი. არ ეკუთვნის და დაუმსახურებლად, უსამართლოდ მიიღებს. "თუ მოვალეა, რომ მიიღოს, არ განისჯება; თუკი არ არის მოვალე, განისჯება იმის გამო, რატომ მიიღო და რა მიზნით" (დიდ., I, 5).

შრომა, გარჯა, ღვთივსათნო საქმიანობა და ასეთი სახით მატერიალური დოვლათის შექმნა, რომელიც გარშემომყოფთათვის და საზოგადოებისთვისაც სასარგებლო იქნება, უმთავრესია ღვთისაკენ მიქცეული ადამიანისათვის.

ბუნებრივია, "დიდაქე" შემწყნარებლობას, მოყვასის პატივისცემას ქადაგებს, თუმცა გარკვეული მორალური ქცევის წესებსაც აყალიბებს. უფლის სახელით მოსული

ადამიანი შემწყნარებლობის ღირსია, თუმცა თუკი ასეთი სტუმარი ორ-სამ დღეზე მეტხანს მოინდომებს დაახანოს ან საერთოდ დარჩეს, მან აუცილებლად თავისი შრომით, ოფლისღვრით, გარჯით უნდა გამოიმუშაოს საზრდო და არა ისე, რომ მასპინძელს ტვირთად დააწვეს: "თუკი ისურვებს თქვენთან ყოფნას და თუ ხელობაც ეხერხება, იშრომოს და ისე ჭამოს. თუკი არა აქვს რამ ხელობა, გონივრულად განჭვრიტეთ მისთვის" (დიდ. XII, 3-4). მეტად ბრძნული შეგონებაა "გონივრულად განჭვრიტეთ მისთვის", რაც ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს შრომისუნარიანი ადამიანისათვის სათანადო სამსახურის შერჩევას (შეად. კადრების მომზადების და გადამზადების სისტემა). "ხელობა" შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ კვალიფიციურ შრომად, რომელიც შესაძლოა, რაიმე ფორმით მეტად ანაზღაურდეს. თუკი პიროვნებას, შესაბამის ეტაპზე არ შეეძლება მსგავსი კვალიფიციური სამუშაოს შესრულება, სხვა გარკვეული საქმიანობა, თუნდაც მარტივი, აუცილებლად უნდა შეასრულოს: "არავინ იყოს თქვენს შორის უქმად" (დიდ., XII, 4). შრომის კოდექსის ამ ნაწილის დარღვევას "დიდაქე" საკმაოდ მკაცრად აფასებს: "თუ არ ისურვებს ამგვარად ყოფას, ქრისტეს მოვაჭრე ყოფილა იგი. ეკრძალეთ მას" (დიდ., XII, 5).[1]

შრომისადმი ამგვარი დამოკიდებულების მორალური მხარის ქვაკუთხედია არა ლტოლვა მატერიალური სიმდიდრის დასაგროვებლად, არამედ სულიერების განსამტკიცებლად, ცათა სასუფევლის მოსაპოვებლად, რაც შეუძლებელია სულის წვრთნის, უფლის დიდების და ღვთივსათნო ცხოვრების გარეშე. "დიდაქე" დასაწყისშივე მიგვითითებს: "განეშორე ხორციელ და სხეულებრივ სურვილებს" (დიდ., I,4). ამდენად, მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ახალქრისტიანმა უარი არ უნდა განაცხადოს, მაგრამ პრიორიტეტულად მაინც სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა აქციოს.

პირველქრისტიანთა ყოფის საფუძველი მოწყალების გაცემაა. მოყვასის თანადგომის, მხარდაჭერის, შეწევნის მორალური პრინციპების ფონზე "დიდაქე" აყალიბებს სოციალური პოლიტიკის ძირითად პოსტულატს: "ყველას, ვინც კი გთხოვს, მიუბოძე და აღარ მოითხოვო... ნეტარია ის, ვინც გასცემს თანახმად მცნებისა, რადგანაც არ განისჯება იგი" (დიდ., I, 5). ფაქტობრივად იგივე აზრია გატარებული მცნებაში

[1] წმინდა პავლე მოციქული თესალონიკელთა მეორე წერილში შეუვალობას გამოხატავს უქნარობისა და სიზარმაცის მიმართ: "ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს" (2 თეს. 3:10)

“თუკი ვინმე შენგან რამეს წაიღებს, აღარ მოთხოვო, რადგან ვერ ძალგიძს” (დიდ., I, 4). ყველა დაემორჩილოს ღვთის ნებას, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის მიუღებელია ძალადობა, შანტაჟი და ამგვარი ქმედება კუთვნილის დაბრუნების მიზნით – “ნუ იეჭვებ, ასე იქნება თუ არა” (დიდ., IV, 4).

სოციალური პოლიტიკის არსი მნიშვნელოვნად იკვეთება მცნებაში: “გაიოფლოს მოწყალება შენი შენსავე ხელებში, ვიდრე შეიცნობ, ვისთვის გასცემ” (დიდ., I, 6), რაც სულაც არ არის სიძუნწის სტიმულირება. მართალია მოწყალება ყველამ უნდა მიიღოს (“ნუ გააბრუნებ გაჭირვებულს. შენსავე მოძმეს უწილადე ყოველივე” (დიდ., IV, 8), მაგრამ პირველ რიგში ამას იმსახურებს ყველაზე გაჭირვებული, უპოვარი, რომელსაც სარჩო-საბადებელი არ გააჩნია. ეს პრინციპი შემოსავლების სამართლიან განაწილებასაც უკავშირდება, რათა უფრო “ეფექტიანი” იყოს გაღებული მოწყალება.

ამდენად, “დიდაქეში” ვხვდებით სოციალური პოლიტიკის ჩანასახს, რომელიც ითვალისწინებდა ერთობის (კრებულის) ყველა ღონისძიებასა და ქმედებას, მიმართულს მოსახლეობის ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებისაკენ. ამ პოლიტიკით საზოგადოებაში უნდა შერბილებულიყო სოციალური წინააღმდეგობები. შეიძლება ითქვას, რომ “დიდაქეში” ვხვდებით სოციალური საბაზრო სისტემის ერთგვარ საფუძვლებს, რომელიც მორალური პრინციპების დაცვის ფონზე ცდილობს დააკორექტიროს სხვადასხვა ფენის შემოსავლები და შესაძლებლობები.

“დიდაქე” განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღმერთისათვის კუთვნილის მიგებას მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით. უპრიანია გავიხსენოთ მეათედი და მასთან დაკავშირებული ღვთის კუთვნილი ვალდებულებების აღსრულება.[1] “თუ პურს მოიწევ, გამოიღე პირველნაყოფი და მცნებისაებრ გაეცი იგი. როცა თავს ახდი ღვინის ჭურჭელს, ანდა ზეთისას, პირველთავი გამოიღე და უბოძე წინასწარმეტყველთ. ვერცხლის ფულის, სამოსელის, მთელი ქონების პირველთავი ისე აიღე, როგორც ისურვებ და გაეცი მცნების თანახმად” (დიდ., XIII, 3, 5-6). ნიშანდობლივია, რომ პირველნაყოფი მღვდელმთავრებსა და წინასწარმეტყველებს ეკუთვნით, ხოლო “თუკი არა გყავთ წინასწარმეტყველი, უბოძეთ გლახაკთ” (დიდ., XIII, 4). ამდენად,

[1] დაწვრ. იხ. **ჩიხლაძე ნ.** ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება. თბ., „ინოვაცია“, 2009. გვ. 37-39.

პირველნაყოფის მიმართულება მკაცრად არის განსაზღვრული. მოციქულთა პერიოდში ეკლესიისადმი შეწირვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და მიდგომა გაცილებით ლიბერალურია, ვიდრე ძველაღთქმისეულ ეპოქაში.

"დიდაქეში" აქტუალობას ინარჩუნებს შრომის რიტმის ღვთივსათნოდ განსაზრვრის პრინციპი – ექვსი დღე შრომა და ერთი დღის მიძღვნა უფლისადმი. ღმერთმა აკურთხა მეშვიდე დღე და წმინდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისაგან (ძველი აღთქმისეული ვარიანტით შაბათი, ახალი აღთქმით – კვირა). "უფლის კვირადღეს შეიკრიბეთ, განტეხეთ პური და აღავლინეთ სამადლობელი, აღიარეთ შეცოდებანი, რომ წმინდა იყოს მსხვერპლი თქვენი" (დიდ., XIV, 1). ახალმორწმუნეთათვის სწორედ უფლისთვის ერთი დღის მიძღვნა სულით, გულით, გონებით არის უმთავრესი "ხარკი", "სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული" არის უმთავრესი ზვარაკი და არა მატერიალური დოვლათის შეწირვა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ევროპული სოციუმი, რომლის ფარგლებში ფორმირდება უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანულ ტრადიციებს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კულტურა "ქრისტიანული არსით" არის გაჟღენთილი. ჩვენი ამჟამინდელი "ლტოლვა დასავლეთისაკენ", რაც ერთობ მოდურია პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში, მხოლოდ ბოლო პერიოდის მოვლენებიდან გამომდინარე არგუმენტებით კი არ უნდა საზრდოობდეს, არამედ მართლმადიდებლობის სულიერ ბაზას, მის მორალურ ნორმებსა და პრინციპებს უნდა დაეფუძნოს, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნება საზოგადოების პროგრესი.

1.3. რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლურ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით

რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკის ძირეული პრობლემაა, საიდანაც ფაქტობრივად, ყველა სხვა პრობლემა გამომდინარეობს. „იშვიათობის“ კონცეფცია რესურსების შეზღუდულობასაც ნიშნავს. ეკონომიკური რესურსები არის წარმოებისათვის აუცილებელი ელემენტები.

ეკონომიკსში რესურსის რამდენიმე სახეს გამოყოფენ:

- შრომა, ანუ ადამიანური რესურსი;
- კაპიტალი, ანუ შრომის საშუალებები;
- მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსები;
- სამეწარმეო საქმიანობა (უნარი).

ადამიანური რესურსების შესაფასებლად არ არის საკმარისი საწარმო პროცესებში ჩაბმული მუშაკების რაოდენობის დადგენა. აუცილებელია ვიცოდეთ რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ მათ საწარმო ამოცანების გადაწყვეტა. ამისათვის შესაფასებელია მათი ფიზიკური ძალა, განათლება და პროფესიული მომზადება.

სამეწარმეო საქმიანობა სპეციფიური უნარია, რომელიც აღნიშნავს მართვის, რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების, სისტემების დანერგვისა და რისკის გაწევის უნარს.

მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსებია ყოველივე, რასაც უფალი ჩუქნის ადამიანს, ხოლო ეს უკანასკნელი იყენებს მას წარმოებაში - მადნები, წიაღისეული, ნავთობი, ხე-ტყე, წყალი, ჰაერი, სახნავ-სათესი სავარგულები, ანუ რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა: „უფლისა არს ქუეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა, რამეთუ მან თავადმან ზღვათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განმჰზადა იგი“ (ფსალმ. 23).

ფიზიკური კაპიტალი არის წარმოების შედეგად შექმნილი დოვლათი, რომელიც ისევ წარმოებისათვის გამოიყენება. ფიზიკური კაპიტალი განსხვავდება ფინანსურისაგან, რამდენადაც ფინანსური კაპიტალის მფლობელი ცდილობს შემოსავალი მიიღოს ფულადი ბრუნვიდან.

დამაფიქრებელია ერთი გარემოება - ოთხი ძირითადი რესურსიდან (წარმოების ფაქტორიდან): შრომა, მიწა სამეწარმეო უნარი და კაპიტალი) სამი მათგანი სწორედ უფლის უშუალო ქმნილებაა: შრომისა და სამეწარმეო უნარის შემოქმედი - ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა მის სახედ და ხატად და „მიწა“, ანუ ბუნებრივი რესურსების მთელი გამა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში თეორიული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სახელმძღვანელოში, აკად. ვლადიმერ პაპავას მოსაზრებებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ წარმოების მეხუთე ფაქტორია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი.[1] ნათლად ჩანს, რომ ეს უნარიც მართვის ხელოვნებას და შესაბამისად ადამიანს უკავშირდება.[2]

რესურსების კატეგორიას ზოგჯერ ასევე მიაკუთვნებენ ინფორმაციას და ტექნოლოგიებს. თუმცა, იმისათვის, რომ ინფორმაცია იქცეს წარმოების ფაქტორად, საჭიროა მისი კაპიტალიზაცია, ანუ მისი მეშვეობით შესაძლებელია ფიზიკური კაპიტალის ელემენტების სრულყოფა. იგივე შეიძლება ითქვას ტექნოლოგიების შესახებაც. მისი დონე განსაზღვრავს წარმოების პროცესში შრომისა და კაპიტალის შერწყმის არჩევანსა და ეფექტიანობას.

იშვიათობის კონცეფციაში მოთხოვნილებების შეუზღუდაობის აქსიომა „განმტკიცებულია“ რესურსების შეზღუდულობის პრობლემით. საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველთვის ცდილობს მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილებას, თუმცა, მალევე წარმოიქმნება ახალი მოთხოვნილებები. არა მარტო ინდივიდი, არამედ სახელმწიფოც აწყდება რესურსების შეზღუდულობის პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ თვით ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გადაჭრას შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემა შეზღუდული რესურსების პირობებში.[3]

---

[1] **ხადური ნ.,** მაკროეკონომიკური პოლიტიკა. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (ელვერსია). გვ. 34-35.

[2] დამაფიქრებელია **დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის** შეგონება: „ყოველ ერს ხელისუფლებაც ისეთი ჰყავს, როგორსაც იმსახურებს და ის გაჭირვება-განსაცდელიც, რაც თავს დაატყდება, ყოველთვის არის სავსებით კანონზომიერი რამ - რამდენად ჩაფლულია ცოდვებში, სწორედ ამით იმსჯელებს ერი... ჩვენს ქვეყანაზე თავს დატეხილი უბედურებანი თავისდაუნებურად ერის გამოფხიზლებას ემსახურებიან და ამ ტკივილებში ერი თავის მამა-პაპათა ღმერთს მოიძიებს” („საპატრიარქოს უწყებანი“, 2000 წლის სვეტიცხოვლობა) .

[3] სადაც ეს პრობლემა არაარსებითი, ან ნაკლებად არის მიღებული მხედველობაში, ეკონომიკური მეცნიერება ნაკლებად ვითარდება. მაგ., ყოფილ სსრკ-ში რესურსების გეგმური განაწილების პირობებში

რაც მცირეა რესურსი, ანუ მეტია შეზღუდულობის ხარისხი, მით მეტია მისი ფასი. იგი, ძირითადად მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით ყალიბდება. შეზღუდულობის (დეფიციტის) ზრდას კი უცვლელი მიწოდების პირობებში ფასის ზრდა მოჰყვება (საქონლის დეფიციტი ზრდის ფასს, ფულის დეფიციტი საპროცენტო განაკვეთს, სამუშაო ძალის შეზღუდვა ხელფასს და ა.შ.). ამიტომაა, რომ ბაზრის მონოპოლიზაციის პირობებში მონოპოლისტების არაკეთილსინდისიერი ბრძოლის მძლავრი იარაღი მაღალი ფასისა და მოგების შენარჩუნების მიზნით, სწორედ მიწოდების შეზღუდვაა.

რესურსების იშვიათობის პრობლემა ორიგინალურად არის გადაწყვეტილი წმინდა წერილში:

1. უფალი რესურსებს ზღუდავს გარკვეულ გარემოებათა გამო. თავდაპირველად, რესურსების შეზღუდულობის პრობლემა უფლის მცნების დარღვევას უკავშირდება: ადამს და ევას არაფერი აკლდა, სანამ ღვთის მცნება არ დაარღვიეს, რის შედეგადაც როგორც თვითონ, ისე მათი შთამომავალნიც ხრწნილებასა და სიკვდილს დაექვემდებარნენ, რესურსები კი იქცა შეზღუდულად (იშვიათად). ოფლითა და შრომით სარჩო-საბადებლის მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე: „ოფლითა პირისა შენისაითა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისგან იქმენ“ (დაბ. 3:9). ამდენად, შრომის და სამეწარმეო საქმიანობის უფლება, აუცილებლობა და თუნდაც სტიმული, ფიზიკურად გადარჩენილიყო, დაფიქრებულიყო, დაცემული წამომდგარიყო, ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა. რესურსების შეზღუდულობა საფუძველია სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღდგომისა, რაც უფალმა შემდეგი სიტყვებით მოგვცა: „შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და მცირედნი ჰპოვებენ მას“ (მათ. 7:13-14). წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას

ბაზრებზე არ არსებობდა კონკურენტული ბრძოლა და შესაბამისად, არც კონკურენციის პირობებში გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი თეორიის საჭიროება არსებობდა. ამ პირობებში ზარალიან და არაეფექტიან წარმოებებსაც კი მაღალი ხელმისაწვდომობა ჰქონდათ რესურსებზე (ფონდებზე), რაც მათ არაეფექტიან გამოყენებას იწვევდა. მთავარი იყო იდეოლოგია და ულიანოვ-ლენინის ძირითადი ლოზუნგის „აღრიცხვა და კონტროლი“ შესრულება.

კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი. მნიშვნელოვანი იყო შედეგი ამ ქმედებისა: ქვეყანა განიწმინდა კაცობრიობის ცოდვებისაგან და მადლიერების ნიშნად ნოემ ღმერთს საკურთხეველი აუგო. წმინდა წერილში ასევე მრავალი მაგალითია იმისა, რომ უფალი მატერიალურს ართმევს ადამიანებს მათივე სასიკეთოდ, რათა გაეღვიძოთ, დაფიქრდნენ და სულიერი შეიძინონ (ფს. 37:1-2).

დამაფიქრებელია უახლესი ისტორიის ზოგიერთი მაგალითიც. კითხვაზე, თუ რატომ ინგრევა ეკლესიები, დედა მატრონამ უპასუხა: იმიტომ, რომ იქ შემსვლელი აღარავინ დარჩაო. მართლაც, ღირს ვიფიქროთ, რომ ავადსახსენებელ კომუნისტურ ეპოქაში ეკლესიების ნგრევა (სულიერი საზრდოს შეზღუდვა) უფლის მიერ იქნა დაშვებული, რათა ადამიანებს მეტად დაეფასებინათ ღმერთი.

2. უფლის დაშვებით, რესურსები არ იზღუდება მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში. გავიხსენოთ, რომ მაცხოვარმა ხუთი პურით და ორი თევზით, ქალებისა და ბავშვების გარდა ხუთიათასი კაცი დააპურა და ნარჩენებით 12 კალათა გაივსო (მათ. 14:16-21). იესო ნავეს ძემ შესთხოვა უფალს, რათა მზე არ ჩასულიყო, რომ მტერთან ბრძოლა ისრაელიანთა სასარგებლოდ დაემთავრებინა: „მზეო დადექ გაბაონის თავზე და, მთვარევ, აიალონის ველზე. დადგა მზე და არ დაძრულა, ვიდრე თავის მტერს არ გაუსწორდა ხალხი“ (იეს. 10:13-15). სინას მთიდან დაძრულმა და აღთქმული მიწისაკენ მიმავალმა ისრაელიანებმა მესამე დღეს ატეხეს ჩივილი და გოდება საკვების სიმწირის გამო - მათ აღარ აკმაყოფილებდათ ციური მანანა და მრავალფეროვან საკვებს ითხოვდნენ: „გვაგონდება თევზი, მუქთად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, კიტრები, ნესვები, პრასა, ხახვი და ნიორი“ (რიცხვ. 11:5-6). განსაკუთრებით ხორცეულს ითხოვდნენ მოსესაგან. ერის წინამძღოლი საგონებელში ჩავარდა, თუ საიდან ეშოვა ამდენი საკვები 600 ათასი ადამიანისათვის. უფალმა არ გააწბილა მოსე და მწყერთა უთვალავი გუნდი მოუვლინა ხალხს, რომელთა ნაწილი მეტისმეტი ძღომისა და გემოთმოყვარეობისაგან დაიხოცა და კიბროთ-ჰაათავა („სიხარბის სამარხები“) წარმოშვა (რიცხ. 11:33-34)[1].

საინტერესოა საკითხი - არის თუ არა კავშირი სულიერ ზრდასა და ალერნატიულ არჩევანს შორის?

[1] საგულისხმოა, რომ ცხოველური საკვების შეზღუდვითაც კი უფალი სილამაზითა და ჯანმრთელობით აჯილდოებს ადამიანებს

ზოგიერთ განმარტებით ბიბლიურ ტექსტში ამ მდგომარეობის გადმოსაცემად იყენებენ „A სიმბოლოს“, რომელშიც ღვთის სასუფეველი (ჭეშმარიტება) მისაღწევი მიზანია. ჰორიზონტალური ხაზი გვიჩვენებს ადამიანის ადგილს მატერიალურ ყოფაში. ამ მოდელში ნაჩვენებია დროის შეზღუდულობა: ადამიანი დროის ნაწილს ხარჯავს ღვთის სასუფევლის მოსაპოვებლად, საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად და გასართობად. მისი მდებარეობაც მოდელში განისაზღვრება კომპრომისული არჩევანით (იხ. ნახ. 1.3.1.). რაც მეტია სამკუთხედის ფართობი, მით ნაკლებ ძალისხმევას ხარჯავს ადამიანი სასუფევლის მოსაპოვებლად.[1]

„ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლეს. 1:2) - წმინდა წერილის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ყოველდღიური საზრუნავისადმი დამოკიდებულება. ამას კიდევ უფრო განამტკიცებს და ავითარებს ზეციური მარგალიტის ძიების სურვილი, რომელიც მისწრაფებაა ცათა სასუფევლის დასამკვიდრებლად: „მსგავსია ცათა სასუფეველი ვაჭარი კაცისა, რომელიც ეძებს ლამაზ მარგალიტს. და როცა იპოვის ძვირფას მარგალიტს, წავა, გაჰყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იყიდის მას“ (მათ. 13:45-46). სწორედ ასეთი მარგალიტების ძებნა უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანის უმთავრესი ამოცანა: „ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ცაში...“ (მათ. 6:19-20).

ნახ.1.3.1.

„A სიმბოლოს“ ილუსტრაცია

[1] საზოგადოების მდგრადი განვითარების აღსანიშნავად მოღებულია სამკუთხედის გამოყენება. განვითარებად ქვეყნებში მდგრადი განვითარება სამ ბლოკს მოიცავს: ეკონომიკურ, სოციალურ, და ეკოლოგიურ ამოცანებს. საბაზრო სისტემის წინაშეც სამი უმთავრესი ამოცანა დგას: რა, როგორ, ვისთვის ვაწრმოოთ? ანუ საბაზრო სისტემის ტრიადა.

ბუნებრივია, ინდივიდთა მიერ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ძალისხმევა გაიწევა. მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია აიგოს მცირე გრაფიკული მოდელი, რომელიც გვიჩვენებს ზეციური მარგალიტების ძიების შესაძლებლობებს (იხ. ნახ. 1.3.2.). თუ ერთ ღერძზე ავიღებთ „ზეციურ მარგალიტებს“ (ღვთივსათნო საქმიანობა, გემოთმოყვარეობა თავმდაბლობა, ღვთის მცნებების დაცვა და ა.შ.), ხოლო მეორეზე „მიწიერ მარგალიტებს“ (სიმდიდრე, განცხრომით ყოფნა და ა.შ.), მაშინ მრუდი გვიჩვენებს ინდივიდის განსხვავებულ დამოკიდებულებას. A წერტილამდე მიღწევა ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევაა დახარჯული ზეციური მარგალიტების მოსაპოვებლად და მცირე ფიზიკური და სულიერი ენერგია იხარჯება ამქვეყნიური ყოფისათვის ($ON_1>OM_1$). D წერტილი მაქსიმალური ძალისხმევის ტოლფასია (წმინდანთა დასის წევრები). პირიქით, C წერტილი მიმანიშნებელია, რომ ინდივიდი მხოლოდ მიწიერი და არაღვთივსათნო საქმეებითაა დაკავებული და „ცოდვას განამრავლებს“ ($OM_2>ON_2$). ღმერთმა ადამიანი თვის ხატად და მსგავსად შექმნა. ის არ არის მონა, არამედ თავისუფალი არსებაა. ამიტომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს რა უფრო სასარგებლოა მისთვის, უფლის გზით სიარული, თუ მიწიერი მოთხოვნილებებისა და ვნებების დაკმაყოფილებისაკენ ლტოლვა.

ნახ. 1.3.2.

„ზეციური მარგალიტების“ ძიების შესაძლებლობათა მრუდი



შეზღუდული რესურსების პირობებში ადამიანი დგას არჩევანის წინაშე. იგი ირჩევს საქონლისა და მომსახურების ისეთ ნაკრებს, რომელიც მისი გადახდისუნარიანობის პირობებში ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. თავის მხრივ, მწარმოებელიც ირჩევს რესურსების მომწოდებელს, იმისათვის, რომ დანახარჯები იყოს მინიმალური. ინვესტორი

ირჩევს პროექტს, რომელიც მეტ შემოსავალს მოუტანს მინიმალური რისკის პირობებში. ყველა შემთხვევაში ადამიანი აკეთებს კომპრომისულ არჩევანს.[1]

თუკი რესურსების იშვიათობის პრობლემა საზოგადოების მიერ ყველა დონეზე - ინდივიდიდან სახელმწიფომდე, არის გასიგრძეგანებული, ეს აიძულებს სახელმწიფოს გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო თითოეული ინდივიდი ცდილობს მეტი პასუხისმგებლობით გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები. პირველ რიგში, ეს ადამიანურ კაპიტალს ეხება, რამდენადაც ბოლო პერიოდში მსოფლიო მასშტაბით ძალზე დიდია დაბანდებები ადამიანურ კაპიტალში (ჯანდაცვის, განათლების, პროფესიული მომზადების პროგრამები და ა. შ.), რასაც ქვემოთ მოტანილი ცხრილიც ადასტურებს (იხ. ცხრილი 1.3.1.).

ცხრილი 1.3.1.

განათლებასა და ჯანდაცვაზე დანახარჯების ხვედრითი
წილი ქვეყნების მშპ-ში (%)[2]

ქვეყანა	განათლებაზე დანახარჯები მშპ-ში, %	ქვეყანა	ჯანდაცვაზე დანახარჯები მშპ-ში, %
დანია	8.3	აშშ	15.2
ისლანდია	7.6	შვეიცარია	11.5
ნორვეგია	7.2	ნორვეგია	10.3
მოლდავეთი	7.3	საფრანგეთი	10.1
აზერბაიჯანი	2.1	ავსტრალია	9.5
ჩინეთი	1.3	ბელგია	9.4

მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური ეკონომიკური მიზნებიდან ყალიბდება საზოგადოების ერთიანი ეკონომიკური მიზნები, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით და სახელმწიფოს გონივრული ჩარევით გაცილებით იოლი მისაღწევია (იხ. ნახ. 1.3.3.).

[1] გულშიჩამწვდომია წმინდა ილია მართლის სიტყვები მცონარობისა და შრომისმოყვარეობის შესახებ: „შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობა და ბრძოლაა: ერთი მხრივ იბრძვის შრომის სურვილი, მეორე მხრივ - სიამოვნების სურვილი“, საიდანაც ასევე ნათლად იკვეთება ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური რესურსის - შრომის შეზღუდულობა და სამუშაო ძალაზე ფასწარმოქმნის თავისებურებები..

[2] **Олейник А.** Страны Мира в Цифрах/2010. Электронное издание. ст. 44-46. (www.alleng.ru)

ნახ. 1.3.3.

თანამედროვე მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზნები



ამდენად, შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ იშვიათობა არის მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზნის - ეკონომიკური ზრდის წყარო. თუ გავიხსენებთ, რომ უფალმა რესურსები შეზღუდა კაცთა მოდგმის უგუნურების გამო, გამოდის, რომ ამგვარი შეზღუდვა სხვა მიზნებთან ერთად ეკონომიკურ ზრდასაც ემსახურებოდა.

1.4. შრომისა და სამეწარმეო უნარის მართლმადიდებლური გააზრებისათვის

„ამ ხანმოკლე სიცოცხლეში შრომა შეიყვარე, რათა საუკუნოდ განისვენო“
წმ. ეფრემ ასური

საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითმყოფადი ეროვნული ტრადიცია შრომასთან, საკუთრებასთან, განათლების მიღებასთან, სიმდიდრის დაგროვებასთან დამოკიდებულებაში, მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი კრიტერიუმების შერწყმას ეფუძნებოდა.

ნებისმიერი საზოგადოება მოძრაობის, მატერიალური წარმოების, გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება ყოველთვის განიხილება შეზღუდული რესურსების პირობებში, ანუ საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით ეკონომიკა აწყდება ოპტიმალური არჩევანის პრობლემას.

თუ გადავხედავთ სხდასხვა ერის მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების წლიურ მოცულობებს (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი) და იგივე მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, დავრწმუნდებით, რომ მჭიდრო დადებითი კორელაცია არსებობს საზოგადოების ცხოვრების დონესა და ამავე საზოგადოების მიერ შექმნილ და განაწილებულ მთლიან შიგა პროდუქტს შორის, ანუ უფრო მარტივად, რაც მეტს აწარმოებს ერი, მით უფრო კარგად ცხოვრობს საზოგადოება. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ მიღწეული დონე სულაც არ ნიშნავს სულიერების იმავე მწვერვალზე ყოფნას, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებით 60-100 ათასდოლარიან დონეს შეესაბამება.

საზოგადოების მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყფილებას უკავშირდება კეთილდღეობის დონე. იგი არის ქვეყნის მოქალაქეთა უზრუნველყოფა საქონლით, მომსახურებითა და არსებობის იმ პირობებით, რაც აუცილებელია კომფორტული და უსაფრთხო ცხოვრებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით, ადამიანთა კეთილდღეობის დონის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომელშიც აგრეგირებულია

სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები (ეროვნული შემოსავალი).

ცხრილი 1.4.1.

ადამიანური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ინდექსი (აგკი) სხვადასხვა ქვეყნებში (პირველი ათეული)[1]

№	ქვეყანა	აგკი-ს სიდიდე
1.	ნორვეგია	97,1
2.	ავსტრალია	97,0
3.	ისლანდია	96,9
4.	კანადა	96,6
5.	ირლანდია	96,5
6.	ჰოლანდია	96,4
7.	შვეცია	96,3
8.	საფრანგეთი	96,1
9.	ლუქსემბურგი, შვეიცარია, იაპონია	96,0
10.	ფინეთი	95,9

თანამედროვე მიდგომით, ძირითადი რესურსებია: შრომა, სამეწარმეო უნარი (არამატერიალური რესურსები), მიწა და კაპიტალი (მატერიალური რესურსები). შრომას და სამეწარმეო უნარს ეკონომიკა განსაკუთრებულ არამატერიალურ რესურსად განიხილავს.

შრომა, იგივე "სიმდიდრის მამა" (უილიამ პეტი), არის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ხარჯვა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში, სამეწარმეო უნარი კი, განსაკუთრებული რესურსი, რომელიც გერგილიანობას, მოხერხებულობას, განსაკუთრებული ეკონომიკური აღქმის უნარს უკავშირდება. მეწარმე გამოდის ყველა რესურსის შერწყმის ინიციატორად და დადებითი კატალიზატორის როლს ასრულებს საწარმოო პროცესებში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სიმბოლურადაა რესურსების მფლობელი, რომელსაც მას ღმერთი უძღვნის, ანუ ადამიანის ამქვეყნად მოვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრებასაც. ამდენად, მიწისა და კაპიტალის მესაკუთრე ფაქტობრივად არის სიმბოლური მმართველი, მენეჯერი მართვის უფლებით. შესაბამისად, საჭიროა გააზრება იმისა, რომ ღმრთისაგან ნაბოძები სიმდიდრის მმართველს უპირველესად ღვთის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა.

[1] **Олейник А.** Страны мира в цифрах/2010». Электронное издание. (www.alleng.ru). ст. 38-39.

ეკონომიკურ ურთიერთობებში მეწარმე მთავარი მამოძრავებელი ძალაა საბოლოო შედეგის – მოგების მისაღებად, ეწევა ბიზნესთან დაკავშირებულ მთელ რისკს და ნოვატორიცაა შეიტანოს პერიოდული კორექტირება ახალი სახეობის საქონლის, ტექნოლოგიების დასანერგად და ა.შ.

შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის როლი განუზომლად დიდია საწარმოო პროცესებში. ამის დასტურად თუნდაც ორი ფაქტი გამოდგება:

1. შემოსავლების მიხედვით გამოთვლილ მთლიან შიდა პროდუქტში (ხელფასის, რენტის, სარგებლის, მოგების და სხვა შემოსულობების (გადასახდელების) ჯამი) ხელფასის ხვედრითი წილი საშუალოდ 60-75%-ს შეადგენს.[1]

2. სამუშაო ძალაში უმუშევართა რიცხოვნობის გაზრდა (ანუ უმუშევრობის დონის გაზრდა) იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მნიშვნელოვან შემცირებას. კერძოდ, ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზემოთ მისი ყოველი 1%-ანი ზრდა მშპ-ს 2,5%-ით ამცირებს. ამ რიცხვს (2,5) უწოდებენ ასევე „ოუკენის კოეფიციენტს“.[2]

ამდენად, ადამიანური ფაქტორი, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით „ადამიანური კაპიტალი“, რაც ეკონომიკური თვალთახედვით უმთავრესი საწარმო ფაქტორია, შესაძლებლობების გამოვლენის, რესურსების ოპტიმიზაციის, დემოგრაფიულ ფაქტორთა შეფასებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით სწორ და ზუსტ აღნუსხვას მოითხოვს. ეს კი მოსახლეობის აღრიცხვას (აღწერას) გულისხმობს. ძველ აღთქმაში აღწერის რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება, რომელიც ძირითადად ისრაელთა აღნუსხვას გულისხმობს. პირველად ეს მოხდა უფლის ჩაგონებით, სინას მთასთან, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს: „აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება საგვარეულოებად და მამისსახლებად, სახელთა რიცხვის მიხედვით, ყოველი მამროვანი სათითაოდ. აღრიცხეთ შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლებული“ (რიცხვ. 1:1-3). ლევიანთა გარდა, „აღმოჩნდა მთლიანად აღრიცხული ექვსას სამი ათას ხუთას ორმოცდაათი“ (რიცხვ. 1:46-47).

---

[1] **Макконнель К., Брю С. Экономикс. М.,** «Инфра-М», 2000. ст. 139.

[2] **ჩიხლაძე ნ.,** ზოგადი ეკონომიკსი. ქუთაისის სამართლის და ეკონომიკის უნივერსიტეტი. ქუთ., 2008. გვ. 97.

უდაბნოში მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ, აღთქმულ მიწაზე შესვლის წინ უფალმა კვლავ მოითხოვა აღრიცხვა იგივე წესით. შედეგად მიღებულ იქნა „რიცხვი ისრაელიანთა“ - ექვსასი ათას შვიდასოცდაათი: „ასე ელაპარაკა უფალი მოსეს: ამათ დაუნაწილებ ქვეყანას სამკვიდროებად სახელთა რიცხვის მიხედვით. მრავალრიცხოვანს უფრო დიდი სამკვიდრო მიეცი, მცირერიცხოვანს - მცირე; თითოეულს მათი რიცხვის მიხედვით მიეცეს სამკვიდრო“ (რიცხვ. 26:52-54). ამდენად, უფალი რესურსების განაწილებისას, როგორც ყოველთვის, მოითხოვს და სურს დაამკვიდროს სამართლიანობის პრინციპი.

მომდევნო აღრიცხვა უკვე უფლის შეგონებით აღარ მომხდარა. დავითმა თვითონ მოისურვა მოსახლეობის აღრიცხვა: „უთხრა მეფემ იოაბს, თავის ჯარის სარდალს: შემოიარე ისრაელის ყველა შტო დანიდან ბერშებამდე და აღრიცხე ხალხი, რომ ვიცოდე ხალხის რიცხვი“ (2 მეფ. 24:2). ეს მოხდა უფლის მორჩილების გარეშე, რასაც დავითი გვიან მიხვდა და შესაბამისად, მისი რისხვაც დაიმსახურა - შავი ჭირით გაწყდა 70 ათასი კაცი (2 მეფ. 24:12-20).

ერთის მხრივ, წინააღმდეგობრივია საკითხი ადამიანში არსებული ორი საწყისის – წარმავალისა (სხეულებრივი) და მარადიულის (სულიერი) შესახებ. მატერიალური სამყარო წარმავალია და ამაოება ხშირად მარადიული სიამოვნების ძებნისაკენ, როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, „სხეულებრივი მოთხოვნილებების“ დაკმაყოფილებისაკენ უბიძგებს ადამიანს. მეორე მხრივ, წარმოების (მიწოდების) პროცესი საზოგადოების მატერიალურ და არამატერიალურ მოთხოვნილებებს უკავშირდება. გავიხსენოთ, რომ აბრაამ მასლოუს მიხედვით მოთხოვნილებათა იერარქიაში გვაქვს 5 დონე: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოებაზე, სოციალური, პატივისცემისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილებები (ე.წ. “მასლოუს პირამიდა”).

ფასდაუდებელია წმინდა წერილში არსებული ცნობები საზოგადოების შრომითი საქმიანობის, ცალკეული პროფესიების, შრომის ანაზღაურების, შრომის სტიმულირებისა და სოციალური სისტემების შესახებ.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სარწმუნოებისა და შრომის ერთიანობა. თუ გვაქვს რწმენა, რამდენად სავალდებულოა შრომა ან კიდევ, როგორ შრომას მიითვლის და აღიარებს უფალი? როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, “კაცი საქმით მართლდება

და არა მხოლოდ რწმენით... ვინაითგან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე" (იაკ. 2:24,26). უფალი აღიარებს არა ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ადამიანის სუსტი ბუნების, გრძნობების ან თუნდაც ვნებების შედეგია, არამედ სარწმუნოებრივ, ანუ უფლის მცნებების დაცვით აღსრულებულ საქმეებს: "წყეულიმც იყოს, ვინც დაუდევრად აკეთებს უფლის საქმეს!" (იერ. 48:10).

უფლისათვის მიუღებელია ასევე უგუნური და უსარგებლო შრომა, გარჯა, რომლის ფესვებშიც ამპარტავნება იმალება. ამის ნათელი მაგალითია ბაბილონის გოდოლი. ადამიანთა მიერ ტიტანური შრომის გაწევის მიუხედავად, გოდოლი ღმერთმა დაანგრია, ხალხი გაფანტა და ენებიც აურია მათ, რომ ერთმანეთის არაფერი გაეგოთ.[1]

უფლისაგან უკურთხებელი შრომის შედეგი ყოველთვის სავალალოა, ფუჭია და მოუხმარებელი უღვთო მშრომელისათვის. წინასწარმეტყველ მიქიას პირით უფალი ასეთ „მშრომელებს" მკაცრად აფრთხილებს: „შეჭამ და ვერ გაძღები; შიმშილი გექნება მუცელში; გადამალავ, მაგრამ ვერ შეინარჩუნებ; რასაც შეინარჩუნებ, მახვილს მივცემ. დათესავ და ვერ მოიმკი; ზეთს გამოხდი და ვერ გაიპოხები; ღვინოს დაწურავ და ვერ შესვამ" (მიქ. 6:14-15).

ოფლითა და შრომით ლუკმაპურის მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე. ურჩობის შედეგად ადამი მიწისმხვნელი გახდა და მიწის ნაყოფს უკვე მძიმე შრომით იღებდა. უფლის წყევამ და მსჯავრმა ადამზე მიაღწია: "ოფლითა პირისა შენისაითა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისგან იქმენ" (დაბ. 3:9). ამდენად, შრომის უფლება, შრომის აუცილებლობა ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა.[2]

დაბადების საწყის თავებში, სადაც მოთხრობილია გადახვეწილი კაენის დასახლება ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით, კაენის შთამომავლებში ვხვდებით ისეთ პროფესიებს, როგორიცაა მეჯოგე, მეჩანგე, მესტვირე, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი. თვით კაენი, შეიძლება ითქვას, ჩამოშორდა მიწათმოქმედებას, რადგან ღვთის სასჯელის გამო მისთვის ამ საქმიანობის გაგრძელება

[1] ავადსახსენებელი სოციალიზმის პირობებშიც უღვთო შრომაც ნაკლებად ფასდებოდა: გამოშვებული პროდუქცია მოცულობით დიდი იყო, მაგრამ მდარე ხარისხის და არაკონკურენტუნარიანი.
[2] ნიშანდობლივია, რომ ადამიანები წარღვნამდე მიწის ნაყოფით იკვებებოდნენ და ხორცეულს არ იხმევდნენ.

აზრს კარგავდა: „დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი იქნები ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 4:12).

კაენის ჩამომავალთაგან იაბალი იყო ,,კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა,“ ანუ აბელის ,,კოლეგა“. იაბალის ძმა იუბალი. “იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“, ხოლო ლამექის შვილი მეორე ცოლიდან (ცილადან) თუბალ-კაენი, „რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ იყო (დაბ. 4:16-22). ამდენად, ბიბლიაში უპირველესად მოხსენებული სარეწაო პროფესიებია მჭედელი და მუსიკოსი (მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნელი). მნიშვნელოვანია, რომ წმინდა წერილის ამ ნაწილში თუბალ-კაენთან ერთად, ცალკე მოხსენიებულია მისი დაც - ნაყამა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ნაყამა იყო პირველი ქალი, რომელიც ძმის საქმიანობას - რეწვას (სამჭედლო საქმეს) მისდევდა.[1]

ამდენად, ლამექის შვილების საქმიანობამ სათავე დაუდო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებისა და ქვედარგების ჩამოყალიბებას (იხ. ნახ. 1.4.1.): პირველად წარმოებას (იაბალი), გადამმუშავებელ მრეწველობას (თუბალ-კაენი) და მომსახურების სფეროს (იუბალი).

სამეურნეო საქმიანობა ასევე მოხსენიებულია ლამექსა და ნოესთან მიმართებაში, რომელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. ბუნებრივია, ნოეს თავის შვილებთან ერთად, სხვადასხვა პროფესიის ცოდნა ესაჭიროებოდა კიდობნის ასაგებად, რომელიც საკმაოდ მოცულობითი უნდა ყოფილიყო: სიგრძე - სამასი, სიგანე - ორმოცდაათი, სიმაღლე -ოცდაათი წყრთა. ღმერთმა გარკვეული კიდობნის „პროექტი“ წარუდგინა ნოეს: „გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან, ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე, ... სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს, ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე“ (დაბ. 6:14,16).

უფრო მოგვიანებით მშენებლობის კულტურა გაცილებით დაიხვეწა და ახალი მასშტაბები შეიძინა. მამის ანდერძის თანახმად, სოლომონი გამეფების შემდეგვე შეუდგა მშვენიერი ტაძრის აშენებას იერუსალიმში. დავითმა შვილს დაუტოვა როგორც შენობის პროექტი, ისე ეკლესიის გარეგანი სახე და აუარებელი მასალაც. სოლომონმა ტაძრის

[1] **Лукин С.В.** Книга бытия о разделении труда. журн. „Проблемы современной экономики“, 2004, №1.

მშენებლობის ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი. მეტიც, „ტაძრის აგების შემდეგ სოლომონი შეუდგა ისრაელის გამშვენიერებას.

ნახ. 1.4.1.

ლამექის შთამომავალთა პროფესიული საქმიანობა[1]



ააშენა სასახლეები, გაამშვენიერა დიდი ბაღები, გააკეთებინა შიგ ქალაქში პატარ-პატარა ტბები და ისე მორთო თავისი სატახტო ქალაქი, რომ მასზედ უკეთესი შეუძლებელიღა იყო“.[2] ამდენად, ამ პერიოდისათვის მშენებლობასთან ერთად უკვე სერიოზულად არის განვითარებული კომუნიკაციების მოწყობის კულტურა, ლანდშაფტის დიზაინი და ა.შ.

მომდევნო საქმიანობა კაცობრიობისათვის არის მევენახეობა: „დაიწყო ნოემ მიწის დამუშავება და გააშენა ვენახი“. შესაბამისად დასაბამი ეძლევა მევენახეობის დარგსაც, რამდენადაც ნოემ ღვინის დაყენებაც შეძლო: “შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში“ (დაბ. 9:20-21). მონადირის სახით ვხვდებით ნოეს შთამომავალს - ნებროთს. მოგვიანებით ასევე ვხვდებით ესავს, რომელიც იყო “მარჯვე მონადირე, ველების კაცი...ნანადირევი იყო მისი საჭმელი“ (დაბ. 25:27-28).

საზოგადოდ, ვაზის თემა მნიშვნელოვანია ძველ და ახალ აღთქმაში. ეგვიპტიდან გადმოტანილი ვაზის შესახებ ნათქვმია: ”უფალმა დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის შუაგულში, საწნახელი ამოკვეთა და დაელოდა ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა” (ეს. 5:2) ამ იგავში ისრაელი გაიგივებულია ღვთის ვენახად, როცა მას ღმერთი

[1] „იაბალი“ ნიშნავს „მომთაბარეს, ჯოგის მეთაურს“. იგი მომთაბარე ცხოვრების წესის დამამკვიდრებლად ითვლება. „იუბალი“ წარმოდგება სიტყვისაგან „jobel“, საყვირისაგან გამოცემული მუსიკალური ხმა.
[2] **გოგებაშვილი ი.** საღმრთო ისტორია. თბ., „პალიტრა L“, 2010. გვ. 117.

უვლის, ზრუნავს და ელოდება სათანადო ნაყოფის გამოღებას, მაგრამ ამაოდ: "მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად შემეცვალე!" (იერ. 2:21). ახალ აღთქმაში ვაზის თემა ახალი შინაარსით წარმოგვიდგება. უფლის ვენახი მხოლოდ ისრაელს აღარ წარმოადგენს და ყველა მორწმუნეს აერთიანებს. ეს ნათლად ჩანს სხვადასხვა იგავებში, მხოლოდ ჩვენ ამგვარად შევეცადეთ მათი ეკონომიკური შინაარსის დატვირთვაზე გაგვემახვილებინა ყურადღება.[1]

ეროვნული მეურნეობის ზემოთ აღნიშნულ დარგებთან და სფეროებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ მშენებლობაც. მას დაბადების საწყის თავებში ვხვდებით. კაენი, რომელმაც გააშენა ქალაქი, და უწოდა მისი შვილის, ენოქის სახელი. ასევე მშენებელია ნოეც, რომელიც აგებს უზარმაზარ კიდობანს. დაბადებაშივეა აღწელი ბაბილონის გოდოლის მშენებლობაც: „უთხრეს ერთმანეთს მოდი მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად-ფისი. თქვეს აბა ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე" (დაბ. 11:3-4). ამდენად, ადამიანები იცნობდნენ ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებს, ამზადებდნენ აგურს, იყენებდნენ ფისს და ჰქონდათ ცათამბჯენის აგების იმედი, რაც მიუთითებს, რომ ისინი სამშენებლო ხელოვნებაში გაწაფული უნდა ყოფილიყვნენ.

ისრაელიანები ეგვიპტის ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ. მათ დამონებას ემთხვევა პერიოდი, როდესაც ეგვიპტეში იწყება არა ქვის მასალით, არამედ აგურით მშენებლობა. ცნობილ მეფეთა და ფარაონთა სამარხები აგურით შენდება. ბიბლიაში მოხსენიებულია, რომ ისრაელიანებს სწორედ აგურის დამზადება ევალებოდათ, როდესაც მოსეს ისინი ეგვიპტიდან უნდა გამოეყვანა.

მეჯოგეობას კვლავ ვხვდებით, როცა აბრაამის შთამომავალი - იოსები, ერთ-ერთი პირველი ჩინოვნიკი ფარაონის კარზე, იწვევს რა საკუთარი ოჯახის წევრებს, მათ ახასიათებს, როგორც მეცხვარეებს, მესაქონლეებს და ,,მეჯოგე ხალხს" (დაბ. 26:32-34). შემდგომი პროფესია, რომელიც დაბადებაში მოიხსენიება, არის პროფესიონალი ვაჭრები. ძმები შურით აღივსნენ იოსების მიმართ და გადაწყვიტეს მიეყიდათ იგი მალაალიდან გზად მომავალი ქარავნისათვის, რომელსაც მოჰქონდა „გუნდრუკი,

[1] დაწვრ. იხ. **კოღუაშვილი პ.** ქრისტე ვენახია. მეხუთე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა" შრომათა კრებული. თსუ, თბ., „უნივერსალი", 2010. გვ. 79-90.

ბალისამონი და შტახსი ... ეგვიპტეში ჩასატანად (დაბ. 37:25). იოსები ფარაონის კარისკაცს, ფოტიფარს მიჰყიდეს. იოსების ისტორიასთან მიმართებაში ვხვდებით ისეთ პროფესიებს, როგორიცაა „საპყრობილის უფროსი“, „მცველი“, (ქონდაქართუხუცესი), „მეპურეთუხუცესი“ და ა.შ.

დაბადებაში ვხვდებით იოსების მიერ თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და აღსრულების უძველეს და შესანიშნავ მაგალითს: როდესაც ეგვიპტეს 7 შიმშილიანი და მოუსავლიანი წელი ელოდა, იოსებმა განაწესებიანა ზედამხედველები ფარაონს და შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე მეხუთედი (20%) ახდევინეს ეგვიპტის ქვეყანას: „დააგროვონ და ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი საზრდო დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე“ (დაბ. 41:35-36).

ამ გადაწყვეტილებით იოსებმა ერთგვარი სასურსათო მარაგი შექმნა, ხორბალი კი ამ ღონისძიების შედეგად იმდენი დაგროვდა, რომ „აღარ იყო სათვალავი“ (დაბ. 41:49), რამაც ეგვიპტე ფაქტობრივად გენოციდისაგან იხსნა. სხვა ქვეყნებში, ვერ გაატარეს რა გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა, ყველა ქვეყანა მოვიდა ეგვიპტეში იოსებთან პურის საყიდლად.

ამდენად, კაცობრიობის დასაბამიდან ადგილი აქვს შრომის დანაწილებას. ასეთი საქმიანობის (პროფესიების) გამოჩენა განპირობებული იყო ახალი მკაცრი პირობებით და ახალ სიძნელეთა დაძლევის აუცილებლობით. ბიბლიაში მოხსენიებული მოკლე ფრაზები ან სიტყვები ღრმა შინაარსის, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის შემცველია და მომავალში ამ კუთხით კვლევის გაფართოება ვფიქრობთ აუცილებლობას წარმოადგენს.

პრაქტიკულად იგივე პროფესიები და საქმიანობის სახეები ფიქსირდება ახალ აღქმაშიც. თითქმის ყველა მოციქული საერო ცხოვრებაში რაღაც პროფესიით არის დაკავებული. სიმონი პეტრედ წოდებული და ანდრია „ბადეებს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ“ (მათ. 4:18), ასევე „იაკობი, ზებედეს ძე და იოანე, მისი ძმა, რომელნიც თავიანთ მამასთან, ზებედესთან ერთად, ნავში ბადეებს აკერებდნენ“

(მათ. 4:21). მებაჟე ლევი ალფესი (მათე მახარებელი), რომელიც უფლის მოწოდებაზე არც დაფიქრებულა, ისე გაყვა მოძღვარს (მარ. 2:14).

„სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკლის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში“ - ეუბნება იესო თავის მოწაფეებს (მათ. 9:37-38), ბუნებრივია, დედააზრი ახალი მოძღვრების მთესველთ ეხება, რომელთაც იგი უნდა გაავრცელონ, თუმცა უფლის ამ ბრძნულ გამონათქვამში ღრმა ეკონომიკური არიც გამოსჭვივის. კერძოდ, უფალი მიუთითებს სამუშაო ძალის სიმცირეზე, რითაც შრომის შედეგი, გამომუშავებული პროდუქცია, შეიძლება არ იყოს მოცულობითი არაეფექტიანი წარმოების გამო. საბოლოოდ ამას ფასების დონის ზრდა და დაბალი მყიდველობითი უნარის პირობებში ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაც შეუძლია. ამიტომ საჭიროა ვინმე დაფიქრდეს ამაზე, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები (ეკონომიკური პოლიტიკა), რომ ხალხი მომავალში დაუპურებელი არ დარჩეს. აკი შეებრალა უფალს ხალხის ბრბო რომ დაინახა „ვინაიდან ისინი დაუძლურებულნი და დაფანტული იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი“ (მათ. 9:36).

ნახ. 1.4.2.

შრომის ბაზარზე წონასწორობის თანამედროვე მოდელი



სამშობლოში დაბრუნებულ იესო ბენ: „განა ეს ხუოოს ძე აო არის?“ (მათ. 13:55). უკვე ვხვდებით ვაჭრებსაც: „ამიტომ ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლით მივიღებდი“ (მათ. 25:27).

სხვა პროფესიებთან და საქმიანობასთან მიმართებაში ყურადღების ღირსია მნის პროფესია (ე.წ. „მნეობის ინსტიტუტი“). როგორც წესი, მდიდართა ფენის წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ, ესაჭიროებოდათ

ადამიანები, ვინც იქნებოდა გამოცდილი ერთგული და სანდო, მათ მეურნეობას და ქონებრივ თუ საფინანსო ურთიერთობებს წარმაერთავდა, შეასრულებდა ყველა გარიგებასა და სამეურნეო სამუშაოს, თანამედროვე ტექნოლოგიით ეს იგივე მეწარმეა (იკონომოსი, ადმინისტრატორი), რომელიც ეწევა ბიზნესთან დაკავშირებულ რისკს, გამოდის სხვადასხვა ურთიერთობებში მფლობელის სახელით, აფორმებს კონტრაქტებს და ა.შ.

იგავში, ორგული მნე, უფალი პასუხისმგებლობაზე მოგვანიშნებს და გვმოძღვრავს, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ სხვის ქონებას. სამნეო საქმე მას ავალდებულებს მოუაროს სხვის ქონებას, რომელიც დროებით, განსაზღვრული ვადით ჩააბარეს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მნე გარკვეული ცდუნების წინაშეც იყო, რამდენადაც სურსათი ან სხვა პროდუქცია მას შეეძლო უფრო ძვირად გაეყიდა, ვიდრე მას პატრონი აფასებდა.

თუმცა გვხვდება სანდო და გონიერი მნის ტიპაჟიც (მაგ., „სარწმუნო და გონიერი მნის“ იგავი), სადაც ხაზგასმულია მისი ერთგულება, გონიერება, გამჭრიახობა და პასუხისმგებლობა (ლუკ. 12:35-48).

მრისხანებაზე და მკვლელობაზე იესოს მსჯელობისას იკვეთება ისეთი პროფესიები, როგორიცაა მსაჯული და მსახური (ბადრაგი), ასევე ასისთავი, რომელიც იესომ განკურნა, მესტვირეები, მთესველი (მიწათმოქმედი) და სხვა.

ცხრილი 1.4.2.

წმინდა წერილში მოხსენიებული ზოგიერთი პროფესია
(შრომითი საქმიანობის სახეობა)

ბიბლიური პერსონაჟი	წარმომავლობა, თანამდებობა, მისია, ნათესაური კავშირი	პროფესია/შრომითი საქმიანობის სახეობა
აბელი	ადამისა და ევას შვილი	მეცხვარე
კაენი	ადამისა და ევას შვილი	მიწათმოქმედი („მიწის მუშაკი“)
იაბალი	კაენის შთამომავალი, იუბალის ძმა	მეჯოგე („კარავში მცხოვრებ-თა და მეჯოგეთა მამა“)
იუბალი	კაენის შთამომავალი, იაბალის ძმა	მუსიკოსი („მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“)
თუბალ-კაენი	ლამექის შვილი მეორე ცოლიდან (ცილადან)	მჭედელი („რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“)
ნოე	სეითის შთამომავალი, ენუქის შვილთაშვილი	მშენებელი, მევენახე
აბრაამი	კერპთაყვანისმცემელ თარახის ვაჟი, ერის წინამძღოლი	
ესავი	ისაკის ვაჟი	მონადირე

ამოსი		მწყემსი და ლეღვის პლანტაციების მფლობელი
იაკობი	ისაკის ვაჟი	მეცხვარე, მწყემსი
ლაბანი	იაკობის და ესავის ბიძა	მეცხვარე, მწყემსი
იოსები	იაკობის ვაჟი, ეგვიპტის ფატიური მმართველი	მწყემსი, მენეჯერი
იუდა, ბენიამენი, სვიმეონი	იაკობის ვაჟები	მწყემსები („მეჯოგე ხალხი“)
მოსე	ერის წინამძღოლი, გამომხსნელი	მწყემსი (ეგვიპტიდან პირველი გაქცევის შემდეგ)
ისუ ნავეს ძე	ერის წინამძღოლი	მეომარი, სარდალი
ბოოსი	რუთის მეუღლე	ფერმერი
დავითი	იესეს ვაჟი, შვილთაშვილი ბოოსისა და რუთისა	მწყემსი, ქნარის ოსტატი, საჭურჭლის მტვირთველი, მომღერალი, პოეტი
იერობუამი	შთამომავალი იაკობის ათი შვილისა, ისრაელის მეფე	მშენებელთა ზედამხედველი
ელისე	წინასწარმეტყველი	მიწათმოქმედი
ანა	მართალი ტობის მეუღლე	მატყლის დამრთველი
იაკობი	ზებედეს ვაჟი	მებადური
იოანე	ზებედეს ვაჟი	მებადური
ანდრია	წმინდა მოციქული	მებადური
სიმონი (პეტრე)	წმინდა მოციქული	მებადური
იოსები	უფლისა ჩვენისა აღმზრდელი მამა	ხურო
ლევი ალფესი (მათე მახარებელი)	წმინდა მოციქული	მებაჟე
ლუკა	წმინდა მოციქული	მხატვარი, ექიმი
ზაქე		მებაჟე

ეკონომიკურ პროცესებში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო დროის დანაწილების მექანიზმები და ზოგადად, სამუშაო დროის საკანონმდებლო რეგულირება. უხსოვარი დროიდან, რელიგიური დღესასწაულები (წმინდა დღეები) და დროის სხვა პერიოდები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ ცხოვრებისა და შესაბამისად შრომითი საქმიანობის რიტმულობას.

კვირის ციკლში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა შაბათ დღეს, დაბადებაში ვკითხულობთ: „აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმინდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისაგან, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა. სწორედ შაბათი, როგორც სადღესასწაულო დღე, უნდა მიძღვნოდა ღმერთს, დანარჩენ დღეებში კი ნებადართული იყო შრომა, საქმის კეთება: „ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი

საქმეები. მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა სახლში რომ გყავს“ (გამ. 20:9-10). თვით უფალმაც 6 დღეში შექმნა ქვეყნიერება და ერთი დღე შეისვენა. ძველ აღქმაში მრავლად ვხვდებით ეპიზოდებს, სადაც ადგილი აქვს განსხვავებულ საქმიანობას სხვადასხვა პერიოდში (ხვნა-თესვა, ცეცხლის დანთება, საკვების მომზადება, მოსავლის აღება და სხვა).

უფალი აუწყებს წინასწარმეტყველთა პირით ისრაელიანებს, დაიცვან შაბათი, თორემ ძალით დააცვევინებს და მიწას დაასვენებს რომელიც შაბათების უქმობით არ დაუსვენებიათ. ასეც მოხდა - ისრაელიანები 70 წელი იყვნენ ბაბილონის ტყვეობაში.[1] წმინდა მამათა განმარტებით, თუკი ამ შაბათებს შევკრებთ, ისრაელის სახელმწიფოს არსებობაში რომ არ დაუცავს ისრაელს, 70 წელიწადი გამოვა.

ძველაღქმისეულ პერიოდში ვხვდებით ექვსსაათიან, სადღეღამისო, საკვირაო, წლიურ, შვიდწლიან და ორმოცდაათწლიან წმინდა ციკლებს. მათთვის დამახასიათებელი იყო განმეორებადობა, რომელსაც გარკვეული წესრიგი შეჰქონდა მუდმივად ცვალებად გარემოში.

უპრიანია მოვიტანოთ ანალოგია ეკონომიკურ ციკლებთან დაკავშირებით. ზემოთ დასახელებული პერიოდები განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ დასახლების ან ქალაქის სივრცობრივ განფენილობას, ინფრასტრუქტურას და ეკონომიკურ აქტივობას, რასაც ბუნებრივია შრომის რიტმი განაპირობებდა. დასახელებული ანალოგია ფიქსირდება თანამედროვე გაგებით ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაშიც: განმეორებადი მდგომარეობა, დიდი (ორმოცდაათწლიანი) და მცირე პერიოდებისათვის სწორედ ეკონომიკურ ციკლებზე გვაფიქრებინებს (გავიხსენოთ, რომ იოსებმა იხსნა ეგვიპტე შვიდი შიმშილიანი და მოუსავლიანი წლისაგან, როდესაც მან განსაკუთრებული სასურსათო მარაგი შექმნა წინასწარ მეხუთედის გადახდის დაწესებით. სწორედ ასე გახდა შესაძლებელი მომავალი წლების საზრდოს დახვავება და ეგვიპტის ერის ხსნა შიმშილისაგან).

თანამედროვე ეკონომიკური ენით, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დაცემისა და დეპრესიების პერიოდები. ამ პერიოდებისათვის დამახასიათებელია წარმოების

[1] დაწვრ. იხ. **არქიმანდრიტი მაკარი** (აბესაძე), იუდეველთა სამეფოს გაუქმება და განადგურება. ჟურნ. „კარიბჭე“, №2, 2011. გვ. 52.

მოცულობის შემცირება (დასახელებული პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი ატროფია და მოუსავლიანობა), უმუშევრობის ზრდა (მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მაღალი სიკვდილიანობის გამო) და ა.შ.

გამოცოცხლების ფაზაში ეკონომიკა ნელ-ნელა იწყებს „გამოჯანმრთელებას“, იზრდება წარმოების მოცულობები (საოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობა), რასაც მოჰყვება საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა. გამოცოცხლებას მოჰყვება წარმოების გაფართოება - ვაჭრობის განვითარება, ინვესტიციების შემოდინება და ა.შ. (იხ.ნახ. 1.3.3.)

როგორც ჩანს, ეკონომიკური ციკლებიც, ანუ ეროვნული ეკონომიკის რეგულარულად განმეორებადი მდგომარეობაც, რაც უპირველესად წარმოების მოცულობის ცვლილებით (ზრდით ან შემცირებით) გამოიხატება, სათავეს სწორედ ძველაღთქმისეული პერიოდიდან იღებს.

ნიშანდობლივია ავღნიშნოთ, რომ ციკლების მიმდინარეობის პერიოდში გარკვეული რყევების არსებობა, ეპოქალური სირთულეების გათვალისწინებით, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, პოლიტიკური ცვლილებები, საომარი მოქმედებები, ახალი აღმოჩენები და გამოგონებები და ა.შ.

ნახ. 1.4.3.



ეკონომიკური ციკლების კლასიკური თეორიით თუ ვიხელმძღვანელებთ, საკვლევი პერიოდისათვის რყევების მიზეზებად უნდა გამოვრიცხოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: საინვესტიციო დანახარჯების არასტაბილურობა, სამომხმარებლო ხარჯების არასტაბილურობა (ფულადი ურთიერთობების

ელემენტარული განუვითარებლობის გამო), ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა (პრაქტიკულად ძლიერ შესუსტებული იყო ეკონომიკაზე რაიმე სახის ზეგავლენის მოსახდენად).[1]

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოსვლამ დასაბამი დაუდო ახალი აღქმისეულ ისტორიას. ახალი აღქმისეულმა ეკლესიამ შეინარჩუნა ღვთისმსახურების, მარხვისა და შრომის დროითი პერიოდები და ახალი დატვირთვა მიანიჭა მათ. ყველაზე ძველ ქრისტიანულ ტრადიციად იქცა კვირა დღის (ანუ კვირის პირველი დღის) აღნიშვნა, რითაც იწყებოდა შვიდდღიანი ციკლი. ამით კვირა ჩაენაცვლა შაბათს და ეს იყო შრომისაგან თავისუფალი დღე, როცა ტარდება სადღესასწაულო ლიტურგიები და ღვთისმსახურება.[2]

ადრეულ ეკლესიაში დამკვიდრდა წესად ღვინისა და პურის მიტანა, რომელშიც საუფლო მსხვერპლთან ერთად განთავსებული იყო საკუთარი შრომის ნაყოფი (ეს ტრადიცია ნაწილობრივ დღესაც შენარჩუნებულია). ყველა ქრისტიანი ცდილობს ყოველდღიური შრომა კვირა დღეს მაინც შეზღუდოს და იგი ლოცვით ჩაანაცვლოს.

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოსვლამ დასაბამი დაუდო ახალი აღქმისეულ ისტორიას.

მოციქულთა თავთა წმინდა პეტრესა და პავლეს „განაწესებში“ მკაფიოდ იკვეთება მორწმუნე ქრისტიანის შრომისა და ლოცვის რიტმების ურთიერთშეხამება. მათ განუწესეს ერს ისაქმონ ხუთი დღე, ხოლო შაბათს და კვირას კეთილმსახურებითი საეკლესიო მოძღვრებისთვის, „რადგან ვთქვით, რომ შაბათს დაბადების სახე აქვს, ხოლო კვირას აღდგომისა“.

ამ დოკუმენტში მოციქულები გვთავაზობენ უქმე დღეების აუცილებლობას და მათ ახსნას, რომელსაც უკეთესად აღქმის მიზნით მივცეთ ცხრილის ფორმა (იხ. ცხრილი 1.3.3.). ”ლაოდიკიის კრების კანონები” გვამცნობს, რომ „ქრისტიანებმა ებრაული წესით

---

[1] შვიდწლიანი იყო ეგვიპტეში მოუსავლიანი პერიოდი (თანამედროვე მიდგომით, საქმიანი აქტივობის ციკლი 7-11 წელს გრძელდება); ძველაღქმისეული ორმოცდაათწლიანი განმეორებადობა ახლოა დიდ ციკლთან, რომელიც 50-60 წელს გრძელდება: „კონდრატიევის დიდი ციკლი“ 48-55 წელიწადს გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ „უძველესი ციკლები“ უფრო მკაცრად იყო გაწერილი და მეტი სიზუსტითა და პროგნოზირებადობით გამოირჩეოდნენ, ვიდრე თანამედროვე კონიუქტურული ციკლები.

[2] ქრისტიანები უქმობენ კვირას, რადგან კვირა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა!

შაბათი არ უნდა შეინახონ, შაბათს არ უნდა უქმობდნენ. ამ დღეს მათ უნდა იშრომონ, ხოლო კვირას, როგორც ქრისტიანებს შეეფერებათ და რამდენადაც შეუძლიათ პატივისცემით იუქმონ“ (29-ე კანონი).

ცხრილი 1.4.3.

შრომისა და უქმე დღეების შეთავსება წმინდა პეტრესა
და პავლეს განაწესების მიხედვით

დღესასწაულები	ქრისტიანული დატვირთვა (შინაარსი)
ორშაბათი-შაბათი (სადაგი დღეები)	დაშვებულია შრომითი საქმიანობა
უქმეები	
შაბათი	შაბათი, როგორც დაბადების სახე
კვირა	აღდგომის სწორი დღე
ამაღლება	ქრისტეს განგების აღსრულება
სულიწმინდის მოსვლა	მონიჭებულია ქრისტეს მორწმუნეთათვის
შობის დღესასწაული	იძლევა სიხარულს მარიამ ქალწულისაგან ღვთის სიტყვის შობით
ღვთის გამოცხადება	გამოჩნდა მამის დამოწმებით, რომ ქრისტე ღმერთია
წმინდა მოციქულთა დღესასწაული	ქრისტემ მოციქულები ადამიანთა მოძღვრებად დაადგინა და ისინი ამით სულიწმინდის ღირსი გახდნენ

მეტად საინტერესო და საგულისხმოა ამ მხრივ არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინი) მოსაზრებები: „ქრისტეს აღდგომის შემდგომ ძველაღთქმისეული პასექი იუდეველების გახდა, ანუ იმათი, ვინც ქრისტე მესიად და მხსნელად არ მიიღო. ძველ იუდეურ აზროვნებაში შაბათი მესიის მოლოდინს ნიშნავდა. ახლა შაბათის აღნიშვნა, ისევე როგორც ძველაღთქმისეული პასექისა, ქრისტეს უარყოფას და სხვა მესიის მოლოდინს მოასწავებს. დიდ შაბათს, როდესაც ქრისტე სამარხში განისვენებდა, განხორციელდა ძველი აღთქმა, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით კი ახალ სიცოცხლეს ახალ აღთქმას დაედო დასაბამი. ძველ აღთქმაში კვირა დღე შაბათით მთავრდებოდა, ახალში კი იგი კვირა დღით იწყება... ზოგიერთი მამა კვირა დღეს კვრის მერვე და არა პირველ დღედ მიიჩნევს. რვიანი ხომ მარადიულობის გამოსახულებაა (∞, როგორც უსასრულობის ნიშანი - ნ.ჩ.). არ შეცვლილა არც კვირის რიტმი: 6 და 1. სიმბოლურად ერთიანი -საწყისი, მარადისობა და აბსოლუტია, ექვსიანი წონასწორობა, სიმეტრია და

ჰარმონია სულიერსა და მატერიალურს შორის, შვიდიანი - სამყაროში ღვთაებრივ ძალთა მოქმედება, ხოლო რვიანი მარადიული სიცოცხლე“.[1]

ახალი აღთქმისეულმა ეკლესიამ შეინარჩუნა ღვთისმსახურების, მარხვისა და შრომის დროითი პერიოდები და ახალი დატვირთვა მიანიჭა მათ. ყველაზე ძველ ქრისტიანულ ტრადიციად იქცა კვირა დღის (ანუ კვირის პირველი დღის) აღნიშვნა, რითაც იწყებოდა შვიდდღიანი ციკლი. ამით კვირა ჩაენაცვლა შაბათს და ეს იყო შრომისაგან თავისუფალი დღე, როცა ტარდება სადღესასწაულო ლიტურგიები და ღვთისმსახურება. ადრეულ ეკლესიაში დამკვიდრდა წესად ღვინისა და პურის მიტანა, რომელშიც საუფლო მსხვერპლთან ერთად განთავსებული იყო საკუთარი შრომის ნაყოფი (ეს ტრადიცია ნაწილობრივ დღესაც შენარჩუნებულია). ყველა ქრისტიანი ცდილობს ყოველდღიური შრომა კვირა დღეს მაინც შეზღუდოს და იგი ლოცვით ჩაანაცვლოს.[2]

უფლისა ჩვენისა იესოს ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს დღე იყოფოდა 12 საათად: „მიუგო იესომ: „თორმეთი საათი არ არის დღეში?“ (იოან. 11:9). როგორც წესი, დაქირავებული მუშაკებისა და მონებისათვის სამუშაო დღე იყო თორმეტსაათიანი. დავით მეფსალმუნე მიუთითებს ყოველდღიურ ლოცვაზე, რომლის დროსაც ღმერთს შესთხოვდნენ შრომაში შემწეობას. მოგვიანებით, მათ შორის მოციქულთა დროსაც, ყოველ მესამე საათზე ლოცულობდნენ: „პეტრე და იოანე ერთად ადიოდნენ ტაძარში ლოცვის მეცხრე საათს“ (საქ. 3:1).

ახალი აღთმის პერიოდიდან მაცხოვარი ამსხვრევს მითს შაბათს კეთილი საქმის უქმნელობის შესახებ. შაბათ დღეს ყანებზე გავლა და თავთავების კრეფა აღარ ითვლება ცოდვად, რამდენადაც უფალი ამბობს: „შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის“ (მარ. 2:27). იგივე სულისკვეთება ჩანს გამხმარი ხელის შაბათს განკურნების მომენტშიც, როცა იესომ, „გულქვაობით დამწუხრებულმა“, გადახედა ფარისეველთ და კეთილი საქმე აღასრულა. მათ უკეთ დასარწმუნებლად უფალს ქონების დაკარგვის მაგალითი მოჰყავს: „რომელიმე თქვენგანს ვირი ან ხარი რომ

---

[1] **არქიმადრიტი რაფაელი**. „კვირა დღე მიწაზე მარადიული ცხოვრების საწყისია“. ჟურნ. „კარიბჭე“, №17, 2010. გვ 22.

[2] თითქმის XIX საუკუნემდე ევროპაში სამუშაო დღე სამჯერ წყდებოდა (დილით, შუადღეს და საღამოს) ლოცვისათვის.

ჩაუვარდეს ჭაში, განა იმწამსვე არ ამოიყვანს, შაბათი დღეც რომ იყოს?“ (ლუკ. 14:5), რაზეც ვერაფერი უპასუხეს. ახალი მოძღვრებისათვის არ არსებობს დღე, საათი და წამი ცხოვრებისა, როცა კეთილი საქმეების კეთება ტაბუდადებული იქნება.

ათონელი ბერები განმარტავენ რა კვირა და სადღესასწაულო დღეების საუფლო მნიშვნელობას, რომელიც შრომის რიტმს უკავშირდება, აღნიშნავენ, რომ ეს დღეები დაუბრკოლებლად უნდა დავუთმოთ წმინდა და ღვთივსათნო საქმეებს - ამ დღეებში არ უნდა ვიმუშაოთ. მათი აზრით, ამ პერიოდში სასურველია:

1. ეკლესიაში მისვლა საზოგადო ღვითმსახურებაზე დასაწრებად და საღვთო წერილში განსასწავლად;

2. სახლში ლოცვა და წმინდა წერილის კითხვა ან სულის მაცხონებელი საუბარი.

3. საკუთარი ქონების ნაწილის ღვთისთვის მიძღვნა, მისი გამოყენება ეკლესიასა და მის მსახურთა საჭიროებისათვის, უპოვართა მიმართ ქველმოქმედებისათვის, სნეულთა და დატყვევებულთა საპყრობილეში მონახულება და ქრისტიანული სიყვარულის გამომხატველი სხვა საქმეების აღსრულება.

ათონელი მამების მიხედვით ექვსდღიანი სავალდებულო „სამუშაო კვირა“ კიცხავს მათ, „ვინც სადაგ დღეებში თავიანთი წოდების შესაფერისად არ საქმიანობენ და უქმად ფანტავენ დროს.“[1]

საყურადღებო განმარტებას გვაძლევს არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი), რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მეშვიდე დღეს შრომა: ”ორშაბათ დილას ბევრ ჩვენგანს წინასწარ უფუჭდება გუნება იმ მიზეზით, რომ მეორე დღეს სამსახურშია წასასვლელი... ჩვენ ისე ჩაგვითრია ყოველდღიური საზრუნავების მორევმა, რომ სიკვდილი დაგვავიწყა. გამოგლიჯეთ თუნდაც ერთი დღით თქვენი სული ამაოების კლანჭებს და მიუძღვენით დღე მეშვიდე უფალს მისი მცნების თანახმად! თქვენ დარწმუნდებით რამდენად მოწესრიგდება თქვენი ცხოვრება! უფალი აკურთხებს თქვენს შრომას, ოჯახს, სახლს, თქვენს მიწიერ ღვაწლს!“[2] მამა იოანეს არ ავიწყდება,

---

[1] ,,ათი მცნების განმარტება. ცოდვა და საჯელი. საუბრები ათონელ ბერებთან“. თბ. ,,ხარება“, 2006. (ელექტრონული ვერსია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ვებგვერდის მიხედვით: www.eparchy–batumi.ge)

[2] **არქიმანდრიტი იოანე** (კრესტიანკინი), აღსარების აგების გამოცდილება. (ამონარიდების ელვერსია სატზე: www.kvirike.ge)

ისეთი ფაქიზი ნიუანსები, როგორიცაა, ორშაბათს გუნების გაფუჭება მოსალოდნელი შრომითი კვირის გამო (ლოცვის მაგივრად, რომ უფალმა გვაკურთხოს, დავიწყოთ შრომითი საქმიანობა), დაუდევრობა, გულისხმიერი და შრომისმოყვარე მუშაკის განკითხვა, ავადმყოფობის „გამოგონება“ შრომაზე თავის არიდების მიზნით და ა.შ. ამ მხრივ მკაცრია მეექვსე მსოფლიო კრება (მეოთხმოცე კანონი), რომლის თანახმადაც ,,ერისკაცი, რომელსაც არ აქვს რაისამე გასაჭირი ან დაბრკოლება, თუ სამ კვირა დღეს არ დაესწრება ღვთიმსახურებას, განიკვეთოს“.

ასევე საინტერესოა ათონელი ბერის, მამა პაისის მოსაზრებები კვირა დღის უფლის მიძღვნასთან დაკავშირებით. იგი დანანებით აღნიშნავს, რომ მონასტრებშიც კი რაღაც ერული სული გამეფდა და დიდ დღესასწაულებსა და კვირაობით ნაშუადღევის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ „სულიერად გაძღნენ ამ დღეს“, ბერები მორჩილებაზე მიდიან (ანუ ძირითადად საქმიანობენ - ნ.ჩ.). მამა პაისი წმინდა ანას სკიტელ ბერს - მამა მინას იგონებს, რომელსაც კვირა დილას მეთევზემ ახალი თევზი მიუტანა. როცა ბერმა გაიგო, რომ თევზი კვირას იყო დაჭერილი, „დაწყევლილი ძღვენი“ არ მიიღო და ურჩია კატისათვის გადაეგდოთ. კატამაც კი ზურგი შეაქცია ნობათს.[1]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შრომის ანაზღაურების ქრისტიანული სისტემა. თანამედროვე პირობებში ეს ერთ-ერთი ძირეული საკითხია რამდენიმე გარემოების გამო:

1. ხშირია კონფლიქტები დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, რასაც არცთუ იშვიათად მოჰყვება გაფიცვები, მანიფესტაციები და სახალხო მღელვარებები;

2. საოჯახო მეურნეობების მიერ დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული შემოსავლები ზრდის ტენდენციით გამოირჩევიან;

3. თანამედროვე პირობებში ხშირია ასევე კონფლიქტები მართვის რგოლსა (ე.წ. „თეთრსაყელოიანები“) და დაქირავებულ მუშაკებს შორის.

4. შრომის ანაზღაურება ეროვნული შემოსავლის ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია (რენტასთან, მოგებასთან და სარგებელთან ერთად) და მასზე მოდის ამ მაჩვენებლის 60-85%. (მსოფლიო შრომითი რესურსები 3,3 მლრდ. კაცია, ხოლო უმუშევრობის საშუალო დონე 30%).

---

[1] ჟურნ. „კარიბჭე“, №1, 2011. გვ. 11.

ცხრილი 1.4.4.

მსოფლიოს ქვეყნები უმუშევრობის მაღალი და დაბალი დონეებით[1]

ქვეყანა	უმუშევრობის დონე (%)	ქვეყანა	უმუშევრობის დონე (%)
ნაურუ	90,0	ანდორა, მონაკო	0
ლიბერია	85,0	კატარი	0,4
ზიმბაბვე	80,0	აზერბაიჯანი	0,9
ბურკინა-ფასო	77,0	ტაილანდი, ლიხტენშტეინი, მოლდოვეთი, ბელორუსი	1,4-1,6
თურქმენეთი	60,0	დანია	1,8
ჯიბუტი	59,0	სეიშელის კ-ბი, კუვეიტი, სინგაპური	2-2,2
ზამბია	50,0	ტაჯიკეთი	2,3

ეკონომისტები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ „უმუშევრობა აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან“.[2] ამდენად, სიზარმაცისაკენ მისწრაფებით ან არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით საზოგადოება საკმაოდ ნეგატიური შედეგებით ისჯება.

თუკი ქრისტიანული ეკონომიკის პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, წინააღმდეგობა თითქოს გარდუვალია, რამდენადაც მოყვასისთვის უნდა გვინდოდეს მეტი, რაც გამოიხატება მეტი შრომისა და ზრუნვის გაწევით და მივიღოთ მცირედი, მოკრძალებული გასამრჯელო, მოგება. რაც მეტი ეკონომიკური სუბიექტი და ინდივიდი ისარგებლებს ამ პრინციპით, მით ნაკლები იქნება ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები.

შრომის ანაზღაურების ბიბლიური პრინციპებიდან უმთავრესია შრომის დროული ანაზღაურება. ამ მხრივ შთამბეჭდავია იაკობის საყვედურნარევი სიტყვები ლაბანის მისამართით არა იმდენად იძულებითი შრომის გამო რახელისა და ლიას „მოსაპოვებლად“, არამედ შრომის ანაზღაურებაში, გასამრჯელოს ოდენობაში მუდმივი ცვლილებების შეტანისათვის: „ესე ოცი წელი არს ჩემი, ვინათგან ვარ მე სახლსა შენსა. გმონე შენ ათოთხმეტი წელი ორთა ასულთა შენთათჳს და ექუს წელ ცხოვართა შენთა

[1] **Олейник А.** Страны Мира в Цифрах / 2010. Электронное издание. ст. 56, 93. (www.alleng.ru)

[2] **აბესაძე რ.,** უმუშევრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი განმარტების შესახებ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2009. გვ.11-12.

ზედა და შეურაცხ-ჰყავ ყოველი სასყიდელი ჩემი ათთა მათ ტარიგთათჳს“ (დაბ. 31.41).

ძველ აღქმაში მნიშვნელოვანია ასევე მინიშნება შრომის ანაზღაურების შესახებ. მისი უმთავრესი ნაწილია დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთობა. მასში უპირველესი პირობაა კუთვნილი ჯამაგირის სრული და დროული მიღება: „ნუ დაჩაგრავ მოჯამაგირეს და ღარიბ-ღატაკს, შენი მოძმე იქნება ის თუ შენს ქვეყანაში, შენს კისერზე მცხოვრები მდგმური. თავის დროზე გადაუხადე გასამრჯელო და ნუ დაუცდი მზის ჩასვლას, რადგან ღარიბია იგი და შენი იმედი აქვს; არ გიჩივლოს უფალთან და ცოდვა არ დაგედოს“ (II სჯ. 24:14-15). „ვაი იმას, ვინც...მუქთად ამუშავებს თავის ახლობელს და გასამრჯელოს არ აძლევს“ (იერ. 22:13). გასამრჯელოს გადახდა არა მხოლოდ უცხოთათვის, არამედ ახლობელთათვისაც აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

იგივე აზრია გატარებული იაკობის ეპისტოლეშიც - ყანის მუშაკებისათვის დაკავებული (გადაუხდელი) საფასური იმდენად ღვთისმოუწონარი საქმეა, რომ უფლის ყურამდეც აღწევს: „აჰა, საფასური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანის მომკალთ, ღაღადებს; და მომკალთა ღაღადისმა მიაღწია ცაბაოთ უფლის ყურამდე“ (იაკ. 5:4).

შრომის ანაზღაურების მართლმადიდებლური საწყისების შესწავლამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე გავრცელებული იყო სამუშაო ძალის დღიური დაქირავება და შესაბამისად დღიური ანაზღაურება. ნამუშევრის საზღაური საღამოს გაიცემოდა. მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების პერიოდში არაკვალიფიციური მუშაკის დღიური შრომა ფასდებოდა 1 რომაული ვერცხლის დინარად (3,5 გრამიანი მონეტა), რომელიც ბერძნულ დრაქმას უტოლდებოდა. ასეთივე იყო მეომრის დღიური ანაზღაურებაც. ეს არ იყო დიდი თანხა, თუმცა „დღიური მუშისათვის“ ხშირ შემთხვევაში შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. დაქირავებულისათვის საზღაური განისაზღვრებოდა მოკლევადიანი მოლაპარაკებებით დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

ეს ურთიერთობები კარგად ჩანს იგავში ვენახის მუშაკებზე და მათ საზღაურზე: ვენახის პატრონი დილაადრიან გადის, რათა ვენახში მუშაკი დაიქირავოს. მოძებნა რა საჭირო პიროვნებები „აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა

და წარავლინნა იგინი ვენაჴსა თჳსსა“ (მათ. 20:2), ანუ დღეში თითო დინარად (როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი იყო არაკვალიფიციური შრომის საშუალო „საბაზრო“ საფასური. - ავტ.) მოურიგდა და გაისტუმრა საკუთარ ვენახში“.

ამდენად, ჯერ ერთი, ვენახის პატრონი, რომელიც მიდის განსაზღვრულ ადგილას, სადაც ეიმედება, რომ დაიქირავებს მუშახელს, ნიშნავს, რომ რაღაც ფორმით (თუნდაც ყველაზე უმარტივესით) ადგილი აქვს შრომის ბირჟის არსებობას. მეორეც, იდება ზეპირი ხელშეკრულება მხარეთა ვალდებულებების შესახებ: დაქირავებული ვალდებულია კეთილსინდისიერად იმუშაოს ვენახში დადგენილი ანაზღაურებით დღის ბოლომდე (12 საათი), ხოლო დამქირავებელმა დროულად და სრულად უნდა აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება. სახლის პატრონმა სამუშაო დღის დაწყებიდან მესამე, მეექვსე, მეცხრე და მეთრეთმეტე საათზე ბაზარში უქმად მდგომი მუშაკები დაიქირავა და თავის ვენახში გაუშვა: „წარვედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ“ (მათ. 20:7).

აქ შესაძლებელია ორი ვარიანტის განხილვა: უქმად იყვნენ იმის გამო, რომ მუშახელი (სამუშაო ძალა) ბევრი იყო, ხოლო მოთხოვნა სამუშაო ძალაზე - მცირე. ასეთი შემთხვევა მისაღებია, რამდენადაც სამუშაო ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე მოუქნელი ბაზარია, რომელიც ცვლილებებზე ძალზე მდოვრედ, ტლანქად რეაგირებს. ამ ფაქტორსაც შეიძლებოდა გამოეწვია ნაკლები მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს არაკვალიფიციურ შრომასთან და მის ანაზღაურებასთან. მეორეც, შესაძლოა, სამუშაო ძალის ეს წარმომადგენლები უქმად იყვნენ სიზარმაცის გამო - მათ იცნობდათ დამქირავებელი. ორივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ახალდაქირავებულებს უხარიათ, რომ სამუშაო იშოვეს და დამსახურებულ ანაზღაურებას მიიღებენ.

როცა ყველა მუშაკისათვის გასამრჯელოს გასტუმრების დრო დადგა, გარკვეული კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა დამქირავებელს და ცალკეულ დაქირავებულებს შორის, რამდენადაც მეთერთმეტე საათზე დაქირავებულებმაც და დილის დაქირავებულებმაც ერთნაირი ანაზღაურება (თითო დინარი) მიიღეს. ამ კონფლიქტს ჰქონდა საფუძველი, რადგან დამქირავებელმა ყველას მიმართ „მოსწორების“ პრინციპი

გამოიყენა, თუმცა ასეთი იყო დამქირავებლის შეუვალი გადაწყვეტილება: „მეგობარო არ გაწყენინებ, განა ერთ დინარად არ მომირიგდი?“ (მათ. 20:13).[1]

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ დასაქმებულები შრომის ბაზარს ხელფასის ან ანაზღაურების სანაცვლოდ აწვდიან თავიანთ შრომით შესაძლებლობებს. დამსაქმებლები, იყენებენ მათ ანაზღაურების სანაცვლოდ, თუკი დასაქმებულისათვის, ამ გადაწყვეტილების მიღებით რეალური შემოსავალი დამაკმაყოფილებელი იქნება. ამდენად, მნიშვნელობა აქვს, რა სახის შემოსავალს მიიღებენ ისინი, შეიძენენ თუ არა საქონლისა და მომსახურების სათანადო ნაკრებს. ამრიგად ადგილი აქვს თანაფარდობას:

რეალური ხელფასი = ნომინალური ხელფასი/სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი)

ნომინალური ხელფასი - ეს გამომუშავებული ხელფასია, ხოლო სფი-ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი ინდექსია, რომელიც სხვადასხვა დასახელების საქონელსა და მომსახურებას შეიცავს. როგორც ფორმულა გვიჩვენებს, რაც მეტია სფი, მით ნაკლებია რეალური ხელფასი (შემოსავალი).

ამდენად, სახარებაში გამოთქმული თეზა „მუშაკი ღირსია სასყიდელისა თვისისა“, ნიშნავს, რომ ჯერ ერთი, შრომის საზღაურის მიღება არ არის საძრახისი, თუკი ეს შრომა კეთილსინდისიერი, პატიოსანი და ღვთივსათნოა და მეორეც, რეალური ხელფასი (შემოსავალი) მისაღები უნდა იყოს მუშაკისათვის, მან ამ შემოსავლის მიღების შემდეგ უნდა შეძლოს მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ღმერთისათვის კარგი საქმის კეთებაა საჭირო. პავლე მოციქული თავისი ძირითადი სასულიერო საქმიანობის გარდა კარვებსაც კერავდა, რათა საკუთარი თავიც ერჩინა და სხვებსაც მიხმარებოდა. ლუკა მახარებელი ექიმიც იყო და ხატავდა კიდეც. მოციქული ბრძანებს: “ხოლო ყველამ თავისი საქმე გამოსცადოს და მაშინ ექნება სიქადული თვისით და არა სხვისით” (გალატ. 6.6). უფლის თორმეტი მოციქულიდან თერთმეტი გენესარეთის ტბის მეთევზე იყო (ნიშანდობლივია - ჯერ ჩვეულებრივი, ხოლო ქრისტეს შედგომის შემდეგ ადამიანთა სულების მებადრურობა-ნ.ჩ.)

---

[1] **ნ. ჩიხლაძე** „შრომისა და სამეწარმეო უნარის მართლმადიდებლური გააზრების საკითხებისათვის“ . ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“ №5, 2009; **Лукин С. В.,** „Основополагающий принцип христианской экономии“, журн. „Проблеми современной экономики“, №3/4 , 2005.

უნდა შევეხოთ მორალურ მხარესაც - დამქირავებელი გულკეთილია და ებრალება გვიან დაქირავებულები, რომელთაც აშკარად არ ეკუთვნით მიღებული ანაზღაურება. თუმცა გულკეთილი მუშაკი ხელმძღვანელობს პრინციპით: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“ (I ტიმ. 5:18).

შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლური შრომის სოციალური კონცეფციის ძირითადი პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: იშრომო, რათა საკუთარი ოფლით მოიპოვო სარჩო-საბადებელი, არავინ დაამძიმო შენი ყოფით და იშრომო, რათა შეეწიო გაჭირვებულებს, რამდენადაც ნებისმიერ საზოგადოებაში ყოველთვის არიან ინვალიდები, შრომისუუნარონი, ქვრივ-ობოლნი, ლტოლვილნი, ნაკლებშემოსავლიანი ფენები და ა.შ. გავიხსენოთ, რომ უფალმა აბრაამს აღუთქვა ისრაელის ერის და ქვეყნიერების სრული სიკეთეები, თუმცა აღთქმული მიწა შრომის, ბრძოლის, გარჯისა და ლოცვა-ვედრების გარეშე არ მიუღია ებრაელ ერს. შრომისა და გარჯის შედეგად მიღებული წყალობა უფრო “გემრიელია“ და დასაფასებელი.

შრომა და ლოცვა განუყრელი ქმედებებია ადამიანის სულის საცხოვნებლად. წმინდა მამები და საეკლესიო მოღვაწენი ხშირად იგონებენ ასეთ ამბავს: “კაცი ნავში იჯდა და თევზაობდა. მასთან მივიდნენ ორნი და სთხოვეს მეორე ნაპირზე გაყვანა. შუა მდინარეში ერთმა შეამჩნია ნიჩბებზე წარწერები: ერთზე ეწერა ილოცე, მეორეზე-იშრომე”.

ქრისტიანული საზოგადოება, რომლისთვისაც სამართლიანი გადანაწილება უმთავრესია, მათ ზურგს ვერ აქცევს. ასეთი შრომა აწრთობს სულს და ამაგრებს ადამიანის ორგანიზმს. აძლევს საშუალებას ქრისტიანს ღვთივსათნო საქმეები აკეთოს: „რწმენაც საქმის გარეშე მკვდარია თავისთავად“ (დაბ. 2:17). მუშაკი ღირსია მიიღოს საკუთარი შრომის საზღაური: „რომელ ჯარისკაცს უმსახურნია როდესმე თავის ხარჯზე? ვინ რგავს ვაზს და მისგან ნაყოფს არა სჭამს? ვინ მწყემსავს ნახირს და ნახირის რძეს პირს არ აკარებს? მხვნელმა უნდა ხნას იმედით, მლეწავმა კი წილის იმედით (I კორ. 9:7,10). მშრომელმა ქრისტიანმა არ უნდა დაივიწყოს ნაკლებშემოსავლიანი და სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფი მოყვასი: „როცა ვენახს დაკრიფავ, მომტვრევას ნუღარ დაუწყებ - მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეს“. (II რჯ. 24:20).

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა და თეოლოგთა ერთი ნაწილი აღნიშნავს რა შრომის ქრისტიანული გაგების მნიშვნელობას, შრომასთან მიმართებაში გამოყოფს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- შრომა ქრისტიანმა არ უნდა მიიღოს, როგორც მისი ცოდვილი ბუნების გამო პირდაპირი გაგებით, რაიმე „წყევლის, ან ანათემის“ სახე, ან კიდევ ცოდვით დაცემის ღალა, ბეგარა და მისი „გამოსყიდვის“ თითქოს ერთადერთი საშუალება (თუ არ გავითვალისწინებთ მძიმე პირობებს საკონცენტრაციო ბანაკებში, პენიტენციალურ იზოლატორებში; ინტერვენციის, ან მოსახლეობის გენოციდის დროს იძულებით შრომას და ა.შ.);

- შრომა ქრისტიანისათვის მომავალი ცხოვრების მზადების საფუძველიცაა და ის ლოცვასა და მარხვასთან ერთად უნდა იქცეს მისი სულის გადაჩენის ძირითად საშუალებად;

- შრომა ქრისტიანისათვის მხოლოდ სიმდიდრის, დოვლათის შექმნის თვითმიზანი არაა, იგი ასევე უნდა ემსახურებოდეს მოყვასის და საზოგადოების ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას, საყოველთაო კეთილდღეობას და ა.შ.

აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს სიმდიდრე, კონკრეტულად, თითქოს წყალობაა, ან სასჯელი მართებული არაა. უპირველესად, ადამიანისთვის იგი არის, ალბათ, განსაცდელიც და პასუხისმგებლობაც ღვთისა და მოყვასის წინაშე, ხოლო თუ ადამიანი გაცდება ამ საზღვრებს და გამდიდრების უწყვეტი მიდრეკილებისკენ მიდის, მაშინ ასეთი შრომის ნაყოფი ფუჭია და საქმიანობაც აუცილებლად მოექცევა ჩიხში.[1]

საკითხთის გააზრება მართლმადიდებლურ სწავლებასთან მიმართებაში რამდენიმე ძირითადი ასპექტის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს:

ა) მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათნო საქმიანობის (შრომის) შედეგად საზრდოს მოპოვება არის ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: “ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!” (ფსალმ. 127). შეურიგებლობა სიზარმაცისა და სარჩოს დაუმსახურებლად მოპოვებისადმი ამავდროულად ერთგვარი გამოწვევაცაა

[1] **ბაკურაძე ა., ვირსალაძე ნ.** შრომის არსის გაგების საკითხისათვის. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“. შრომების კრებული. 2010.

კორუფციისა და უშრომელი შემოსავლისადმი, ათასგვარი მაქინაციებით, მოტყუებით, ქრთამის აღებ-მიცემობით საქმის კეთებისადმი. წმინდა პავლე მოციქული გამოხატავს სიმკაცრეს და შეუვალობას ამ საკითხისადმი: „უკეთუ ვისიმე არა უნებს საქმის, ნუცაღა ჭამნ" (2 თეს., 3,10)[1], ანუ ვისაც შრომა არ სურს, მან არც უნდა ჭამოს! ან კიდევ, "ნაყოფი ნაშრომთა შენთაი სჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილ გეყოს შენ" (ფს. 127)

ბ) სამეწარმეო უნარი არის განსაკუთრებული უნარი, რომელიც გერგილიანობას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ აღქმას პროგნოზირების უნარს და მრავალ სხვა თვისებას მოიცავს. შეიძლება საკმაოდ კარგი თეორიული ეკონომიკური განათლება მიიღოს ინდივიდმა, შეისწავლოს ენები და ა.შ., მაგრამ სათანადო სამეწარმეო უნარი არ აღმოაჩნდეს. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღვთისაგან ბოძებული უნარი. წმინდა ილია მართალი აღნიშნავს: „თუ სამართლიანი კაცი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის მოქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა"[2].

გ) მეწარმე ორგანიზებას უკეთებს საქონლისა და მომსახურების წარმოებას არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისათვის. საბაზრო სისტემაში, რომელიც შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და საქონელგაცვლას ეყრდნობა, წარმოება მრავალჯერადი პროცესია. მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა თვითონ არ აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც მოიხმარს, ან იმის მცირე ნაწილს მოიხმარს, რასაც აწარმოებს. თუმცა, მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არ ევლინება ადამიანი ქვეყნიერებას.

დ) რაც უფრო წარმატებულია მეწარმე (სხვებისათვის), მით მეტი რესურსების კონცენტრაცია ხდება მასთან – საბაზრო მექანიზმის მაღალი ეფექტიანობა აჯილდოებს

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის აპოლოგეტებმაც იგივე "დაასკვნეს" და სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად იდეოლოგიურ რეფრენად აქციეს - "ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს", ოღონდ, მნიშვნელოვანი დაგვიანებით.

[2] საგულისხმოა, რომ სწორედ ილია მართალმა, „ერის მამამ" ფაქტობრივად იხსნა ერი უნიათო თავადებისაგან და ქართული მიწები გადაარჩინა ჩალის ფასად უცხო ჯურის წარმომადგენლების მიერ ხელში ჩაგდებისაგან.

მეწარმეს წარმატებული მუშაობისათვის. მეწარმე სიკეთის მქმნელია, თუკი ბიზნესის ეფექტიანი ორგანიზებით (მაგ., ხელმისაწვდომი ფასები ხარისხიან საქონელზე და ა.შ.) ადამიანებს აძლევს შესაფერის, ანაზღაურებად სამუშაოს.

ღირს ვიფიქროთ, რომ კაპიტალის დაგროვების პროცესში მთავარია არა ის, თუ რამდენს ფლობს ინდივიდი, არამედ როგორ მოიპოვა და რა ნორმების დაცვითაა ჩართული ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამასთან, მართლმადიდებელი მეწარმისათვის გარდაუვალი უნდა იყოს ფიქრი მოყვასზე, მხარდაჭერასა და უპოვარის თანადგომაზე. შესანიშნავად ამბობს იოანე ოქროპირი: "გინდა, რომ იყოს შენი სიმდიდრე, საუნჯე წარუპარველი, დაჰფალ იგი მუცელსა გლახაკთასა".

გადავხედოთ სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ისეთ თანამედროვე ელემენტს, როგორიცაა სრული დასაქმების მიღწევა. ამ თეზის მიხედვით სამუშაო უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, ანუ ერისკაცთა მეცადინეობა უნდა მიემართოს იმისაკენ, რომ ღვთის განჩინებით ყველამ გამოიმუშაოს საზრდო, ღვთისაგან ბოძებული. ამასთან, ღვთიურ განგებას მინდობილი ბიზნესი უნდა ემორჩილებოდეს ცნობილ მცნებას, რომლის მიხედვითაც კვირაში 6 დღე პატიოსან შრომას უნდა ეთმობოდეს, ერთი კი მხოლოდ ღმერთს.

უმუშევრობის "გამართლება" ხშირად ხდება დაბალი გასამრჯელოთი, რაც ქურდობის ერთ-ერთი ძირითადი "ბუნებრივი სტიმულია" ("აბა რა უნდა ექნა" და ა.შ.). ღმერთს არ უბრძანებია, რომ თუკი ბევრს არ აიღებ, საქმეს თავი უნდა მიანებო. პატიოსნად შრომა და უფლის რწმენა ყოველგვარი ჯამაგირის სიმწირეს გადაფარავს. ვინც ცოტას დასჯერდა, უფალმა უთხრა: "რომელი მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინოო". თანამედროვეობის დიდი მოღვაწე, ბერი პაისი ათონელი აღნიშნავდა: "რაც უფრო მეტად შორდებიან ადამიანები უბრალო, ბუნებრივ ცხოვრებას და მიელტვიან ფუფუნებას, მით უფრო იზრდება მათი მოუსვენრობა და რაც უფრო იხვეწება ამსოფლიური თავაზიანობა, მით უფრო იკარგება უბრალოებაც, სიხარულიც და ბუნებრივი ადამიანური ღიმილიც".[1]

---

[1] ჟურნ. "კარიბჭე", №24, 2007. გვ. 13.

მეტად საგულისხმოა წმინდა ნიკოლოზ სერბის დამოკიდებულება მცონარებისა და უმაქნისთა მიმართ. ადამიანთა ამ კატეგორიას იგი ურჩევს, თუ ადამიანებს არ გაუგონებენ, ჭიანჭველებსა და ფუტკრებს შეხედონ და მაგალითი იმათგან მაინც აიღონ: „მიდი ჭიანჭველასთან, მცონარავ, დააკვირდი მის ქცევას და ჭკუა ისწავლე“ (იგავ. 6:6). წმინდანის აზრით „ფუტკრებთან შეიძლება გავგზავნოთ ხელზარმაცი და გონებაზარმაცი (შესანიშნავი ტერმინია ინტელექტუალური სიზარმაცის გადმოსაცემად - ავტ.), რათა ისწავლონ შრომისმოყვარეობა, ზომიერება, წესრიგი“.[1]

მავანნი უსაფუძვლოდ ფიქრობენ, რომ დიდი სულიერი ღვაწლის მიუხედავად, სასულიერო პირებს ნაკლები ფიზიკური შრომა უწევთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბერ-მონაზვნები ხორცის მოსვენებას დღე-ღამეში სამ საათს უთმობენ, დანარჩენ დროს კი ლოცვასა და მღვიძარებაში ატარებენ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი, მონასტრებში დადგენილი წეს-განგების თანახმად, აუცილებელ ელემენტს - ფიზიკურ შრომას ეთმობა.[2]

უნდა აღინიშნოს იმ სირთულეთა შესახებაც, რაც არსებობს თანამედროვე პირობებში შრომისა და ლოცვის რიტმების (პერიოდების) შეთანწყობასთან დაკავშირებით. თანამედროვე ქრისტიანს სულ უფრო უჭირს დოგმატურად განსაზღვრული ლოცვისა და ღვთისმსახურების სისტემებში „ჩაჯდომა“ დღის და კვირის განმავლობაში. ასეთი საშუალება, სამწუხაროდ, მხოლოდ მონასტრებში შემორჩა. მათ გარეთ, ანუ მცირე ეკონომიკური სისტემების მიღმა შრომის რიტმი ზრდადი ასინქრონულობით გამოირჩევა.

ინდუსტრიულ მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებაში სადაც განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა და სხვა დარგები, რაც უწყვეტ წარმოებას უკავშირდება, შრომის ასინქრონიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა (მსოფლიო მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა ასეთია: დასაქმებული სამუშაო ძალის 20,5% მრეწველობაშია დასაქმებული, 39% მომსახურების სფეროში, ხოლო 40,5% სოფლის მეურნეობაში)[3].

---

[1] **წმინდა ნიკოლოზ სერბი.** წერილები. ჟურნ. „კარიბჭე“, №21, 2009.

[2] მთაწმინდაზე არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც აქ მისულმა მორჩილმა მებაღედ უნდა იმუშაოს. ასევე სასურველია ყველა მონაზონმა იცოდეს მებაღეობა.

[3] **Олейник А.** Страны Мира в Цифрах / 2010. Электронное издание. (www.alleng.ru)

მაღალი ტემპების პირობებში არამარტო დილის და საღამოს ლოცვების წაკითხვა, არამედ კვირის გამონთავისუფლებაც კი დიდ პრობლემას წარმოადგენს. ბევრი მორწმუნე, რომლებიც ვაჭრობისა და მომსახურეობის სფეროშია დაკავებული, ვერც კვირაობით ახერხებს წირვაზე მისვლას, რადგანაც კვირა მათთვის დატვირთული სამუშაო დღეა. იგივე ითქმის ტრანსპორტზე, რომელიც უწყვეტი წარმოების (მომსახურეობის) კიდევ ერთი მაგალითია.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ასევე გაიზარდა დისტანციურად მომუშავე მუშაკთა რიცხოვნება, რომლისთვის ურთიერთობის ძირითადი რგოლი ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტაა. მათ გაცილებით მეტი თავისუფლება აქვთ აირჩიონ და არეგულირონ შრომის რიტმი, ასეთ პირობებში მეტადაა შესაძლებელი მოხდეს შრომისა და საეკლესიო რიტმის ჰარმონიზაცია.

ამდენად პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ძლიერდება შრომის რიტმის ინდივიდუალიზაციის და ასინქრონულობის ტენდენცია. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოება თითქმის უწყვეტი რიტმით შრომობს და ვერ ახდენს ჰარმონიზაციას საეკლესიო რიტმთან.

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვნად უკავშირდება რესურსების შეზღუდულობის პრობლემასაც.[1] კერძოდ, რესურსების შეზღუდულობის და ალტერნატივებს შორის უცილობელი არჩევანის პირობებში (№1 პრინციპი), ერში მცხოვრებმა ინდივიდმა თვთონ უნდა განსაზღვროს და დაარეგულიროს დროის (რესურსის) რა ნაწილი მიუძღვნას უფალს და რა ნაწილი მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, მორწმუნე ქრისტიანისათვის, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორისთვისაც, გარდაუვალად და შესაძლებლად მიგვაჩნია ინდივიდუალური შრომის რიტმის იმგვარად დაგეგმვა (შემუშავება), რომ უფალს შევწიროთ და მოვახმაროთ დროის ბიუჯეტის სათანადო ნაწილი. ამ მხრივ სასარგებლო იქნება ბერი პაისის დარიგება: “ნამდვილი ადამიანი არის არა ის, ვინც სწორად ლაპარაკობს, არამედ ის, ვინც ცხოვრობს სწორად, სახარების მიხედვით“.

[1] უფრო დაწვრ. იხ. წინამდებარე ნაშრომის წინა (1.3.) პარაგრაფი.

ამდენად, მარტოოდენ საუბარი თუნდაც ლოცვა ქმედების, მუშაკობის, რეალური ღვთივსათნო საქმის გარეშე სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში დამაფიქრებელია ერთი მომენტიც: შრომის, შრომითი საქმიანობის მხოლოდ ფულის შოვნაში, მატერიალურ მისწრაფებაში გაიგივება, ამის დადასტურებაა თუნდაც „პრესტიჟული“ (ეკონომისტი, იურისტი) და მოძველებული, უსარგებლო პროფესიების (ისტორიკოსი, ფილოლოგი) გამიჯვნა.[1] საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობით. უამრავი იურისტი და ეკონომისტი გვყავს, თუმცა კვალიფიციურის მოძებნა საკმაოდ რთულია, ამ მხრივ რაოდენობრივობა ხარისხობრიობაში ასახვას ნამდვილად ვერ ჰპოვებს! იძენენ ამ პროფესიებს პრესტიჟის, „დიპლომიანი“ სასიძოებისა და სარძლოების სახელის მოსაპოვებლად და ა.შ.

ამდენად, ქრისტიანული მორალი მიგვანიშნებს ძირითად პოსტულატებს, თუ რა უნდა დაუდოს ერმა საფუძვლად შრომას, სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებს, უპოვართა მხარდაჭერას, მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებას, ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებას, განსაკუთრებით სამართლიანობის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით.

[1] ჟურნალ „Forbes“-ის ინფორმაციით, 2010 წელს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს - ამერიკულ ბაზარზე ყველაზე პრესტიჟული იყო: აქტუარის პროფესია (სპეციალისტი, რომელიც აფასებს ზარალსა და კომპენსაციებს სოციალური და სადაზღვევო კომპანიებისათვის), ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი, სტომატოლოგის თანაშემწე, ისტორიკოსი, ბიოლოგი, მათემატიკოსი და ადვოკატის თანაშემწე. უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ნავთობმომპოვებელი მუშები, რძის მწარმოებელი ფერმერები და ტყის მჭრელები (www.ru.tsn.ua).

თავი II. გადასახადის, წყალობისა და მადლის მართლმადიდებლური ასპექტები
2.1. გადასახადები და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები

გადასახადებს კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს. თანამედროვე გაგებით ,,გადასახადი“ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მომსახურების ფინანსირების გაწევის ძირითადი საშუალებაა. რამდენადაც სახელმწიფოს მიერ საკუთარ ფუნქციათა შესრულების ეფექტიანობა მის ფინანსურ სიძლიერეს, მის შემოსავლებს უკავშირდება, გადასახადები, როგორც შემოსავლების ძირითადი ნაწილი (წყარო) უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებაში.

თანამედროვე სახელმწიფო XVI-XVII საუკუნეებში, ახალი ისტორიის ადრეულ პერიოდში გაჩნდა ევროპაში. სახელმწიფოს ფაქტობრივად არ გააჩნდა საგადასახადო თეორია, თუმცა საკანონმდებლო ორგანო პერიოდულად აწესებდა ამა თუ იმ გადასახადს და ნებას რთავდა აღმასრულებელ ხელისუფლებას აეკრიბა ისინი. საგადასახადო ტვირთი უმეტესწილად სოფლის მცხოვრებლებსა და ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენლებზე გადადიოდა, საგადასახადო სამართალი კი ყოველთვის დისკუსიის საგნად რჩებოდა.[1]

საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ახალი სახელმწიფოები და მათთან ერთად ახალი საგადასახადო სისტემები. სახელმწიფოს არსებობა და ფუნქციონირება ხომ სტაბილურ შემოსავლებს ითხოვდა. თუმცა მისი ხარჯვის ეფექტიანობა ყოველთვის სადაო იყო. დიდი ეკონომისტი ადამ სმიტი აღნიშნავს: „მთავრობები ყოველთვის უდიდესი მფლანგველები არიან, რადგან სხვათა გამომუშავებულ ფულს ფლანგავენ“.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ძალისხმევას არ იშურებდნენ ქვეყნის მესვეურნი და იჩენდნენ განუზომელ ,,სიბრძნესა და გონს ხარკის იმ ნაწილის განსაზღვრისათვის, რომელიც უნდა აკრეფილიყო“ (შარლ მონტესკიე). ამას საგადასახადო ისტორიაზე ერთი თვალის გადავლებაც ნათელყოფს.

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელმწიფოში შემოღებული იყო ისეთი გადასახადები (ზოგჯერ ალოგიკური და დაუსაბუთებელი), როგორიცაა: ებრაულ გარეგნობაზე (ძვ. რომში), ჰაერისათვის (ბიზანტიაში), ბეღურებზე (გერმანიაში),

---

[1] უფრო დაწვრ., **ნ. ჩიხლაძე** საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი. ქუთ., 2004. გვ. 4-8

ფანჯრებზე (ჰოლანდიაში, ინგლისში), წვერზე, აბანოებზე, ველოსიპედებზე (რუსეთი), თვალის ფერზე (ბაშკირეთი XIIIს.), ხელჯოხზე, მიმინოზე (დიდი ბრიტანეთი), მწეველებზე (უნგრეთი), საზოგადოებრივ ტუალეტებზე (იტალია)[1], ხმაურზე (შვეიცარია), იოლ შემოსავლებზე (სერბეთი), საკვებად საჭირო ჩხირებზე (ჩინეთი), მარტოხელებზე (სსრკ),[2] ქრთამებზე (კუნძული იავა), საჰაერო ბურთებსა და დელტაპლანებზე (უკრაინა), სტიქიურ უბედურებებზე (ჰაიტი) და სხვა.[3]

ფეოდალურ საქართველოში ვხვდებით ისეთ გადასახადებს, როგორიცაა ,,გლახაკთა ნაწილი“ (დააწესა ბაგრატ კურაპალატმა IX ს-ში.), მალი (სულადობრივი გადასახადი), მახტა (გადაიხდევნებოდა ოჯახებზე პურით და ფულით), კულუხი (ღვინის გადასახადი), საბალახე (გადასახადი ცხვრით), პირისთავი (გადასახადი ცხვრით), კოდისპური (გადასახადი ხორბლით და პურით) და სხვა.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემებისათვის შეიძლება გამოიყოს ისეთი ძირითადი კრიტერიუმები, როგორიცაა ნეიტრალურობა, სამართლიანობა და საბიუჯეტო ეფექტიანობა.

ნეიტრალობა ნიშნავს, რომ საგადასახადო სისტემამ არ უნდა შეზღუდოს ეკონომიკური სუბიექტების მიერ გადაწყვეტილებათა მიღება, თუმცა სრულიად ნეიტრალური გადასახადები პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. სამართლიანობის გაგება საზოგადოების განვითარების დონეს უკავშირდება. გადამხდელმა უნდა გადაიხადოს მისი შესაძლებლობების მიხედვით. საბიუჯეტო ეფექტიანობა კი ნიშნავს, რომ მობილიზებისათვის შედარებით მცირე დანახარჯები უნდა იქნას გაწეული.

საინტერესოა რა ძირითადი ,,საგადასახადო პრინციპები“ აქვს მართლმადიდებლობას, როგორია მისი ევოლუცია და თანამედროვე მდგომარეობა? ხომ არ არის ზემოთ დასახელებული თანამედროვე კრიტერიუმები ერთგვარად

---

[1] რომის იმპერატორმა ტიტუს ფლავიუს ვესპასიანემ პირველ საუკუნეში შემოიღო გადასახადი საზოგადოებრივ ტუალეტებზე, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა სახემწიფო ხაზინის შემოსავლები. იმპერატორის შვილისადმი პასუხი ,,ფულს სუნი არ აქვს“ („non olet“), ფრთიან გამონათქვამად იქცა.

[2] ცნობილი ნიკიტა ხრუშოვის მიერ 1941 წელს შემოღებული გადასახადი პირველად XVIII საუკუნეში გამოიყენეს აშშ-ში. ანტიქრისტე მუსოლინიმაც შემოიღო ანალოგიური გადასახადი ე.წ. ,,გაუმართლებელ დაუქორწინებლობაზე“

[3] **Брызгалин и др**. Налоги, люди, время, или этот безграничный мир налогов. Екатеринбург, 2008 г.

მართლმადიდებლობის ,,კარგად დავიწყებული“ უმთავრესი პრინციპების იდენტური, გადმოღებული ან კალკირებული?

გადასახადის მიმართ ბიბლიურ დამოკიდებულებას ,,მოხდენილად“ იყენებენ სათავისოდ სექტანტები და სხვადასხვა მწვალებლური ჯურის მიმდინარეობები. მათი ყველაზე ,,მყარი არგუმენტი“ ახალგადმობირებულთა მიმართ არცთუ იშვიათად არის შემოსავლის მეათედის ეკლესიისათვის გადაცემის აუცილებლობა. გავიხსენოთ ისიც, რომ 70-წლიანი ბატონობის მანძილზე ღვთისმგმობი კომუნისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ ეკლესია და საეკლესიო მოღვაწენი “ზედმეტ ტვირთად“ და “ხარჯების დამატებად“ წარმოედგინათ რიგითი ადამიანებისათვის. ამისთვის აქტიურად იყენებდნენ პროპაგანდისტულ მანქანას, კინემატოგრაფს, „წითელ მწერლობას“ და ათასგვარ ხრიკს. არცთუ იშვიათად აღწევდნენ კიდეც მიზანს. არადა „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული“ (ფსალ. 50)[1].

საკითხის გააზრებისათვის გვერდს ვერ ავუვლით ძველი აღთქმის დამოკიდებულებას გადასახადებთან მიმართებაში. საზოგადოდ, გადასახადები, რომელსაც უფლის კურთხეული მეფეები აწესებენ, უფლის ჩაგონებითაა. ამიტომ, მათი შეცვლა, გადამხდელზე ტვირთის გასაზრდელად, თითქმის არასდროს არის მთავარი მიზნის - შემოსავლების გაზრდის მომტანი. ამის ნათელი მაგალითია ისრაელის სამეფოს ორად გაყოფის საბაბი - სოლომონის მიერ დაწესებული გადასახადების შეცვლა. ამით ისრაელიანები ფაქტობრივად უფალს შეეწინააღმდეგნენ და დაისაჯნენ კიდეც. სოლომონის მემკვიდრემ - რობოამმა, რომელიც არ იყო ღვთის ჭეშმარიტი მადიდებელი, ყურად არ იღო უხუცესთა რჩევა და გაზარდა საგადასახადო ტვირთი, რამაც ებრაელთა ათი ტომი მის მორჩილებას ჩამოაშორა და ცალკე სამეფო ჩამოაყალიბეს.

ზოგადად, ძველი აღქმის კანონის მიხედვით, ნებისმიერმა ადამიანმა ყოველწლიურად თავისი წლიური შემოსავლის მეათედი ღმერთს უნდა შესწიროს. ამის მოქმედნი კურთხეულ არიან ღვთისაგან და უფალი ყველაფერში უმართავს ხელს. წმინდა ამბა დოროთეს მიხედვით, უფლის ორმოცდღიანი მარხვის მაგალითით დაწესებული დიდი მარხვა ერთი წლის ცხოვრების დღეთა ნუსხიდან გამოყოფილი

[1] ტაძარში შესვლის ლოცვაშიც იგივე აზრია გატარებული: „შევიდე სახლსა შენსა მსხვერპლებითა სულისა ჩემისათა და მიგცნე შენ ლოცვანი ჩემნი“.

მეათედია - ამქვეყნიურ ორომტრიალს წართმეული და ღვთის მსახურებაში ჩვენივე კეთილდღეობისათვის შეწირული მეათედი.

პირველად მეათედი მოიხსენიება დაბადებაში: "კურთხეულ არს აბრაამ ღმრთისა მიერ მაღლისა, რომელმან შექმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, და კურთხეულ არს ღმერთი მაღალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი ქუეშე ჴელთა შენთა. და მისცა მას აბრაამ ათეული ყოველთაგან" (დაბ.14:20).[1]

იაკობი მეათედს აწესებს ღმერთისათვის: „და ლოდი ესე, რომელ აღვდგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა, და ყოვლისაგანი, რაოდენი-რაჲ მომცეს მე. ათეული მივსცე მას" (დაბ. 28:22)

მოსე საკუთარ ხალხს ამცნობს ღმერთის მოთხოვნებს, რომელთაგან ძირითადია თავის დროზე ღმერთის შესაწირავის შეწირვა: „ეტყოდა მოსე ყოველსა მას კრებულსა ძეთა ისრაჱლისათა და თქუა: ესე სიტყუა არს, რომელი გიბრძანა უფალმან და თქუა: მოიღეთ თქუენ თავისა თქუენისა შესაწირავად უფლისა. ყოველმან, რომელმან დაიჯეროს გულითა, მოიღოს ნაყოფად პირველად უფლისა ოქროჲ, ვეცხლი და რვალი" (გამოსლ. 35:4-5)

როცა საკმარისზე მეტმა ძღვენმა მოიყარა თავი, ღვთის განგებით, მოსემ შეწყვიტა ძღვენის შეკრება: „უბრძანა მოსე და ქადაგებდეს ბანაკსა მას შინა და იტყოდეს: მამაკაცი და დედაკაცი ნურღარა მოგაქუს ჴსნილად საჴმრად ნივთი იგი კაცისა მის სიწმიდისა, ამიერითგან კმა-ყვედ" (გამოსლ. 36:6).

მოგვიანებით, სოლომონმა მშვენიერი ტაძრის აგების შემდეგ მსხვერპლი შესწირა უფალს (უფლის მიერ მსხვერპლის მიღება და აღიარება უზენაესის მიერ, ზეციდან წამოსული ცეცხლით მსხვერპლის დაწვით დასტურდებოდა, რაც უდიდესი წყალობა იყო): შეწირული ხარების რიცხოვნობამ 22000, ხოლო ცხვრებისამ 120000 შეადგინა.

ბუნებრივია ძღვენი და სიმდიდრე ღმერთს, მითუმეტეს ასეთი ოდენობით არ ესაჭიროებოდა, მაგრამ ეს ქმედება ხელს უწყობდა საზოგადოების რელიგიურ აღზრდას, რწმენის განმტკიცებას (ზოგიერთ შემთხვევაში "საგადასახადო წესრიგთან"

[1] საგულისხმოა, რომ როცა აბრაამმა გამოიხსნა სოდომის ტყვეები და დავლა (მოტაცებული სარჩო), გზაზე მას გამოეგება მეფე მელქისედეკი, რომელმაც პური და ღვინო მიაგება და აკურთხა. თავის მხრივ, აბრაამმა მას დავლის მეათედი ნაწილი მიართვა.

დაკავშირებულ ასეთ ქმედებას მოიხსენიებენ როგორც საგადამხდელო კულტურის ფორმირებას - ავტ.).

საინტერესოა საკითხი: რას გულისხმობდა მეათედი? ეს იყო რენტული გადასახადი, ფულადი გამოსაღები თუ სხვა ბუნების მატარებელი. მეათედი მოიაზრებდა ადამიანის შრომით გამომუშავებულ მეათედ ნაწილს: „ყოველივე ათეული თესლისაგან ქუეყანისა ნაყოფითგან ხისაჲთ წმიდა იყოს უფლისა ღმრთისა. უკუეთუ ჴსნით იჴსნეს კაცმან ათეული თჳსი, მეხუთე იგი შესძინოს მას ზედა, და იყოს იგი მისა. ყოველივე ათეული ზროხათა და ცხოვართაჲ და ყოველივე, რაოდენი განვიდეს რიცხუსა მას კუერთხსა ქუეშე, ათეული იგი იყოს წმიდაჲ უფლისა. არა შესცვალო კეთილი ბოროტად, არცა ბოროტი კეთილად. უკუეთუ შეცვალებით შესცვალო იგი, ნაცვალიცა იგი მისი იყოს წმიდაჲ, არღარა იჴსნეს“ (ლევ. 27:30-33)

ამდენად, ნატურით გადახდილი მეათედის გამოსყიდვისათვის, ანუ მისი ფულადი ექვივალენტით შეცვლისათვის, დამატებით საჭირო იყო მეხუთედის (20%) გადახდა, რაც ბუნებრივია გამოსყიდვის ანტისტიმულს წარმოშობდა. ამ მიმართებით, ვფიქრობთ, ერთის მხრივ, ჩადებული იყო შრომის ნაყოფის, გამომუშავებული რეალური პროდუქტის ნაწილის მიძღვნა ღმერთისათვის და არა ფულის გადაცემა, ხოლო მეორეს მხრივ, 20%-ანი სანქციის დაწესებით რეალური ეროვნული პროდუქტის მატების (ეკონომიკური ზრდის) წახალისება. როგორც ირკვევა, ამ მიმართებით ეფექტიანად იქნა გამოყენებული გადასახადების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია - მასტიმულირებელი ფუნქცია.

საინტერესოა თვით მეათედის გადახდის წესი: მას იხდიდნენ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო მესამე წელ ასევე გარკვეულ ნაწილს (მესამე წლის მეათედს) ქვრივების, ღარიბებისა და ლევიტელთა გამოსაკვებად: „მესამესა წელსა გამოსცე შენ ყოველი-იგი ათეული ნაყოფისა მის შენისაჲ და მასვე წელსა დასდვა იგი ქალაქსა შენსა. და მივიდეს ლევიტელი, რამეთუ არა უც ნაწილ და სამკვიდრებელ შენ თანა და მსხემი იგი, და მწირი იგი, და ქურივი იგი და ობოლი იგი, რომელ იყოს ქალაქსა შენსა, მივიდენ და შეჭამონ იგი და განძღენ, რათა გაკურთხოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთა მათთჳს საქმეთა შენთა, რომელსა იქმოდე შენ“ (II სჯ. 14:28-29)

ზემოთ მოხსენიებულ წყაროებში ვერ ვხვდებით მეათედის გადაუხდელობისათვის საჯარიმო სანქციებს ან რაიმე სახის საურავების დაწესებას. ისრაელის ნებისმიერი მცხოვრები უპირველეს მოვალეობად თვლიდა ღვთის კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების აღსრულებას.[1] წინასწარმეტყველ მალაქიას ეპოქაში ღმერთმა დაადანაშაულა ისრაელელები, რომლებმაც შეწყვიტეს (შეასუსტეს) მეათედის გადახდა და ამით "ღმერთის ძარცვის" გზას დაადგნენ: "უკეთუ ეცრუოს კაცი ღმერთსა? მით, რამეთუ თქუენ მეცრუენით მე, და სთქუთ: რაჲთა გეცრუეთ შენ? რამეთუ ათეულის ზედანი და დასაბამნი თქუენ თანა არიან" (მალ. 3:8).

თანამდეროვე პირობებში მეათედი ფაქტობრივად აზრს კარგავს. ამიტომ ქრისტიანების მიმართ უსაფუძვლოა ასეთი ბრალდება. სამართლიანად აღნიშნავს ღვთისმეტყველების კანდიდატი დიონისე დუნაევი რომ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოწამეობრივმა სიკვდილმა მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის დათხეულმა სისხლმა და ბრწყინვალე აღდგომამ ფაქტობრივად დაასრულეს ადათ-წესებზე დამყარებული მოძღვრება.[2]

მართლაც, "მტერობაჲ იგი ჴორცითა მისითა, შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებითა განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა" (ეფეს. 2:15) და "და აჴოცა ჩუენთჳს ჴელით წერილი ბრძანებით, რომელი იყო ანტაკრად ჩუენდა, და იგი აღიღო შორის და შეჰმსჭუალა ჯუარსა" (კოლ. 2:14).

განვიხილოთ კონკრეტულად, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მეათედმა ახალი აღთქმის ეპოქაში. როცა მთიდან ჩამოსულმა უფალმა განკურნა კეთროვანი, დაავალა: "ეჩვენე მღვდელს და შესწირე ძღვენი, რაც ბრძანა მოსემ მათდა დასამოწმებლად" (მათ. 8:4). ეს დავალება რწმენის განმტკიცებას და სჯულის პირუთვნელ დაცვას ემსახურებოდა.

წმინდა მოციქული პავლე არ განსაზღვრავს კონკრეტულ თანხას ან შემოსავლის ნაწილს, რომელიც ქრისტიანებს ეკლესიის საჭიროებებისათვის უნდა გადაეხადათ,

---

[1] რომის იმპერიის წიაღში ებრაელ ხალხს, საერთო ჯამში, შეიძლებოდა წარმოშობოდა შემდეგი სახის საფინანსო ვალდებულებები: თვით რომის მიერ დაწესებული გადასახადები, მეათედი, ტაძრის შესაწირი, არენდა, კრედიტის სარგებელი (მევახშეთათვის) და საბაჟო გადასახადი.

[2] **Священник Дионисий Дунаев.** Десятина в Библии и в современном протестантизме. Благовещение – библиотека православного христианина. Интернет версия. www.wco.ru/biblio

მაგრამ შემდეგ დებულებას გვთავაზობს: „ყოველ ორშაბათს თითოეულმა თქვენგანმა გადადოს თავისთან ან გადაინახოს წარმატებისამებრ, რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება" (I კორ. 16:2). სასურველი იყო კორინთელებს წინასწარ განესაზღვრათ, თუ რამდენის შეწირვა შეეძლოთ და რეგულარულად დაეზოგათ გარკვეული თანხა: "ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე მეთხოვა ძმებისათვის, რომ წინასწარ მოსულიყვნენ თქვენთან და გაემზადებინათ თქვენი, უკვე აღთქმული ძღვენი, რათა მზად იყოს როგორც ძღვენი და არა როგორც ანგარება" (II კორ. 9:5). ყურადსაღებია მოციქულის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ძუნწად მთესავი ძუნწად მოიმკის, ხოლო კურთხევით მთესველი კურთხევით მოიმკის (შეად. რუსთაველის „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია").

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კანონმორჩილების მოწოდება მოციქულთა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავს: „მიეცით ყველას რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, ვისაც შიში - შიში, ვისაც პატივი, - პატივი" (რომ. 13:7). მოციქულებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამგვარი ელემენტარული წესრიგის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა.

საგულისხმოა ერთი საკითხიც: ახალი აღთქმისეული მიდგომა უფლისათვის, ეკლესიისათვის განკუთვნილი მსხვერპლისათვის, მისი ოდენობისათვის არის მკაცრად ნებაყოფლობითი! ნებისმიერმა ქრისტიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს, რამდენი გადაიხადოს: რწმენის, სიმდიდრის, სინდისისა და შემოსავლების მიხედვით: "თითოეულმა როგორც გულით აირჩია, არც შეწუხებით, არც ძალდატანებით. ვინაიდან სიხარულით გამცემი უყვარს ღმერთს" (II კორ. 9:7). საგულისხმოა, რომ მოციქული ამ შემოსავლების მობილიზებას თანასწორობის უმთავრეს პრინციპს უკავშირებს: "რადგან არა იმისთვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანასწორობისათვის" (II კორ. 8:13). ღირს ვიფიქროთ, რომ ამგვარი თანასწორობა გულისხმობს ფინანსური რესურსების სამართლიან განაწილებასა და გადანაწილებას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის მცდელობას უპოვართათვის და სხვა სოციალური გარანტიების დამკვიდრებას.

შედარებით უფრო გვიანდელ წერილში წმ. პავლე კიდევ უფრო ლიბერალური ხდება "საუფლო გადასახადის" მიმართ და პირველი რიგის ამოცანად ახლობლებზე ზრუნვას მიიჩნევს: "ხოლო ვინც არ ზრუნავს თავის ახლობლებზე, უფრო მეტად კი თავის სახლეულებზე, იგი განუდგა რწმენას და ურწმუნოზე უარესია" (I ტიმ. 5:8). ამდენად წმ. პავლე არ იყო მომხრე ეკლესიის გაწეული შენატანების სტიმულირებისა იმ მასშტაბებით, რომელიც ამ პრინციპს დაარღვევდა. ბიბლიაში არსად ჩანს სხვა მოციქულების მიერ მეათედის აკრების მცდელობა თავიანთი მოღვაწეობის ან ღვთისმსახურების საფასურად: "უთხრა პეტრემ: "ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, ხოლო რაც მაქვს, იმას გაძლევ: იესო ქრისტე ნაზარეველის სახელით იარე!" (საქ. 3:6). თუმცა პავლე მოციქული კმაყოფილია, რომ "მიიღო კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისათვის მოსაწონი" (ფილ. 4:18), მაგრამ მისთვის ამოსავალი პრინციპია დღედაღამ შრომის მიუხედავად ზედმეტ ტვირთად არავის დააწვეს და "ისე ვქადაგებდეთ თქვენს შორის სახარებას" (თეს. 2:9). იდენტური აზრია გატარებული მათეს სახარებაშიც: იმდენად მეორეხარისხოვანია ძღვენის შეწირვა მოყვასის სიყვარულთან, აღმსარებლობასთან, მიტევებასთან მიმართებით, რომ თვით უფალი გვმოძღვრავს: „თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ, მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი შენს ძმას შეურიგდი; შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძღვენი" (მათ. 5:23-24).

წმინდა წერილის ეს ადგილები კიდევ უფრო გვარწმუნებენ, რომ უფლის მიმდევართათვის მისაღებია ჩუქება, გადაცემა, ადამიანის გულისხმიერებიდან გამომდინარე, ეკლესიისათვის მატერიალური ფასეულობის შეწირვა და არა მეათედის აკრება. ამას ადასტურებს თუნდაც ქვრივის მიერ მოკრძალებული თანხის, ორი ლეპტის[1] (კონდრატი) ჩადება საგანძურში, რომელმაც „ყველა ჩამგდებზე მეტი ჩადო, ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდა მთელი თავისი სარჩო საბადებელი" (მარ. 12:43-44).

ამდენად, მეათედის განხილვამ ცხადყო, რომ ძირეული განსხვავებანი არსებობს ძველ და ახალ აღთქმაში. კერძოდ, ახალიაღთქმისეული ეკლესიისათვის მეათედმა დაკარგა აუცილებლობის და საყოველთაობის ფორმა. მეათედის გაფეტიშებამ მწიგნობრები და ფარისევლები იქამდე მიიყვანა, რომ მათ მეორეხარისხოვნად

[1] სპილენძის საცვლელი მონეტა, ძალზე წვრილი ფული (სპილენძის 1დრაქმა = 96 ლეპტა).

ჩათვალეს ყოველივე, რაც მთავარია რჯულში - მოყვასი, სარწმუნოება და წყალობა. სამაგიეროდ იხდიან პიტნის, კვლიავის და ყოველნაირი ბოსტნეულის მეათედს: „ესეც უნდა გაგეკეთებინათ და არც ის უნდა მიგეტოვებინათ“ (მათ. 23:23, ლუკ. 12:42) - აცხადებს უფალი (შეად. „რაკი პირით მომიახლოვდა ეს ხალხი და ბაგით მადიდებს მხოლოდ, გულით კი შორს არის ჩემგან და გაზეპირებულ ანდერძად ექცათ ჩემდამი მოწიწება“ (ეს. 29:13).

მოციქულთა პერიოდში ეკლესიისადმი შეწირვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რომლის ზომას, ფორმას, მოცულობას და პერიოდულობას თვით მორწმუნე განსაზღვრავს. შედეგად, ყალიბდება სამი ძირითადი პრინციპი: შეწირვა ნებაყოფლობით, შეწირვა შესაძლებლობების მიხედვით და გადანაწილება საჭიროებათა შესაბამისად.

ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ამა თუ იმ დონით დამახასიათებელია ჩრდილოვანი ოპერაციები, როგორც კონკურენტების დამარცხების, მათი ბაზრიდან განდევნის, მაღალი მოგების (ხშირად ზემოგების) მიღების მისწრაფება, კანონის დარღვევის მთავარი წინაპირობა (აღრიცხვა-ანგარიშგების გაყალბება, გადასახადების ხელოვნური შემცირება, თავის არიდება, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პირად ინტერესებზე დაქვემდებარება და ა.შ.). გადასახადის (ხარკის) გადახდის უმთავრეს პრინციპს თვით უფალი აკანონებს, როცა ცალსახად მიანიშნებს ფარისევლებსა და ჰეროდიანთ: „Reddite guae sunt Caesaris, Caesari: et guae sunt Dei, Deo“ - „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და დაუკჳრდა ამას ზედა და წარვიდეს“ (მარ. 12:17). ეს არის ვალდებულების ფორმირების, თუნდაც გადამხდელის კულტურის ფორმირების აუცილებელი პირობა.

კაპერნაუმში მისვლისას უფალი ემორჩილება გადასახადის გადახდის აუცილებლობას და რომ არ აცდუნოს დიდრაქმის (გადასახადის) ამკრებნი (ქრთამისაკენ რომ არ უბიძგოს, მაგალითად, გადასახადის ხელოვნური შემცირების ან სხვა მანიპულირების მიზნით-ავტ.), პეტრეს ავალებს სტატირის (ფულის) მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას. კეისარი, იგივე საერო (მიწიერი) მმართველი ქვეყნის სახეა, ამიტომ უპრიანია მისცე მას, თუკი ამით არ უარყოფ და ეწინააღმდეგები უფალს.

უთუოდ ხაზგასასმელია ერთი საკითხი, რომელიც გადახდის პროცესს და მის მორალურ მხარეს უკავშირდება: უფალი პეტრეს ავალებს: “წადი ზღვაზე, ისროლე ანკესი და პირველი თევზი, რომელიც მოხვდეს, ამოიყვანე, გაუღე პირი და შიგ იპოვი სტატირს. წამოიღე იგი, მიეცი შენთვის და ჩემთვის” (მათ. 17:27). ყურადსაღებია, რომ

გადასახდელის მოპოვებას თვით იესოც მხოლოდ შრომის ხარჯზე მიიჩნევს გამართლებულად და პეტრეს თევზის დასაჭერად უშვებს – ბუნებრივია უფალს ჩვენსას არ გაუჭირდებოდა სტატირის "გაურჯელადაც" მოპოვება ვალდებულების შესასრულებლად, როცა ხუთი პურით და ორი თევზით ხუთი ათასი კაცი დააპურა[1] (შეად. მეათედში „ჩადებული" იყო შრომის სტიმული, რამდენადაც ღმერთისთვის უნდა მიძღვნილიყო სწორედ შრომით გამომუშავებული პროდუქტის მეათედი. გამოსყიდვის მიზნით კი საჭირო იყო დამატებით მეხუთედის გადახდა).

გადასახადის გადახდას და საგადასახადო ადმინისტრირებას ახალი აღთქმა ხშირ შემთხვევაში „იოლადსაცდური" საქმიანობის რიგს განაკუთვნებს. ამ კუთხით უმთავრესია საბაჟო ადმინისტრირება და მებაჟეთა (მეზვერეთა) მოღვაწეობა.[2] ამის დასტურია, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოიხსენიება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად: „როდესაც მის სახლში იესოსთან და მის მოწაფეებთან ერთად იჯდა ბევრი მებაჟე და ცოდვილი, რადგან მრავალნი იყვნენ იქ, ვინც გაჰყვა მას" (მარ. 2:15), ან „ხოლო თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის წარმართი და მებაჟე" (მათ. 18:17), ან „ხოლო თუ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან?" (5:46) ან კიდევ „შემიწყნარე უკვე მეცა, კაცთმოყვარეო უფალო, ვითარცა მემავი, ვითარცა ავაზაკი, ვითარცა მეზვერე და ვითარცა უძღები, და აღიღე ტვირთი მძიმე ცოდვათა ჩემთა, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი". (ლოცვა წმინდისა დიდისა ბასილისა, 1)

რომაული სისტემის მიხედვით მაშინდელ მეზვერეებს სახელმწიფოსაგან იჯარით ჰქონდათ აღებული გადასახადების აკრების უფლება. ისინი მდიდარი ადამიანები იყვნენ.

რომის იმპერიამ ამგვარ ხრიკს ხალხის მასებთან დამატებითი გართულებების თავიდან ასაცილებლად მიმართა, რაც აკრეფის ხარჯებსაც, ანუ სახელმწიფო ხარჯებსაც

---

[1] ამ ეპოქაში თითქმის ყველა ქალაქში იჭრებოდა მონეტა. კორინთული ვერცხლის სტრატირები წონით 8,7 გ. ყველაზე პოპულარულ ვალუტად ითვლებოდა დასავლეთ საბერძნეთში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. ათენური ტეტრადრაქმები წონით 17,5 გ. და 4,4, გ. ბრუნვაში იყო ეგეოსის ზღვის აუზის დიდ ქალაქებში.

[2] დაწვრ. იხ. **ჩიხლაძე ნ.,** ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის გააზრება მართლმადიდებლური მრწამსის მიხედვით. ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი", №4, 2008, გვ. 40-42.

ამცირებდა. ამდენად, მდიდარი და უნარიანი ადამიანები იძენდნენ ამ უფლებას და შემდეგ თვითონვე ახორციელებდნენ დაწესებული გადასახადების ამოღებას.

ბუნებრივია, ამით სახელმწიფოსაგან ერთგვარი უკანონობის დელეგირებაც ჰქონდათ მიღებული, რამდენადაც გადასახადთა მობილიზების პროცესში, არცთუ იშვიათად, დაწესებულზე მეტს იღებდნენ. ამას ერთგვარი ეკონომიკური გამართლებაც ჰქონდა, რამდენადაც გარკვეულ დანახარჯებს იმიტომ სწევდნენ, რომ მოგება მიეღოთ - რა თქმა უნდა ხალხის ხარჯზე. საზოგადოება იმდენად იყო შეწუხებული ამ პრობლემებით, რომ იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად მისულ მებაჟეებს წმ. იიოანემ უპირველესად დაწესებულზე მეტის აღებაზე უარის თქმა მოთხოვა, ანუ ნათლისმცემელმა მოუწოდა მათ პატიოსნების და სამართლლიანობის პრინციპის დაცვა გადასახადთა აკრების პროცესში.

მეზვერის, როგორც ცოდვილის ხსნის პრობლემა მეტად აქტუალურია ახალი აღთქმის მიხედვით. გამოვყოფთ ორ სახეს: მათე მახარებელი, მეშვიდე მოციქული, ავტორი პირველი სახარებისა, როგორც ყოფილი მებაჟე და ზაქეს პიროვნება.

მათე მეზვერეთა ოჯახს განეკუთვნებოდა, ჰყავდა მეუღლე და ოთხი შვილი და მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, სოლიდურ ქონებასაც ფლობდა. წმინდა მათე და მისი ძმა, იაკობ მოციქული ალფეს შვილები იყვნენ. მოციქულთა შორის მათე ყველაზე უზრუნველყოფილი ადამიანი იყო, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. ყველაფრის მიუხედავად, იესოს მოწოდებაზე „გამომყევი მე“ საბაჟოსთან მჯდომი მათე მახარებელი მსწრაფლ წამოდგა და გაჰყვა მოძღვარს (მარ. 2:14). ნიშანდობლივია, რომ სხვა მახარებლები მას სახარებებში „ლევი ალფესს“ უწოდებენ. ეს სახელი ბევრმა არ იცოდა. როგორც ირკვევა, ეს მისი მოციქულობის პატივსაცემად და უწინდელი პროფესიის - მეზვერეობის დასაფარად მოხდა. თუმცა, „წმინდა მათე არ ფარავს და საქვეყნოდ აღიარებს თავის სახელს, რითაც ცოდვილებს უჩვენებს, რომ მათაც ახსოვდეთ მისი გულითადი სიმდაბლითი სინანული, არ შერცხვეთ ცოდვების აღიარება და უფლისადმი მიიქცენ“[1].

მათეს გარკვეული პერიოდი დასჭირდა მოციქულთა შორის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. მისი ხასიათის სისუსტის გამოვლინება იყო ცხოვრების

[1] დეკანოზი **რაჟდენ გიგაური.,** ოთხი მახარებლის ცხოვრება. თბ., 2010. გვ. 5-6.

ზედმიწევნით მატერიალისტური ხედვა. პროფესიიდან გამომდინარე, მათეს მოვალეობა იყო ხაზინის შევსების მეთვალყურეობა (იქნებ ამიტომაც არ მოსწონდა ყოფილი მეზვერე იუდას, როგორც ხაზინის მცველს).[1] ლამაზად უცნაურია მათე მახარებლის მოწამებრივი აღსასრული ეთიოპიაში. ნიშანდობლივია, რომ მისი მწამებელი, მთავარი ფულბიანე, მათესვე მინიშნებით ჯერ მღვდელი, ხოლო შემდგომში მღვდელმთავარი - ახალი მათე ეპისკოპოსი გახდა.

ცოდვიანი საქმიანობის მიუხედავად, მეზვერე-ვერცხლისმოყვარესაც შეუძლია ცოდვათა გულწრფელი მონანიება. ტაძარში სალოცავად შესულ ფარისეველსა და მებაჟეს შორის, რომელსაც ფარისეველი მძარცველების, უსამართლო და მრუში ადამიანების გვერდით მოიხსენიებს, უფლისთვის უფრო მისაღები ხდება მებაჟის გულწრფელი მონანიება. იგი „მოშორებით იდგა და ვერც კი ბედავდა, რომ ცისკენ მიეპყრო თვალი, მკერდში მჯიღს იცემდა და ამბობდა: „ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი“ (ლუკ. 18:10-14). უფალმა შეისმინა მისი ვედრება და „უფრო გამართლებული წავიდა შინ“. რაც შეეხება ფარისეველს, მისთვის მთავარია კვირაში ორჯერ მარხვა და მეათედის გადახდა. ბუნებრივია, ცუდი ამაში არაფერია, თუმცა ხიბლში მყოფი ფარისეველისათვის ამგვარი ქმედებანი სულიერ ზრდას კი არ ემსახურება, არამედ მსხვერპლია და ისიც სანაცვლოდ დაჟინებით მოითხოვს ჯილდოს ღვთისაგან (!)

შთამბეჭდავია ასევე მეზვერე ზაქეს ისტორიაც, რომელიც იყო “მებაჟეთა უფროსი და მდიდარი” (ლუკ. 19:1). მეზვერის ზოგად შტრიხებს ზაქეს მაღალ თანამდებობასაც თუ დავუმატებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაქეც საკმაოდ გამოცდილი და დახელოვნებული უნდა ყოფილიყო “დაწესებულზე მეტი” (ჩრდილოვანი) შემოსავლების მობილიზებაში (“ზაქე” ებრაულად სუფთას ნიშნავს).

იერიქონში ჩასულმა იესომ დაინახა ლეღვის ხეზე ასული ტანმორჩილი ზაქე და მიხვდა, რომ ეს იყო სული, რომელიც გადარჩენას ითხოვდა და იესოსკენ ისწრაფვოდა. მდიდარი და გავლენიანი ზაქე არ მოერიდა მავანთა გაკილვას და უფლის დანახვის სურვილი მასში იმდენად დიდი იყო, რომ ლეღვის ხეზე ბავშვივით აძვრა! უფალმა იხმო ზაქე და ყველასათვის მოულოდნელად მის სახლშიც დარჩა.

---

[1] მათე მოციქული სამართლიანად ითვლება მებაჟეების, ბუღალტრების და საერთოდ, საფინანსო სამსახურების მფარველად.

უფლის მისვლით გახარებული ზაქე თითქოს ასე ამობდა: „უფალო, ნამდვილად, მე არ ვარ ღირსი შენი სტუმრობისა, რამეთუ ცოდვილს დიდი მისწრაფება მაქვს სიმდიდრისკენ, რომელსაც სხვათა წყენინების გარეშე ვფლობ; ცოდვილი ვარ იმაშიც, რომ უსამართლობის ჩადენითაც მაქვს შეძენილი ქონება. მაგრამ ამიერიდან აღარ ვიქნები ასეთი: აღარ მექნება უკიდურესი ლტლოვა სიმდიდრის მოპოვებისაკენ და თავს ნებას აღარ მივცემ უსამართლობით შევიძინო ქონება. ხოლო უწინდელ ცოდვათა გადასაფარად, აი, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბ-გლახაკთ დავურიგებ და ნარჩენი ნახევრიდან კი ოთხმაგად მივაგებ იმას, ვისთვისაც რაიმე წყენა მიმიყენებია“. აღსანიშნავია იქ მახარებლის მიერ ნათქვამი: „აღდგა ზაქე და ჰრქუა უფალსა“.[1]

ზაქეს ამქვეყნიური და მატერიალური ფაქტობრივად არაფერი აკლდა. ცოდვილ სულს მხოლოდ ადამიანური სითბო, სიყვარული და ღვთის შეწევნა ესაჭიროებოდა. ზაქემ თავისივე სურვილით რამდენიმეგზის დაუბრუნა მათ ვისაც გამოსძალა.[2] გამოისყიდა პირდაპირი გაგებით ძველი დანაშაული, მაგრამ ამით ახალს კი არ გაუხსნა გზა, არამედ შეიყვარა მაცხოვარი და “ზეციური მარგალიტების” შესაგროვებლად უფლის გზას დაადგა – საეკლესიო გადმოცემებით ყოფილი მებაჟე შემდგომში პალესტინის კესარიის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

ამდენად, გადასახადის მართლმადიდებლური საწყისების განხილვამ ცხადყო შემდეგი:

1. დასაბამიდან ერთ-ერთი პირველი გადასახადია მეათედი, რომელიც პირველად

დაბადებაში მოიხსენიება;

2. მეათედს იხდიან სამ წელიწადში ერთხელ, განსხვავებული წესით. როგორც გაანგარიშებებმა ცხადყო, ჩვეულებრივი წლებისათვის (როცა არ მიემატება მესამედი), საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონია 19%-24%, მესამე წელს 27.1%-36%. ყოველწლიური გადახდის მიხედვით კი იგი 21.7%-27.96%-ის ფარგლებშია;

---

[1] **მღ. გრიგოლ დიაჩენკო** „საკვირაო სახარებათა განმარტება“, თბილისი, 2001 წ. (ინტერნეტ ვერსიის მიხედვით, www.orthodoxy.ge

[2] საგულისხმოა, რომ ნებაყოფლობითი აღიარების შემთხვევაში საკმარისი იყო მხოლოდ მეხუთედის (20%) დამატება მიტაცებულზე („და აღიაროს ცოდვაᲲ იგი, რომელი ქმნა და მისცეს ცოდვისა მისთჳს იგი თავადი და მეხუთე მისი დასძინოს მას ზედა და მისცეს, ვის-იგი შესცოდა“ (რიცხ. 5:7)

3. მეათედში, შეიძლება ითქვას, რომ „ჩადებული იყო“ მიზნობრიობის ბუნება, რამდენადაც შემოსავლების ნაწილი ხმარდებოდა ლევიტელებს, უპოვართ და ქვრივ-ობლებს;

4. ნატურით გადახდილი მეათედის გამოსყიდვისათვის, ანუ მისი ფულადი ექვივალენტით შეცვლისათვის, საჭირო იყო დამატებით 20%-ის გადახდა, რაც ბუნებრივია, გამოსყიდვისათვის ანტისტიმულს წარმოშობდა. ვფიქრობთ, ამგვარი ნორმა, ერთის მხრივ, მოიაზრებდა შრომის ნაყოფის, გამომუშავებული რეალური პროდუქტის ნაწილის მიძღვნას ღმერთისათვის და არა ფულის გადაცემას, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნული პროდუქტის გადიდების (ეკონომიკური ზრდის) წახალისებას უწყობდა ხელს;

5. რადიკალურად განსხვავებულია მეათედთან ძველი აღთქმისეული და ქრისტეშემდგომი პერიოდების მიდგომები. კერძოდ, მეათედი ძველ აღთქმაში სავალდებულო ხასიათის მატარებელია, იმდენად გაფეტიშებული, რომ მწიგნობრები და ფარისევლები ივიწყებენ რჯულის მთავარ ფასეულობებს;

6. ახალიაღთქმისეული ეკლესიისათვის მეათედმა დაკარგა აუცილებლობის და საყოველთაობის ფორმა. მოციქულთა პერიოდში ეკლესიისადმი შეწირვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რომლის ზომას, ფორმას, მოცულობას და პერიოდულობას თვით მორწმუნე განსაზღვრავს. შედეგად, ყალიბდება სამი ძირითადი პრინციპი: შეწირვა ნებაყოფლობით, შეწირვა შესაძლებლობების მიხედვით და გადანაწილება საჭიროებათა შესაბამისად;

7. მოციქულთათვის გადასახდებიდან მიღებული შემოსავლების მობილიზება თანასწორობის უმთავრეს პრინციპს უკავშირდება. ვფიქრობთ, რომ ამგვარი თანასწორობა გულისხმობს ფინანსური რესურსების სამართლიან განაწილებასა და გადანაწილებას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის მცდელობას უპოვართათვის და სხვა სოციალური გარანტიების დამკვიდრებას.

„ყველა ცოდვა ადამიანთან ერთად ბერდება,მხოლოდ
მომხვეჭელობა დღითიდღე ახალგაზრდავდება“.
წმ. ამბროსი მედიოლანელი

2.2. ჩრდილოვანი ეკონომიკის საკითხები მართლმადიდებლობის მიხედვით

საკითხის განხილვა შესაძლოა მოვახდინოთ ორი მიმართულებით: წარმოდგენის შექმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ და მართლმადიდებლური მოძღვრების დამოკიდებულება ჩრდილოვანი ოპერაციებისა და კორუფციისადმი.

ჩრდილოვან ეკონომიკას და მის პრობლემებს კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ინტენსიურად შეისწავლება ბოლო ათწლეულების მანძილზე, ეკონომისტთა დიდი ნაწილისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმვალობაში “ჩრდილში” იმყოფებოდა. “ჩრდილოვანი ეკონომიკის” მრავალფეროვნების გამომხატველია თუნდაც მისი განსხვავებული ტერმინებით მოხსენიება: “Shadow Economy”, “Black Economy” (“შავი ეკონომიკა”) “Second Economy“ (“მეორე ეკონომიკა”), “Теневая Экономика” და სხვა. მით უმეტეს არ ვართ განებივრებული ნაშრომებით, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემატიკა მართლმადიდებლური პრინციპების ჭრილში განიხილება.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ამ თემამ დიდი პოპულარობა შეიძინა და როგორც უცხოურ, ისე სამამულო ლიტერატურაში მისი მრავალფეროვანი განსაზღვრებანი დამკვიდრდა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ვ. ტანზი ჩრდილოვან ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც “ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) ნაწილს, რომელიც გამოირიცხება (ან შემცირებულია) ანგარიშგებაში და შესაბამისად არ აისახება ოფიციალურ სტატისტიკაში”.[1] ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ “ჩრდილვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო სახეების ერთობლიობას. მისთვის დამახასიათებელია ფარული, საიდუმლო “მოღვაწეობა”, ხშირად კრიმინალური ხასიათით, რომელიც არ არის რეგისტრირებული და არ აღირიცხება ოფიციალური ორგანოების მიერ”.[2]

---

[1] იხ. **Сакс Дж., Ларрен Ф**. Макроэкономика. Глобальный подход. М.: Дело, 1996, 273 с.
[2] **ოთინაშვილი რ.,** ჩრდილოვანი ეკონომიკა. კორუფცია თბ. 2002. გვ. 44.

როგორც აღინიშნა, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონეს შორის შეიძლება ითქვას არსებობს მჭიდრო კავშირი. კორუფცია (corruptio- მოსყიდვა) არის საჯარო ძალაუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება პირადი, მესამე პირის ან ჯგუფის სარგებლობის მიღების მიზნით. თანამედროვე განმარტების იდენტურია სულხან-საბასეული განმარტებაც – ქრთამი, ანუ "საცოდავი ძღვენი" სხვა არაფერია, თუ არა თანამდებობის პირისათვის მოსასყიდად მირთმეული ფული (ძღვენი), საჩუქარი ან გასამრჯელო რაიმე სამსახურის გაწევის მიზნით.[1]

ჯერ განვიხილოთ თანამედროვე წარმოდგენები და მოვახდინოთ ისტორიული ექსკურსი. ჩრდილოვანი საქმიანობის ტიპოლოგიზაცია შესაძლებელია "თეთრ" (ოფიციალურ) ეკონომიკასთან მიმართებაში, სადაც იკვეთება ჩრდილოვანი ეკონომიკის სამი სექტორი (იხ. ცხრ. 2.2.1.):

1. მეორე, ანუ "თეთრსაყელოიანთა" ჩრდილოვანი ეკონომიკა;[2]
2. რუხი (არაფორმალური) ჩრდილოვანი ეკონომიკა;
3. შავი (იატაკქვეშა) ჩრდილოვნი ეკონომიკა.[3]

ცხრილი 2.2.1.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ტიპოლოგიზაციის სრუქტურები

ძირითადი ნიშნები	**"მეორე" ჩრდილოვანი ეკონომიკა**	**"რუხი" ჩრდილოვანი ეკონომიკა**	**"შავი" ჩრდილოვანი ეკონომიკა**
სუბიექტები	ეკონომიკის ოფიციალური ("თეთრი") სექტორის მენეჯერები	არაოფიციალური საქმიანობა	პროფესიონალი დამნაშავეები
ობიექტები	შემოსავლების გადანაწილება წარმოების გარეშე	ჩვეულებრივი საქონლის და მომსახურების წარმოება	აკრძალული და დეფიციტური საქ. (მომსახურების) წარმოება

[1] ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ურთიერთმიმართების ეკონომიკური ასპექტები უფრო დაწვრილებით იხ. **ჩიხლაძე ნ.,** "ჩრდილოვანი ეკონომიკა – რეგიონული ასპექტები". ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005. -225 გვ.

[2] "თეთრსაყელოიანთა" კატეგორია აერთიანებს ჩინოვნიკებს, მენეჯერებს, მმართველობითი აპარატის მუშაკებს ფირმების ე.წ. "არამწარმოებლურ" პერსონალს. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ისინი მუშაკთა ძირითად მასას წარმოადგენენ და აღემატებიან მწარმოებლურ მუშაკებს, ანუ "ცისფერსაყელოიანებს".

[3] შემოთავაზებული კლასიფიკაცია სულაც არ ნიშნავს მის ერთადერთობას. განსხვავებული მიდგომები იხ. **ოთინაშვილი რ.,** ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია, თბ. 2002; **Головин С.,** О классификации явлении теневой экономики // Вестник МГУ. Сер. Экономика. 1992, № 1 და სხვა.

კავშირები “თეთრ ეკონომიკასთან”	შეზრდილია “თეთრ” ეკონომიკასთან	შედარებით დამოუკიდებელი	ავტონომიურია “თეთრ” ეკონომი-კასთან მიმართ

ისტორიული წყაროების შესწავლა გვარწმუნებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობას, ანუ გარკვეული ვალდებულებებისა და შეზღუდვების დაწესებას ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩასახვა მოჰყვა, ანუ იმ პირთა არასახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომელთა მიერ იგნორირებულია ე.წ. “საზოგადოებრივი შეთანხმება”. მართალია, ეკონომიკური საქმიანობიდან სახელმწიფო შემოსავლების მკაცრ აღრიცხვას შედარებით მოგვიანებით ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ადრეულ პერიოდებშიც ადამიანთა ჯგუფების მისწრაფება, არ გაეყოთ თავიანთი შემოსავლები სახელმწიფო ხაზინისათვის, საკმაოდ მაღალი იყო. თუმცა ამ პერიოდისათვის უცხო იყო არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობა, ე.წ. “მიკროფირმების” მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოება, გადასახადებისაგან ან სახელმწიფო რეგლამენტაციის სხვა ფორმებისაგან თავის არიდება. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია შუა საუკუნეების ქალაქში “თვითდასაქმებული არაფორმალის” არსებობა, რომელიც ივაჭრებდა სამომხმარებლო საქონლით ან კიდევ აწარმოებდა ასეთ საქონელს სახლში ან სახელოსნოში სახელმწიფო რეგისტრაციის ან გადასახადების გადახდის გარეშე.

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა შევეხოთ ზოგიერთი ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორთან მიმართებაში. ანტიკური ეპოქის ქვეყნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ჩრდილოვანი ეკონომიკის, მისი რეგიონული ასპექტების შესახებ.

ძველ ბაბილონში საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს აწესრიგებდა ჰამურაბის კანონები (ჩვ.წ.აღ-მდე 1792–50 წლები). შემორჩენილია დოკუმენტი, სადაც მეფე ითხოვს სიკვდილით დასჯას თანამდებობრივი დანაშაულისათვის. მიწით მოვაჭრენი ხშირად მიმართავდნენ გამოძალვასა და თამასუქების გაყალბებას. ამასთან, ბაბილონისათვის არ იყო უცხო პროსტიტუცია, საეჭვო დუქნები და სხვა “აკრძალული ხილი”. უფრო მეტიც, ბაბილონში

შესაძლებელი იყო შეგესწავლა და გამხდარიყავი “მაღალკვალიფიციური ბანდიტი” და მიგეღო შესაბამისი დიპლომი (!).[1]

ძველ ეგვიპტეში უკვე ვხვდებით საფინანსო (ფისკალურ) უწყებას, ასევე ნომარქებს, ანუ მხარეების მმართველებს. სწორედ აღნიშნულ უწყებას ევალებოდა პერიოდულად ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის, მიწის, ნახირის, ოქროს აღნუსხვა, დასაბეგრი ბაზის გამოსავლენად. მოგვიანებით (ჩვ. წ. აღ-მდე X-IX საუკუნეები) უკვე ვხვდებით შემოსავლების დეკლარირების აუცილებლობას. ჰეროდოტეს მიხედვით ეგვიპტეში არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც ყოველი ეგვიპტელი ვალდებული იყო ხელმძღვანელისათვის ეცნობებინა და დაესაბუთებინა ინფორმაცია შემოსავლების კანონიერების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქე კანონით ისჯებოდა.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით სპარსეთის ისტორიულ წყაროებშიც (ჩვ. წ. აღ-მდე VI-V საუკუნეები). აღსანიშნავია დარიუს პირველის რეფორმები. დარიუს პირველის დროს არსებობდნენ ე.წ. “სამეფო მოსამართლეები”, რომელთაც მეფე ნიშნავდა. მხოლოდ ორი მიზეზით იყო შესაძლებელი მათი შეცვლა: თუკი დანაშაულს ჩაიდენდნენ, ან კიდევ დაუდასტურდებოდათ ქრთამის აღება.[2]

ძველ ჩინეთში ვხვდებით რთულ ბიუროკრატიულ აპარატს. აქ ფაქტობრივად სამი კაცისაგან შემდგარი კოლეგია განაგებდა სახელმწიფოს უმთავრეს საქმეებს. ერთ-ერთი მათგანი მეურვეობდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, აწესებდა ფასებს საქონელზე და ევალებოდა ბაზარზე წესრიგის დაცვა. ცნობილი ჩინური წყარო “იან ტე ლუნი” (“კამათი მარილსა და რკინაზე”) ფაქტობრივად წამოადგენს უძველესი დისკუსიის სტენოგარმას მეურნეობის არაფორმალური სექტორის შესახებ (ჩვ. წ. აღ-მდე 81 წ.). რკინასა და მარილზე სახელმწიფო მონოპოლიამ ამ დეფიციტური პროდუქტების იატაკქვეშა წარმოების სტიმულირება გამოიწვია.[3]

ძველ რომში თანამედროვე სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ბევრ ანალოგიას ვხვდებით. ქალაქისა და სახელმწიფოს მართვისათვის ხარჯები

---

[1] **Белявский В.** Вавилон легендарный и вавилон исторический. М.: "Мысль", 1971. 183- 184ст.

[2] **Авдиев В**. История древнего востока, М.: 1953. Ст. 547

[3] **Кульпин Э.** Человек и природа в Китае. М.: Наука, 1990. Ст. 124-128

მინიმალური იყო, რადგან არჩეული მაგისტრატები[1] თავიანთ მოვალეობებს უანგაროდ ასრულებდნენ. უფრო მეტიც, ხანდახან ამისათვის საკუთარ საშუალებებსაც არ იშურებდნენ, რადგან ეს თანამდებობა საპატიოდ ითვლებოდა. რომში, სხვადასხავა პერიოდში არსებობდა გადასახადის სიდიდის, ანუ ცენზის განსაზღვრის თავისებური სისტემა. ჯერ კიდევ სერვიუს ტულიუსის კონსტიტუციაში ვხვდებით თანამედროვე აღრიცხვისა და აუდიტის ელემენტებს, რომლის მიხედვითაც ყველა რომაელი ვალდებული იყო ვერცხლით შეეფასებინა საკუთარი ქონება, მიეღოთ ფიცი, რომ ცნობები სინამდვილეს შეესაბამება და ქონება სრულიად მაღალი ნიხრითაა შეფასებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეს ქონების ჩამორთმევა, გაროზგვა და მონად გაყიდვა ემუქრებოდა.

ისე, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, აქაც სიმდიდრის ძირითადი წყარო დამპყრობლური ომები იყო. მძიმედ იბეგრებოდნენ რეგიონები, რომლებიც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რომაელ ლეგიონერებს (შეად. ძველ რომში სიტყვა "გამყიდველი" ("გამსაღებელი") წარმოიშვა სიტყვისაგან "თაღლითი", ხოლო ვაჭრების მფარველი ღმერთი – მერკური ამავე დროს სიცრუისა და გაცვლითი ურთიერთობების ღმერთადაც ითვლებოდა –ავტ.).

გადასახადის ამკრებთა უფლებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯერ კიდევ ჩვ. წ. ღ-მდე 59 წელს კეისარმა გამოსცა პროვინციებში გამომძალვათა საწინააღმდეგო კანონი, რაც სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა გამომძალველთა მიმართ. ამასთან ბევრ პროვინციაში კეისარმა პირდაპირი გადასახადების აკრეფის უფლება პუბლიკანებს ჩამოართვა და უშუალოდ ადგილობრივ თემთა წარმომადგენლებს გადასცა, კეისრის აგენტების ზედამხედველობით.

განსაკუთრებული იყო ჩრდილოვან ოპერაციებთან ჩინივნიკთა დამოკიდებულება ძველ ინდოეთშიც. ძველინდური "არხაშასტრის" მიხედვით (ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისი) "ისე, როგორც შეუძლებელია გარჩევა იმისა, სვამენ თუ არა თევზები წყალს ცურვისას, ასევეა შეუძლებელი დადგინდეს ითვისებენ თუ არა ქონებას ჩინოვნიკები".[2]

---

[1] უმაღლესი თანამდებობის პირები, რომელთაც ამტკიცებდა სენატი

[2] Всемирная история экономической мысли. Т.1.М.: Мысль, 1987, ст.89

ჩრდილოვანი ოპერაციები და საზოგადოების ერთი ნაწილის მისწრაფება არალეგალური შემოსავლებისაკენ არც შემდგომი საუკუნეებისათვის იყო უცხო. თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისადმი ნაბოძებ სიგელში (1189 წ.) ვხვდებით "საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარს". ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ყოფილა აგრეთვე "მთავარ მდივანსამწიგნობროს" განსაკუთრებული მწიგნობარი, რომელსაც ხალხისა და შემოსავლების დავთრები ებარა. 26 მწიგნობარს შორის ერთ-ერთი მთავარი იყო ე.წ. "ზარდახნის მწიგნობარი". იგი აწარმოებდა საანგარიშო საბუთებს და თვალყურს ადევნებდა ზარდახნის ანგარიშის სიზუსტეს.

სხვადასხვა დაწესებულებებისათვის ყოველი დანახარჯის ანგარიში წერილობით აღინუსხებოდა, ხოლო წელიწადში ერთხელ საერთო და საბოლოო ანგარიში უნდა მოეხდინათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. "საანგარიშო გოდორი", რომელშიც ინახებოდა ზარდახნის ყოველწლიური ანგარიში და შემოწმების საბუთები.[1] საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლეში დასაქმებულ მოხელეთა ნუსხა:

1. "საჭურჭლის ნაცვალი" (თამარის დროს "მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი");

2. "მუშრიბი" (არაბ. ზედამხედველი) – მეჭურჭლეთუხუცესის მოხელე. მასვე ევალებოდა ქალაქში ბაჟის და სავაჭრო გადასახადების ამოღება;

2. "მეჭურჭლენი" – ნაწილი "დარბაზის მყოფი", სხვა კი ქალაქისანი.

სხვა სახის მოხელეებიდან აღსანიშნავია:

ა) "შურტა" – მისი მოხელეები იყვნენ მწონავები და მებაჟეები, ისინი უმაღლესი თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ;

ბ) "გუსტასიბი" – მასზე მიუთითებს გუსტასიბის გადასახადი. იგი ბაზარში ზომა-წონის ზედამხედველია და პოლიციის ფუნქციებსაც ასრულებს. გუსტასიბი ამოწმებდა სასწორების სიზუსტეს, საქონელზე დადებულ ნიხრს და ა.შ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ისტორიულ ასპექტებთან მიმართებაში მოგვყავს ამერიკელი ეკონომისტის ფაიგის მიერ შემოთავაზებული მოდელი, რომელიც ასახავს რეგისტრირებული და არარეგისტრირებული შემოსავლების თანაფარდობის ისტორიულ დინამიკას (იხ. ნახ. 2.1.1.).

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი** თხზულებანი, ტ. VI. გვ. 295.

დავუშვათ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური შემოსავლები მუდმივად იზრდება (T_0 _T_5 მონაკვეთი ასახავს მის დინამიკას). t_0-t_1 პერიოდის განმავლობაში ეკონომიკა წარმოადგენს მხოლოდ არაკანონიერ (არასაბაზრო) სექტორს. t_1 მომენტში ერთდროულად წარმოიშობა ბაზარი და ფულადი გაცვლა, რასაც თან ახლავს რესურსების გადინება არაფულადიდან ფულად სექტორში, რის შედეგადაც ფულადი სექტორი სწრაფად იზრდება (M_1_M_2 მონაკვეთი), ვიდრე ეკონომიკა მთლიანად. t_2 მომენტიდან ჩნდება ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები. რეგისტრირებული საქმიანობა, როგორც ფულადი სექტორის ლეგალური კომპონენტი აისახება M_2- ით –კერძო ფულადი სექტორის ზრდა ფერხდება. ეს სექტორი წარმოშობს გარე ეფექტებს (ეკონომიკური უთანაბრობა, დაბინძურება, ინფორმაციული გადატვირთვა), რაც აუარესებს სოციალურ სიტუაციას.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სახელისუფლებო ინსტიტუტების დაჩქარებული განვითარება. რამდენადაც მოსალოდნელია სოციალურ სფეროზე რესურსების გადაქაჩვა, მოსალოდნელია რეგისტრირებული სექტორის სწრაფი ზრდა (O_2 _O_3 მონაკვეთი), რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საერთო შემოსავლების ზრდა. ამ პერიოდში არარეგისტრირებული ფულადი სექტორი (O_2 _O_3 და M_1_M_2 ინტერვალები მრუდებზე) მცირდება რეგისტრირებულ სექტორთან შედარებით. რეგისტრირებული სექტორი მიუახლოვდება კერძო ერთობლივ შემოსავლებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია t_3-t_4 პერიოდი, რამდენადაც ეკონომიკის რეგისტრირებული სექტორი თითქმის პროპორციულია როგორც ერთობლივი ფულადი სექტორის, ისე საზოგადოების ჯამური შემოსავლებისა. რეგისტრირებული ფულადი სექტორის აბსოლუტური დამთხვევა კერძო ფულად სექტორთან გამორიცხულია.

ამდენად, აღნიშნული მოდელის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

ა) მეურნეობრიობის ნატურალური სისტემა (t_0-t_1 ეტაპი);

ბ) სასაქონლო წარმოების გენეზისი ადრესახელმწიფოებრივ სექტორში (t_1-t_2 ეტაპი);

გ) შემოსავლებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება (t_2-t_3);

დ) კლასიკური საბაზრო მეურნეობა (t_3-t_4);

ე) არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერების თანამედროვე პერიოდი (t_4-t_5).

ამ ეტაპებიდან გასათვალისწინებელია, რომ არის პერიოდი, როცა ეკონომიკური საქმიანობის დარეგისტრირება არ ხდება, ან არც არის მისი საჭიროება (t_0-t_2 მონაკვეთი). სხვა შემთხვევაში (t_2-დან) რეგისტრაციისაგან შეგნებულად ხდება თავის არიდება.[1]

ფაიგის მოდელის განზოგადებით ვრწმუნდებით, რომ ისტორიულად, სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას თან სდევდა არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება.

არაფორმალური ეკონომიკის ევოლუციის ძირითად ასპექტთა შესწავლამ ცხადყო შემდეგი:

1. არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის ისტორია, უპირველესად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ისტორიის ნაწილია და იგი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ევოლუციის ზოგად კანონზომიერებებს ასახავს. თანდათანობით მიმდინარეობს არაფორმალური ეკონომიკის ურბანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სფეროდან საქალაქო მეურნეობაში.

2. არაფორმალური ეკონომიკის განვითარების დონე სამეურნეო საქმიანობის რეგლამენტაციის პროპორციულია.

3. არაფორმალური ეკონომიკის სტრუქტურა ნათლად ასახავს საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეგლამენტაციის სტრუქტურას. თანამედროვე პირობებში სამეურნეო საქმიანობის რეგლამენტირება მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივაა.

4. ეკონომიკის ისტორიაში ფაქტობრივად არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ წმინდა ძალისმიერი მეთოდებით ყოფილიყო შესაძლებელი არალეგალური ეკონომიკის ლიკვიდაცია. იგი შესაძლებელი ხდებოდა ლეგალიზაციით, ან კიდევ დეფიციტურ საქონელზე მოთხოვნის ლიკვიდაციით.

---

[1] იხ. **Feige E.** The meaning and measurement of the underground economy. Cambridge, Cambridge univ. Press, 1989. Pg. 22-24

საკითხის გარშემო წარმოდგენის შექმნისა და მცირეოდენი ისტორიული რაკურსის შემდეგ განვიხილოთ მართლმადიდებლური სწავლების მიდგომა ამ პრობლემისადმი. ყველა ეპოქაში ჩრდილოვანი ოპერაციები (განსაკუთრებით მექრთამეობა და კორუფცია) მორალური პოზიციიდან უარყოფითად აღიქმებოდა. ძველ აღთქმაში, სინას მთაზე ღმერთისაგან დაწესებულ კანონთა შორის, რომელიც მოსეს უნდა განეცხადებინა თავისი ხალხისათვის, აღნიშნულია, რომ ქრთამი დამაბრმავებლად მოქმედებს და მართალ სიტყვას ბოროტად აქცევს: „და ქრთამი არა მიიღო, რამეთუ ქრთამი დააბრმობს თუალთა მხედველთასა და განაბოროტებს სიტყუათა მართალთა“ (გამ. 23:8). წინასწარმეტყველი ესაია უდიდეს ცოდვად მიიჩნევს ქრთამს და აღებ მიცემობას და აღნიშნავს: „ვაი დამნაშავის გამამართლებელს ქრთამის გულისათვის და ალალმართლის გამამტყუნებელს“ (ეს. 5:23).

ათ მცნებათა შორის მერვე მცნება „არ იპარო“, მნიშვნელოვანწილად ეხება ჩრდილოვან ოპერაციებსა და კორუფციას. ათონელი ბერები განმარტავენ, რომ იგი იტევს არა მარტო ძარცვას და ქურდობას, არამედ მოტყუებას, სიწმინდეტამტაცებლობას, მექრთამეობას - „უკანონო საზღაურის აღება ქვემდგომთაგან ან განსასჯელთაგან, უღირსტა ანგარებით აღიარება, დამნაშავეების გამართლება და უდანაშაულოთა შევიწროება“. ასევე გამომძალველობას - „სხვისი საკუთრების, შრომის, ან მოყვასის გაჭირვებული მდგომარეობის გამოყენება, მათ შორის მევახშეობა, გაუსაძლისი გადასახადებით ქვეშევრდომთა დაბეგვრა ან შრომით დათრგუნვა, შიმშილობის დროს პურის მეტისმეტად ძვირად გაყიდვა“. საგულისხმოა, რომ ათონელი ბერები ამავე დატვირთვით განიხილავენ მუქთახორობასაც, რამდენადაც იგი ნიშნავს დაუმსახურებელი ჯამაგირის აღებას, მოწყალებით თავის რჩენას, როცა მუშაობა შეუძლია და საზოგადოების ან პიროვნებისათვის სარგებლის მოტანაზე უარის თქმა.[1]

ქრთამი, ვერცხლისმოყვარეობა, მოტყუება და კუთვნილზე მეტის მიღება უკვე აღარ არის შრომა მისი მართლმადიდებლური გაგებით. წმინდა პაისი ათონელი ასეთ

[1] ,,ათი მცნების განმარტება. ცოდვა და საჯელი. საუბრები ათონელ ბერებთან“. თბ. ,,ხარება“, 2006. (ელექტრონული ვერსია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ვებგვერდის მიხედვით: www.eparchy – batumi.ge)

შემთხვევას იხსენებს: მასთან მივიდა ქალი, რომელიც სთხოვდა ელოცა მისი ორი შიზოფრენიით დაავადებული შვილის გამოჯანმრთელებისათვის. ბერმა უთხრა, რომ ერთ-ერთის განკურნება შეუძლებელი იყო, რადგან ეს სასჯელი შვილზე უფლის მიერ იყო დაშვებული, მამის ცოდვის გამო, რომელიც ყავის გამყიდველად მუშაობდა და ყველა მყიდველს წონაში ატყუებდა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მამა პაისს: „ჩვენ ეშმაკს ბევრი უფლება მივეცით. ბოროტება ისაა, რომ ჩვენ არ გვაქვს სინანული და ამით ხელს ვუშლით ღმერთს, რომ ჩაერიოს და დაგვეხმაროს“[1].

არქიმანდრიტი იოანე „არა იპარო“ მცნებაში ცოდვად მიიჩნევს არა მარტო დანაშაულებრივ თაღლითობებს (მოპარულის შეძენა, წონაში დაკლება, უხარისხო საქონლის შეტყუება, ხურდის მოპარვა, ვალის გადაუხდელობა, მოჩვენებით მოწყალების მიღება, აზარტული თამაშები, სიძუნწე, ყალბი დოკუმენტის შედგენა ან მისით სარგებლობა), არამედ სხვისი ბაღის ბოსტნისა ან ყანისაკენ თვალის გაქცევასაც. პატიოსანი გზით მოპოვებული ზედმეტი ქონებაც კი ცოდვაა ქრისტიანისათვის - გვმოძღვრავს არქიმანდრიტი.[2]

სამყაროს დასაბამიდან ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვა – იუდა ისკარიოტელის მიერ იესოს გაცემაც ქრთამს – ოცდაათ ვერცხლს უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ უფლის თორმეტ მოციქულთაგან იუდა იყო ისკარიოტიდან (დანარჩენები გენესარეთიდან იყვნენ), რომელიც იმით გამოირჩეოდა, რომ მისი მცხოვრებლები ხშირად ძარცვავდნენ ხალხს.იუდამ სალაროს მცველად ყოფნის დროსაც გამოიჩინა სწრაფვა მითვისებისა და ჩრდილოვანი ოპერაციების წარმოებისა.

იუდას დაცემის მიზეზი სწორედ ვერცხლისმოყვარეობა გახდა. იუდას მოციქულთა სალარო ებარა, საიდანაც ფულს იპარავდა. უფალმა იცოდა მისი სისუსტე და სწორედ ამიტომ ჩააბარა მას სალარო, რათა ცოდვისაგან ეხსნა და საკუთარი თავისათვის მაინც არ მოეპარა. სწორედ “ვერცხლისმოყვარეობა” და არა იდეური სიძულვილი ან სხვა ფაქტორი გახდა იესოს გაცემის საფუძველი და სტიმული (!). მექრთამე იუდამ ინანა და ფული დააბრუნა, რომელიც როგორც “სისხლის საფასური” საგანძურშიც არ შეინახეს და გარეშეთა სასაფლაოდ მინდორი შეიძინეს (შემდგომში

[1] იხ. ჟურნ. „კარიბჭე“, №10, 2010. გვ. 92.

[2] **არქიმანდრიტი იოანე** (კრესტიანკინი), აღსარების აგების გამოცდილება. (ამონარიდების ელვერსია სატზე: www.kvirike.ge)

“სისიხლის ყანა” – „ხაკალ დაბა” (საქ. 1:19). თვით იუდას აღსასრულიც დამაფიქრებელია – თვითმკვლელობა, როგორც ანგარების მოყვარული, მომხვეჭელი ბუნების და რაც მთავარია ქრისტეს გამყიდველის აღსასრული.

ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის კვლევის სიახლის მიუხედავად, იგი, როგორც ყველა ზოგადსაკაცობრიო პრობლემა, არახალია მართლმადიდებლური მრწამსისათვის: “ვინც იპარავდა, ნუღარ მოიპარავს. უკეთესია იშრომოს, თავის ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულთათვის მისაცემად” (პავლე, ეფეს. 4:28). ამ შეგონებაში ორი მთავარი ეკონომიკური და მორალური ამოცანაა დასმული: სარჩოს მოპოვება არა მხოლოდ საკუთარი ყოფიერებისთვის, არამედ მოყვასისათვის, გაჭირვებულთათვის, უპოვართათვის.[1]

შეურიგებლობა სიზარმაცისა და სარჩოს დაუმსახურებლად მოპოვებისადმი ამავდროულად ერთგვარი გამოწვევაცაა კორუფციისა და უშრომელი შემოსავლისადმი, ათასგვარი მაქინაციებით, მოტყუებით, ქრთამის აღებ-მიცემობით საქმის კეთებისადმი.

მოციქულთა დამოკიდებულებაც შეუვალია მსგავსი ქმედებების მიმართ: „არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაი არა დაიმკვიდრონ“ (I კორ. 6:10)

უპირველესია რწმენა, ღვთის სიყვარული და არა “ვერცხლისაკენ” (იგულისხმება ფული, ოქრო და სხვა მატერიალური აქტივები) ლტოლვა. უფლის მიმართვა მკაფიოდ გამოხატავს ამ დამოკიდებულებას: “ვაი თქვენ ბრმა წინამძღოლნო, რომლებიც ამბობთ: ვინც ტაძარს დაიფიცებს, ეს არაფერია; ხოლო ვინც ტაძრის ოქროს დაიფიცებს, ის ვალდებულიაო. უგუნურებო და ბრმებო! რა უფრო დიდია ოქრო თუ ტაძარი, ოქროს რომ წმენდს?” (მათ. 23:16-17).

აღმსარებელმა მორწმუნემ მოძღვრის წინაშე უცილობლად უნდა აღიაროს ისეთი ცოდვები, როგორიცაა ანგარებით, მტაცებლობით (სხვისი ქონებისა), მითვისებით რაიმე არა კუთვნილისა, სიხარბით, სიმდიდრის ტრფიალით, ქრთამის მიცემ-მიღებით, ყალბი ვექსილით ფულის აღებით, ყალბობით (ყალბად მუშაობით), ძღვნისმოყვარეობით და

[1] იხ. **ჩიხლაძე ნ.,** “ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ”, ჟურნ. “ეკონომიკური პროფილი”, №3, 2007.

ხელობის უსწავლელობით ჩადენილი ცოდვები.[1] ამქვეყნიური სიკეთეებისადმი მისწრაფება ადამიანს ვნების მონად აქცევს: "არ უნდა ისურვო ისეთი რამ, რომელსაც ოდესმე ვეღარ მოიხმარ და რომლის მუდმივ ფლობასაც ვერ შეძლებ" – ქადაგებს წმ. ნილოს სინელი.

სინას მთის დიდი მოსაგრე წმინდა იოანე სინელი ვერცხლისმოყვარეობას უკიდეგანო ზღვას ადარებს, რომელიც შეუძლებელია აივსოს: „ზღვა მდინარეთა მიერთებით არ ივსება, ვერც ვერცხლისმოყვარე ვერ იკმაყოფილებს სურვილს მოგროვილი ფულით. აი გააორმაგა მან ქონება, მაგრამ ისევ ორჯერ მეტი უნდა და არასოდეს დაანებებს თავს შეძენილის გაორმაგებას, სანამ სიკვდილი არ შეწყვეტს უსარგებლო ზრუნვას"[2]. წმინდანის აზრით, ვერცხლისმოყვარეს არაფერი განასხვავებს კერპთთაყვანისმცემლისაგან, რომელიც სიმდიდრეზე ოცნებაში ატარებს წუთისოფელს კერპის სანაცვლოდ.

"ვერცხლისმოყვარეთა" მხილება-შენდობა და მათთვის სწორი გზის მიცემა მართლმადიდებლობის მრწამსის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ახალ აღთქმაში ჩრდილოვანი ოპერაციები მებაჟეებსა და საბაჟო სისტემას (საბაჟო პროცედურები, საბაჟოს გავლა და ა.შ.) უკავშირდება. გადასახადთა აკრების საარენდო წესი მებაჟეებს სახელმწიფოსაგან ერთგვარი უკანონობის დელეგირებას აძლევდა, რამდენადაც გადასახადთა მობილიზების პროცესში, არცთუ იშვიათად, დაწესებულზე მეტს იღებდნენ. ამას ერთგვარი ეკონომიკური გამართლებაც ჰქონდა, რამდენადაც გარკვეულ დანახარჯებს იმიტომ სწევდნენ, რომ მოგება მიეღოთ - რა თქმა უნდა ხალხის ხარჯზე. საზოგადოება იმდენად იყო შეწუხებული ამ პრობლემებით, რომ იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად მისულ მებაჟეებს წმ. იოანემ პირველად ეს დაუწესა: „თქვენთვის დაწესებულის მეტს ნურაფერს მოითხოვთ" (ლუკ. 3:13), ანუ ნათლისმცემელმა მათ მოთხოვა პატიოსნების და სამართლლიანობის პრინციპის დაცვა გადასახადთა აკრების პროცესში.[3]

წრფელ სინანულს, რომელიც „კეთილმსახურთაგან" მოდის, უფალი ყოველთვის იღებს: "უღვთოთა ამქვეყნიური ქონება მთლად რომ გასცენ, მათთვის უსარგებლოა.

---

[1] მეშვიდე საზვერე ვერცხლისმოყვარეობისაა, სადაც ტანჯავენ და განიკითხავენ ფულის სიყვარულის გამო.

[2] ჟურნ. „კარიბჭე", №20, 2010.

[3] უფრო დაწვრილებით იხ. წინამდებარე ნაშრომის მეორე თავი.

ვინც ცოცხალი ღვთის მტერი იყო, ცხადია ის გარდაცვლილიც არ არის" (წმ. მოციქულთა პეტრეს და პავლეს განაწესები, 14.).

ცოდვების გულწრფელი მონანიება "ვერცხლისმოყვარესაც" შეუძლია. ტაძარში სალოცავად შესულ ფარისეველსა და მებაჟეს შორის, რომელსაც ფარისეველი მძარცველების, უსამართლო და მრუში ადამიანების გვერდით მოიხსენიებს, უფლისათვის უფრო მისაღები ხდება მებაჟის გულწრფელი მონანიება.

ჩრდილოვან ოპერაციებს, „უსამართლო შენაძენის მოხვეჭას" მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევენ წმინდა მამებიც. წმინდა ეფრემ ასური გმობს მექრთამეობას, არაკეთილსინდისიერად ფულის მითვისებას და მათ საქმიანობას სისხლის დამქცევთა მძიმე ცოდვასთან აიგივებს: "ვაი უკეთურთა, ქრთამით გამამართლებელთა. ვაი სხვისი საკუთრების გამფლანგველთა. ვაი მუშაკისათვის გასამრჯელოს წამრთღმევთა, რამეთუ ასეთები იგივე არიან, რაც სისხლის დამქცევნი".

წმინდა მამას სასტიკი მსჯავრი გამოაქვს ასეთთა მიმართ: "ვინც ძარცვა-გლეჯით შეურაცხყოფდა ღმერთს და ფარავდა თავის საქმეებს, ჩაგდებულ იქნება უკუნ წყვდიადში, სადაც სხივიც კი არაა სინანულისა... ვინც ძარცვავდა და სხვებს ავიწროებდა და უსამართლო შენაძენით თავის სახლს ქონებას მატებდა, შეუბრალებელი დემონები თავისთან წაათრევენ."[1]

მართლმადიდებლობა არც ეშმაკისაგან მოვლინებულ თანამდებობის ბოროტად გამოყენების საფრთხეს და აქედან გამომდინარე შესაძლო სავალალო შედეგებს ივიწყებს, მათ შორის ღვთისმსახურთა მიმართაც: „თუ ვინმე ეპისკოპოსმა ფულით შეასრულოს ხელდასხმა და ამგვარად ვაჭრობის საგნად აქციოს მადლი, რომელიც არ იყიდება და ფულით ხელი დაასხას ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, მღვდლებს, დიაკვნებს, ან ვისმე სხვას, ვინც სასულიერო წოდებას ეკუთვნის, ან ანგარების მიზნით ფულით დააყენოს მნე (ეკონომოსი), ან ქადაგი, ან დეკანოზი, ან სხვა ვინმე კანონით განწესებული, ვისაც ამის ქმნა ემხილოს, მას ჩამოერთვას მისი ხარისხი (პატივი). ხელდასხმულნი ან დანიშნულნი ამ გზით ნურაფერს შეინარჩუნებენ ასეთი ხელდასხმისაგან ან დანიშვნისაგან, არამედ ჩამოერთვათ მათ პატივი და მოვალეობა, რომელიც ფულით მიიღეს. ხოლო ვინც ასეთი საძაგელი და უწესო ვაჭრობის შუამავალი

[1] **წმინდა ეფრემ ასური**, "ტანჯვათა სხვადასხვაგვარობაზე" (კრებულში "ჯოჯოხეთი და სამოთხე", თბ. 2004.)

იქნება, განიკვეთოს მღვდლობისაგან, ხოლო თუ ერისკაცი ან მონაზონი იყოს, შეჩვენებულ იქნეს". ნიშანდობლივია, რომ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება დასაწყისშივე, მეორე და მესამე მუხლებში იხილავს და გმობს "ვერცხლისმოყვარეობის" ამ საფრთხეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტობრივად „მეორე ეკონომიკის" ან "თეთრსაყელოიანთა ჩრდილოვანი" ეკონომიკის ფარული საქმიანობის ამკრძალველი ნორმების შემოღება ეპოქალურ საჭიროებას წარმოადგენდა. იგივე ძეგლის მესამე მუხლში ასევე იკრძალება არალეგალური შემოსავლებით ქონების მიღება და ფლობა, რომელიც "არაწესიერი შესაძინელის", "ვერცხლისმოყვარეობის გამო ქონების განგების" სავალდებულო ნორმებთანაა დაკავშირებული. მათი დარღვევა საკმაოდ მძიმე ვერდიქტის საფუძველია – დასჯა საეკლესიო განკანონებით.[1]

მსოფლიო VI საეკლესიო კრების კანონები[2] კიდევ უფრო აკონკრეტებენ სასულიერო პირის კომერციულ საქმიანობასთან დამოკიდებულებას. მეცხრე მუხლის მიხედვით ასეთ პირებს არ აქვთ უფლება სავაჭრო სახლი ჰქონდეს, "ვინაიდან თუკი მას საერთოდ აკრძალული აქვს შესვლა ამგვარ სახლში, რამდენად უფრო უწესოა და შეუფერებელი მისთვის სხვების მომსახურება დუქანში. თუ ვინმე მოიმოქმედებს ამას, ან უნდა შეწყვიტოს ეს მოქმედება, ან უნდა განიკვეთოს".

ნიკეის VII მსოფლიო კრებაზე შეშფოთება გამოითქვა ეკლესიაში დასადგურებული მექრთამეობის მიმართ (მეოთხე და მეცხრამეტე კანონები): „ეპისკოპოსებს ეკრძალებათ ყოველგვარი მექრთამეობა ...ამის მოქმედი ეპისკოპოსი , წინამძღვარი ან რომელიმე სამღვდელოთაგანი უნდა დაცხრეს ან განიკვეთოს".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბასილი დიდის დამოკიდებულება ვერცხლისმოყვარეობისადმი, რაც მისი ქვეშევრდომი ეპისკოპოსისადმი ფულით ხელდასმით აკრძალვის ეპისტოლეში გადმოცა[3]: „ნუ მიემსგავსებით იუდას და ქრთამისათვის მეორედ ნუ მისცემთ ჩვენთვის ერთხელ უკვე ჯვარცმულს, ვინაიდან ის სოფლებიც და ხელებიც, რომლებიც იღებენ ქრთამს, იწოდებიან აკელდამად".[4]

---

[1] "დიდი სჯულის კანონი". თბ. 2007, გვ. 53.

[2] სრულად "კონსტანტინეპოლის სამეფო გუმბათიან პალატაში ჩვენი კეთილმსახური და ქრისტესმოყვარე მეფის იუსტინიანეს ზეობაში შეკრებილი წმინდა მამების კრების კანონები"

[3] „დიდი სჯულის კანონი," თბ., 2007. გვ. 265

[4] ებრ. „ფასი და სოფელი სისხლისა"

ნიშანდობლივია, რომ XII საუკუნის უმნიშვნელოვანესი იტორიული წყარო "რუის-ურბნისის საეკლესიიო კრების ძეგლისწერა" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ჩრდილოვან ოპერაციებს, ქრთამს, უწესო აღებ მიცემობას, განსაკუთრებით სასულიერო პირთა მიმართ. მეხუთე მუხლი განმარტავს: "ქრთამისა და საფასურის შესახებ, რომელსაც ხელდამსხმელნი მიიღებენ ხელდასხმულთაგან... განვსაზღვრავთ, რომ ასეთი უნდა ჩამოშორდეს ეკლესიას და მას უნდა აეკრძალოს მღვდლობა თავის მაკურთხებელთან ერთად... ნუ მიიღებენ ნურაფერს ნურც ხელდასხმამდე, ნურც ხელდასხმის დროს, ნურც ხელდასხმის შემდეგ, ნურც ქრთამს, ნურც ძღვენს, ნურც ევლოგიას".

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის მოკრძალებული კვლევა მართლმადიდებლური მრწამსის ჭრილში შემდეგი დასკვნების საშუალებას იძლევა:

ა) "არა იპარო" – მოსეს ეპოქიდან მოკიდებული ღაღადებს მერვე მცნება. იგი გულისხმობს არა მხოლოდ ღვთისაგან პარვას, არამედ მიწიერი ფასეულობებიდან გამომდინარესხვათა ქონების მითვისებას, მომხვეჭელობას, სახელმწიფოს და ბიზნეს პარტნიორთა მოტყუებას და სხვა საცდურ საქმიანობას.

ბ) იუდა ისკარიოტელის მიერ მაცხოვრის გაცემა ქრთამს, "ვერცხლისმოყვარეობას" უკავშირდება, რაც იესოს გაცემის საფუძველი და სტიმული გახდა. ამავე დროს იუდა, როგორც გამყიდველი, ქრისტიანთათვის მრწამსის, მეგობრობის, სპეტაკი ურთიერთობის ფულზე "გაცვლის" (ქრთამის) სამარცხვინო სიმბოლოდ იქცა.

გ) მართლმადიდებლური მრწამსის დამოკიდებულება მარტივად და გულშიჩამწვდომად არის ასახული პავლე მოციქულის ნააზრევში: "ვინც იპარავდა, ნუღარ მოიპარავს. უკეთესია იშრომოს, თავის ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულთათვის მისაცემად"

დ) გადასახადის გადახდა (საგადასახადო ადმინისტრირება) და საბაჟოს გავლა იმდენადაა გაიგივებული "იოლადსაცდურ" საქმიანობასთან, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოხსენიება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად.

ე) რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ჩვენთვის, მიწიერთათვის, ქრთამის მოყვარული, "ქრთამის მქმნელი" ბოლომდე არასდროსაა განწირული: ამის ნათელი

დადასტურებაა მეზვერე ზაქეს შენდობა იესოს მიერ, ცოდვილი სულის მხარდაჭერა, რაც ღვთის გზაზე მისი დადგომის მიზეზი გახდა;

ვ) თვით უფალიც ემორჩილება გადასახადის გადახდის სავალდებულობას. იგი ერიდება კაცთა (დიდრაქმის (გადასახადის) ამკრებთა) ცდუნებას და პეტრეს ავალებს სტატირის (ფულის) მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას.

ზ) განსაკუთრებით ნეგატიურია მართლმადიდებლური მრწამსის დამოკიდებულება ღვთისმსახურთა "ვერცხლისკენ ლტოლვის" მიმართ: "არაწესიერი შესაძინელი" ცალსახად იგმობა და შესაბამისი მკაცრი ნორმების დარღვევა საეკლესიო განკანონებით ისჯება.

ამრიგად, მოტანილი ცალკეული ეპიზოდები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან, თუ რაოდენ ნეგატიური შედეგები შეიძლება მოუტანოს ინდივიდს, საზოგადოებას "ვერცხლისმოყვარეობის" სენმა, რის შესახებაც ათეული საუკუნეების წინ გვაფრთხილებდა სახარება, დიდი სჯულის კანონი, წმინდა მოციქულთა წერილები და სხვა უნიკალური მართლმადიდებლური წყაროები.

2.3. წყალობის და მადლის „გაზომვის“ ეკონომიკური და მართლმადიდებლური პარალელები

უფლისაგან მიღებული წყალობა და მადლი, ანუ „ხელთუქმნელი ენერგია“ (წმ. გრიგოლ პალამა) უდიდესი ბედნიერებაა მართლმადიდებლისათვის. საინტერესოა საკითხი, არის თუ არა ჩვენი ღვაწლი, ღვთივსათნო შრომა და საქმიანობა მადლისა და წყალობის წინაპირობა. მიწიერი მოთხოვნილებებისა და სულიერი საზრდოს მოპოვების ალტერნატივის საკითხი შეიძლება მართლაც წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს.

„ესრეთ იტყჳს უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ, და განიმტკიცოს ჴორცი მკლავისა თჳსისაჲ, და უფლისაგან განდგეს გული მისი...და კურთხეულ არს კაცი, რომელი ესვიდა უფლისა მიმართ. და იყოს უფალი სასო მისსა“ (იერ. 17:5-7), ან კიდევ „თუ შეიგონებ ჩემს მცნებებს, რომელთაც დღეს გიცხადებთ, რომ გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, და ემსახუროთ მას მთელი თქვენი გულითა და სულით, დროულად მივცემ წვიმას თქვენს ქვეყანას, გაზაფხულის და შემოდგომის წვიმას, მოიწევ ხორბალს, ღვინოს და ზეთს. გავაჩენ ბალახს შენს მინდვრებზე საქონელისთვის. ჭამე და გაძეხი...თორემ უფლის რისხვა დაგატყდებათ თავს, დახშავს ცას, აღარ იქნება წვიმა, მიწა მოსავალს არ მოგცემთ და მალე გადაშენდებით იმ მადლიანი ქვეყნიდან, რომელსაც გაძლევთ თქვენ უფალი“ (II რჯ. 11:13-18). ბუნებრივია, მოყვასის იმედი კაცს ყოველთვის უნდა ჰქონდეს, მაგრამ აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მხოლოდ კაცის, მოკვდავის მოიმედე ადამიანია გასაკიცხი, რომელსაც უფლის იმედი არ აქვს და სასოებას მხოლოდ მისნაირი მოკვდავისაგან ელის. ამდენად, კაცი განსაცდელისა და გაჭირვების დროს მოვლენილი, ასევე ღვთის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია წმინდა წერილის შეგონებაც იმის შესახებ, რომ „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. ამდენად, ადამიანს ყოველთვის აქვს შანსი ცოდვის შემდეგაც წამოდგეს, სათნო-ეყოს უფალს და თავისი საქმიანობით, გულშემუსვრილებით, სიმდაბლით, მორჩილებით სასუფევლის გზას დაადგეს.

ძველ აღთქმაში მრავალი მაგალითი იმისა, რომ უფლისგან განშორებული კაცობრიობა ადექვატურ სასჯელს იღებდა უზენაესისაგან. გავიხსენოთ, რომ როცა ადამისა და ევას შვილების - სეითისა და კაენის შთამომავალნი დაუახლოვდნენ

ერთმანეთს და მოხდა მათი აღრევა, სრულიად გაირყვნენ. აღარ ახსოვდათ ღმერთი, დაივიწყეს სირცხვილი და შიში, კაცთა მოდგმა კი მხეცების გროვას დაემსგავსა. ღმერთმა გარყვნილ საზოგადოებას დასაფიქრებლად ასოცი წელიწადი მისცა, თუმცა შეუსმენლობის გამო, წარღვნა მოუვლინა, ნოესა და მისი შთამომავლობის გარდა. მოგვიანებით, უფალმა ბილწი ცხოვრებისათვის სოდომიც დასაჯა. სულ ხუთი მართალი და ღვთისმოშიში კაცი იყო საჭირო რომ სოდომი და გომორი ღვთის რისხვას გადარჩენოდა, რაც უფლის აბრაამისადმი მიმართვაში გაცხადდა. უფრო გვიან, ღვთის მცნებათა დარღვევის გამო, ისრაელიანთა ერი წყალობის ნაცვლად ღვთის რისხვას - სასჯელს იმსახურებდა. ეს გამოიხატებოდა შიმშილით, იწროებაში მყოფობით თუ განსაცდელით მტრის სახით რომელიც ნაწილობრივ თუ მთლიანად იპყრობდა მათ ან სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ (ქრისტეშობამდე 722 წელს ასურეთის სამეფომ ისრაელი ერთიანად გაანადგურა და სამეფოც გააუქმა, ხოლო ქრისტეშობამდე 586 წელს კი საბოლოოდ დაეცა იუდეველთა სამეფო ბაბილონელთაგან). ურჩობის, ცოდვებისა და ურწმუნოების გამო უფალმა უცხოტომელები „ეკლებად“ დაუტოვა ისრაელიანთ, რათა ახსოვდეთ თავიანთი სარწმუნოება. როდესაც შეინანებდნენ და უფალს სთხოვდნენ შეწევნას, ყველაფერი იცვლებოდა - ღმერთი მათ მსაჯულებს მოუვლენდა, რომელებიც მტრის წინააღმდეგ წინამძღოლობდნენ ერს და სარწმუნოების წიაღში აბრუნებდნენ. თვით დავით მეფსალმუნეც კი, ურია ხეთელის ქვრივის უკეთურად ხელში ჩაგდებისა და უსამართლობის გამო, რომელმაც მტრის თვალში საკუთარი ღმერთი დაამცირა, დასაჯა უფალმა და საყვარელი შვილი, ბერსაბე წაართვა, ხოლო მეორე შვილი, აბესალომი აუმხედრა, რომელიც მამის ჯართან ბრძოლაში დაიღუპა. მოგვიანებით, სოლომონის კერპთაყვანისმცემლობით შეძრწუნებულმა უფალმა ისრაელის სახელმწიფო ორად გაყო - იუდეად და ისრაელად.

როგორც ცნობილია, უფალმა მოსეს შუამდგომლობით ხალხს აუწყა მათი მოვალეობისა და უფლის მცნებების შესრულების აუცილებლობის შესახებ. თუკი ადამიანები, რომელთაც თავისუფალი არჩევანის საშუალება ჰქონდათ ღვთის მორჩილებაში იქნებოდნენ და უფლის მცნებებს შეასრულებდნენ, კურთხევას მიიღებდნენ უზენაესისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეჩვენებისათვის იყვნენ განწირული: „უყურეთ, ასარჩევად გაძლევთ დღეს კურთხევას და შეჩვენებას:

კურთხევას - თუ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გიცხადებთ დღეს, შეჩვენებას - თუ არ შეიგონებთ, უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს და გადაუხვევთ გზას, რომელსაც გიცხადებთ დღეს, და გაჰყვებით უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ... ეცადეთ, რომ შეასრულოთ წესი და სამართალი, რომელსაც დღეს ვიძლევი თქვენს წინაშე“ (II რჯ. 11:26-32). თუმცა, ხშირ შემთხვევაში ღვთისაგან განდგომილი ხალხი უზენაესის სამართლიან რისხვას იმსახურებდა: „დამწუხრდა, დაღონდა ქვეყანა; დაჭკნა, დაღონდა სოფელი, დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერნი და მცირენიღა გადარჩნენ“ (ესაია 24:4-6).

ძველი აღთქმის მიხედვით „ზარმაცის სული მოწყურებულია, მაგრამ არაფერი აქვს; მუყაითნი კი დანაყრდებიან“ (იგავ. 13:4). ამრიგად, მუყაითი (შრომაში, ლოცვაში, ღვთივსათნო საქმეების კეთებაში) ზეციური მადლს მიიღებს და „დანაყრდება“ (როგორც ხორციელად, ისე სულიერად). ამდენად, ღვთის მოსაწონი მოძრაობა, მოქმედება, გარჯა არის უფლისაგან სანაცვლოს მიღების ერთგვარი გარანტია: „ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის წადილს“ (ფს. 36:4).

წმინდა წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული ხვალინდელი დღის ამაო ზრუნვის შესახებ, რომელსაც შფოთი და ვაება მოჰყვება. “ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?.. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ” (მათ. 6:31-33). სასუფევლის ძიება, ანუ ღვთივსათნო ცხოვრება ერისკაცისათვის უფლისაგან „ყოველივეს“, ანუ საქონლისა და მომსახურების საკმარისი ნაკრების მიღების ერთგვარი გარანტიაც არის. წყალობა უფლისა არ დაახანებს, თუკი პრიორიტეტი უფლის სასუფევლის და სიმართლის ძიება იქნება. პავლე მოციქული ბრძნულად აღნიშნავს, რომ „რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშჳდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14:17).

საგულისხმოა დავით მეფსალმუნის შეგონება იმის შესახებ, რომ ღვთის მადიდებელი და უფლისთვის სათნო, ანუ მართალი კაცი და მისი შთამომავალი არ უხილავს შეჭირვებულ მდგომარეობაში. ამით დიდი დავითი აღნიშნავს, რომ ასეთი

მართალი და უფლის ერთგული ადამიანები, უფლისგანაც ჯილდოვდებიან, როგორც სულიერად, ისე ხორციელი საზრდოთიც: „ყრმაჲ ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა“ (ფსალ. 36:25).

საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს წყალობის შესახებ წმინდა იოსებ კავასილა წმინდანის აზრით, „ღმერთისგან წყალობის თხოვნა-მისი სასუფევლის ძიებას ნიშნავს, რომელიც ქრისტემ მძებნელს აღუთქვა და არა მარტო სასუფეველი, არამედ ყველაფერი ის, რაც გვესჭიროება. ამიტომაცაა, რომ ეს ერთი ლოცვაც (იგულისხმება შეწყალების ლოცვა-ნ.ჩ.) საკმარისია როგორც, შუამდგომლობის ძალის მქონე... როდესაც ქრისტე საუბრობს მოწყალებისათვის განმზადებულ ჯილდოზე, რომელსაც მისი წყალობით მიიღებენ, ერთგან ამბობს, რომ ისინი შეწყალებულ იქნებიან, ხოლო მეორეგან - რომ სასუფეველს მიიღებენ. ასე რომ ერთი და იგივე გამოდის: მისგან მიიღებენ წყალობას თუ სასუფევლის მემკვიდრეობას: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ” (მათ. 5:7)[1]

წმინდანი მიიჩნევს, რომ უფალი დააპურებს და შემოსავს მოწყალების მთხოვნელ ადამიანს, რამდენადაც უფალს, როგორც ჭეშმარიტ მეფეს, არაფერი აქვს საერთო მონური, ისე როგორც ჩვენ, მის მონებს, არაფერი გვაქვს საკუთარი. საქორწინო სამოსით შემოსილნი უსათუოდ სასუფეველში უნდა იყვნენ. ვინც ამგვარი წყალობის ღირსი გახდება, ის მონა კი არა შვილია, რადგან მონამან არა დაიმკვიდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკვიდროს უკუნისამდე” (იოან. 8:35).

გავიხსენოთ, რომ თანამედროვე ეკონომისტთა ერთი ნაწილი ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად (№1 პრინციპი) თვლის, რომ ადამიანები ალტერნეტივის წინაშე დგანან. გრეგორი მენქიუ, თავის ცნობილ ნაშრომში “ეკონომიკის პრინციპები” აღნიშნავს, რომ “იმის მისაღებად, რაც მოგვწონს, როგორც წესი, უნდა დავთმოთ სხვა რამ რაც აგრეთვე მოგვწონს. გადაწყვეტილების მიღება ერთი მიზნის მეორესთან დაპირისპირებას მოითხოვს... იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები ალტერნატივვების წინაშე დგანან, თავისთავად ვერ გაგვცემს პასუხს, თუ რომელი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ადამიანებმა და რომელს მიიღებენ”.[2]

---

[1] წმ. **ნიკოლოზ კავასილა** „ღვთაებრივი ლიტურგიის განმარტებანი“. ჟურნ. „კარიბჭე“, №19, 2010 გვ.56

[2] **მენქიუ გრ.** ეკონომიკის პრინციპები. თბ. ”დიოგენე”, 2008. გვ 4-5.

უფალი ბრძანებს: “ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.” (ლუკ. 12:31) ამდენად, სასუფევლის ძიება ინდივიდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, მაგრამ ადამიანს ამქვეყნიური, მიწიერი გზაც აქვს გასავლელი და მიწიერისათვის ზრუნვა და გარჯაც არ არის დასაძრახი, თუკი ეს ქმედება სულის გადარჩენისკენაა მიმართული. ამიტომ არის, რომ მოციქულებმა სასუფევლის ძიება, ღმერთთან თანაზიარება მარადიული ქება-დიდება უფლისა არჩიეს მეთევზეობას, ანუ მიწიერ საზრუნავებს. მათ არაფერი გააჩნდათ, მაგრამ ყველაფერი ჰქონდათ (პავლე მოციქული) და უბრალო მებადურები ადამიანთა სულების მებადურებად იქცნენ.

ნახ. 2.3.1. (ა,ბ)

მარტივი კლასიკური საქონელგაცვლა და ინდივიდის უფალთან დამოკიდებულება

(ა)



(ბ)



სადაც, I - არის ინდივიდი, G - უფალი

დამაფიქრებელია საკითხი ადამიანის მიერ გაწეული ღვაწლისა და უფლის მიერ ბოძებული წყალობისა და საზღაურისა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უფლის მოსვლა „დიდებით განსჯად ყოველთა კაცთა, და მიგებად თვითეულსა საქმეთა მათთაებრ, რათა არა განგდებულ ვიქმნეთ უდებებითა, არამედ რათა მღვიძარეთ ვიპოვნეთ აღდგომილნი საქმითა კეთილითა“ (ლოცვა დიდისა ბასილისა)

დაკავშირებულია მაცხოვრის მრავალმოწყალებასთან ჩვენს მიერ ჩადენილი საქმეების მიხედვით: „წყეულ იყავნ მოქმედი საქმისა ღვთისასა უდებებით (იერ. 48:10)“, „კურთხევა უფლისა არს კეთილის მოქმედთა მისთა ზედა მისთა ზედა“.

ზეციდან მიღებული სიკეთეების მიუხედავად, ადამიანი მუდმივ ვალშია მასთან. თუმცა მრავალი მიიჩნევს, რომ ღვთისთვის ბევრი გააკეთა და სანაცვლოდ არაფერი მიუღია. შეუძლია ადამიანს დაიტიოს უფლის წყალობა, გაიაზროს ჯეროვნად იგი, შეაფასოს და დააფასოს? მზად არის იგი ამ წყალობის სხვის სასიკეთოდ გასანაწილებლად? ხშირად ასე არ არის და უფალიც წყალობას “აგვიანებს”.[1] უფლისათვის მთავარია ღვთივსათნო საქმეების კეთება და არა მხოლოდ „უქმი ბაასი“ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი). სახარებისეულ განმარტებაში სიყვარულსა და სამსჯავროს შესახებ, უფალი გულისწყრომას გამოხატავს მათ მიმართ, ვინც მხოლოდ სიტყვით არის უფლის მიმდევარი, საქმით კი არ აღასრულებს ღვთის მცნებებს. ამიტომ მადლის მიმღები ვერ გახდება მორწმუნე, რომელიც მხოლოდ გაიძახის „უფალო, უფალო“ და საქმით კი არ აღასრულებს (ლუკ. 6:46).

ალბათ სუსტი ადამიანური ბუნებაა, როცა ”რაც მეტს იღებ, მით მეტს ითხოვ, ნაცვლად იმისა, რომ თავადაც ზღო, რადგან თუ მეუფისაგან დამწყალობებული მუხლზე დაეცემი და ისევ მორიგ წყალობას შესთხოვ, ამით ხომ ვერას მიუზღავ უფალს მიღებულის წილ?” (წმ. გრიგოლ პალამა).[2]

ღირს ვიფიქროთ, რომ ღვთივსათნო შრომა, გარჯა, ბრძოლა უძღვის წინ საზღაურს, წყალობას და მადლს (Gratiam Dei ac Misericordiam), რითაც უფრო მდგრადი ხდება იგი.[3] წმინდა წერილი მადლს სხვადასხვა განზომილებაში გვთავაზობს: „მოწყალებით მიხედვა, სიყვარული“ (დაბ. 39,3; გამოს. 3,21; საქმ. 7,46), მშვენიერება, შნო (ფსალ. 44,2; იგავ. 4,9), სათნოება, ქველმოქმედება, კეთილი საქმე (ზირ. 7,36).

სახარებისეული თეზა „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“ (მათ. 10:10) კიდევ ერთხელ ადასტურებს უფლის სამართლიანობას. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც

---

[1] ამ მხრივ, საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს მიტროპოლიტი **ზოსიმე (შიოშვილი).** დაწვრილებით იხ. ჟურნალი ”კარიბჭე”, №10, 2010 გვ. 4-7

[2] გვახსენდება ცნობილი ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

[3] ღვთივსათნო შრომისადმი მართლმადიდებლური დამოკიდებულების საკითხი დაწვრილებით იხ. წინამდებარე ნაშრომში

ღვთივსათნო საქმეების ღირსეული საზღაური, ანუ სულიერი საზრდოს, სასუფევლის, როგორც მისი მაქსიმალური გამოვლინების ღირსი. უფალი ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს სასყიდლის (შეიძლება ითქვას, როგორც მატერიალურის, ისე სულიერის) გასაცემად მათთვის, ვინც ღირსია.

მეტიც, შეიძლება ითქვას, დადებითი კორელაცია არსებობს გაწეულ მიწიერ ღვაწლსა და ზეციურ დაფასებას შორის: „მაგრამ ღვთის მადლით ვარ, რაცა ვარ; და მისი მადლი არ იყოს ჩემს მიმართ ფუჭი, არამედ ყველაზე მეტს ვშრომობდი; არა მე, არამედ ღვთის მადლი, რომელიც ჩემთანაა“ (1 კორ. 15:10). ზეციური სიკეთის მისაღებად აუცილებელია უშურველი რწმენა. ღისი პაისი (ველიჩკოვსკი) მის ცნობილ ნაშრომში „სათნოებათმოყვარეობა“ აღნიშნავს, რომ „პირველი სათნოება რწმენაა, რამეთუ რწმენით მიიღებ ყოველივეს, რასაც მოისურვებ - ბრძანა უფალმა. სწრაფვის მიხედვით ჩვენი რწმენა ან მცირდება, ან იზრდება“.

როცა ინდივიდის ძალისხმევა „ზეციური მარგალიტების შეგროვებისკენ“ არის მიმართული, როგორც იაკობ მოციქული წერს, “საქმეთაგან განმართლდების კაცი და არ სარწმუნოებისაგან ხოლო”. ღვთის მადლი არ არის მარტოოდენ საღვთო ნათლის განჭვრეტის უნარი. იგი ამავე დროს მოქმედებაში, შენებაში, სწორ ორგანიზაციაში, განათლების სისტემის მართლმადიდებლურ საწყისებზე ფორმირებაში, მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს (შევნიშნავთ, რომ უბედურება ერთგვარად დადებით კორელაციაშია ჩადენილ ცოდვებთან.[1]

თუმცა, ყოველთვის არ უნდა მივიჩნიოთ ასე, რამდენადაც უბედურება (ღვთის რისხვა) დროის რაღაც მონაკვეთში შეიძლება იყოს ასევე ღვთის განგებულება, მომავალში უკეთესის მისაღებად. ასევე შეუძლებელია ყოველთვის ვამტკიცოთ, რომ ამქვეყნიური სიკეთეები, „დროებითი“ ხასიათისა, ნებისმიერ შემთხვევაში ღვთისაგან ბოძებულია - მხედველობაში გვაქვს შემოსავალი (აქტივები), რომელიც ავი, ღვთისმოუწონარი საქმიდან არის მიღებული. უფალი ზოგჯერ უშვებს მავანთათვის ასეთი შემოსავლის მიღებას, თუმცა იგი მაინც ცუდ საქმეში იხარჯება ან

[1] დეკ. რაჟდენ გიგაური „ოთხი მახარებლის ცხოვრებაში“ განმარტავს, რომ კერპთაყვანისმცემელთა ქალაქში იოანე მახარებელმა ერთ კაცს სთხოვა მათი ღმერთი ეჩვენებინა და სანაცვლოდ მარგალიტს აჩუქებდა. წმ. იოანემ ყოვლადწმინდა სამების სახელით მგელ-ღმერთი სამუდამოდ განდევნა კუნძულიდან და ეს იყო სწორედ იმ უცნობი გაკვირვებული კაცისადმი მიძღვნილი მარგალიტი, რომელიც შემდგომში ქრისტეს რჯულს ეზიარა.

მფლობელისათვის არასასიკეთოდ იფლანგება. მართებულად ბრძანებდა ამის შესახებ მთავარეპისკოპოსი ინოკენტი ხერსონელი: „ბოროტებით მოპოვებული ბოროტებაში იხარჯება. თუ ცუდი საქმით მოგებას იღებ, ეს უბედურების საწინდრად ჩათვალე“.[1]

ღირსი მამა იოანე კიბისაღმწერელი სამართლიანად მიჯნავს ღვთის განჭვრეტას, შეწევნასა და წყალობას: „სხვა არის ღვთის განჭვრეტა, სხვა - მისი შეწევნა, კიდევ სხვა - დაცვა, წყალობა, ნუგეში. პირველი ყველა არსებაზე ვრცელდება, შეწევნა ღვთის ერთგულებთან გვხვდება, დაცვა კი ისეთ ერთგულებთან, რომლებიც ჭეშმარიტად ასეტნი არიან. წყალობას უფლისათვის მუშაკნი მოიმკიან, ხოლო ნუგეშს - მისი მოყვარულნი“.[2]

გავიხსენოთ, რომ ოსების შემოსევისაგან „დაოსებულ“ ქართლს მხსნელად წმინდა ვახტანგ გორგასალი მოევლინა. ქართლში გლოვა და მწუხარება გამრავლდა. თხუთმეტი წლის მეფემ ყველა წარჩინებულს სატახტო ქალაქში უხმო და მიმართა შეკრებილთ: „განსაცდელსა და ჭირს ღმერთი მოუვლენს ხოლმე მეფეთაც და ერსაც მათი ცოდვების გამო. ჩვენ დავიმსახურეთ უფლის ეს რისხვა: როცა მორწმუნენი ხელს იღებენ უფლის მსახურებაზე და ივიწყებენ მის მცნებებს, ღმერთი მათ განსაცდელს უვლენს გამოსაფხიზლებლად. მადლობა ვუთხრათ უფალს ამისთვის...მივენდობი ჯვარს უფლისას, შევთხოვ შემწეობას მრავალმოწყალე ღმერთს და არ გამწირავს იგი, მაძლევინებს მტერს“[3]. არც გაწირა უფალმა - მეფემ ერთი კვირა ლოცვაში, მარხვასა და ღამისთევაში გაატარა დიდი ბრძოლების შემდეგ ქვეყანაც იხსნა მრავალრიცხოვანი მტრისაგან.

თავის მხრივ, ღვთის რისხვა შეიძლება განიზომოს ადამიანის, ინდივიდის მიმართ და მთელი საზოგადოების მიმართაც. ბიბლიური და თუნდაც უახლესი ისტორიაც მოწმობს, რომ ხშირად, როცა ქვეყანას აპოკალიფსური ჟამი უდგას, გამოჩნდებიან წმინდანები, მოციქულები, მოწამენი, რომლებიც ამსუბუქებენ „ბნელეთის მოციქულთა“ ქმედებებს და უფლისადმი რწმენას განამტკიცებენ.[4] ამიტომ,

---

[1] დაწვრ. იხ. ჟურნ. „კარიბჭე“, №2 (167), 2011. გვ. 18.

[2] ჟურნ. „კარიბჭე“, №4, 2011. გვ. 16.

[3] „წმიდა დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი“. მართლმადიდებლური საიტის http://www.orthodoxy.ge მიხედვით

[4] უახლეს ისტორიაში აპოკალიფსური რისხვის ჟამად შეიძლება მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის (კომუნიზმის) სამოცდაათწლიანი ბატონობა, ხოლო მანათობლებად ახალმოწამენი და საქართველოს დღევანდელი კათოლიკოს-პატრიარქი.

უპრიანი იქნება მსჯელობა წარვმართოთ დაშვებით „სხვა თანაბარ პირობებში“ (Ceteris Paribus), ანუ უფრო მართებული და ზუსტი იქნება მსჯელობა, რომ სხვა თანაბარ პირობებში არსებობს უკუდამოკიდებულება ცოდვასა და წყალობას შორის).

მოციქული ბრძანებს “ნუ მოტყუვდებით: ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვინაიდან რასაც დაუთესავს კაცი, იმას მოიმკის. ვინც ხორცისთვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისათვის სთესავს, სულისაგან მოიმკის მარადიულ სიცოცხლეს... სიკეთე მოვიმოქმედოთ ყველამ და უფრო მეტად მათ, ვინც ჩვენიანია რწმენით” (გალატ. 6,7-10). ძველი აღთქმის სიბრძნეც ამასვე გვიდასტურებს-ვინც ქარს სთესავს, ქარიშხალს იმკიან (ოსია, 8.7).

დამაფიქრებელია იგავი მარიამისა და მართას შესახებ. მარიამი გულდასმით უსმენდა მათ სახლში სტუმრად მისულ იესოს, ხოლო მართა უფლის გულუხვად გამასპინძელბაზე ზრუნავდა. სულიერი სარგებელი, „უკეთესი წილი“ პირველ რიგში, მარიამმა მიიღო, რომელიც მას აღარ წაერთმეოდა (ლუკ. 13:41-42). ამდენად, მარიამის არჩევანი - სულიერი დაპურება უმთავრესია, ვიდრე ამქვეყნიურზე ზრუნვა და მიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (მართას არჩევანი).

მადლის სიდიადეს მეტად საიტერესოდ განმარტავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე: „ღმერთის გზით მავალი ადამიანები კი, თავმდაბლობასთან ერთად, ესწრაფვიან, მოიპოვონ მადლი...ეს ის ენერგიაა, რომელიც ნათლის სახით მაცხოვრის ფერისცვალებისას მოციქულებმა თაბორის მთაზე იხილეს. შევნიშნავთ, რომ ღვთის ამ წყალობით აღვსების შესაძლებლობა ყველას თანაბრად აქვს, - ნასწავლსაც და უბირსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, ქალსაც და მამაკაცსაც, მოხუცებულსაც და ახალგაზრდასაც, ოღონდ, ეს გულით უნდა მოვინდომოთ და სიკეთით, სულიერი და ფიზიკური შრომით განვამშვენოთ ჩვენი ცხოვრება. დიახ, მადლმოსილება ადამიანის პიროვნული მდგომარეობაა და იგი უფლის საჩუქარია, მის სიდიდეს თავმდაბლობის ხარისხი განსაზღვრავს, ანუ რამდენადაც თავმდაბალია ადამიანი, მით უფრო მეტი მადლის დამტევია იგი.“[1].

[1] საშობაო ეპისტოლე, 2011 წელი.

შევნიშნავთ, რომ ღვთის ამ წყალობით აღვსების შესაძლებლობა ყველას თანაბრად აქვს, - ნასწავლსაც და უბირსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, ქალსაც და მამაკაცსაც, მოხუცებულსაც და ახალგაზრდასაც, ოღონდ, ეს გულით უნდა მოვინდომოთ და სიკეთით, სულიერი და ფიზიკური შრომით განვამშვენოთ ჩვენი ცხოვრება.

წყალობასა და ღვთივსათნო საქმიანობის ანლიზისას უთუოდ გასათვალისწინებელია ის უდიდესი ღვთიური ნიჭი, რასაც მორჩილება წარმოადგენს. სწორედ მორჩილებასთან ერთად აღსრულებულ საქმიანობას „მიითვლის“ და აღიარებს უფალი.[1]

ცოდვა მადლისა და მატერიალურზე გამოკიდებული საზოგადოების შესახებ მეტად საინტერესო და სამართლიან მოსაზრებებს გვთავაზობენ თანამედროვე ქართველი მამებიც: „ჩვენ ხომ მაშინ გვახსენდება ხოლმე უფალი და საკუთარი სულიც, როდესაც რაიმე საფასეს ან ქონებას ვკარგავთ?...სანამ გაგვაჩნია ამქვეყნიური საფასე, უნდა ვიზრუნოთ იმქვეყნიურზე, თუ ხილული სიკეთე გვაქვს, უნდა შევიძინოთ უხილავი სიკეთე, თორემ რაც გვაქვს, ისიც წაგვერთმევა... ღმერთი იდევნება იმ საზოგადოებიდან, სადაც მხოლოდ მატერიალურზე არიან ჩაბღაუჭებულნი, სადაც მხოლოდ ამქვეყნიოურ დიდებას მიელტვიან“.[2]

ზემოთ დასახელებულ ფაქტორთა გათვალისწინებით, შევეცადოთ ავაგოთ ჰიპოტეზური მოდელი, რომელიც გრაფიკულად გამოსახავს უფლისაგან მიღებულ წყალობას, ”ცოდვიან საქმეთა ქმნას” და “უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ საქმეთა ფასს” შორის დამოკიდებულებას. თუ ამ უკანასკნელს მივიღებთ მთავარ არგუმენტად, შედეგად გვექნება ლოგიკური მსჯელობა: რაც მაღალია აქტივობა უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ საქმეთა (მაგ: ღვთივსათნო საქმიანობა, მცნებების დაცვა, უფლისა და მოყვასის სიყვარული და. ა.შ.) მით მეტ წყალობას უნდა ველოდეთ უფლისაგან, ანუ მით მეტია საზღაურის მიღების ალბათობა. შეიძლება ითქვას პირიქითაც: რაც მეტად

---

[1] გავიხსენოთ თუნდაც აბრაამი, რომელიც დაემორჩილა ღვთის ნებას და გამოეყო კერპთაყვანისმცემლებს (საკუთარ ოჯახს). ასეთი მორჩილების შედეგად მას დაერქვა აბრაამი და აღივსო ქვეყანა მისი შთამომავლით. მან მიიღო სამარადჟამო კეთილდღეობა, დიდება და უკვდავება შთამომავლობაში. მოციქულთა თავი პავლე გვაუწყებს: „ვინც რწმენისაგან არის, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხება“ (გალ. 3:8-9)

[2] იღუმენ იოანეს (კავსაძე) ქადაგება ჩვენს სინამდვილეზე. ჟურნ. „კარიბჭე“, №1, 2011. გვ. 47-48.

არაღვთივსათნოა ჩვენი ცხოვრება, და არაკეთილსინდისიერ, არაღვთისმოსაწონ საქმიანობას ვეწევით (უფლის ღალატი, მცნებების დარღვევა, ფარისევლობა, სიბილწე, უკეთურებანი და მისთ.), მით მეტია ჩვენი „ცოდვიანობის კოეფიციენტი“.

შევეცადოთ ეს მოკრძალებული იდეები ავსახოთ გრაფიკულად (იხ. ნახ. 2.3.2.): წარმოდგენილი (MM) მრუდი ვიზუალურად უკეთ გვიჩვენებს ამ სიდიდეთა პირდაპირი დამოკიდებულების ჰიპოთეზურ ვარიანტს. (მაგ. A წერტილში „წყალობის სიდიდე“ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე B წერტილში $P_1<P_2$) ანალოგიური მსჯელობით შეიძლება გამოვსახოთ უკუდამოკიდებულების ამსახველი მრუდი (ნახ. 2.3.3.). რაც უფრო მცირდება უფლის სასიკეთოდ აღსრულებული საქმეები ($P_2^I<P_1^I$), მით მეტია „ცოდვიანობის სიდიდე“ ($a_1^I<b_1^I$). ამ დამოკიდებულებას NN მრუდი გამოსახავს.

ნახ. 2.3.2 „წყალობის მრუდი“



ნახ. 2.3.3 „ცოდვილიანობის



მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრება სინანულს უნდა

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ადამიანს მისცა ღმერთმა ნება, გონება, სინდისი, მეტყველების და ა.შ. სხვადასხვა უნარი. სამწუხაროდ, ადამიანი ხშირად სწორ არჩევანს ვერ აკეთებს და ცოდვაში ვარდება, რისთვისაც აუცილებელია სინანული, მარხვა, აღსარება, ზიარება და „კეთილ საქმეთა ქმნა“.

ამდენად, ღმერთმაც იცის, რომ კაცი ცოდვისკენაა მიდრეკილი და დაცემულს ფაქტობრივად ყოველთვის აძლევს წამოდგომის საშუალებას: „არა არს კაცი, რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს“.

ნახ. 2.3.4.

ცოდვისა და წყალობის წონასწორობის მრუდი



ამდენად, მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრება ცოდვა-მადლის შესაყარზეა. აქედან გამომდინარე, მისი ცხოვრების კონკრეტულ მომენტში რაღაც „მიწიერი წონასწორობა“ მყარდება ცოდვასა და წყალობას შორის, სანამ მისი სული იმიერში, უფლის სამსჯავროზე მოხვდება. ამ წონასწორობის გამოსახვა შესაძლებელია გრაფიკულად, თუკი პირველ მეოთხედში ავსახავთ დასახელებულ პროცესებს (იხ. ნახ. 2.3.4).

წარმოდგენილ მოდელში K წონასწორობის წერტილია, რაც ნიშნავს „წყალობისა“ და „ცოდვიანობის“ გაწონასწორებას დროის გარკვეულ მომენტში. თუმცა, შეიძლება მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ეს წონასწორობა მის სასიკეთოდ, ან მის საზიანოდ დაარღვიოს. ეს შესაძლებელია მრუდების სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებით. ამ წონასწორობაში სასურველი არე არის K წერტილის ზედა არე. აქ ვერტიკალური ღერძის შესაბამის ნებისმიერ პირობით წერტილში, ანუ უფლის სასიკეთოდ აღსრულებულ „საქმეთა ფასის“ D წერტილის ზემო წერტილში „წყალობის მნიშვნელობები“ მეტია „ცოდვის მნიშვნელობებზე“. ამიტომ ამ არეს ვუწოდოთ „ჭარბი წყალობის არე“. შესაბამისად K წერტილის ქვედა არე იქნება „წყალობის დეფიციტის“ (ან კიდევ „ცოდვიანობის სიჭარბის“ არე).

უფლის წინაშე გაწეული ღვაწლის სანაცვლოდ მიღებული წყალობის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს წმინდა ათანასე ალექსანდრიელი თავის კანონიკურ ეპისტოლეში ამონ მონაზვნის მიმართ. წმინდანი მიიჩნევს, რომ ვინც ქორწინების გზას აირჩევს, ნაყოფის ოცდამეათედ ნაწილს მიიღებს უბიწო ცხოვრების მოსურნესთან შედარებით. „ვინც ამქვეყნიურსა და ქორწინების გზას აირჩევს, იმდენი მადლით ვერ გამდიდრდება, მაგრამ მაინც მადლიანია, რადგან მიიღებს ნაყოფის ოცდამეათე ნაწილს. თუ ვინმე უბიწო ცხოვრებასა და ზესთა სოფელს შეიტკბობს,

თუმცა ახალდამწყებთათვის რთულია და ძნელად წარსამართავი ეს გზა, მაგრამ ყოვლად საკვირველი მადლი აქვს, რადგან ასწილად ააყვავებს სრულ ნაყოფს“[1].

წმინდანის მოსაზრება იმითაცაა საინტერესო, რომ მადლის მიღების ერთგვარ რაოდენობრივ თანაფარდობას ამყარებს მორწმუნეთა ამ ორ კატეგორიას შორის- ზომიერი და საერო. ქორწინების გზაზე მავალი მორწმუნე მთელი მადლის 3,3%-ს მიიღებს, მაშინ როცა, ანგელოზებრი და ზესთა სოფლისა, ანუ ქალწული-96,7%-ს.

ცხადია, წყალობის მიღების ძირითადი ფაქტორი უფლის სასიკეთოდ აღსრულებული საქმეებია, მაგრამ არსებობს რიგი ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ წონასწორობის რღვევა მართლმადიდებელი ქრისტიანის სასიკეთოდ ან საზიანოდ. მაგალითად, ასეთი ფაქტორები „წყალობის გაზრდის“ მიმართულებით შეიძლება იყოს:

ნახ. 2.3.5.



1) ზეციური საზღაურის მისაღებად დახარჯული ძალისხმევის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება);

2) საზღაურის მიღების მსურველთა რაოდენობის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება);

3) სხვა ფაქტორები.

დასახელებული ფაქტორების ზეგავლენით, „წყალობის მრუდი“ გადაინაცვლებს ზემოთ ან ქვემოთ. შესაბამისად, წყალობაც გაიზრდება ან შემცირდება (იხ. ნახ. 2.3.5.).

მაგალითად, თუკი მართლმადიდებელი გაზრდის ზეციური საზღაურის მისაღებად დახარჯულ ძალისხმევას, M_0M_0 გადაინაცვლებს ქვემოთ, M_1M_1-კენ, ანუ წყალობის სიდიდე გაიზრდება, ხოლო თუ ეს ძალისხმევა შემცირდება, მაშინ მრუდი

[1] წიგნიდან „რას გვეტყვი მამაო?“ თბ. 2005, გვ. 43

ზემოთ, M_2M_2-ში გადაინაცვლებს და წყალობის სიდიდეც შემცირდება ($OA_3 < OA_1$). ანალოგიურად შეიძლება აღვწეროთ „ცოდვიანობის“ ცვლილებებიც (ნახ. 2.3.6.)

ნახ. 2.3.6.



ცოდვიანობის გაზრდა შეუძლია მაგალითად, მსოფლმხედველობის შეცვლას მართლმადიდებლობის სასიკეთოდ ან საზიანოდ (მწვალებლური კონფესიები, სექტები, სხვა სარწმუნოების მიღება და სხვა), საზოგადოების სიბილწისა და ავისქმედებისაკენ სწრაფვას და ა.შ.). თუ ასეთი ინდივიდების რაოდენობა გაიზარდა N_0N_0 მრუდი მარჯვნივ (ზემოთ) გადაადგილდება და ცოდვიანობა გაიზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შემცირდება ($OA_3^I > OA_1^I$)

საინტერესო დატვირთვის შემცველია სახარებისეული თეზა „მუშაკი ღირსია სასყიდელისა თვისისა“. კერძოდ, თუკი მუშაკი („ქრისტეს მუშაკი“, ლოცვისა და შრომის შერწყმის უნარის მქონე მართლმადიდებელი) განუხრელად შრომობს, იღწვის, ლოცულობს, მოქმედებს სასუფევლის მოსაპოვებლად, მაშინ ღირსია შესაბამისი სასყიდელის მიღებისა, ანუ ღირსია მიიღოს ზეციური წყალობა.

ბერი პაისი ათონელი ერთგან ბრძანებს: „ამჟამად ღმერთი დიდ განსაცდელებს უშვებს. უმძიმესი დრო მოდის. ჩვენ დიდი გამოცდა გველის. მოდით ყველაფერ ამას სერიოზულად მოვეკიდოთ და სულიერად ვიშრომოთ. ერთი მხრივ, ამ სულიერ შრომას ფასი ექნება, თუკი ჩვენ სიხარულით, საკუთარი ნებით ვიშრომებთ და არა იმიტომ, რომ გვაიძულებენ... ჩვენს ბრძოლას აქვს ფასი, რადგანაც ამჟამად ჩვენი მტერი არის ეშმაკი და ამიტომაც ჯილდო ჩვენი იქნება ჯილდო ზეციური“[1].

[1] ჟურნალი „კარიბჭე“, №25, 2010. გვ. 9.

ამდენად, ადამიანი ყოველთვის ვალშია უფალთან და მისი ცოდვები ვერასოდეს გადაწონის უფლის წყალობის იმედს. თუმცა იგი იღწვის ღვთივსათნოდ იცხოვროს და უფლის მოსაწონი საქმეები აკეთოს, რათა უსასყიდლოდ იქნას შეწყალებული: „უსასყიდლოდ შემიწყალე და ნუ გამოეძიებ საქმეთა ჩემთა, რამეთუ ბოროტ არიან, და ნუ აღრიცხავ ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მრავალ და ურიცხვ არიან, და ნუ იხილავ განძრახვათა ჩემთა, რამეთუ არაწმინდა არიან, და ნუ იხილავ განძრახვათა ჩემთა, რამეთუ შესვარულ არიან“ (ლოცვა წმ. დიდისა ბასილისა).

თავი III. ფულით სარგებლობის ფასის და მოხმარების მართლმადიდებლური გააზრება

3.1. საპროცენტო განაკვეთის და „მევახშეობის“ მართლმადიდებლური გაგებისათვის

მევახშეობა უძველესი საქმიანობაა საზოგადოებისა. იგი ძირითადად ფულთან, ფულად ოპერაციებთან და ფულის სარფიან დაბანდებასთან არის გაიგივებული. საქონელგაცვლის დაბალმა ეკონომიურმა ეფექტმა, შეზღუდულმა თავისუფლებამ და სხვა პრობლემებმა საზოგადოებას ფულის შემოღებისაკენ უბიძგა.

მევახშეობა განიმარტება, როგორც ფულადი სესხის მიწოდება მაღალი პროცენტით (სავახშო კრედიტი). ასეთი კრედიტებისათვის გამოყენებულ კაპიტალს სავახშო კაპიტალს უწოდებენ. მევახშე-არის პირი, რომელიც იძლევა თანხას მაღალი სარგებლის განაკვეთით.[1] ფულის თეორიებიდან აღსანიშნავია რაციონალისტური და ევოლუციონისტური თეორიები. პირველი მათგანი ფულს ძველი კანონმდებლობის გენიალური ჩანაფიქრის ნაყოფად თვლიდა, ხოლო მეორე, ფულის წარმოშობას ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების პროცესს უკავშირებს და ეტაპობრივი განვითარების შინაარსის მატარებელია.

კრედიტი (ლათ. credit) ნატურალური ან ფულადი ფორმით გაცემული სესხია, რომელსაც აქვს დაბრუნების და სარგებლის (პროცენტის) გადახდის პირობა. კრედიტი თავდაპირველად ნატურალური ფორმით გაიცემოდა ძირითადად კვების პროდუქტებზე (ნახირი, ხორბალი და სხვა), ხოლო სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებამ კრედიტის ფულადი ფორმა წარმოშვა.

ქრისტეშობამდე ექვსი საუკუნით ადრე, ანტიკურ საბერძნეთში სავახშო კრედიტმა მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო. დაიძაბა ვითარება მსესხებლებს და კრედიტორებს შორის, რასაც მრელვარების თავიდან ასაცილებლად არსებული ვალდებულებების გაუქმება მოჰყვა (სოლონის ცნობილი რეფორმა).

მევახშეობის განვითარებას ხელს უწყობდა გადასახადთა აკრების სისტემა და ადმინისტრირების წესები. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რომის პროვინციაში არ არსებობდნენ სახელმწიფო საფინანსო ორგანოები, რომლებიც

---

[1] **Райзберг, Б., Лозовский Л., Стродубцева Е.** Современный экономический словарь. М, “Инфра-М,” 1996. ст. 296

შეძლებდნენ პროფესიულ დონეზე დაედგინათ და აეკრიბათ გადასახადები. გადასახადების აკრეფის კონტროლი ძალზე რთულდებოდა, რაც ბიძგს აძლევდა კორუფციას, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. საბოლოოდ სწორედ ამან შექმნა კრიზისული სიტუაცია ქრისტეშობამდე პირველ საუკუნეში.

გადასახადთა შეგროვების პროცესში სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენება დამახასიათებელი იყო ე.წ. პუბლიკანებისათვის. ისინი გადასახადების აკრეფასთან ერთად სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებსაც ასრულებდნენ: იმ შემთხვევაში, თუკი ხარკის გადამხდელთ არ გააჩნდათ სახსრები, პუბლიკანები მათ დიდი პროცენტით სესხად აძლევდნენ და ვადის გასვლისას დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ. დამპყრობლური ომების შემდეგ რომში იჯარით გაიცემოდა არა მარტო გადასახადთა შეგროვება, არამედ ეროვნული მეურნეობის რიგი რგოლები. როგორც პოლიბიოსი გვამცნობს "ყოველივე, რაც კი რომაელების ხელისუფლებაში იმყოფება, ცენზორის მიერ იჯარით გაიცემაო". სწორედ ასეთი ურთიერთობები აღმოცენებული იყო კორუფციულ და სავახშო საწყისებზე.

წმიდა წერილში არაერთგზის არის შენიშნული, რომ ებრაელთა შორის განსაკუთრებული ძალით ბატონობდა ვნება ანგარებისა და მომხვეჭელობისა. სხვადასხვა უმსგავსო საშუალებას შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ვაჭრობითა და მევახშეობით გამდიდრება.

საზოგადოდ, როდესაც მევახშე ან იჯარის გამცემი ხელწერილს ან გირაოს შეადგენდა, ვახშის ამღებსა თუ მეიჯარეს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა თავდები. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუკი მოვალის ან მეიჯარის (არენდატორის) ქონება არ დაფარავდა ვალს, მევალეს, მევახშესა თუ იჯარის გამცემს უფლება ჰქონდა, ციხეში გამოემწყვდია თავისი მოვალე ან მთელი მისი ოჯახი საკუთარ მონებად ექცია. ამდენად, მევახშეობა ამ ეპოქაში დამონების, მონადქცევის ერთ-ერთი „საუკეთესო" საშუალება იყო.

უფრო მოგვიანებით, საეკლესიო მიდგომები მევახშეობის მიმართ ასევე აშკარად ნეგატიურია. სპეციალური საეკლესიო კანონები კრძალავდნენ კრედიტზე პროცენტის დაწესებას და მას ერესსა და დანაშაულებრივ საქმიანობათა რიგს მიაკუთვნებდნენ.

გავიხსენოთ თომა აქვინელი (XIII ს.) და მისი „სამართლიანი ფასის თეორია“, რომლის მიხედვითაც პროცენტი ცოდვის რანგშია განხილული. თუმცა კათოლიციზმის XVI საუკუნის წარმომადგენლები მარტინ ლუთერი და ჟან კალვინი ამართლებენ მევახშეობას (ინდივიდის კეთილდღეობის იდეა).

ფული ყველაზე მაღალლიკვიდური აქტივია ყველა აქტივებს შორის, ანუ მისი დახარჯვა (სხვა აქტივად ქცევა) ყველაზე იოლად და სწრაფად შეიძლება. ამდენად, ფული სიმდიდრის შენახვის მოხერხებული საშუალებაცაა, საიდანაც გამომდინარეობს მისი ერთ-ერთი ფუნქცია - დაგროვების ფუნქცია.

სანამ ფული თანამედროვე დეპოზიტურ-ელექტრონულ ფორმას მიიღებდა, კაცობრიობის ისტორიაში მისი მრავალი ფორმა დაფიქსირდა: საქონლური, ლითონური და ემისიური.

ნახ. 3.1.1.



ძველი “შეგონების“ თანახმად, ,,ფულს ფული იგებს“, ამიტომ ადამიანებს ფული ესაჭიროებათ ერთის მხრივ, საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (გარიგებათა დასადებად), მეორეს მხრივ კი როგორც აქტივი (იხ. ნახ. 3.1.1.). ეს უკანასკნელი ემსახურება ფულის ფლობას, ერთი მხრივ, გადახდის უნარის მომავალში გადანაცვლების მიზნით და მეორე მხრივ, ემსახურება სარგებლის მიღების მისწრაფებას. ამ მიზნით თანამედროვე პირობებში მისაღები ხდება ფასიანი ქაღალდების (აქცია, ობლიგაცია) ფლობა, მეტი სარგებლის მისაღებად. რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი, მით ნაკლებია ფულზე მოთხოვნა, რამდენადაც ფასიანი ქაღალდები უფრო მეტი შემოსავლის შანსს იძლევა.

თანამედროვე საზოგადოებაში „ფულს განსაკუთრებით დიდი როლი აკისრია ბრუნვის პროცესში, როდესაც იგი ასრულებს მიმოქცევისა და გადახდის საშუალებების

ფუნქციებს. საქონლის ყიდვის ან გაწეული მომსახურების ანაზღაურების პროცესში მყიდველი ბუნებრივად აკონტროლებს საქონლის ფასს, მომსახურების ტარიფს და აგრეთვე საქონლისა და მომსახურების ხარისხს, რითაც იგი მწარმოებლებს აიძულებს იბრძოლონ ფასის შესამცირებლად და ხარისხის ასამაღლებლად".[1]

მთლიანობაში მართლმადიდებლური მრწამსი კრიტიკულად და უარყოფითად განიხილავს მევახშეობას, თუმცა, „ფულით ფულის მოგების" მიმართ სპეციფიური დამოკიდებულება გვხვდება ძველ აღქმაში, რომელშიც საერთაშორისო სესხის გაცემით (ვუწოდოთ მას „საერთაშორისო მევახშეობა") სხვა ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსიის თავისებური მოდელიც არის შემოთავაზებული.

თუ კანონი კრძალავს მოძმეზე სესხის გაცემას, უცხოელზე ამ პროცესს პირიქით, ასტიმულირებს: ,,არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს. უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გაკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ". (რჯ. 23:19-20).

გამოსვლის წიგნი ცალსახად მიუთითებს, სარგებლის დაწესების აკრძალვის შესახებ: „თუ ვინმეს, ჩემ ერისაგანს, ღარიბ ღატაკს, ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, სარგებელს ნუ დაუწესებ" (გამ. 22:24). იმისათვის, რომ უფალმა გვიკურთხოს ნამუშევარი, საჭიროა სხვა ხალხზე გასცე სესხი, შენ კი არ აიღო: ,,გაგიღებს უფალი თავის მადლიან საუნჯეს - ცას, რომ მოსცეს მიწას წვიმა თავის დროზე და და აკურთხოს შენი ხელის ყოველი ნამუშაკევი. ბევრ ხალხებს მისცემ სესხს, თავად კი არავისგან ისესხებ." (რჯ. 28:12).

პრაქტიკულად იგივე აზრია გატარებული ნეემიასთანაც, სადაც მოძმეთა გამოსყიდვის მცდელობაა ნაჩვენები, ანუ უარის თქმა მოყვასისაგან სარგებლის მირებაზე, რაც ღმერთისათვის მოსაწონ საქმედ ითვლებოდა: „მე, ჩემი ძმებიცა და ბიჭებიც, ვალად ვაძლევდით ვერცხლსა და ხორბალს. მოდით, მივუტევოთ მათ ეს ვალი. დღესვე დაუბრუნეთ მათი ყანები, ვენახები, ზეთისხილის ბაღები, სახლები, ათასეულობით ვერცხლი, პური, ღვინო და ზეითუნის ზეთი, სარგებელში რომ აიღე მათგან. თქვეს: დავუბრუნებთ და აღარ მოვთხოვთ" (ნეემ. 11:13). იგივე ითქმის

[1] **კაკულია რ., ხელაია გ.,** ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ. 2000. გვ. 43.

რჯულის წიგნზეც, სადაც ხაზგასმით არის მინიშნებული ერთგვარი ფინანსური დისკრიმინაციის შესახებ: გაზრდილი ვალდებულებები უცხოელის მიმართ და მოყვასის პატიება, შენდობა: „უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი ექნა“ (რჯ. 15:3).

მაკროეკონომიკურ სივრცეზე და ეკონომიკურ ციკლებზე ხანგრძლივი დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ღირებულებაში საკრედიტო რესურსის იმპულსური შეჭრა, ანუ ფულადი ნიშნების მიწოდება გარკვეულ საფასურად, მნიშვნელოვან დეფორმაციებს იწვევს მრავალდარგოვან ეკონომიკურ სისტემაში. პირველ რიგში, იგი ისეთ დარგებს „ურტყამს“, რომლებსაც კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივი პერიოდი ახასიათებთ (სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა და სხვა).

უფლის შეგონებებისადმი წაყრუებამ საზოგადოება იქამდე მიიყვანა, რომ მთელი მსოფლიო ვალებშია ჩაფლული. მომავალი თაობები, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან, უკვე პოტენციური კრედიტორები არიან. ქვეყნების უმრავლესობას არ ჰყოფნის საკუთარი რესურსები შიგა დაბანდებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განსახორციელებლად და ადრე არებული სესხების გასასტუმრებლად - ისევ და ისევ გამოდევნებული და ხშირ შემთხვევაში გაუმართლებლად გაზრდილი მოთხოვნების გამო. ზოგიერთი ქვეყანა მეტადაა კრედიტორი, ვიდრე დებიტორი, ზოგიერთი კი პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში სავალო ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდა (იხ. ცხრ. 3.1.1.).

ღირს ვიფიქროთ, რომ უახლოეს ათწლეულში ეროვნულ მეურნეობათა დამოკიდებულება საგარეო რესურსებზე კიდევ უფრო გაიზრდება ფინანსური ბაზრების გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის გათვალისწინებით. ამ დამოკიდებულების ზრდის პირველი ნიშანი უკვე გამოვლინდა - გლობალური კრიზისი.

ცხრილი 3.1.1.

სახელმწიფო ვალის ხვედრითი
წილი მშპ-თან, %[1]

[1] **Олейник А.** Страны мира в цифрах/2010. Электронное издание. ст. 60

№	ქვეყანა	ხვ. წილი მშპ-თან, %
1.	საბერძნეთი	97.4
2	ბელგია	89.7
3	ეგვიპტე	86.5
4	ისრაელი	76.8
5	შრი ლანკა	76.7
6	სეიშელის კუნძულები	74.2
7	საფრანგეთი	68.1
8	უნგრეთი	67.7
9	კოტ დიუარი	66.4
10	პორტუგალია	66.4
11	გერმანია	66.0
12	ნიკარაგუა	74.8
13	რუმინეთი	14.7
14	ვენესუელა	13.8
15	კამერუნი	13.5
16	ნიგერია	13.4
17	უზბეკეთი	10.4
18	უკრაინა	10.3
19	ლუქსემბურგი	10.2
20	ყაზახეთი	8.6
21	ალჟირი	8.4
22	ჩილე	5.2
23	ესტონეთი	4.8
24	ლიბია	4.0
25	ომანი	2.8
26	საქართველო [1]	27.0

ბოლო წლებში საქართველოში ამ კუთხით ერთგვარი დადებითი ტენდენცია კი ფიქსირდება, მაგრამ მოუგვარებელი პრობლემები მრავლადაა, რასაც „ხელი შეუწყო“ რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. 2007 წლამდე წინა ხუთი წლის პერიოდში საგარეო ვალი მკვეთრად შემცირდა (610,4 მლნ. ლარით) და ასევე შემცირდა საგარეო ვალის ხვედრითი წილი სახელმწიფოს საერთო ვალში. თუმცა, კრიზისის შედეგებმა ასახვა ჰპოვა 2008 წელს, როცა საგარეო ვალმა „სარეკორდო ნიშნულს“ - 3.7 მლრდ. ლარს მიაღწია, რაც სახელმწიფო ვალის 71.7%-ია (იხ. ცხრ. 3.1.2.).

ცხრილი 3.1.2.

საქართველოს სახელმწიფო ვალი 2003-2008 წლებში
(წლის ბოლოს, მლნ. ლარი)

მაჩვენებელი	2003	2004	2005	2006	2007	2008

[1] ჩვენი გათვლებით

სახელმწიფო ვალი სულ:	4608,0	4306,6	4076,1	3855,4	3919,6	5153.6
საგარეო ვალი	3040,1	2730,8	2540,8	2344,5	2429,7	3694.7
საგარეო ვალის ხვ. წილი, %	65,0	63,0	62,0	60,0	61,0	71.7

წყარო: www.geostat.ge

დავუბრუნდეთ წმინდა წერილს. წინასწარმეტყველი იეზეკიელი მევახშეობას მექრთამეობასთან ერთად განიხილავს: ,,ქრთამებს იღებენ თქვენში, რომ სისხლი დაღვარონ; ვახშს და სარგებელს იღებ და ძალმომრეობით ყვლეფ შენს მოყვასს, მე კი დამივიწყე, ამბობს უფალი ღმერთი“(იეზეკ. 22:12), ხოლო მევახშისათვის, მისი მომაკვდინებელი საქმიანობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად სიკვდილის განაჩენი გამოაქვს: „სარგებელში გასცემდეს და ვახშს იღებდეს, და ცოცხლობდეს? არ უნდა ცოცხლობდეს! ყველა ამ სისაძაგლის ჩამდენი სიკვდილით უნდა მოკვდეს; მის თავზე უნდა იყოს მისი სისხლი“ (იეზეკ. 18:13). ძველ აღთქმაში სხვა მრავალ ადგილას გვხვდება ვახშის გაცემის მიმართ აშკარად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება: „ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს - შენი ღვთისა გეშინოდეს! - და იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან. ვერცხლს სავახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისათვის ნუ გასცემ შენს საჭმელს“ (ლევ. 25:36-37).

ძველ აღთქმაში შემოთავაზებულია პატიების (მიტევების) სისტემა. იმდენად მტკივნეული იყო ამ ეპოქაში მევახშეობით გამოწვეული სოციალური უბედურებები და მნიშვნელოვანი ღვთის წყრომა, რომ მიტევება უპირველესად ფინანსურ დავალიანებებს უნდა შეხებოდა. ეს იყო კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერის სისტემაც (შვიდწლიანი ციკლი. იხ. ეკონომიკური ციკლების შედარება ამავე ნაშრომში - ავტ.), რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა: „ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოაცხადე პატიება. აი, პატიების რაობა: აპატიოს ყოველმა მოვალემ, ვისაც რაიმე უსესხებია თავისი მოყვასისათვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე“ (რჯ. 15:1-2)

წმინდა წერილი განსაზღვრავს ფულის გასესხების წესსა და მის უმარტივეს მორალს, რომლის თანახმადაც, ფულის სანაცვლოდ გირაოს (წინდის) მიღებას თავისი წესი აქვს: „თუ შენს მოყვასს რამეს ასესხებ, ნუ შეხვალ მის სახლში წინდის ასაღებად. გარეთ დადექი და კაცი, რომელსაც სესხს აძლევ გარეთ გამოგიტანს წინდს" (2 რჯ. 24:10-

11). მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარკვეულ ნივთებს სავახშოდ გამოყენების მიზნით ტაბუ აქვთ დადებული. მაგალითად, იგი ეხება დოლაბს: „არავინ დააგირაოს ხელსაფქვავი ან დოლაბი, რადგან სიცოცხლის დამგირავებელი იქნება იგი“ (რჯ. 24:6). ასეთი სიმკაცრე ხელსაფქვავის მიმართ განპირობებული უნდა ყოფილიყო „არსობის პურის“ დაკარგვის საფრთხით, ანუ საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ნივთის ხელიდან გამოცლით, რაც მოყვასს ფიზიკური განადგურებით ემუქრება.

განსაკუთრებული თანაგრძნობა არის გამოხატული ღარიბთა მიმართ, ვისაც უჭირს სესხის დაბრუნება გაჭირვების გამო. აქ სჯულის კანონი გვირჩევს ღამე არ დავიტოვოთ წინდი და მასვე დავუბრუნოთ: "თუ ღარიბი კაცია, ღამე არ დაიტოვო მისი წინდი. დაუბრუნე წინდი მზის ჩასვლისას, რომ დაიძინოს თავის სამოსელში და დაგლოცოს, კეთილ საქმედ ჩაგეთვლება უფლის, შენი ღმერთის წინაშე (2 რჯ. 24;10-13)". ამგვარად, სამოსელი არის თვით წინდი ან წინდისათვის შეიძლება გახდეს საჭირო სამოსელის დაგირავება, ან გაყიდვა, რითაც ღარიბი კაცი უმოსელი რჩება.

მევახშეობასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდა ბასილი დიდის დამოკიდებულება, სადაც იგი განმარტავს მეთოთხმეტე ფსალმუნის ბოლო ნაწილს: „ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოზე არ აიღებს, ამის მოქმედი არასოდეს წაფორხილდება“ (ფს. 14:5).

წმინდა ბასილი დიდი ცაკლე ნაშრომს უძღვნის მევახშეობას. იგიარ ივიწყებს ფსიქოლოგიურ მხარეებსაც, რომელიც მსესხებელსა და მოვალეს შორის წარმოიშობა - ერთი დარბის, როგორც გოშია სარჩოს მოსაპოვებლად, თანაც ეშინია მოვალის შეხვედრის, რამეთუ სიღარიბემ მისი გამბედაობა წარიტაცა, მეორე კი განცხრომაშია და უხარია დროის გასვლა, რომელიც ზრდის სარგებელსაც და სხვის უბედურებასაც. ვახშის გამცემი ზედმეტ სიმდიდრეს ითვისებს და ამ სიმდიდრით ფუფუნების უსარგებლო საგნებს იძენს, ფანტავს შემოსავალს და ამდენად, ორმაგ ცოდვაში ვარდება. წმინდანი მიიჩნევს,რომ როგორც „ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა , ხოლო ცუდი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა“ (მათ. 7:17) ასევეა მევახშეობაც, რომელიც ბოროტებაა და ბოროტება მოაქვს.

ღრმა შინაარსის შემცველია სოლომონის იგავი, სადაც აღნიშნულია: ,,სვი წყალი შენი აუზიდან და ანკარა შენი ჭიდან“ (იგავ. 5:15). წმინდანი ამას განმარტავს, როგორც საკუთარი შესაძლებლობების გაზომვას და გვირჩევს ყველაფერი დავთმოთ თავისუფლების გარდა. სირცხვილი არ არის სიღარიბე, ვალების აღებას კი სირცხვილი მოაქვს. არავინ კურნავს იარას იარით, ბოროტს ბოროტებით. ასევე ვერ განკურნავ სიღარიბეს ვალით. მდიდარი ხარ? - არ ისესხო. ღარიბი ხარ? - არც მაშინ ისესხო- გვმოძღვრავს წმინდანი. როცა ღარიბს აძლევ ღვთის გულისათვის, ეს საჩუქარიც იქნება და სესხიც: ,,ღარიბ-ღატაკის გამკითხავი სესხს აძლევს უფალს და ის მიუზღავს სამაგიეროს.“ (იგავ. 19:17).[1]

მევახშეობის მიმართ მკვეთრად უარყოფითი სულისკვეთება გამოსჭვივის ახალ აღთქმაშიც.[2] აქ ზოგჯერ ამ საქმეში მეტი წესრიგის შეტანის მცდელობაც შეინიშნება. ამასთან აქვეა მოტანილი სხვადასხვა ფინანსური და აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტაცია (თამასუქს და საბუთი) და მათი გაყალბების თვალსაჩინო ნიმუშებიც. კერძოდ, ორგული მნე თავისი ბატონის ვალებს უნახევრებს კრედიტორებს და ამას სათანადო დოკუმენტაციით აფორმებს: „პირველს უთხრა: აიღე შენი საბუთი, დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე ორმოცდაათი“ (ასი საწყაო ზეთის ნაცვლად). მეორე კრედიტორს ასი კოდი ხორბლის ვალად დაფიქსირების ნაცვლად შესთავაზა: „აიღე შენი თამასუქი და დაწერე: ოთხმოცი“ (ლუკ. 16:6-7).

ახალ აღთქმაშიც აქტუალურია ვალების პატიების თემა, რაც ნათლად სჩანს იგავში „მოწყალე მეფე და უმოწყალო მონა“. ბატონს მონის ათი ათასი ტალანტი ემართა. მონა შეევედრა მას, ხოლო „ბატონმა გაუშვა და ვალიც აპატია. ამ მინამ გამოსვლისთანავე იპოვა ერთი თავისი ამხანაგი მონა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, დაიჭირა, ყელში წვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო“ (მათ. 18:27-28).

ერთი რამ ნათელია - ახალი აღთქმა გაცილებით ლიბერალურია მთხოვნელის მიმართ. თანაც, ნაკლები მნიშვნელობა აქვს ეს მთხოვნელი უცხო პირი იქნება, თუ მტერი: „ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს“ (მათ.

---

[1] **Святитель Василий Великий**. Беседы на псалмы Информационно-аналитический портал. Саратовской епархии Русской Православной Церкви. www.lib.eparhia-saratov.ru

[2] გავიხსენოთ, რომ მერვე საზვერე ვახშის საზვერეა, სადაც განიკითხება მევახშეობა, მექრთამეობა და სხვისი ქონების მისაკუთრება (ნიშანდობლივია, რომ წინა, მეშვიდე საზვერე ვერცხლისმოყვარეობისაა, სადაც განიკითხავენ და ტანჯავენ უფლის სიყვარულის გამო)

5:42). საინტერესო აზრია გატარებული უიმედო სესხებთან დაკავშირებითაც. თუკი სესხი გაიცემა მასზედ, ვინც უპრობლემოდ დააბრუნებს, ეს უკვე მადლი აღარაა. მთავარი ის არის, როცა მტერსაც არ დაუკავებ სესხს: „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთე უყავით და ასესხეთ, და ნუღარაფერს მოელით, და დიდი იქნება თქვენი საზღაური“ (ლუკა 6:35)

ახალ აღთქმაში განსაკუთრებით საინტერესოა მონაკვეთი, რომელიც შეიძლება ითქვას ირიბად ეხება მევახშეობას.მხედველობაში გვაქვს იგავი „ტალანტებზე“ მასში ბატონი გულისწყრომას გამოხატავს იმ მონის მიმართ, რომელმაც კი არ განამრავლა, არამედ მიწაში დაფლო მოცემული ტალანტი. ბატონის პოზიცია ასეთია: „შენ იცოდი , რომ ვიმკი სადაც არ დამითესავს და ვკრეფ სადაც არ დამიბნევია; ამიტომ ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდი“ (მათ. 25:26-27). არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი აღთქმის ეს ნაწილი ახდენს მევახშეობის ერთგვარ ლეგალიზებას, ანუ ამ იგავის პირდაპირი აღქმა დაუშვებელია. ამას გვასწავლიან წმინდა მამები. შესანიშნავად განმარტა ეს ნაწილი წმინდა იოანე ოქროპირმა, რომელმაც სულიერი და ნივთიერი სიმდიდრე (ფული) გამიჯნა - თუკი უფალი კრძალავს სარგებლის მიღებას გაცემულ ნივთიერ სიმდიდრეზე, რეალური სიმდიდრის მიმართ პირიქით, კატეგორიულია და მოითხოვს მის გამრავლებას. წმინდანი „ტალანტის“ქვეშ გულისხმობს ღვთის სიტყვას, რომელიც უნდა გამრავლდეს და ყოველივე მოიცვას. თუკი მიწერი ვალის დაწესება სარგებლით მოვალეს აღარიბებს, სულიერ ცხოვრებაში კი ასეთი ვალის აღება ადამიანისთვის ბედნიერების მომტანია.[1]

მართლმადიდებლობბის შეუვალი დამოკიდებულება მევახშეობასტან საუკუნეების მანძილზე ვლინდებოდა საეკლესიო კრებებზე, სხვადასხვა კანონებში, ეპისტოლეებსა თუ განჩინებებში. წმინდა მოციქულთა 44-ე კანონით დაუშვებელია სასულიერო პირის მიერ ვახშის მიღება - წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დედაეკლესიიდან უნდა მოიკვეთოს: „ეპისკოპოსი,მღვდელი ან დიაკონი, თუ მოვალეს ართმევს ვახშს, მან უნდა შეწყვიტოს ეს ქმედება ანდა განიკვეთოს. იგივეს ღაღადებს „ლაოდიკიის კრების კანონებიც“, რომელიც დასაწყისშივე კრძალავს მევახშეობას (მეოთხე კანონი): „სამღვდელო პირმა არ უნდა გაასესხოს სარგებლით ფული და არ

[1] **Иоанн Златоуст**, святитель. Толкование на Евангелие от Матфея . Т.7. М, 2000. Репринг. ст..59

უნდა აიღოს ვახში და აღნადგინები“. იგივე აზრს გამოხატავს კართაგენის კრების კანონებიც. მეხუთე კანონში ვკითხულობთ: „სამღვდელო დასის წარმომადგენელმა არ უნდა აიღოს ვახში რაიმე ნივთზე. თუ ეს ერისკაცს ნაკლად ეთვლება, რამდენად უფრო დასასჯელია ამის მოქმედი მღვდელი“.

მსოფლიო მეექვსე საეკლესიო კრება ამ საკითხში სხვა კრებების გადაწყვეტილებებს ერთგვარად ადასტურებს და განმარტავს, რომ „ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, რომელიც იღებს ვახშს, ან აღნადგინებს (პროცენტს), უნდა შეწყვიტოს ეს მოქმედება ან განიკვეთოს“ (მეათე კანონი).

გრიგოლ ნეოკესარიელი ჩვეულებრივი ერისკაცებისათვისაც მიუღებლად მიიჩნევს სარგებლის მიღებას: „არ უნდა მიიღონ არც ვახში, არც ქრთამი, არც პროცენტი, არც რაიმე ამგვარი, რა სახელიც არ უნდა უწოდონ მას“.[1]

კესარია კაბადოკიის ეპისკოპოსის, წმინდა ბასილის ეპისტოლეში ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ მევახშეობას მართალია მავნე სენად აღიარებს, მაგრამ თუკი მიღებული სარგებელი გლახაკებს გადაუნაწილდება და აღარ ჩაიდენს ამ ცოდვას, დასაშვებია მისი შეწყნარება: „თუ ვახშის ამღები უსამართლო მოგებას გაუნაწილებს გალახაკებს და შემდეგ გათავისუფლდება მომხვეჭელიბის სენისაგან, იგი შეწყნარებული იქნება მღვდლად.“[2]

---

[1] „დიდი სჯულის კანონი“. თბ, 2007. გვ 230

[2] იქვე გვ. 243.

3.2. მევახშეობის მართლმადიდებლური გაგება თანამედროვე საბანკო საქმიანობის კონტექსტში

მართლმადიდებლური ეკლესია მევახშეობას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას ცალსახად უარყოფითად განიხილავს. თუმცა, თანამედროვე პირობებში, როცა ასე მრავალფეროვანი და მრავალგვარია ეკონომიკური საქმიანობა, საზოგადოების კატეგორიული დაყოფა „მევახშეებად", „ვერცხლისმოყვარეებად", "სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის აგების მსურველებად" და „პატიოსნებად" მარტივი მიდგომა იქნება.

ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს კითხვები: იგივეა თუ არა კრედიტის აღება ბანკისაგან და მევახშისაგან? არის თუ არა ბანკი თანამედროვე მევახშე? როდესაც კრედიტს ვიღებთ ბანკისაგან სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხომ არ იქნება უფლისთვის მოუწონარი საქციელი, რამდენადაც ჩვენ ვესწრაფვით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას იმ ფულით, რომელიც ჯერ არ გამოგვიმუშავებია? შეიძლება ჩაითვალოს თუ არა თანამედროვე ბანკში მუშაობა ცოდვად? დანაზოგის მოთავსება ბანკში გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ არის თუ არა ქრისტიანისათვის მისაღები ქმედება? რეალობის გათვალისწინებით, ამ კითხვებზე პასუხი არცთუ მარტივია. უპრიანი იქნება, ძველი მევახშეები და თანამედროვე ბანკებს იდენტურად განვიხილავთ, მაშინ პასუხი მარტივი იქნება. თანაც, დღევანდელი საპროცენტო განაკვეთი გაცილებით დაბალია, ვიდრე მევახშეთა მიერ დაწესებული სარგებელი.თუმცა თანამედროვე ეკონომიკა წარმოუდგენელია საბანკო სისტემის გარეშე, რომელიც, რეგულირების პირობებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილიზაციაში.

საუკუნეების განმავლობაში შეიცვლა სესხის ბუნება. ამჟამად მისი აღება ხდება როგორც სამომხმარებლო მიზნით, ისე სამეწარმეო საქმიანობისათვის. ბანკის მიერ კრედიტის გაცემა ნიშნავს, რომ მევალე მას იღებს ახალი დამატებული ღირებულების შესაქმნელად ან შექმნილი დამატებული ღირებულების შესაძენად (მოხმარება). ერთ შემთხვევაში, კრედიტი მას ესაჭიროება სამეწარმეო საქმიანობისთვის, მოგების მისაღებად, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ავტომობილის, მაცივრის, სახლის და ა.შ. შეძენა). ამდენად, კრედიტი მას ესაჭიროება

სხვა ფულის გამოსამუშავებლად, რომ ბანკს კუთვნილი ვალი დაუბრუნოს. მისი ასეთი აქტივობა პოზიტიურია მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის მიზნით, რასაც მოჰყვება დასაქმების და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება. გამოდის, რომ სამეწარმეო კრედიტის აღება გარკვეულწილად (ირიბად) უწყობს ხელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

თანამედროვე პირობებში, ფულით ახალი ფულის გამომუშავება განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და გლობალური ეფექტების მატარებელია, ვიდრე თუნდაც ანტიკურ ეპოქაში. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ამჟამად ფულის და კრედიტის აბსოლუტურად განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით. მაგალითად, ძველი ეპოქა იცნობს ფულს, რომელიც ინფლაციას არ განიცდიდა. მევალისათვის გადაცემული ღირებულება (დოვლათი, ფული) არ კარგავდა თავის პირვანდელ ღირებულებას. ამჟამად, ინფლაციის გამო მისი რეალური ღირებულება შეიძლება მკვეთრად დაეცეს (მაგ., საქართველოში, ინფლაციიდან დამომდინარე, ლარის წლიურმა „დანაკარგმა“ 10-12%-ს შეიძლება მიაღწიოს). ინფლაციის გამო, „შენახული ფულის“ რეალური მყიდველობითი უნარი მცირდება. უფრო მეტიც, ბანკზე მიბარებული ფული შეიძლება გაფუჭდეს. მაგალითად, თუკი 1000 ლარიანი ანაბრის სარგებლის წლიური განაკვეთი 10%-ია, ხოლო ინფლაცია 15%, მაშინ წლის ბოლოს მფლობელის ნომინალური შემოსავალი გახდება 1100 ლარი, ხოლო რეალური შემოსავალი მხოლოდ 957 ლარი (1100:1,15), ანუ 43 ლარით ნაკლები. ბუნებრივია, ბანკიც იძულებულია გაცემულ სესხზე მეტი განაკვეთი დააწესოს, ვიდრე ანაბარზე სარგებლის განაკვეთია.

ინფლაცია თანამედროვე მაკროეკონომიკის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ფულის ემისიას (მიწოდებას) და რეგულირებას ეროვნული ბანკები ახორციელებენ სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით, რასაც უფრო დაწვრილებით პარაგრაფის ბოლო ნაწილში შევეხებით. ფულის რაოდენობრივ განტოლებას („ფიშერის განტოლება“) აქვს სახე:

$$MV=PQ, \qquad (1)$$

სადაც M - არის ფულის მიწოდების რაოდენობა, V - ფულის ბრუნვის საშუალო სიჩქარე, P - ფასების დონე, ხოლო Q - მთლიანი შიდა პროდუქტი. გრძელვადიანი პერიოდისათვის, ფულის მიწოდება გავლენას ახდენს ფასების დონეზე. მართლაც,

ფულის არამართლზომიერი, გადაჭარბებული მიწოდება, რომელიც არ არის დაბალანსებული თანამდევი პოზიტიური ეფექტებით, იწვევს ფასების საერთო დონის ზრდას, ანუ ინფლაციას. დავუშვათ, გაიზარდა გამოშვებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა 5%-ით. ფასების უცვლელი საშუალო დონის შენარჩუნებისათვის (1) განტოლების თანახმად, ფულის მიწოდებაც 5%-ანი უნდა იყოს. თუმცა, პრაქტიკულად მაინც შეუძლებელი ხდება ამ თანაფარდობის შეკავება, რამდენადაც ფულის ცირკულაციის შედეგად (V პირველ განტოლებაში) ადგილი აქვს ტრანსაქციებს, რაც ეკონომიკაში გარიგებათა რაოდენობის ტოლფასია. თუმცა, ფულზე მოთხოვნას განაპირობებს ოპერაციული და სპეკულაციური მოთხოვნები, ასევე არსებობს ფულზე დამატებითი მოთხოვნა - ფულით სარგებლობისათვის საფასურის, ანუ საპროცენტო განაკვეთი. სწორედ ამ ფაქტორის ზეგავლენით, ფულის მიწოდების მეტობა მშპ-ზე გრძელვადიან პერიოდში გარდაუვალია.

ამდენად, თანამედროვე პირობებისთვის წარმოუდგენელია უპროცენტო სესხი, ისევე როგორც უაზრობაა ფულის შენახვა განძის სახით, რომელიც შეიძლება მხოლოდ დროის გარკვეულ შუალედებში იქნას გამართლებული. სესხი ერთგვარი სტიმულიცაა იმისა, რომ მეწარმემ კარგად იმუშაოს, მოგებაც მიიღოს და ეტაპობრივად სესხიც დააბრუნოს, რომელიც მისი დანახარჯების ნაწილი გახდა.

ბუნებრივია დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრობლემები იქმნება სესხის დაუბრუნებლობისას, რამდენადაც ყველა სამეწარმეო საქმიანობა არ არის თანაბრად წარმატებული. იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, ხშირ შემთხვევაში, შეზღუდულია, რაც ნიშნავს, რომ ისინი თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაში, საქმე უფრო რთულადაა, თუმცა ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებლობა, ძველი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ჰუმანიზმს იჩენს მათ მიმართ. მაგალითად, დაუშვებელია მათი მონებად ქცევა, უნარჩუნდებათ საარსებო მინიმუმისათვის საჭირო შემოსავლები და ა.შ.

უარყოფითს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ სამეწარმეო სუბიექტმა კრედიტი აიღოს სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, არსებული საქმიანობის გასაფართოვებლად, საბრუნავი საშუალებების შესავსებად. მოგების მიღების მისწრაფების გარდა, კრედიტის აღება რეალური წარმოებისა და მომსახურების შექმნის,

საზოგადოების ერთი ნაწილის დასაქმების, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, ასევე უცხოურ ბაზრებზე გასვლისა და სავალუტო რეზერვების მობილიზების წყაროდ იქცეს.[1] ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაცია იძულებულია აიღოს კრედიტი რომელიმე მიმწოდებლის ან პარტნიორის დაუდევრობით, რომელიც დროულად ვერ ახერხებს გადახდას. ამიტომ, იგი იძულებულია კვლავწარმოების დაბრკოლების აღკვეთისა თუ ხელფასების გაცემის მიზნით შეივსოს საბრუნავი საშუალებები.

თანამედროვე განმარტებით ბანკი არის საფინანსო ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფულსა და ფასიან ქაღალდებზე სხვადასხვა ოპერაციებს და ფინანსურ მომსახურებას უწევს სახელმწიფოს, საწარმოებს და ინდივიდებს.[2] ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი უფრო მოკრძალებულია ბანკის განმარტებაში და თვლის, რომ „ბანკი არის ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი, სპეციფიკური საწარმო, რომელიც არეგულირებს საგადასახადო ბრუნვას ნაღდი და უნაღდო ფორმით და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას“.[3] თუმცა მიგვაჩნია, რომ განმარტების ბოლო ნაწილი მხოლოდ ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს შეესაბამება და არაფერი აქვს საერთო კომერციულ ბანკთან, რომელიც ნაკლებად ფიქრობს, თუ მისი საქმიანობა რამდენად არის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო საქმიანობა მაღალ კვალიფიკაციას, ყურადღების კონცენტრაციას და დაუღალავ შრომას მოითხოვს ფულადი რესურსების აღრიცხვასა და კონტროლთან მიმართებაში, შრომა კი ანაზღაურებას ექვემდებარება - „მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია“ (მათ. 10:10). თუმცა ამ ანაზღაურებაშიც დევს ის პროცენტები, რაც ბანკმა მიიღო “ფულის გაქირავების“ სანაცვლოდ.

კრედიტის ფორმებისა და მიდგომების ცვლილებასთან ერთად ასევე შეიცვალა საპროცენტო განაკვეთის სიდიდეებიც. მევახშეთა განაკვეთი კაბალურ პირობებთან ერთად გაცილებით მაღალი იყო ვიდრე ამჟამინდელი ბანკები გვთავაზობენ.

---

[1] უმუშევრობის დონის გაზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის (გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების) მნიშვნელოვან შემცირებას. კერძოდ, ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზემოთ მისი ყოველი 1%-ანი ზრდა მშპ-ს 2,5%-ით ამცირებს.

[2] **Райзберг Б., Лозовский Л., Стародубцева Е.** Современный экономический словарь. М., «Инфра-М», 1996. ст. 27.

[3] **იაშვილი რ.,** საბანკო საქმის საფუძვლები. ქუთაისი, 2005. გვ. 43.

მართალია, მკაცრი მიდგომით, პროცენტის აღებისაგან ქრისტიანი თავს უნდა იკავებდეს, მაგრამ საბანკო საქმიანობის ცალსახად განხილვა ცოდვილიან, აკრძალულ საქმიანობად, ალბათ რთულია და აუცილებელია ყველა შესაძლო ასპექტის გათვალისწინება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დიაკვან ალექსი კნუტოვს, რომლის აზრითაც "თანამედროვე ბანკი მისი საფუძვლით-კრედიტით რაღაც დონით ჩვენი არასრულყოფილი სამყაროს კანონზომიერი მოვლენაცაა".[1]

ნიშანდობლივია აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც - ეკლესიის მიერ დაწესებული აკრძალვა (ამ შემთხვევაში მევახშეობის მიმართ) ეხება პირადად ქრისტიანს, მის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან და არა სახელმწიფო კანონების რეგულირებას, რომლითაც საზოგადოება ცხოვრობს. ქრისტიანს არ ეკრძალება ყველა სახელმწიფო ინსტიტუტითა და დაწესებულებით სარგებლობა, თუმცა, „კეისარს კეისრისა" უნდა მიაგოს და „ღმერთს ღვთისა".

თანამედრვე პირობებში საპროცენტო განაკვეთის სიდიდე განსაზღვრავს ინვესტიციებს, ანუ დანახარჯებს ახალი წარმოების მშენებლობაზე, კაპიტალურ მოწყობილობაზე, დანადგარებზე და ა.შ. (ნახ. 3.2.1.). ფირმები მხოლოდ იმ შემთხვევაში აბანდებენ კაპიტალს პროექტში, თუკი წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა (r%) აჭარბებს საპროცენტო განაკვეთს (i%).

ნახ. 3.2.1. წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმის
და საპროცენტო განაკვეთის დამოკიდებულება



მაგალითად, თუ საწარმო იძენს 1000 ლარიან ჩარხს, რომლის საექსპლოატაციო ვადა 1 წელია და ყველა ხარჯის გარეშე წმინდა შემოსავალი 100 ლარი. მაშინ:

[1] **Кнутов А.** Ростовщичество и современные банки. www. bogoslov.ru (გადამოწმებულია ჩვენს მიერ 15.11.2010)

$$r\% = (1100-1000)/1000x100\%=10\%$$

ღირს თუ არა ინვესტირება, უნდა განისაზღვროს რეალურ საპროცენტო განაკვეთთან r-ის შეფარდებით. თავის მხრივ, რეალური საპროცენტო განაკვეთი (i%) არის ნომინალური საპრცენტო განაკვეთისა და ინფლაციის სხვაობა. ამდენად ინვესტირება განხორციელდება მაშინ, როცა სრულდება პირობა r>i. ამდენად, ზემოაღნიშნული საქმიანობა ხელს უწყობს ინვესტირების პროცესს, რაც წარმოების წახალისებით გამოიხატება.

ცხრილი 3.2.1.

კომერციული ბანკების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (1 იანვრის მდგომარეობით)

წელი	*მოკლევადიანი სესხები*	ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით	*გრძელვადიანი სესხები*	ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
	საპროცენტო განაკვეთები, %					
2001	30.5	23.0	32.8	15.9	7.3	20.1
2002	30.8	27.5	32.1	19.9	8.3	21.7
2003	28.0	25.3	28.9	20.5	12.0	21.3
2004	27.7	31.2	26.5	19.8	14.3	19.8
2005	26.8	27.4	26.6	19.3	25.0	19.0
2006	27.9	31.2	25.5	18.1	25.2	17.3
2007	31.1	34.8	24.0	18.9	25.3	17.6
2008	32.4	35.5	23.4	18.8	23.8	17.1
2009	28.7	33.6	20.9	22.0	24.1	19.3
2010	31.2	36.6	22.1	22.7	25.7	20.6

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge)

განსხვავებული შინაარსის შემცველია სამომხმარებლო კრედიტი, რომელიც მევალეს სჭირდება სხვადასხვა ნივთების შესაძენად, განათლების მისაღებად, სამკურნალო მიზნებისათვის და სხვა შემთხვევაში ბანკი კლასიკური მევახშეა. თუმცა, თუკი იგი გაითვალისწინებს ინფლაციის დონეს, მომსახურების ხარჯებს და ზემოგებაზე არ იზრუნებს, ასეთი ზომიერი განაკვეთები შეიძლება მისაღებადაც ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევა სესხებზე საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთები (იხ. ცხრილი 3.3.).

შედარებისათვის: ევროკავშირის ქვეყნებში 2009 წლის მონაცემებით, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 1 წლამდე სამომხმარებლო კრედიტზე შეადგენდა 7.8%-ს, 1-5 წლამდე კრედიტებისათვის ეს განაკვეთი 6.78% იყო[1]. 5 წელს ზემოთ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალი იყო და 5.63%-ს შეადგენდა (იხ. ცხრ. 3.2.2.).

ცხრილი 3.2.2.

საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (2009 წლის მონაცემებით)

№	ქვეყანა	სამომხმარებლო კრედიტის განაკვეთი, %		
		1 წლამდე ვადით	1-5 წელი	5 წელზე მეტი ვადით
1	ევროკავშირი	7,8	6,78	5,63
2	ბელგია	7,6	7,7	5,3
3	გერმანია	8,7	5,4	5,9
4	პოლონეთი (ერ. ვალუტით)	11,8	14,8	17,6
5	ფინეთი	3,2	4,8	-
6	ირლანდია	4,5	4,9	5-7
7	ავსტრია	4,6	4,9	5-7

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც - საპროცენტო განაკვეთი არა მხოლოდ უბედურების მომტანი, არამედ ერთგვარი რეგულატორიც, სტაბილიზაციის გამომწვევიც შეიძლება იყოს. მაგალითად, ფულის მიწოდების რეგულირებაში ერთ-ერთი ინსტრუმენტია ბანკთაშორისი კრედიტს განაკვეთი, ანუ სააღრიცხვო განაკვეთი. ეს არის პროცენტი კრედიტზე, რომელსაც ცენტრალური ბანკი გასცემს სხვა (კომერციულ) ბანკებზე.

[1] www.rokf.ru - საინფორმაციო საიტი (გადამოწმებულია ჩვენს მიერ 15.01.2011)

თუკი შეიმჩნევა ინფლაციური პროცესები, ცენტრალური ბანკი ზრდის ამ განაკვეთს („ძვირი ფულის“ პოლიტიკა), რითაც ეცემა ფულზე მოთხოვნა და ნელა იზრდება მიმოქცევაში ფულის მასა (იხ. ცხრ. 3.2.3.).

ცხრილი 3.2.3.

„იაფი“ და „ძვირი“ ფულის პოლიტიკათა ეფექტები

„იაფი ფულის“ პოლიტიკა	„ძვირი ფულის“ პოლიტიკა
პრობლემა: უმუშევრობა და ვარდნა	**პრობლემა:** ინფლაცია
ც/ბ შეისყიდის ობლიგაციებს, ამცირებს სააღრიცხვო განაკვეთს და სარეზერვო ნორმას ↓	ც/ბ ყიდის ობლიგაციებს, ზრდის სარეზერვო ნორმას და სააღრიცხვო განაკვეთს ↓
ფულის მიწოდება იზრდება ↓	ფულის მიწოდება მცირდება ↓
საპროცენტო განაკვეთი მცირდება ↓	საპროცენტო განაკვეთი იზრდება ↓
საინვესტიციო ხარჯები იმატებს ↓	საინვესტიციო ხარჯები მცირდება ↓
ერთობლივი მოთხოვნა იზრდება ↓	ერთობლივი მოთხობნა მცირდება ↓
მნიშვნელოვნად იზრდება რეალური მშპ (გაცილებით მეტად, ვიდრე ინვესტიციები)	ინფლაცია იწყებს შენელებას

მართალია, განაკვეთის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, რადგან საპროცენტო განაკვეთი იზრდება, საინვესტიციო ხარჯები მცირდება, ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, მაგრამ მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია თანმხლები ნეგატიური ეფექტის დაძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა პრობლემა არის უმუშევრობა და ეკონომიკური ვარდნა, ცენტრალური ბანკი ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რითაც იზრდება საინვესტიციო ხარჯები და ერთობლივი მოთხოვნა, რაც ფულის მიწოდების ზრდით არის განპირობებული („იაფი ფულის“ პოლიტიკა).[1]

ამდენად, ჩვენი აზრით, რთული და წინააღმდეგობრივია ბანკის, როგორც მევახშის და მისი თანმხლები დეფინიციების განსაზღვრის საკითხი, რომელიც თანამედროვე პირობებში, უაღრესად ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

[1] დაწვრილებით იხ. **ჩიხლაძე ნ.** ზოგადი ეკონომიკსი, ქუთაისი, 2008. გვ. 143-144.

3.3. ქრისტიანული და ეკონომიკური სწავლებები მოხმარების შესახებ

„არიან ადამიანები, რომლებსაც არაფერი აკლიათ, მაგრამ ამასთან ერთად არ აკლიათ სევდაც, რადგან მათ აკლიათ ქრისტე“.

ბერი პაისი

ათონელი

საკითხი მოხმარებისა და ერთობლივი მოთხოვნის ფორმირების შესახებ ქრისტიანულ სწავლებასა და ეკონომიკურ მეცნიერებაში მეტად რთული და წინააღმდეგობრივია. თვით ეკონომიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანი, ერთ-ერთი თანამედროვე განმარტებით, საზოგადოების მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიებას წარმოადგენს. ამდენად, ოპტიმალური არჩევანის პრობლემა უმთავრესია, რომელსაც „ავსებს“ ადამიანთა ეკონომიკური ქცევა მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში.

უფალი ჩვენი მოუწოდებს ყველას, ვისაც სურს იქცეს სრულყოფილ ქრისტიანად: „ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ვჭამოთ ანდა რა ვსვათ; ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შევიმოსოთო, განა სული უფრო მეტი არ არის, ვიდრე საზრდელი და სხეული უფრო მეტი - ვიდრე სამოსელი?... ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი, და ვინაიდან მამამ თქვენმა ზეციერმა იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს. მაშ, ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ“ (მათ. 6:25-33).

ნახ. 3.3.1.



მასლოუს პირამიდა

ეკონომიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანი ძირეულად უკავშირდება მოთხოვნილებებს, რომელიც მოხმარების განმსაზღვრელი დეტერმინანტია (რაც მეტია მოთხოვნა, მით მეტია მოხმარება). მავანი შემოგვედავება და წმინდა მამებს დაიმოწმებს, რომ ადამიანი ღმერთმა ნეტარებისთვის გააჩინა, აბა როგორ გინდაო. თუმცა საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილს ნეტარება

სხვადასხვაგვარად აქვს წარმოდგენილი.[1] ზოგიერთს (უფალმა მოგვიტეოს და ასეთი ალბათ უმრავლესობაა), ნეტარებად მიაჩნია მატერიალური დოვლათის დაგროვება (ბინა, აგარაკი, ავტომობილი), ზოგს ძალაუფლება და მაღალი თანამდებობები, ნაწილს განათლების შეძენა (რომელიც ხშირად ასევე ღვთიურ მადლს მოკლებულია) და ა.შ. ჭეშმარიტი ნეტარება სისადავესა და უბრალოებაში უნდა ვეძებოთ, რამდენადაც "ნეტარნი იყვნენ გლახაკნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა".

საზოგადოების მოთხოვნილებათა იერარქიის ერთ-ერთი სრულყოფილი სახეა მასლოეს პირამიდა (იხ. ნახ. 3.3.1.). ადამიანები თავიანთი მოთხოვნილებების (კეთილდღეობის) ამოცანების გადაწყვეტის დროს იყენებენ ერთგვარ ეკონომიკურ მექანიზმებს, მის ცალკეულ გამოვლინებებს, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით შეიძლება არ იყოს გამართლებული (მაგ., სესხის გაცემა, კონკურენტების დასამარცხებლად ანუ მეტი მოგების მისაღებად მაქსიმალური ძალისხმევის გამოყენება, ათასგავარი ფასეულობების და ფულის ბანკებსა და სეიფებში გადანახვა, ,,ღვთაებრივი ბანკის" დავიწყება სანაცვლოდ და ა. შ.).[2]

თვით მასლოუს პირამიდაში მოტანილი მოთხოვნილებებიც, თუკი მას არ ახლავს ერთგვარი "სულიერი ფილტრი", შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს მართლმადიდებლური თვალსაზრისით. მაგალითად, ყველაზე ელემენტარული მოთხოვნილებები - ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომელიც პრიმიტიულ საზოგადოებასაც გააჩნია, მოთოკვასა და რაგულირებას საჭიროებს. წმინდა იოანე კრონშტანდტელი განმარტავს, რომ ,,გემრიელი და უხვი საჭმელით გული გათქვირდება, გასქელდება და მოუძლურდება სულიერი ღვაწლისათვის, განსაკუთრებით ლოცვისათვის და ლუკა მახარებელს იშველიებს: ,,ეკრძალენით თქვენს თავს, რათა არ დამძიმდეს თქვენი გული განცხრომით, სიმთვრალითა და ამქვეყნიური საზრუნავით და ანაზდეულად არ მოიწიოს თქვენზე ის დღე" (ლუკ. 21:35). თვითრელიზაციისა და პატივისცემის მოთხოვნილებები კი შესაძლოა ამპარტავნებაში

---

[1] შედარებისათვის: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II "საქართველოს გაბრწყინებას" განმარტავს არა როგორც მატერიალურად აყვავებული ქვეყნის ხილვას, სადაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, არამედ სულიერ გაბრწყინებას.

[2] გაეროს მონაცემებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში პლანეტის მოსახლეობის 15% ცხოვრობს. მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ექსპორტში ამ ქვეყნების წილი 74.8%-ია. მოსახლეობის ეს 15% მოიხმარს მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების 86%-ს.

(,,ცოდვათა მთავარ წყაროში“) და ხიბლში გადაიზარდოს. საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ მასლოუს პირამიდას ქრისტიანული ასკეტიკა უპირისპირდება, რომელიც რვა ძირითად ცნებას მიუთითებს: ღორმუცელობა, მრუშობა, ვერცხლისმოყვარეობა, მრისხანება, დარდი, გულგატეხილობა, ამაო პატივმოყვარეობა და ამპარტავნება.

თანამედროვე მსოფლიოს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „მომხმარებლური მსოფლიო“. ცნობისათვის: პლანეტის მოსახლეობა 6,9 მილიარდ კაცს შეადგენს, მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) საშუალოწლიურად 1 სულ მოსახლეზე 10,5 ათასი აშშ დოლარია, მშპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 2,9%-ია. საერთო ექსპორტი 16,1 ტრლნ. დოლარია, იმპორტი კი 16 ტრლნ. დოლარი. ელექტროენერგიის მოხმარება 17,1 ტრლნ. კვტ. საათია, ნავთობის მოხმარება 86 მლნ. ბარელი დღეში, ბუნებრივი გაზისა კი 3,2 ტრლნ. კუბური მეტრი.[1]

დღეისათვის მოდურად იქცა თავისუფლებაზე (მათ შორის ეკონომიკურზე) ბჭობა. სამწუხაროდ, საზოგადოება თავისუფლებას ,,სათავისოდ“ იყენებს, უმთავრესად ხორციელი სურვილების დაკმაყოფილებაზე აქცენტის გადასატანად. პავლე მოციქულის მიხედვით: „თავისუფლებისათვის ხართ ძმანო ხმობილნი; მაგრამ ხორციელი განცხრომისათვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ერთურთს.“ თითქოს წინააღმდეგობრივია ნეტარი ავგუსტინეს ცნობილი გამონათქვამი: ,,გიყვარდეს და აკეთე რაც გსურს“ (შეად. მთავარი საბაზრო პრინციპი - მეწარმეობის თავისუფლება - ავტ).რეალურად ეს ნიშნავს, რომ გიყვარდეს ღმერთი და აკეთო რაც გსურს, ანუ თუკი ღვთის სიყვარული გაგაჩნია, ღვთის მგმობ საქმეს არ ჩაიდენ.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ეთიკის ორი მიმართულება ფიქსირდება: მოხმარების მიმართულებით ე.წ. უტილიტარისტული (ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტიპი, ასევე ერემია ბენტამი, ჯონ სტიუარტ მილი და ადრიან ჰელვეციუსი), რომელთა მიხედვით ადამიანთა საქმიანობის ძირითადი მისწრაფება სიამოვნებათა მიღებაა. ამ გუნდს ნაწილობრივ შეიძლება ადამ სმიტიც (XVIII ს.) მივაკუთვნოთ, რომელიც ინდივიდის ნებისმიერ ქმედებას მხოლოდდამხოლოდ პირად ინტერესს უკავშირებს: “ადამიანებს მუდმიდვად ესაჭიროება თანამოძმეთა დახმარება, მაგრამ მოლოდინი, რომ ისინი მხოლოდ დიდსულოვნების გამო დაეხმარებიან, უსაფუძვლოა.

[1] **Олейник А.** Страны Мира в Цифрах / 2010. Электронное издание. ст. 93-94. (www.alleng.ru)

ადამიანი, დახმარებას მაშინ უფრო მიიღებს, როცა შეძლებს სხვების დარწმუნებას იმაში, რომ ეს დახმარება მათთვისაც მნიშვნელოვანია... ჩვენი სადილი ყასბის, მეფუნთუშის და სირაჯის დიდსულოვნების კი არა, იმის შედეგია, რომ ისინი საკუთარ ინტერესებს სცემენ პატივს...ცალკეული პირი ნაკლებად ფიქრობს საზოგადოებრივ ინტერესებზე და იმაზე, თუ თავად რა წვლილი მიუძღვის მათ დაცვაში... ის მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ემსახურება, მაგრამ "უხილავი ხელი" მის მოქმედებას ისე წარმართავს, რომ საბოლოო ჯამში მისი ქმედება საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა, თუმცა, ეს სულაც არ შედიოდა თავად ამ პირის მიზნებში. ხშირად ასე გაუცნობიერებლად მოტანილი სარგებლობა უფრო დიდია, ვიდრე ის, რომელსაც ეს პირი საზოგადოებას შეგნებულად მოუტანდა"[1].

სმიტის თეორიის მიხედვით, ეგოიზმი, პირადი ინტერესი და მისი დაკმაყოფილება საბაზრო სისტემის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ანუ იქმნება ამ თვისებებით მოტივირებული „ეკონომიკური ადამიანი". იგივე ითქმის უილიამ პეტიზე (XVII ს.), რომელმაც ამ ფილოსოფიის მთავარი თეზისის ფორმულირება მოგვცა: „იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად"

მეორე მიმართულებას არისტოტელე და პლატონი უყრიან საფუძველს. არისტოტელე განასხვავებდა ქრემატისტიკას და ეკონომიკას. ეკონომიკა მოიაზრებოდა როგორც მიწათმოქმედება და აუცილებელი საქონლის და მომსახურების შეძენა ინდივიდებისა და შინამეურნეობის მიერ განსაზღვრული, აუცილებლად ზომიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. არისტოტელე უარყოფდა ფულის მეტისმეტ დაგროვებას, გამდიდრებას მიმოქცევის საშუალებათა გამოყენებით. სპეკულაციურ ვაჭრობას, მევახშეობას და ა.შ. ის დასაშვებად მიიჩნევდა ბარტერს, რომელიც არ აკნინებდა სამომხმარებლო ღირებულების როლს. „ფულის კეთებას", სიმდიდრის დაგროვებას მათ შორის, მსხვილი ვაჭრობითა და მევახშეობით, არისტოტელე აკუთვნებდა ქრემატისტიკას („ქრემატა" ბერძნ. აუცილებელი მოხმარების საგნების აღმნიშვნელია). „არსებობს თუ არა სიმდიდრის ზღვარი?" - კითხულობს არისტოტელე. მოაზროვნის პასუხი დადებითია, რამდენადაც სიმდიდრედ

[1] სმიტი ა. "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". თბ., 1938. (ელვერსია)

იგი მიიჩნევს „საშუალებების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ცხოვრებისათვის და სასარგებლოა სახელმწიფოსა და ოჯახისათვის“.[1]

შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეს შეხედულებები იდეურად შედარებით ახლოსაა ქრისტიანულ წარმოდგენებთან მოხმარებაზე. ქრისტიანული სწავლების ძირითადი იდეა მდგომარეობს მატერიალური მოთხოვნილებების შეზღუდვაში, რამდენადაც ამქვეყნიური ყოფა მხოლოდ დროებითია და მზადებაა იმქვეყნიური ყოფისათვის. ამდენად, მოხმარების ქრისტიანული ეთიკის დედაარსი მდგომარეობს მოხმარების თვითშეზღუდვაში, ჭარბი მოხმარებისაგან თავშეკავებაში, გამოუყენებელი რესურსების (ფული, ძვირფასეულობა, სხვადასხვა სახის საქონელი, ნივთები) ღვთისა და ახლობლების (უპოვრების) სასიკეთოდ მიძღვნაში და ა.შ. ქრისტიანისათვის, რომელიც სრულყოფილებას ესწრაფვის, მთავარია ელემენტარული, მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ყველაზე აუცილებელი სამომხმარებლო ხარჯების გაწევა, რამდენადაც ჭარბი მოხმარება მიწიერ სამყაროს აახლოებს და უფალს აშორებს მას.

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და სახედ შექმნა, ამიტომ პირველივე მცნებაც, ,,მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არავინ იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე,“ ინდივიდისათვის გარკვეული ვალდებულებების შემცველია. უფლის სამსახური ლოცვასა და მარხვას („გვირგვინი გმირობისა, საფუძველი ჯილდოსი და გზა ცხონებისა“- იოანე ოქროპირი) უკავშირდება, რაც თავისთავად მატერიალური მოთხოვნილებების შემცირებას, ანუ მოხმარების შეზღუდვას ნიშნავს. წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით ,,გარდამოცემა მარხვის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც თვით სამყარო. პირველი მცნება , რომელიც ადამიანს უფლისგან მიეცა, მარხვის შესახებ მცნება იყო.“

სინას მთიდან დაძრულმა და აღთქმული მიწისაკენ მიმავალმა ისრაელიანებმა მესამე დღეს ატეხეს ჩივილი და გოდება საკვების სიმწირის გამო - მათ აღარ აკმაყოფილებდათ ციური მანანა და მრავალფეროვან საკვებს, განსაკუთრებით კი ხორცეულს ითხოვდნენ მოსესაგან. ერის წინამძღოლი საგონებელში ჩავარდა, თუ საიდან ეშოვა ამდენი საკვები მრავალრიცხოვანი ხალხისათვის. უფალმა არ გააწბილა

[1] **Аристотель.** «Политика». Соч. т. 4. М., «Мысль», 1984. с. 389.

მოსე და მწყერთა უთვალავი გუნდი მოუვლინა ხალხს, რომლეთა ნაწილი მეტისმეტი ძღომისა და გემოთმოყვარეობისაგან დაიხოცა და „სიხარბის სამარხები“ წარმოშვა (რიცხ. 11:1-34).

შეიძლება ითქვას, რომ მოგვიანებით, ისრაელთა სამეფოს ორად გაყოფა - იუდეად და ისრაელად სწორედ ერთობლივი მოხმარების მეტისმეტი ზრდის მცდელობამ განაპირობა. კერძოდ, ჯერ სოლომონს გამოელია რა მამის სიმდიდრე, მოხმარების დონე არ შეუკვეცავს, რამაც გაზრდილი ხარჯების დასაბალანსებლად გადასახადების ზრდის საჭიროება წარმოშვა. შემდეგ, სოლომონის სიკვდილისთანავე, მისმა შვილმა რობოამმა საგადასახადო ტვირთის გაორმაგება განიძრახა, რამაც ააჯანყა ხალხი და ქვეყანა გახლიჩა (3 მეფ. 12, 1-33).

როგორც აღინიშნა, მოხმარების შეზღუდვა გარკვეულ სავალდებულო და „არასავალდებულო“ მსხვერპლის გაღებას უკავშირდება, ანუ მოუხმარებელი ნაწილის გასხვისებას. ერთგვარი სავალდებულო „მსხვერპლი“ იყო მეათედი. რაც შეეხება ნებაყოფილობით გაცემებს, იგი უკავშირდება ნაკლებშემოსავლიან ფენებს, უპოვართ, ღარიბ-ღატაკთ და საერთოდ ნებისმიერ მთხოვნელს, ვინც ამის საჭიროებას განიცდის: „როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას, სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ, ვენახსაც ნუ მოიმცვრევ, ყურძნის ბიმბილებს ნუ აკრეფ ძირიდან; ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი.“ (ლევ. 19:9-10).

საუფლო ლოცვაში მოხსენიებულ „პური ჩვენი არსობისას“ წმინდა მამები განმარტავენ, როგორც მინიმალურ შესათხოვარს უფლისადმი. ეს არ არის შეთხოვნა იმისა, რომ უფალმა გაგვამდიდროს, სტომაქი გაგვისქელოს და განცხრომაში გვამყოფოს. „დაიმორჩილე სტომაქი, სანამ მას არ დაუმორჩილებიხარ“ - გვმოძღვრავს იოანე კიბისაღმწერელი. ეს არის ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილების შეთხოვნა. წმინდა იოანე ოქროპირი სამართლიანად კითხულობს: ,,თუკი არ იცი გაგითენდება თუ არა ხვალინდელი დღე, მაშ რატომ ზრუნავ მასზე?“

როცა უფალმა მოუხმო „თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა“, მოუწოდა მათ დაეცვათ ერთგვარი სამომხმარებლო მინიმუმი: „ნუ წაიტანებთ სარტყლით ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც რვალს, ნურც

აბგას გზაში, ნურც ორ ხელ სამოსს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც არგანს, ვინაიდან ღირსია მაშვრალი თავისი საგზლისა (მათ. 10:9-10).

მოხმარების შეზღუდვის აზრია გატარებული ლუკა მახარებლის მიხედვით უფლის სამოცდაათი მოწაფისადმი მიმართვაში: „იმავე სახლში დარჩით, ჭამეთ და სვით, რაცა აქვთ... თუ რომელიმე ქალაქში მიხვალთ და მიგიღებენ თქვენ, ჭამეთ რასაც წინ დაგიდებენ (ლუკ. 10:7-8). ის რაც არაქრისტიანულად მცხოვრები ადამიანისთვის პირველადი (პრიორიტეტული) მოთხოვნილებებია, ნამდვილი ქრისტიანისათვის უმეტესწილად მეორეხარისხოვნად იქცევა. იაკობ წინასწარმეტყველი ყოველგვარი ბოროტების დასაბამად არასწორ მოთხოვნებს მიიჩნევს, რომლებიც ვნებებიდან გამომდინარეობს. ვნებებით ფორმირებული მოთხოვნები უფლისაგან არასოდეს დაკმაყოფილდება: ,,გსურთ და არა გაქვთ; კლავთ და გშურთ, და საწადელს ვერ აღწევთ; იბრძვით და ომობთ, და ვერ კი იხვეჭთ, იმიტომ რომ არ ითხოვთ. ითხოვთ და ვერ იღებთ, იმიტომ რომ ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენი ვნებები დაიცხროთ“ (იაკ. 4:2-3).

ამ შეგონებაში ნათლად სჩანს მოთხოვნის ქრისტიანული მორალი, რომ მოთხოვნა უნდა იყოს ღვთისათვის მისაღები, მოსაწონი, სამართლიანი და არ უკავშირდებოდეს უკეთურ ძრახვებს. ასეთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ხელდასხმა არ ექნება და ყოველგვარი დაბრკოლება აღიმართება მის შესაკავებლად.

როგორც რუფინიუსი განმარტავს, აუცილებელია ადამიანი განეშოროს სულიერ სიბილწესა და ხორციელ სიამოვნებას: „ნუ ჩათვლით ხორციელ სიამოვნებად მხოლოდ იმას, რითაც ტკბებიან ამა სოფლის ერთგული კაცნი. დამერწმუნეთ, ასეთ სიამოვნებას იღებენ ზოგჯერ ისინიც, ვინც მოთმინებას იმარხავს. ეს მაშინ ხდება, როცა რაიმეს გატაცებით ხმარობენ, თუნდაც მისი გატაცების საგანი უმნიშვნელო, ყოველდრიურად სახმარი რამ იყოს“.[1] სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღდგომის მითითება უფალმა შემდეგი სიტყვებით მოგვცა: „შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და მცირედნი ჰპოვებენ მას“ (მათ. 7:13-14).

[1] დაწვრ. იხ. **რუფინიუსი** „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“ (ჟურნალში „კარიბჭე“, №20, 2009. გვ. 46-47.)

ქრისტიანობის ერთ-ერთი ბურჯი, „მდიდრების რისხვა“, იოანე ოქროპირი (IV-V ს.) აღნიშნავს, რომ მდიდრებზე თავდასხმა განპირობებულია მათი ხშირი თავდასხმით ღარიბებზე. ცნობილი ღვთისმეტყველი მიიჩნევს, რომ თავს ესხმის არა მდიდრებს, არამედ მათ, ვინც ბოროტად იყენებს სიმდიდრეს: „ყოველი ბოროტების სათავე სიჭარბე და საჭიროზე მეტის ქონის სურვილია... მდიდარია არა ის, ვისაც ქონება აქვს, არამედ ვისაც ბევრი არ ჭირდება. ღარიბი არაფრის მქონე კი არ არის, არამედ ის, ვისაც ბევრი ესაჭიროება“.[1]

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით სიკეთის ცნება ჩანერგილია ჩვენში, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვმსჯელობთ საგანთა სიკეთეზე. საგნები, როგორც ცვალებადი ნაწილობრივი სიკეთენი, არ იარსებებდნენ, რომ არ ყოფილიყო თვით სიკეთე, ე.ი. ღმერთი. მისწრაფება იმ სიკეთისაგან სიამოვნების მიღებისაკენ, რომლებიც ადამიანის დანიშნულების არაადექვატურია, ბოლოვდება არა ნეტარებით, არამედ ტანჯვით. იგივე ხდება მაშინაც, როცა სიამოვნებისათვის განკუთვნილი საგნებით სარგებლობას ვესწრაფვით. ორივე შემთხვევაში სიყვარულის წესრიგი ეწინააღმდეგება ჭეშმარიტი სიკეთის წესრიგს, რასაც საბოლოოდ ტანჯვა მოჰყვება. ნეტარი ავგუსტინე წერს: „მთელი წესრიგი რომელსაც ჩვენ სათნოებას ვუწოდებთ, მთავრდება სურვილით, ვისიამოვნოთ და ვისარგებლოთ იმით, რითაც უნდა ვისარგებლოთ. ის, რაც ღირსეულია, უნდა იყოს ნეტარების ობიექტი, ხოლო რაც სასარგებლოა, უნდა იყოს სარგებლობის ობიექტი“[2].

ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, სწორედ სურვილებისა და ვნებებისადმი წინააღდგომა არის მოხმარების შეზღუდვის ან მოხმარების სტრუქტურის ძირეული შეცვლის საფუძველი, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციებში პოზიტივების მოტანა შეუძლია.

პრაქტიკულ ბიზნესში ჩართული ან ეკონომიკურ მეცნიერებაში მეტნაკლებად ჩახედული მკითხველი, უმალ იკთხავს: რა რეალური სარგებელი შეიძლება მიღოს ეკონომიკამ მოხმარების შეზღუდვისაგან? როგორი იქნება ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა და ა.შ. შევეცდები ამ კუთხით საკუთარი ვერსიები შემოგთავაზოთ.

პირველი: ეკონომიკა შეიწავლის არჩევანის პრობლემას საზოგადოებრივ მაქსიმალურად დიდ მოთხოვნილებებსა და შეზღუდულ რესურსებს შორის.

---

[1] История экономических учении. Под ред. В Автономова. М., «Инфра», 2001. Гл. 1, §3.

[2] ჟურნ. „კარიბჭე“ №13, 2010. გვ. 39-40.

ბუნებრივია, შეზღუდულობა რესურსებისა ამა თუ იმ საზოგადოებისათვის პირობითი შეიძლება იყოს, მაგრამ პრობლემა ნებისმიერი საზოგადოებისათვის, ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი ძალაში რჩება.

„საჭიროება“- „მოთხოვნის“ ჯაჭვში, რომელსაც მარკეტინგის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ფ. კოტლერი გვთავაზობს, საწყისია „საჭიროება,“, რომელიც მოთხოვნილებად ფორმირდება, ხოლო ეს უკანასკნელი კი მოთხოვნად გადაიქცევა, გადახდის შესატყვისი უნარის პირობებში. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ევოლუცია სამ ეტაპს მოიცავს: თვითდაკმაყოფილება, დეცენტრალიზებული გაცვლა და ცენტრალიზებული გაცვლა, ანუ ბაზარი, სადაც უმთავრეს როლს ფული ასრულებს.[1]

მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის შეკვეცა საშუალებას მოგვცემს თანაფარდობის - რესურსები/მოთხოვნა - შედეგი შედარებით გაიზარდოს. თავის მხრივ, რესურსების შეზღუდვის დონის შემცირება მათი გაცილებით ეფექტიანად გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

თანამედროვე პირობებში ალტერნატივის სწორი შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია და მასში ქართული ანდაზის ,,რასაც დასთეს, იმას მოიმკი“ ღრმა შინაარსი დევს. თუკი სწორ ეკონომიკურ სტრატეგიას ავირჩევთ, ანუ განვსაზღვრავთ იმ საქონლისა და მომსახურების ნუსხას, რომელიც ე.წ. ,,მომავლის საქონელს“ განასახიერებს, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავირჩევთ ისეთ წარმოებას, რომელიც ხელს შეუწყობს ტექნიკურ პროგრესს, მატერიალური ან ადამიანური რესურსების ხარისხისა და რაოდენობის გადიდებას, უზრუნველვყოფილი იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდა. ეს პროცესები ტრაფორმაციის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებით, ანუ ეკონომიკური ზრდით გამოიხატება (იხ. ნახ. 3.3.2.).

ნახ. 3.3.2.

[1] **Котлер Ф.,** Основы маркетинга. М., «Прогресс», 1991. ст. 49-54.



ამდენად, მოთხოვნის შეკვეცით (დარეგულირებით) და მართებული ეკონომიკური პოლიტიკით მოვახდინეთ მიმდინარე პროდუქციის დიდ წილის ინვესტირება მომავალში, რაც უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის გარანტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესურსების მზარდი მიწოდება ასევე ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. დროთა განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობის ზრდას შეუძლია გამოიწვიოს სამუშაო ძალის რაოდენობრივი ზრდა და მათი მეწარმეობითი შესაძლებლობების გადიდება (შეად. მართლმადიდებლობის დამოკიდებულება შობადობასთან, ასევე პატრიარქის მიერ მესამე და შემდგომი შვილის მონათვლა, როგორც შობადობის სტიმული და დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების კუთხით უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი - ავტ.). თუკი სამუშაო ძალა, მართლმადიდებლური მრწამსით იხელმძღვანელებს, მაშინ იგი, როგორც უმთავრესი რესურსი, ერისათვის მეტს შექმნის (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი), ღვთისაგან შექმნილს მცირედსაც კი დიდი ძალა ექნება!

მეორე: საინტერესოა საკითხი - როდის „ახსენდებათ“ მთავრობებს მოხმარების რეგულირება? როდესაც წარმოიშვება სხვადასხვა საფრთხეები. უფრო ზუსტად, ეს საფრთხეები ძირითადად არასწორ, არაჯეროვან მოხმარებას უკავშირდება და ამ დროს მთავრობებუ „რთავენ ფისკალური პოლიტიკის ძრავს“.

მოთხოვნების შემცირებამ, მათ მნიშვნელოვან ნაწილზე უარის თქმამ შესაძლოა დანაზოგების ზრდა გამოიწვიოს. თეორიულ მოდელში (სასურველ მოდელში), დანაზოგების ზრდა დადებითად მოქმედებს შიგა საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე. თუკი ინფლაციურ პროცესებს აქვს ადგილი, ეს ერთგვარი შველაა,

რამდენადაც ეროვნულ ვალუტაზე შიგა მოთხოვნა შემცირდება და წმინდა ექსპორტი გაიზრდება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასაც შეუწყობს ხელს (როგორც ცნობილია მშპ=C+Ig+G+Xn, ანუ მშპ არის სამომხმარებლო ხარჯების, ერთობლივი კერძო შიგა ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამი). ამდენად, მოთხოვნის შემცირების გამო სამომხმარებლო ხარჯების შემცირება შეიძლება წმინდა ექსპორტის ზრდით იქნას კომპენსირებული.

ნახ. 3.3.3.

შემოსავლებს, მოხმარებასა და დანაზოგებს შორის დამოკიდებულება



როგორც ცნობილია, მოხმარება ერთობლივი დანახარჯების ყველაზე მსხვილი კომპონენტია. დანაზოგები არის ,,დაუხარჯავი ფული“, ანუ განკარგვადი შემოსავლის მოხმარების შემდეგ დარჩენილი ნაწილი (ნახ. 3.3.3.).

წარმოვადგინოთ სასურველი სიტუაცია: თეორიულ მოდელში მოხმარების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დანაზოგების გაზრდას. გაზრდილი დანაზოგები შეიძლება საპროცენტო განაკვეთის შემცირების სტიმული გახდეს, რაც დააჩქარებს ინვესტირების პროცესს (როგორც ცნობილია, დანაზოგებისა და ინვესტირების მიმართება სარგებლის განაკვეთთან საპირისპირო ურთიერთობით გამოირჩევა). მოტანილ მოდელში (ნახ. 3.3.4. ა), დაბალ საპროცენტო განაკვეთს მეტი ინვესტიცია შეესაბამება ($C_1<C_0$, მაგრამ $d_1>d_0$). დანაზოგების გაზრდა კი იწვევს ინვესტიციის ზრდას (ნახ. 3.3.4., ბ, $b_0>b_1$, $a_0<a_1$).

ნახ. 3.3.4.





მოხმარების გარკვეული შეზღუდვა დაზოგვის სასარგებლოდ იწვევს დაზოგვისადმი ზღვრული მოდელების (დზმ) ზრდას, რამდენადაც:

დზმ = ცვლილებები დაზოგვაში/ ცვლილებები შემოსავალში

თუ გავითვალისწინებთ, რომ მაკროეკონომიკურ პროცესებში ადგილი აქვს მულტიპლიკატორის (M) ეფექტს და თანაფარდობას

M=1/დზმ

მივიღებთ, რომ დაზოგვის მატება ზრდის მუტიპლიკატორს და შესაბამისად, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას, მცირე ქმედებასაც კი შეეძლება უკვე სწრაფი და ხელშესახები პოზიტიური შედეგების მოცემა, რამდენადაც მულტიპლიკატორი პირველდაწყებითი ცვლილებების ეფექტს ,,ამრავლებს“ (იხ. ნახ. 3.3.5.).

ნახ. 3.3.5.



მაგალითად, დაქვეითებისა და დეპრესიის პირობებში, როცა მულტიპლიკატორი მაღალი იქნება, პოზიტიური შედეგი სწრაფად მიიღება (მშპ-ის გაზრდა, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა, უმუშევრობის შემცირება და ა. შ.), ანუ ერთობლივი მოთხოვნის ზრდის პროვოცირებისათვის მცირე ძალისხმევა გვჭირდება.[1]

იგივე პოზიტივი მიიღება ინფლაციური პროცესების დროს მოხმარების შეზღუდვისას, როცა ხდება ფასების საერთო დონის შეკავება (იხ. ნახ. 3.3.6.).

ნახ. 3.3.6.

ერთობლივი მოთხოვნის შემცირება



სავსებით გვესმის ის სირთულე, რომ საზოგადოებისათვის, მისი უმრავლესობისათვის, მოხმარების ქრისტიანული მორალის და პრინციპების დაცვა ერთგვარად შეუძლებლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ცალკეულ ინდივიდებს ამ პრინციპების დაცვა შეუძლიათ და დარწმუნებული ვართ იცავენ კიდეც (ამის არაერთი

[1] თუ მკრეხელობად არ ჩაგვეთვლება, მულტიპლიკატორის ეფექტის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებად უფალი ჩვენი შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც მაცხოვარმა ხუთი პურით და ორი თევზით, ქალებისა და ბავშვების გარდა ხუთიათასი კაცი დააპურა და ნარჩენებით 12 კალათა გაივსო.

მაგალითიც არსებობს). ამასთან, მოხმარების ქრისტიანული მორალის დამკვიდრება დიამეტრალურად შეცვლის მოთხოვნის სტრუქტურას. მაგალითად, შემცირდება მოთხოვნა კაზინოებისა და სამორინეების მომსახურებაზე, ზოგიერთი სახის ვიდეოპროდუქციაზე, შარვლებზე (დედაკაცებისათვის), ცხოველურ ნაწარმზე (ხორცი, ყველი, კარაქი, კვერცხი), ალკოჰოლურ და სპირტიან სასმელებზე და ა.შ. გაიზრდება მოთხოვნა სამარხვო კვების პროდუქტებზე, სანთლებზე, ზეთზე, საეკლესიო ნაწარმზე, სამშენებლო ქვებსა და მასალებზე და სხვ.

ეკონომიკური პოლიტიკის რომელი მიმართულებაც უნდა განვიხილოთ, ფაქტობრივად არც ერთი არ არის სრულყოფილი. სავსებით ვეთანხმებით ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს იმის შესახებ, რომ „ეკონომიკური პოლიტიკის მრავალ კარდინალურ საკითხს აკლია სინათლე, ხოლო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მოდელი საზოგადოებას ჯერჯერობით არ გააჩნია. მას აქვს მხოლოდ ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული, გაფანტული სტრატეგიული ორიენტირები“.[1]

ჩვენი აზრით, ქრისტიანულ ეთიკას დაქვემდებარებული მოხმარების ძირითადი პრინციპების პრაქტიკული რელიზება, საოჯახო მეურნეობებსა და რეალურ სექტორში ეროვნული ეკონომიკის სასიკეთოდ გარდაქმნის რეალურ ქვაკუთხედად იქცევა.

ყოველდღიურ, მატერიალურ მოსაპოვებელზე გადაგებულთ, საქმისა და სამსახურის გამფეტიშებელთ სამართლიანად გვკიცხავს ბერი პაისი ათონელი და არ გვიკურთხებს საქმიანობას, რომელიც ქრისტესგან შორსაა. იგი ფაქტობრივად ქრისტიანის მიერ შრომისა და ფიქრის, მოხმარებისა და ზრუნვის პროგრამას გვთავაზობს: ,,არიან ადამიანები, რომლებიც მთლიანად ეწირებიან მატერიალურს. მთელი დღე ზრუნავენ სამუშაოს კარგად შესასრულებლად, ღმერთზე კი საერთოდ არ ფიქრობენ. ნუ მივეცემით ამას ჩვენც. იმუშავეთ ხელებით, იმუშავეთ ფეხებით, მაგრამ გონებას ნუ მისცემთ ნებას, ღვთისგან მიიდრიკოს. ნუ მიეცემით მატერიალურს მთელი არსებით. სხვაგვარად ადამიანი კერპთაყვანისმცემელი ხდება. მიეცით სამუშაოს განსჯის უნარი, მაგრამ ნუ მიუძღვნით გულს უსარგებლო არარაობას. სხვაგვარად როგორღა შეხედავს იგი ქრისტეს?! როდესაც გული ქრისტესთანაა, მაშინ სამუშაოც ნაკურთხია.“

---

[1] **გველესიანი მ.** რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., „კომენტარი“, 2008. გვ. 155.

ზოგიერთი დიდი ეკონომისტი და ფინანსისტი მრავალი „უჩინარი სიავკაცის“ ჩადენის შემდეგ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებშიც აუცილებელია კორექტივების შეტანა. ტრანსნაციონალური კომპანიების და გლობალური იმპერიების ფინანსურ და პოლიტიკური მუსკულატურასთან მებრძოლთ, თუმცა, საკუთარი, პირადი ინტერესებისათვის დამაშვრალთ - ეკონომიკურ მკვლელებს, გამოაქვთ რა დასკვნები თავიანთი მოღვაწეობიდან, სინანულამდე მიდიან და გვირჩევენ: „რომ დავფიქრდეთ და შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება. მე დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც ადამიანთა საკმარისი რაოდენობა გააცნობიერებს, თუ როგორ გვიწევს ექსპლოატაციას ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ბუნებრივი რესურსების დაუცხრომელ მოთხოვნილებას აღვივებს და შედეგად ქმნის მონობის დამაარსებელ სისტემებს, ჩვენ ვეღარ შევძლებთ ამის მოთმენას. მაშინ ჩავუფიქრდებით ჩვენს როლს ამ სამყაროში, სადაც ერთეულები ფუფუნებაში ნებივრობენ, ხოლო უმრავლესობას სიღატაკეში, ძალადობასა და სიბინძურეში ამოსდის სული“.[1]

[1] **პერკინსი ჯ.** ეკონომიკური მკვლელის აღსარება. თბ., „ქართული წიგნი“, 2007. გვ. 14.

თავი IV. ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ეკონომიკური შეხედულებები

4.1. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომიკურ შეხედულებები

გასული საუკუნე კატაკლიზმებით გამორჩეული პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში დღემუდამ იჩქმალებოდა ქრისტიანულ დოგმატზე დაფუძნებული ქცევის მოდელი.

ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ნააზრევი მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობების ინდივიდუალური გააზრების კუთხითაც. ამ მხრივ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენელია იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე).[1] ეს ცნობილი მღვდელმთავარი, რომელიც წმინდა ილია მართალის მიხედვით "სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა", უფრო ცნობილია ფილოსოფიური აზროვნებით და უმნიშვნელოვანესი ნაშრომით "Основания опытной психологии". მეტად საინტერესოა წმ. გაბრიელის, როგორც მეცნიერის, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ეკონომიკური შეხედულებები.

განსაკუთრებულია წმ. გაბრიელის დამოკიდებულება შრომისადმი. ამასთან, მისთვის სრულიად არ არის უცხო მიწიერება - მისი სამსახური იმერეთში იქედან დაიწყო, რომ ყველას ამცნო „კაცი ვარ მე და ყოველივე კაცობრივი არა განშორებულ არს ჩემგანო". მისთვის, როგორც ეკლესიის მწყემსმთავრისათვის, ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედია მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათნო საქმიანობის, შრომის შედეგად საზრდოს მოპოვება. წმინდა ილია მართალი გაბრიელისადმი გამოსათხოვარ სიტყვაში ასეთ ამბავს იგონებს: გაბრიელს უამბეს ერთ ძველ ეკლესიაში არსებული ხატის შესახებ, სადაც გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მის წინ დევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ქსოვს. მღვდელმთავარი აღფრთოვანებულია ხატისეული სიბრძნით და ყოვლადწმინდას ხასიათის მეორე, "კერძო მხარით", ანუ მიწიერი ღვთისმშობლის უბრალოებითა და შრომისადმი დამოკიდებულებით. ილია ხაზგასმით აღნიშნავს: "განა შეიძლება ამაზე მეტი გაპატიოსნება, ზე-აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია ვითომც წილად ხდომილია მარტო მდაბიოსიო".

---

[1] ეპისკოპოსი წმინდანად შეირაცხა 1995 წელს.

საინტერესია წმინდა გაბრიელის ხედვა სარჩოს მოპოვებისადმი, ყოველდღიური საჭიროებებისადმი. საუფლო ლოცვის ნაწილს წმინდანი ასე განმარტავს: "პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს ამ სიტყვებით ჩვენ ვსთხოვთ ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩვენ დღიური საზრდო. ისრე კი არ უნდა იფიქრო, ძმაო, რომ კაცს შეუძლიან უქმად იყოს, არ იმუშაოს და ღმერთი თვითონ მისცემს საზრდოსა. არა, ძმაო, შენ შენი მხრით ყოველთვის უნდა მუშაობდე, შრომა და მოღვაწეობა არ დასტოვო; მისთვის მოგცა ღმერთმან ხელი და თავი, მისთვის ჩაგაბარა მიწა და წყალი, რათა იმუშაო, ისარგებლო; გარნა რადგანაც შენ სუსტი ხარ და ღმერთი ყოვლისა-შემძლებელი არის, ამისთვის უნდა მას ევედრო კეთილად წარმართოს შენი მუშაობა, შენი ყანა ნაყოფიერ ქმნას, სახლეულება შენი და საქონელი დაიცვას. ესეც შენიშნე, რომელ კაცი ღვთისაგან პურსა არსებისასა უნდა ითხოვდეს, ესე იგი რაც საჭირო არის ცხოვრებისთვის; მაშასადამე, კარგი არ იქმნება, რომ კაცმა ლოცვაში ითხოვოს ღვთისაგან ანუ სიმდიდრე, ანუ პატივი, ანუ დიდკაცობა. რითვის? მისთვის, რომელ ვინც სიმდიდრეს და დიდკაცობას ითხოვს, იგი უთუოდ ამპარტავანი არის; თუ ღმერთმან ინება და იცის წინადვე, რომ სიმდიდრეს და დიდ-კაცობას შენ კეთილად მოიხმარ, თვითონ მოგცემს; გარნა შენ კი მით უნდა იყო კმაყოფილი, რაიცა გაქვს. – ამინ."

სახარებისეულ დამოკიდებულებას გაბრიელი ასეთ განმარტებას აძლევს: "...უწინარეს ყოვლისა ადამიანმა უნდა მოიპოვოს სასუფეველი ღვთისა, შეიყვაროს უფალი, "ცნას სიმართლე" და მაშინ ყველა დანარჩენი, ე.ი. მშვიდობა, სიხარული და ყოველივე, რაიცა არს საჭირო კაცთათვის ქვეყანაზე, ესე იგი საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი და სხვა თავის-თავად მოგენიჭება თქვენ".[1]

ეპისკოპოსი ეფრემ ასურის ლოცვას სამ ნაწილად ჰყოფს. პირველ მუხლში ერთ-ერთ ძირითად ცოდვად განიხილავს უსაქმობას: "სული უსაქმობისა ის არის, როდესაც კაცს არ უყვარს შრომა და მუშაკობა, არამედ უყვარს ცუდად ყოფნა, ანუ უსაქმოდ გატარება თავის დროებისა. მაშასადამე სული აქვს უსაქმობისა ზარმაც და მცონარე კაცსა... ღმერთმან შექმნა კაცი შრომისა და მუშაკობისათვის". იგი მიიჩნევს, რომ უშრომელად და მალე გამდიდრება, როცა ამას სიხარბე უდევს საფუძვლად, კაცისათვის დამღუპველია. ქუთაისის საპყრობილის ეკლესიაში წარმოთქმულ ქადაგებაში წმინდა

[1] **"ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა",** ტ. II. ქუთაისი, 1989. გვ. 251.

ეპისკოპოსი ხაზგასმით აღნიშნავს: "სჯობია მცირედი ჰქონდეს კაცს და პატიოსანი იყოს, ვიდრეღა ერთი წამისათვის გამდიდრდეს და მერე საუკუნოდ დაიღუპოს"[1].

საუფლო ლოცვის სხვა ნაწილში წმ. გაბრიელი ერთმანეთს უკავშირებს ღვთივსათნო შრომას, საკუთარი ოჯახის შენახვას მხოლოდ პატიოსანი შრომით და უფალთან დამოკიდებულებას: "იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. ამ სიტყვებში ჩვენ ვევედრებით ღმერთსა, რათამცა, როგორადაც ანგელოსნი ცათა შინა ყოველთვის კეთილად აღსრულებენ ნებასა ღვთისასა, ეგრედვე ჩვენ ქვეყანასა ზედა ვიყვნეთ აღმასრულებელნი წმიდისა მისისა ნებისა. რა არის ნება ღვთისა?... სითგან შეიტყობს კაცი ნებასა ღვთისასა? ღვთის ნებას შეგატყობინებს შენ, ძმაო, პირველად შენი ჭკუა და შენი სინდისი: როდესაც შენ რომელსამე კარგს საქმეს იქმნ, მაშინ კმაყოფილი ხარ და გიხარის; როდესაც ცუდი რამე საქმე შეგემთხვევა, მაშინ გწყინს და გეშინის. ეს შენი სინიდისისაგან არის; მით შენი სინიდისი გასწავლის, რათა მოერიდო ცოდვასა და ყოველთვის კეთილი საქმე აღასრულო... გარნა, ძმანო ჩემნო, ვინაითგან სთხოვ ღმერთსა: იყავ ნება შენი, საქმითაც უნდა ეცადო და ყოველთვის აღასრულო ნება ღვთისა: პირველად, გიყვარდეს მუშაკობა და შრომა, ეცადე და შენის შრომით შეინახე შენი თავი და შენი ოჯახი. ოდესაც ღმერთი მოგცემს საკმაოდ საზრდოს, ესე იგი საჭმელს, სასმელს, ტანისამოსს, - მადლობა შესწირე ღმერთსა და ცოტა-ოდენი შენი ნაშრომისაგან განუყავი ობოლსა და გლახაკსა. თუ მოგაკლდა საზრდო, ანუ სხვა რაიმე უბედურება შეგემთხვა, მაშინაც სთქვი: იყავნ ღმერთო, ნება შენი."

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვმოძღვრავს რა შრომის მნიშვნელობის შესახებ, უქნარა ადამიანებს, რაც შეიძლება მეტისმეტ სიმკაცრედაც მოგვეჩვენოს, არაქრისტიანებთანაც კი აიგივებს: "კაცი უქმი, მცონარე, რომელსაც არ უყვარს გარჯილობა, ვერ გამდიდრდება სულიერადაც. სათნოების და წმინდა ზნეობის შეძენას დიდი შრომა და მოღვაწეობა უნდა... ვინც უქმად ატარებს თავის დროებას, იგი ქრისტიანე არ არის. ვინც თავის შრომით არ ირჩენს თავისთავს, ვინც ცხოვრობს და რჩება სხვისი ნამუშევარით და შრომით, იგი ამაოდ ამძიმებს დედამიწასა"[2]

---

[1] იქვე, გვ. 410.

[2] **"ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა",** ტ. I. ქუთაისი, 1989. გვ. 457.

წმინდა ეპისკოპოსი ერთ-ერთ ქადაგებაში კიდევ ერთხელ მიუთითებს კეთილ საქმეთა ქმნის აუცილებლობის შესახებ. განმარტავს რა წმინდა წერილის მოწოდებას „საქმე ღმრთისა ის არის, როდესაც კაცი ღმრთისაგან მიღებულ სიტყვას საქმედ გადააქცევს... ღმრთის სიტყვა და სწავლება ჩვენთვის მოსახმარებლადაა მოცემული და არა უქმი ბაასისათვის. გახსოვდეს და გეშინოდის ამ საშინელი სიტყვისა: „წყეულ იყავნ მოქმედი საქმისა ღვთისასა უდებებით“ (იერემია 48:10). წმინდანი აღიარებს, რომ „უმჯობესი იყო შენთვის სრულიად არა გაგონებად სიტყვისა ღვთისასა, ვიდრეღა გამგონებელმან არა აღსრულებად“, ანუ თუ გავიგონეთ და გავიგეთ ღვთის სიტყვა, მაშინ შეუსრულებლობას აჯობებდა საერთოდ არ გაგვეგონა. ამავე ქადაგებას ეპისკოპოსი ასრულებს ადამიანის მრავალფეროვანი, ურიცხვი საქმიანობის განხილვასთან მიმართებაში: „მრავალს სხვასა საქმესაც იქმს კაცი ქვეყანასა ზედა, მრავალ ფერნი და ურიცხვნი არიან მისნი მოქმედებანი და მოძრაობანი; გარნა იმაზედ უდიდესი და უპატიოსნესი საქმე არა აქვს კაცსა, რათა არსებაში მოიყვანოს სწავლა სახარებისა, მისი ცხოვრება შეიქნეს სასუფეველი ღვთისა, მისი სული, გული - ტაძარი ღვთისა, მისი მთელი ცხოვრება გარდაიქცეს მზგავსებად და ხატად ღვთისა. თუ ამას უმთავრესსა მისსა საქმესა იგი აღასრულებს უდებებით, დაუდევნელად, უერთგულოდ, თუ ამ დიდ საქმეს დაივიწყებს, არა რად შთააგდებს, იგი არა თუ სიტყვით იქნება უარის მყოფელი ღვთიურის სწავლისა და საღმრთო სჯულისა, არამედ თვით საქმით ერგება მას წყევლა ღვთისა, რომელიც და განაშოროს ჩვენ ყოველთაგან ღმერთმან და მოგვცეს მადლი და ღონე დავიმკვიდროთ მისი ზეციური კურთხევა. ამინ“.[1]

განსაკუთრებულია წმინდანის დამოკიდებულება თანამდებობის ლტოლვისაკენ, უფრო სწორად იმის გარკვევისაკენ, რით არის ეს მისწრაფება გამოწვეული: „ვისაც თანამდებობა იმიტომ უნდა, რომ მოყვასთა სასარგებლოდ მოიხმაროს, სოფელში მშვიდობა და მყუდროება, სიმართლე და მართლმსაჯულება დაიცვას, კეთილი და მადლიანი საქმისთვის იღწვის, ყოველთვის ახსოვს, რა დიდი და ძნელი საქმეა მთავრობა და რა დიდსა და საშინელ პასუხისმგებლობაში ვარდება ღვთის წინაშე ის, რომელიც ძალაუფლებას უსამართლოდ მოიხმარს“. მიგვაჩია, რომ თანამედროვე მთავრობების საერთო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ ეკონომიკურ

[1] **წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი** (ქიქოძე). სიტყვა მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა ზედა www.oldorthodox.ge

პოლიტიკას უჭირავს. ამიტომ, წმინდანის მიერ მოხსენიებული ისეთი ამოცანები, როგორიცაა: „სამართლიანობის დაცვა“ (მაგ., შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, რესურსების გადანაწილება), „კეთილი და მადლიანი საქმისათვის ძალისხმევა“ (სოციალური ღონისძიებები, ტრანსფერტული გადასახადები სამთავრობო ხარჯებიდან) სწორედ ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტარული მაგრამ უმთავრესი ამოცანებია.

წმინდა გაბრიელი უწონებს და „სასარგებლო ჩვეულებად მიიჩნევს“ საერო პირებისათვის წინა წელს თავისი საქმიანობის ანგარიშის შედგენას. იგი ყურადღებას ამახვილებს როგორც მიკრო („გონიერი ვაჭარი ითვლის, რამდენი მოიგო, რამდენი წააგო“), ასევე მაკროდონეზე („სახელმწიფო ხაზინადარი ითვლის რამდენი ფული შემოვიდა ხაზინაში და რამდენი გავიდა“) ანგარიშიანობის აუცილებლობაზე. ამრიგად, ეპისკოპოსი აღრიცხვისა და ანალიზის უმარტივეს ელემენტებზე ამახვილებს ყურადღებას და მას, შეიძლება ითქვას, ცხოვრების წესად მიიჩნევს. თუმცა ამ შესავალს აქვს მეტად საიტერესო გაგრძელება: ყველა ქრისტიანისათვის შინაგანი მოთხოვნის აუცილებლობა, ღრმა ანალიზი იმისა, რომ ღმრთის წინაშე წარადგინოს „ანგარიში“ მის მიერ გაწეული და აღსრულებული ღვთივსათნო საქმეების, სიკეთისა და მადლის, უფალთან დაახლოებისა და დაშორების შესახებ.

წმ. ეპისკოპოსის წერილებში არაერთხელ ვხვდებით თანხის გაგზავნას ხელობის შესწავლის მიზნით. მას არც ანდერძში ავიწყდება ხორციელი ნათესავების დამოძღვრა, რომ ,,მარადის სწავლობდნენ, შრომობდნენ და წმინდად ემსახურონ ღმერთს”.

ზომიერება და ყაირათიანობა წმ. გაბრიელის განუყრელი თვისება იყო. იგი აწარმოებდა შემოსავალ-გასავლის დავთრებს, სადაც ყველაფერი აღინუსხებოდა. საქმე იმაშია, რომ გაბრიელი ცდილობდა მაქსიმალურად ეფექტიანად დაეხარჯა თანხები, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებს თუ ღარიბ ადამიანებს დიდი სარგებელი შეხვედროდათ. მისი ძირითადი პრინციპი იყო, რომ ,,მაძღარს არ აჭმევდა” (თორმეტი მოციქულის სწავლებაში “დიდაქეში” მითითებულია, რომ “შენი მოწყალება გაოფლიანდეს შენს ხელში, ვიდრე გადაწყვეტ ვის მისცე”). მოწყალების “გაოფლიანება” წმ. გაბრიელთან, ერთის მხრივ, ბიბლიური პრინციპების დაცვაა, მეორე მხრივ კი გამჭრიახი ფინანსისტის ქმედებაა, რომელიც შემოსავლების სამართლიან და

თანაბარზომიერ გადანაწილებას (შეად. შემოსავლების ვერტიკალური გადანაწილება. ავტ.), სიღარიბის დონის შემცირებას ემსახურება. ამავე დროს, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიდგომებით, ზომიერება და ყაირათიანობა (ამ შემთხვევაში ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია) აუცილებელია შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად.

აღნიშნულიდან ჩანს წმ. გაბრიელის, როგორც ჭკვიანი და გამჭრიახი ეკონომისტის მიდგომა საქმისადმი. პირველ რიგში აღრიცხვის მოწესრიგება, როგორც ინფორმაციის მთავარი და ძირითადი წყარო - დავთრები, წიგნები და ჩანაწერები: "საქმიანობა, პრაქტიკული ჭკუა და ყაირათიანობა გაბრიელისა იმაშიც გამოიხატება, რომ 40 წლის განმავლობაში, დღიდან სამსახურში შესვლისა სიკვდილამდი, რაც კი რამ ფული გასვლია ხელიდან, ან შემოსვლია, ან ხარჯი მოსვლია, უკანასკნელ ფარამდი თავისივე ხელით უწერია დღიურებში... არასოდეს არ დარჩენია და არც მოწყენია აღნიშვნა წლისა, თვის რიცხვისა, შემთხვევისა, რამაც ხარჯი გამოიწვია, საგნისა, რაზეც დაიხარჯა ფული, და ფულის ჯამისა". სამართლიანად აღნიშნავს დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე, რომ ასე ფრთხილად მოქცევა შემოსავლისადმი ,,სიძუნწით, პურშაობით და ვერცხლის მოყვარეობით" არ იყო გამოწვეული.[1]

ერთ-ერთ ქადაგებაში ეპისკოპოსი რესურსების უყაირათო ხარჯვასა და მფლანგველურ დამოკიდებულებაზე გულისტკივილით აღნიშნავს: "შენ თხოულობ პურსა არსობისასა და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოგცა კიდეც ღმერთმა. ერთს საღამოს დახარჯავ იმდენს, რაიცა ათას გლახაკს მთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდე სავსე ხარ სიკეთითა, და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთნი შიმშილით კვდებიან".[2]

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, წმ. ეპისკოპოსისათვის ინფორმირებულობის მაღალი დონის შენარჩუნება შემდგომში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. მისი ,,ეკონომიკური მოგების" ხარჯვის მთავარი მიმართულებები იყო ქველმოქმედების, აღმშენებლობისა და უპოვართა თანადგომის მაქსიმიზაცია: ,,ეკლესიის საჭიროებები, უმთვრესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთ უზნეობასთან".

---

[1] **მღ. მელიტონ კელენჯერიძე** ,,გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა" 2006. გვ. 151-152.
[2] **ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა,** ტ. II. ქუთაისი, 1989. გვ. 9.

უთუოდ საინტერესოა ერთი შემთხვევა: აფხაზეთში მოგზაურობის დროს, მაზრის უფროსის სახლში მოსამსახურემ 400 მანეთი მოჰპარა გაბრიელს. დამნაშავე მონახეს, აცნობეს მას და ჰკითხეს, როგორ დავსაჯოთო. გაბრიელმა უპასუხა: "დამნაშავეს აპატიეთ, ფული სოხუმის სასწავლებელს გადაეცითო"[1]

შეიძლება ითქვას, რომ საკითხთან ამგვარი დამოკიდებულება წმინდანისა მის ანდერძშიც ჩანს. კეძოდ სხვადასხვა სკოლების, დაწესებულებებისა და გამოცემებისათვის განსაზღვრულ თანხებში წმინდა გაბრიელი ყოველთვის ხაზგასმით მიანიშნებს, სარგებლის შესახებ, რომელიც მემკვიდრე სტრუქტურებს უნდა გამოეყენებინათ მიმდინარე ხარჯებისათვის. მაგალითად, ანდერძის მეცხრე მუხლში მითითებულია: "ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს... ამავე სასწავლებელს ვუანდერძებ 2500 მანეთს." იგივე მიმართულებით და წესითაა მინიშნებული თანხების ხარჯვა ბახვის სასოფლო სკოლის, იმერეთის საეპარქიო საქალებო სკოლისა და სხვა დაწესებულებებისათვის.[2] ამდენად, წმინდანი კარგი ფინანსისტია, გააჩნია "ეკონომიკური ალღო", ჩინებულად გეგმავს ბიუჯეტს და ეფექტიანად ახდენს თანხების განანაწილებას.

შეუვალია წმინდანის დამოკიდებულება მექრთამეობის, კორუფციისა და ცრდილოვანი ოპერაციებისადმი. ერთ-ერთ ქადაგებაში იგი განმარტავს: "მეზვერენი იყვნენ ხარკის მომხვეჭელნი, მთავრობისაგან დაყენებულნი, ხშირად აწუხებდნენ ხალხსა თავისი ანგარებითა და უსამართლოებითა, ამისთვის იგინი სძულდა ყოველ კაცს, ასე, რომ მეზვერე და ცოდვილი ერთი თქმა იყო".[3] მეზვერისა და ცოდვილის ფაქტობრივ ერთიანობას ჩვენ ძირითადად ახალ აღთქმაში ვხვდებით. საგადასახადო ადმინისტრირება და საბაჟოს გავლა ერთგვარად "იოლადსაცდური" საქმიანობის რიგს განეკუთვნებოდა და არცთუ იშვიათად უკავშირდებოდა "თამაშის აკრძალულ წესებს".[4] ამის დასტურია, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოხსენიება ცოდვილთა

---

[1] **მღ. მელიტონ კელენჯერიძე** ,,გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა" 2006. გვ. 170

[2] **იქვე**, გვ. 212-213.

[3] **"ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა",** ტ. II. ქუთაისი, 1989. გვ. 5.

[4] **ჩიხლაძე ნ.,** "ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ", ჟურნ. "ეკონომიკური პროფილი", №3, 2007.

გვერდით ან სინონიმად: “როდესაც მის სახლში დაჯდა, იესოსთან და მის მოწაფეებთან ერთად იჯდა ბევრი მებაჟე და ცოდვილი, რადგან მრავალნი იყვნენ იქ, ვინც გაჰყვა მას”. (მარ. 2,15), ან “ხოლო თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის წარმართი და მებაჟე” (მათ. 18,17) ან კიდევ “ხოლო თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან?” (მათ. 5,46). გავიხსენოთ ასევე მებაჟე ზაქეს გულწრფელ აღსარებაში ნათქვამი: “აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუკი ვინმესთვის რაიმე გამომიძალავს, ოთხმაგად მივაგებ” (ლუკ. 19,8).

ამდენად, წმ. გაბრიელი ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს ვერცხლისმოყვარეთა მიმართ და მათ ქმედებას “აშიშვლებს” უბრალო მოკვდავთათვის ძალზე მარტივად და გასაგებად. თვით გაბრიელი კი მთელი მოღვაწეობის განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა მექრთამეობას, უკანონო აღებ-მიცემობას და ჩრდილოვან ოპერაციებს, რომელიც არცთუ იშვიათად მაღალჩინოსნებთან იყო დაკავშირებული. მათთვის წმ. გაბრიელი გარკვეულ პროგრამას აყალიბებს: “ქრისტიანეთა შორის პირველი დიდი კაცი ის არის, რომელიც სხვათა ემსახურება. დიდ-კაცობა და მთავრობა არა მოსვენება არის და განცხრომა, არამედ ტვირთი, შრომა და მოღვაწეობა. არა ქვეყანა უნდა ემსახურებოდეს დიდ კაცსა, არამედ უკანასკნელი უნდა ზრუნავდეს და ემსახურებოდეს ქვეყანასა”.[1]

ნებისმიერი საზოგადოება წარმოების (მოძრაობის) გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია – საზოგადოება, რომელიც არ ქმნის ან ქმნის იმაზე ნაკლებს, ვიდრე მოიხმარს, რეგრესის გზას ადგას, ხოლო საზოგადოება, რომელიც ბევრს ქმნის, მატერიალური თვალსაზრისით “კარგად ცხოვრობს”, თუმცა სულიერებისათვის შეიძლება ეს არც იყოს საკმარისი. ამიტომ კარგად რომ ვიცხოვროთ, ისევ წმ. გაბრიელს მოვუსმინოთ: “ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ იმისათვის, რომ ცუდად ვლოცულობთ; გარნა მეორე მხრით, ცუდად ვლოცულობთ მისთვის, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს”.

---

[1] **“ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა”,** ტ. II. ქუთაისი, 1989. გვ. 110.

4.2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ეკონომიკური შეხედულებები

ისტორიის თანამედროვე ეტაპი მომხმარებლური საზოგადოების ღირებულებათა ზეობის დროცაა. მისთვის მთავარია მიწიერი კეთილდღეობა და არა სულიერი სიმდიდრე. ამიტომაცაა, რომ გამართლება ეძებნება მატერიალური გამდიდრების ყველა საშუალებას.
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე, 2009 წლის საშობაო ეპისტოლე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, როგორც ერის სულიერი მამა და უდიდესი მოღვაწე, საკუთარ ეპისტოლეებში, გამოსვლებში, ნაშრომებსა და ქადაგებებში საკმაოდ ვრცლად და მრავალმნიშვნელოვნად განიხილავს ეკონომიკურ პრობლემატიკას.

ერის სულიერი მესაჭე ეკონომიკური საკითხების, ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი მიმართულებების ფორმულირებას გვაძლევს, რომელიც უთუოდ გასათვალისწინებელი იქნება სწავლული ეკონომისტებისათვის, სახელისუფლებო რგოლებისათვის, უბრალოდ, პრაქტიკოსებისათვის.

საგულისხმოა, რომ პატრიარქი საგადოების განვითარებას ეკონომიკაზე ზრუნვის კონტექსტში განიხილავს: „საზოგადოების განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ეკონომიკაზე. დღეისათვის ჩვენში ორი სოციალური ფენაა - მდიდრები და ღარიბები. საშუალო ფენა არ არის. ერთი მილიონი ადამიანი გასულია ქვეყნის გარეთ საშოვარზე. როგორც კი გაჩნდება სამუშაო ადგილები, ისინი დაბრუნდებიან“[1].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის ზრუნვა გეგმაზომიერ, ქრისტიანულ მორალს დაქვემდებარებულ ეკონომიკურ ზრდაზე, ოღონდ არავითარ შემთხვევაში ისეთი ზრდის მიღწევაზე, რომელიც ყველა საშუალებით დასაშვები იქნება. ამ მხრივ საგულისხმოა პატრიარქის შემდეგი მოსაზრება: „სტატისტიკა მოწმობს, რომ სხვებთან შედარებით ეკონომიკურად ძლიერ და ცივილიზებულ ქვეყნებში უფრო მეტად სჭარბობს სულით დაავადებულთა და სულიერი გადახრებით გამორჩეულთა რიცხვი, ასევე აქ ბევრია თვითმკვლელთა რაოდენობა ახალგაზრდებში, რადგან ასეთ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები ძირითადად, ოდენ მატერიალური ყოფით იფარგლებიან და ბედნიერებას ეძებენ იქ, სადაც საერთოდ არ არის“.[2]

---

[1] სიტყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პრიფილის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას (თბილისი, 2003 წლის 27 მაისი).
[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე. 1998 წელი.

უწმინდესი აქარწყლებს დეფორმირებულ და გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზრუნვა ეკონომიკურ საკითხებზე ამაოა, რომ მატერიალურისა და სულიერის შეუთავსებლობა შეუძლებელია: „ეკლესია და რწმენა, როგორც ამას წერენ და ზოგჯერ ხმამაღლა აცხადებენ, სრულიადაც არ კრძალავს ზრუნვას ეკონომიკურსა და მატერიალურ საკითხებზე, მაგრამ ის გვასწავლის, რომ მთავარი სულია... სანამ ადამიანი სხეულით ცხოვრობს, მისთვის ორივე საზრდო საჭირო და აუცილებელია - ხორციელიც და სულიერიც, ოღონდ უპირველეს ყოვლისა, სულიერი“[1]. თუმცა, პატრიარქს განსხვავებულად ესმის თავისუფლებაც, რომელიც „ეკონომიკური თავისუფლების“ ერთგვარი საწინდარია, ბიზნესისათვის „თამაშის წესების“ ძირითადი განმსაზღვრელია: „წმინდა პავლე მოციქული გვაფრთხილებს: „თქვენ ძმებო თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს (გალატ. 5.13.)“ სამწუხაროდ, კაცობრიობა დღეს ძირითადად ხორცის საამებლად ზრუნავს, მოყვასისა და ღვთის სიყვარულზე ნაკლებად ფიქრობს, თუმცა მადლობა ღმერთს, უანგარო, თავდადებული სიყვარულის მაგალითებიც არსებობს“.[2]

მხოლოდ მატერიალურის ძიება ადამიანს სასიკეთოს არაფერს მოუტანს. ღირს ვიფიქროთ, რომ ეს იყო „ეპოქალური საფრთხე“ მარქსისტულ-ლენინური მატერიალიზმის ეპოქაში: „ადამიანები კი უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძებენ ბედნიერებას მოჩვენებითს, ფუჭს, წარმავალს, რომელსაც მუდამ თან სდევს უბედურება“.[3]

შეიძლება ითქვას, რომ პატრიარქი აღიარებს რა ტკივილისა და სიხარულის ურთიერთმონაცვლეობას, ამით ორიგინალურად მიანიშნებს ეკონომიკური ციკლების კანონზომიერებასაც: „ყოველი განსაცდელი ან გაჭირვება ღრმა აზრს შეიცავს და თავისებურ ხიბლს ატარებს. ტკივილის შემდეგ (ეკონომიკური ციკლის დაცემისა და დეპრესიის ფაზები - ავტ.) აუცილებლად მოდის შვება (გამოცოცხლების და ზრდის

---

[1] “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ” (შემდგენელ-გამომცემელი **გ. შიხაშვილი).** თბ., 2004. გვ. 56.

[2] ჟურნ. „კარიბჭე“, №14, 2010. გვ. 10.

[3] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საახალწლო ეპისტოლე. 1987 წელი.

ფაზები - ავტ.), მოულოდნელი სიხარული და პირიქით, რაც აწონასწორებს ჩვენს ცხოვრებას“ (შესაძლებელია საერთო ჯამში შენარჩუნდეს ზრდის ტენდენცია - ავტ.). [1]

უწმინდესი უდიდეს საფრთხეს ხედავს მექრთამეობასა და ვერცხლისმოყვარეობაში, სიმდიდრის მონობაში: „ადამიანმა ღმერთი დაკარგა და სიმდიდრე გააღმერთა, ვერცხლისმოყვარეს არაფერი ჰყოფნის, ყველაფერი ეცოტავება. მისთვის ყველაფერი იყიდება: სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, სიხარული და ღირსება, სინდისი და პატიოსნება. იგი არ ფიქრობს, რომ მთელი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი აქ დარჩება, მიჯნის აქეთ; რომ მარტო თავის საქმეებს წაიღებს თან, რომლითაც მოჰკითხავენ, განსჯიან და კუთვნილს მიუზღავენ“.[2]

პატრიარქი ჩვენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას, წარმმართველი პოლიტიკური ძალის როლსა და მნიშვნელობას ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების და საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში, სახელმწიფოს დაკნინებული როლის ამაღლებას და რეალური რეგულატორის ფუნქციის განხორციელებას სახელმწიფოს მიერ. საქართველო არ უნდა იქცეს სატელიტად, რომლისთვისაც ძირითადი სავაჭრო არგუმენტი მხოლოდ გეოპოლიტიკური ვითარება იქნება. ამისათვის საჭიროა ეროვნული ბიზნესსექტორის გაფართოება და ხელშეწყობა რაც საშუალო ფენის, გადამხდელუნარიანი ფენის ფორმირების საფუძველია: „ყველაზე მეტი უფლება და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი - ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, განათლების ხელშეწყობას და სხვა. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულებების გაძლიერებისათვის

[1] ამონარიდები პატრიარქის ქადაგებებიდან. ჟურნ. „კარიბჭე“, №4, 2011. გვ. 18.
[2] ჟურნ. „კარიბჭე“, №10, 2010. გვ. 13.

კი საჭიროა ქართული ბიზნეს სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა“.[1]

პატრიარქი აქვე გვთავაზობს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმოს ყველა საღად მოაზროვნე ეკონომისტი - ეს გახლავთ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, რომლის ექსპორტზე ორიენტაცია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსს გააუმჯობესებს, გაზრდის წმინდა ექსპორტს და ქვეყანას მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს. ამისათვის რიგი დარგების სტიმულირებაა საჭშირო, რომელიც არ გამორიცხავს სუბსიდიებსა და სუბვენციებს მათი განვითარებისათვის: „სამწუხაროდ კი ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღირძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ ავღნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავების შედეგად მიღებული კვების პროდუქტები, სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტების სახით“.

ფაქტობრივად ამით პატრიარქი აძლიერებს 2009 წლის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებას ეკონომიკაში რიგი პრიორიტეტების გამოყოფის შესახებ. სასოფლო სამეურნეო სექტორიდან უწმინდესი გამოყოფს ვაზისა და ხორბლის მოყვანის სტიმულირების აუცილებლობას. იგი დარწმუნებულია, რომ ისტორიული წარსული, დარგის სპეციფიკა, ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები თუკი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით განმტკიცდება, შედეგი უცილობლად მიიღწევა, მით უმეტეს, როცა მსოფლიო სისტემურმა კრიზისმა მოიცვა: “სისტემური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო, რაც თავისუფალი ბაზრიდან უფრო რეგულირებად ბაზარზე გადასვლას გულისხმობს და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფო ეფექტური მართვის საკუთარი მექანიზმის ძიებას დაიწყებს.

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე. 2009 წელი.

ჩვენც უნდა გამოვნახოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამბობენ, აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება. ის, რომ ჩვენი ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მისასალმებელია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

აქ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული რამდენიმე მიმართულებას შევეხები. საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისათვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის სისხლისა და ხორცის სომბოლოს უკავშირდებოდა და ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და განსაკუთრებულადაც უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს. დღეს კი მავანნი კახელ გლეხს სოლიდურ თანხას თავაზობენ, რომ მან შვილივით ნაზარდი ვაზი აჩეხოს და სანაცვლოდ საზამთრო ან სხვა კულტურა დარგოს; ამასთნ ყურძნის მოყვანის ინტერესებს იმითაც უკლავენ, რომ მოსავლის ჩაბარებისას მინიმალურ ფასსაც არ აძლევენ. ასე არ უნდა გაგრძელდეს. იქნებ გამოსავლად იქცეს გლეხურ მეურნეობაში დამზადებული სუფთა ღვინის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას მხოლოდ 9%-ით აკმაყოფილებს; სამწუხაროდ ამ 9%-შიც არ შედის ჩვენი ტრადიციული ჯიშები.

მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი სრული გაქრობის პირასაა. არადა, ჩვენგან წაღებულ თესლს სხვა ქვეყნები თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ; ხოლო საქართველოში ექსპორტირებული ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91%-ს შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს...ვფიქრობ ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად

დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული ჯიშები, (არამარტო ყურძნისა და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილის და საქონლის), თითოეულმა ჩვენთაგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ“

გავიხსენოთ, რომ ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს დეგრადაციით და კვდომით შეწუხებულმა პატრიარქმა, ამ უახლოეს ეპისტოლემდე ათი წლით ადრე, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: “თუ დამწყები წარმოებები არ განთავისუფლდებიან მძიმე გადასახადებისაგან, ვერაფერი ვერ გაიხარებს... ჩვენ ვერ შევძლებთ უმუშევართა არმიის დასაქმებას. მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა წარმოებები შეიძლება იყოს განვითარებული საქართველოში”.[1]

ამ შეგონებებს პატრიარქი ხშირად უმეორებს ხელისუფალთ: „ყოვლად აუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა. ჩვენთან კი ბევრი რამ არასწორად კეთდება... ვფიქრობ, დაჩქარებული ტემპები სერიოზული შეცდომების მიზეზი ხდება რაც ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი საზოგადოების ყოფას კიდევ უფრო ამცირებს“.[2]

ეს აზრი ერის სულიერი მამის მიერ ძლიერდება ასევე მომავალ პროფესიონალ ეკონომისტებთან შეხვედრისას: „აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან სათანადო მფარველობა, რაც პირველ რიგში ხელშემწყობ საგადასახადო პოლიტიკაში უნდა გამოიხატოს“[3]

უწმინდესი ბოლო წლების გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ძველი, წლების მანძილზე დაგროვილი დავალიანებები ქართულ მეწარმეობას კარგს არაფერს უქადდა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ, სათავეში მოსვლის შემდეგ მიიღო რა ახალი

---

1 უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია მეორის** სიტყვა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე. 1999 წ.

2 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე. 2002 წელი.

3 სიტყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პრიფილის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას (თბილისი, 2003 წლის 27 მაისი).

ლიბერალური, თუმცა მკვდრადშობილი კანონი „საგადასახადო ამნისტიის შესახებ“, ჯეროვანი მაკროეკონომიკური შედეგი ვერ მიღო.

პატრიარქი, როგორც ჰუმანისტი და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მომხრე (სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო - ნ.ჩ.), ურჩევს ხელისუფლებას გამოაცხადოს საგადასახადო ამნისტია, რომელიც ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს გაათავისუფლებს ძველი, დებიტორებისათვის უიმედო ვალდებულებებისაგან.

ამასთან პატრიარქი მიესალმება გადასახადების კლებისაკენ გადადგმულ ნაბჯებს, რომელიც საგადასახადო განაკვეთების და გადასახადთა რიცხოვნობის შემცირებით გამოიხატა. 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი ხაზგასმით აღნიშნავს: „გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკამოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირება. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფატი იყო, მაგრამ ალბათ უფრო შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან“.

ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტს: პატრიარქი ფაქტობრივად „მიწოდების ეკონომიკის“ მომხრედ (ე.წ. „სეპლაიდერები“) გვევლინება კრიზისული პერიოდისათვის. გავიხსენოთ არტურ ლაფერის თეორია, რომლის მიხედვითაც მიწოდების გაზრდის სტიმულირება ხდება გადასახადების (საგადასახადო გადაკვეთებისა და გადასახადების რიცხოვნობის) შემცირებით. მაგალითად, აშშ-ში საგადასახადო განაკვეთები ორჯერ შეამცირეს 1980-ან წლებში. ამ ღონისძიებებს უნდა შეემცირებინა ე. წ. “საგადასახადო სოლი” და რაც მთავარია, უზრუნველეყოთ შრომის, დაზოგვისა და ინვესტორების სტიმულირება. საგადასახადო რეფორმის კანონს გავლენა კი არ უნდა მოეხდინა საგადასახადო შემოსულობათა თანხაზე, არამედ გაეფართოებინა საგადასახადო ბაზა ანუ დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა.

ნახ.4.2.1. ლეფერის მრუდი



N

n

M

L

O K A შემოს.

ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდებოდა ქვემოთ, რის შედეგადაც მიიღწეოდა ინფლაციის შემცირება, წარმოების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება. სწორედ რეიგანომიკის რეფორმების ერთგვარი "ხსნა" გახდა ლეფერის მრუდი, რომელიც აანალიზებს კავშირს გადასახადების განაკვეთსა და საგადასახადო შემოსულობებს შორის (იხ. ნახაზი 4.2.1). OM მონაკვეთი ზრდადია, ამიტომ საგადასახადო განაკვეთის ზრდას მოჰყვება საგადასახადო შემოსულობათა გადიდება (M-ზე მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს). M-დან დაწყებული (MT მონაკვეთი) საგადასახადო შემოსავლები მცირდება, რადგან M-ის ზემოთ განაკვეთები აფერხებენ ეკონომიკურ აქტივობას (T-ში, სადაც განაკვეთი 100%-ია, საგადასახადო შემოსულობები 0-ის ტოლია), გადასახადის 100%-იანი განაკვეთი ფაქტობრივად კონფისკაციას ნიშნავს და აჩერებს წარმოებას. ვთქვათ ეკონომიკა N წერტილზე იმყოფება. ამ დროს საგადასახადო განაკვეთი მაღალია (n>m), ხოლო შემოსულობები OK-ს შეესაბამება. მაგრამ თუ N-დან გადმოვალთ L-ზე რაც შეესაბამება საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, სჩანს, რომ საგადასახადო შემოსულობანი იგივე რჩება. ამდენად საგადასახადო განაკვეთის შემცირებისას გადასახადზე თავის ამრიდებელთა რიცხვი (კანონიერი "თამაშის წესების" ფარგლებში) მკვეთრად შემცირდებოდა, ხოლო შემოსულობები იგივე დარჩებოდა. ლეფერის ეფექტს ყოველთვის არ აქვს ადგილი. იმისთვის, რომ იგი რეალობად იქცეს, საჭიროა განვითარებული საბაზრო ურთიერთობები, დანაზოგების თავისუფალი გარდაქმნა ინვესტიციებად, ინფლაციის კონტროლი, ფასების ზრდის სტაბილურად დაბალი ტემპი და სხვა. მართალია, ლეფერის მრუდი პოპულარულია პოლიტიკოსებს შორის, მაგრამ ემპირიული მონაცემები არასაკმარისია მის დასადასტურებლად. ბოლო პერიოდში უცხოელი ექსპერტები სულ უფრო განავრცობენ აზრს იმის შესახებ, რომ ლაფერის მრუდი

„მუშაობს“ განვითარებად ქვეყნებში. ბოლო წლებში პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მიმდინარე საგადასახადო რეფორმებიც მათი ლიბერალიზაციის კუთხით სწორედ ზემოაღნიშნული დასკვნების პრაქტიკული რეალიზების შედეგია. საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ უპირველესი ამოცანა სწორედ გადასახადთა შემცირება გახდა.

ამდენად, პატრიარქს ყური არ ვათხოვეთ, დავაგვიანეთ და ბოლოს მაინც ის გავაკეთეთ, რაც გაცილებით ადრე გვირჩია უწმინდესმა!

პატრიარქისათვის არ არის სულერთი შეჭირვებულ ყოფაში როგორ დაიკმაყოფილებს კვებით მოთხოვნილებებს, თუნდაც იგი იაფ პროდუქტებს შეეხებოდეს. მიუღებელია საკუთარი მოქალაქეებისათვის გენმოდიფიცირებული და საეჭვო სტიმულატორებით გაჟღენთილი პროდუქციის მიწოდება. არადა საქართველოში, როგორც სატრანზიტო და საბაჟო საზღვრების ნაკლებად დაცულ ქვეყანაში, რეალური საფრთხე არსებობს ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა ასეთი პროდუქცია ჩვენთან გაასაღონ. მთავარი სატყუარა ამისათვის დაბალი ფასი იქნება: „მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ა.შ.) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, სურთ, საქართველოც თავიანთი გავლენის სფეროდ და მათი სურსათის იმპოტზე დამოკიდებულ ქვეყნად გადააქციონ; მითუმეტეს, რომ აქ , ხალხის დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო, იაფფასიანი, უხარისხო ნაწარმის გასაღება პრობლემას არ წარმოადგენს.

ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დავუპირისპიროთ. სოფლის მეურნეობის არორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (გულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება - მან უარი უნდა

თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები“.[1]

განსაკუთრებულია პატრიარქის დამოკიდებულება შრომისადმი. შრომითი საქმიანობის დაგეგმვას და პასუხისმგებლობას ინდივიდი ბავშვობიდანვე უნდა შეეჩვიოს. განათლება, პროფესიისა და კვალიფიკაციის მიღება გარდაუვალი აუცილებლობაა ახალი პიროვნების ფორმირებისათვის. 1996 წლის სააღდგომო ეპისტოლეში უწმინდესი აღნიშნავს: ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ თავისთვის სამუშაო გეგმა შეადგინოს: წლიური, თვიური და კვირეული. მან ყრმობიდანვე უნდა შეაგროვოს წიგნები და იკითხოს“.

ჯერ კიდევ 1980 წელს, ავადსახსენებელი განვითარებული სოციალიზმის და უღვთობის ზეობის ხანაში, პატრიარქი ამჩნევდა ერის გაქსუების, უმაქნისობისა და გადაგვარების საფრთხეს და გვაფრთხილებდა: “ბიოლოგიური კანონებიდან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ შრომა თავისთავად ცოცხალი მატერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა. შრომა სჭირდება ადამიანს ნორმალური არსებობისათვის, სჭირდება ისევე, როგორც ჰაერი, საკვები, ძილი, ურთიერთობა... ზოგიერთი ადამიანი ოცნებობს: ნაკლები იმუშაოს და მეტი მიიღოს, მაგრამ დასვენებით რომ დატკბე, თავდაპირველად უნდა დაღლა იგრძნო... მუსიკოსი, მხატვარი, მღვდელი, მწერალი, მეცნიერი, ყოველი მშრომელი ადამიანი ძლიერ იტანჯება, თუ ის მოკლებულია საყვარელი საქმიანობის შესაძლებლობას. დაუშვებელია იყო დაბადებით უსაქმური და ბედნიერებას უმოქმედობაში ხედავდე”.[2]

1990-ანი წლების დასაწყისში, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში უწმინდესი აღნიშნავს ტაძრებთან მეურნეობების შექმნის შესახებ. იგი აქვე გვაძლევს მოკლე მონახაზს, მემენეჯმენტისა და საქმიანობის იმ მიმართულებათა თაობაზე, რაც უნდა განვითარდეს: „მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც... უნდა შეიქმნას ჯგუფები,

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე. 2009 წელი.
[2] საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II საახალწლო ეპისტოლე, 1980 წელი.

რომელშიც შესაძლებელია 7,9 ან 12 მორწმუნე გაერთიანდეს, ამ ჯგუფებმა უნდა გადაწყვიტონ კერძოდ რომელ საქმეს მოჰკიდებენ ხელს. ზოგი შეიძლება ფარდაგების ქსოვას შეუდგეს, ზოგმაც ხატწერა აირჩიოს, ზოგმაც კიდევ ხეზე ჭრა, მაგალითად, ჯვრებისა... შრომა და განსაკუთრებით ერთად შრომა მრევლში ეკლესიურობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია".[1]

შრომის საკითხს პატრიარქი კიდევ ერთხელ ეხება 1997 წლის სააღდგომო ეპისტოლეშიც: „შრომა, როგორც წერია ბიბლიაში და ჩვენი ყოფაც ნათლად მოწმობს, არის ადამიანის მიწიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. იგია კურთხევა ღვთისა, რომლის შედეგიც არის სიუხვე, სიხარული და მშვიდობა. უფალი ბრძანებს: ,,პიროფლიანი სჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე" (დაბ. 3:19)... ბევრმა არ იცის, რაოდენ სასიამოვნოა შრომით დაღლა, თუ მისი ნაყოფი სიკეთის მომტანია და სიხარულს ანიჭებს სხვებს. ადამიანში, რომელიც არ შრომობს, ხდება ენერგიის ლპობა და გახრწნა, რაც შემდეგ იწვევს საერთო გულგრილობას, ნიჰილიზმს, სასოწარკვეთილებას, ეს კი საბოლოო ჯამში ფიზიკურ ან სულიერ დაავადებებში გამოვლინდება."

ამავე ეპისტოლეში, პატრიარქი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ შრომითი უნარ-ჩვევები, შრომის პატივისცემა და საერთოდ, დამოკიდებულება შრომისადმი ადამიანმა ბავშვობიდანვე უნდა შეიმეცნოს: „მშობლები, რომლებიც ფიზიკური შრომისთვის ვერ იმეტებენ პატარებს, სინამდვილეში დიდ ბოროტებას ჩადიან, რადგან შვილებს, როგორც ოჯახისათვის, ისე საერთოდ ცხოვრებისათვის მოუმზადებელს ხდიან".

ბოლოდროინდელ ეპისტოლეებში უწმინდესი დანანებით აღნიშნავს, რომ მოიშალა შრომის, ამ უმნიშვნელოვანესი წარმოების ფაქტორის კულტურა, ელემენტარული განწყობა და სურვილი: „სამწუხაროდ, 18 წლიანმა გარდამავალმა პერიოდმა ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილში მოშალა სურვილი და განწყობა შრომისადმი. შრომისადმი ამჟამად არსებული უარყოფითი განწყობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს...შრომის მიზანი და შდეგი მარტო კეთილდღეობის მიღწევა არ არის.

[1] "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ" (შემდგენელ-გამომცემელი **გ. შიხაშვილი**). თბ., 2004. გვ. 118

იგი სულიერ განვითარებასაც უწყობს ხელს. ცხოვრების ეს წესი თვით შემოქმედმა დგვიდგინა. ამიტომაც მონასტრულ ტიპიკონებში შრომას დიდი ყურადღება ექცევა.

საკმაოდ ორიგინალურ და დამაფიქრებელ მოსაზრებებს გვთავაზობს პატრიარქი დასაქმებისა და შრომის ახალი კულტურის დამკვიდრების კუთხით, რაც ერთგვარი შეწევნა იქნება როგორც ცალკეული ტერიტორიების დაცულობისა და განაშენიანებისათვის, ისე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებული პირების „სულიერი თერაპიისათვის“: „ჩვენ ადრეც შევთავაზეთ ხელისუფლებას და ახლაც შევახსენებთ, რომ იქნებ ერთ-ერთ საქმედ იქცეს აქაურ დაუსახლებელ ტერიტორიებზე მცირე დანაშაულის მქონე პატიმრებისთვის მიმაგრების ადგილებისა და სოფლების მოწყობა (თავისი მეურნეობებით), რაც დასაქმების პრობლემასაც ნაწილობრივ გადაწყვეტს და დაცულ ზონებსაც შექმნის. ბუნებრივია, აქ უნდა ასევე განვითარდეს მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ხელსაქმე, მიწის ერთობლივი დამუშავებისათვის კი, უნდა შეიქმნას კოოპერატივები.
სვანეთში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები იმედს იძლევა, რომ ეს საკითხიც აქტუალური გახდება და მდგომარეობა გამოსწორდება“[1].

განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია; მიწის, მცენარეების, ცხოველების სიყვარულზე დაფუძვნებული ურთიერთობა ადამიანს აკეთილშობიებს და კურნავს, რადგან ღმერთმა ამ სამყაროს გვირგვინად შეგვქმნა და მასზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა. თანამედროვე ადამიანმა ეს დამოკიდებულება უხეში მომხმარებლური მიდგომით შეცვალა, რაც თუ არ გამოსწორდა, დაღუპავს კაცობრიობას“[2]

ერთ-ერთ ბოლო პერიოდის ეპისტოლეში პატრიარქი ჩვეულ ყურადღებას ამახვილებს პატიოსან და ღვთივსათნო შრომაზე. უწმინდესი მიიჩნევს, რომ შრომა დედაბოძია როგორც შეძენისა (შემოსავლის, სიმდიდრის, დოვლათის, ქონების) მიღებისა, ისე მოხმარებისა და ცოდნის მიღებისა, სახელმწიფოს ფორმირებისა. პატრიარქი კიდევ ერთხელ უარყოფს ფიზიკური შრომის, თითქოს დაკნინებულ მდგომარეობას, რომელიც პიროვნების დამამცირებელია: „შრომის გარეშე ცოდნას ვერც

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე. 2011 წელი.
[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე. 2008 წელი.

შევიძენთ და ვერც მოვიხმართ; შრომის გარეშე ვერც სახელმწიფოს შევქმნით. ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც, ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომა. თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფიზიკური შრომა ამცირებს პიროვნებას. ეს არასწორი შეხედულებაა. იგი ღვთისაგან ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის დადგენილი ცხოვრების წესია“[1]. ეპისტოლის დასასრულს ასევე ყურადსაღებია პატრიარქის მოწოდება : „იყავით მოყვარენი შრომისა და ცოდნისა“.

ვფიქრობთ უწმინდესი და უნეტარესი, კათალიკოს- პატრიარქი ილია II სულიერ ღირებულებებთან მიმართებაში გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას კონიუნქტურული ციკლების არსებობის შესახებ, როცა განმარტავს: ,,ნუ შეგვაშინებს და სასოწარკვეთილებაში ნუ ჩაგვაგდებს ჩვენი დღევანდელი ყოფა, რადგან ხშირად განსაცდელი მშვიდობისა და კეთილდღეობის წინამორბედია. გავიხსენოთ, როგორ შეცვალა სიხარულმა მაცხოვრის ჯვარცმით გამოწვეული მწუხარება, დამცირება დიდების საწინდრად იქცა, სიკვდილმა უკვდავებას დაუთმო გზა“.

[1] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე. 2010 წელი.

დასკვნა

1. თანამედროვე ევროპული სოციუმი, რომლის ფარგლებში ფორმირდება უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანულ ტრადიციებს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კულტურა "ქრისტიანული არსით" არის გაჟღენთილი.
2. ჩვენი ამჟამინდელი „ლტოლვა დასავლეთისაკენ", რაც ერთობ მოდურია პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში, მხოლოდ ბოლო პერიოდის მოვლენებიდან გამომდინარე არგუმენტებით კი არ უნდა საზრდოობდეს, არამედ მართლმადიდებლობის სულიერ ბაზას, მის მორალურ ნორმებსა და პრინციპებს უნდა დაეფუძნოს, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნება საზოგადოების პროგრესი.
3. ეკონომიკური მეცნიერების მატერიალისტურ-ვოლუნტარისტული თვალთახედვიდან, წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია – საზოგადოება, რომელიც არ ქმნის ან ქმნის იმაზე ნაკლებს, ვიდრე მოიხმარს, რეგრესის გზას ადგას, ხოლო საზოგადოება, რომელიც ბევრს ქმნის, მატერიალური თვალსაზრისით "კარგად ცხოვრობს", თუმცა სულიერებისათვის შეიძლება ეს არც იყოს საკმარისი. გააჩნია, როგორ ქმნის და ვინ აქმნევინებს. ამიტომ კარგად რომ ვიცხოვროთ, ისევ წმ. გაბრიელს მოვუსმინოთ: "ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ იმისათვის, რომ ცუდად ვლოცულობთ; გარნა მეორე მხრით, ცუდად ვლოცულობთ მისთვის, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს".
4. წარმოების პროცესისათვის უმთავრესია ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები. ყოველივე ამას ადამიანს ღმერთი აძლევს (მიწა, მადნები, ხე-ტყე, ნავთობი, გაზი და ა.შ.) მიწის (იგი აერთიანებს ყველა ბუნებრივ რესურსს) ფლობის საკითხის განხილვა სცილდება ამქვეყნიურ რეალიებს. ადამიანი სიმბოლურადაა ამ რესურსების მფლობელი, რომელსაც მას ღმერთი უძღვნის, ანუ ადამიანის ამქვეყნად მოვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრ რებასაც. ამდენად, მიწის მესაკუთრე ფაქტობრივად არის სიმბოლური მმართველი, მენეჯერი მართვის უფლებით. შესაბამისად, ღმრთისაგან ნაბოძები სიმდიდრის მმართველს უპირველესად ღვთის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა.

5. თუკი მატერიალური ფასეულობების (ღირებულებების) დაგროვება მიმართულია ღვთის მცნებათა აღსასრულებლად, ადამიანთა სასიკეთოდ, ამგვარი ქმედება გამართლებული და საცხონებელია. ამქვეყნიური სიკეთეებისადმი მისწრაფება მფლობელს ვნების მონად აქცევს. წუთისოფლის კეთილდღეობაც ხომ ამაო და დროებითია – იგი სულაც არ არის უცვლელი და სიხარულს მწუხარება და ვაება მოჰყვება (ეკონომიკურ (საქმიანი აქტივობის, კონიუქტურული) ციკლში, რომელიც ეროვნული ეკონომიკის რეგულარულად განმეორებად მდგომარეობას ასახავს, დეპრესიის, დაცემის, გამოცოცხლებისა და ზრდის სტადიები ურთიერთმონაცვლეობენ. ეკონომიკის სწრაფი "გამოჯანმრთელება" კი ღვთიურ პრინციპებს დამორჩილებული საქმიანობის სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული). ამდენად, სკეპტიკოსებისაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ მიწასა და ზეცაში სიმდიდრის დაგროვებას შეიძლება მოეძებნოს გარკვეული ალტერნატივა.
6. ღირს ვიფიქროთ, რომ კაპიტალის დაგროვების პროცესში მთავარია არა ის, თუ რამდენს ფლობს ინდივიდი, არამედ როგორ მოიპოვა და რა ნორმების დაცვითაა ჩართული ეკონომიკურ ურთიერთობებში. მქონებელია, ვინც ეფექტიანად იყენებს საკუთარ ქონებას (სიმდიდრეს) სხვათა სასიკეთოდ, არამქონებელი კი რომელმაც არ იცის ან არ შეუძლია ამის კეთება. თუმცა, სიმდიდრის ქონა არ ზღუდავს ქველმოქმედების არეალს. უფალი ამბობს: "გაყიდეთ ქონება თქვენი და გაეცით მოწყალება (ლუკ. 12:33)". უფალს არ უყვარს მოწყალება, რომელიც თვალთმაქცურად, ანგარებით კეთდება და რომლის მიზანია ქების დამსახურება რაიმეს მიღების (ტაში, დიდება, წოდებები, საზოგადოებრივი აღიარება. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, ნუ გვინდა ტაში" - ამბობს წმ. ილია მართალი) სანაცვლოდ: "შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა" (მათ. 6:3). სესხის გაცემასა და ამა თუ იმ საქმიანობისათვის ფინანსური სახსრების მოპოვებაში სასურველია არ შეიქმნას დამაბრკოლებელი გარემოებანი, რაც სათნოებასთან ერთად, ეკონომიკურ ურთიერთობათა სტიმულირების, ადამიანთა დასაქმებისა და კეთილდღეობის საფუძვლად უნდა იქცეს.

7. მიწიერ ურთიერთობებში (ეკონომიკურ ურთიერთობებში), რომელშიც ადამიანს უხდება ყოფა, ქრისტიანი ცდილობს მეტი გასცეს, ვიდრე მიიღოს, რაც ქრისტიანული ეკონომიის ძირითადი პრინციპია. ეს პრინციპი მას საშუალებას აძლევს ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის დროს იყოს სიცოცხლისუნარიანი. მისთვის არც საზოგადოებრივ მდგომარეობას და არც გარემოს აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს მისი ცხოვრების დოგმაა. სასუფეველი ერთია, თუმცა მრავალი სავანე არსებობს მის წიაღში. საუფევლისათვის მეტის გამცემს, ბუნებრივია მეტი მიეცემა. წმინდა მამები და წმინდა გვირგვინოსნები, რომელთაც არაფერი აკლდათ, დღემუდამ ევედღებოდნენ უფალს: მცირედსა ზედა დაგვამკვიდრეო.
8. საზოგადოების ძირითადი მისწრაფება სიმდიდრის დაგროვება და მამონას მონობაა. ძველი აღქმისაგან განსხვავებით, სადაც აღიარებულია ისეთი სიმდიდრე, რომელშიც არ არის განივთებული ცოდვა და ბოროტება, ხოლო სიღარიბე მეორეხარისხოვანია, ახალ აღქმაში მიწიერი მატერიალური სიმდიდრე აშკარად უარყოფითად ფასდება. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული თვალთახედვით სიმდიდრე და სიღარიბე არ არის ერთგვარი ნეიტრალური კატეგორიები. მაცხოვარი ნეტარებას უწინასწარმეტყველებს სულით ღარიბთ. ჭაბუკს, რომელიც ღვთის მცნებებს იცავს, უფალი ეუბნება, რომ ზეცაში საუნჯის მოსაპოვებლად გაყიდოს მისი ქონება, ღარიბებს დაურიგოს და გაჰყვეს მას. ჭაბუკი განშორდა დაღონებული, იგი არ იყო ამის მქმნელი, ამიტომ უფალმა მდიდრებს თითქოს განაჩენი გამოუტანა: ,,უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის საუფეველში“ (მათ. 19:24).
9. საუკუნეების მანძილზე მატერიალური სიმდიდრე არ მიიჩნეოდა ცხოვრებისეული წარმატებისა და საზოგადოებისაგან კეთილი დამოკიდებულების სიმბოლოდ. სიმდიდრის ლეგიტიმურობა არცთუ იშვიათად უკავშირდებოდა საქველმოქმედო ურთიერთობებს მესაკუთრესა და გარემომცველი სამყაროს შორის.
10. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლმადიდებლური რწმენა სიღარიბისაკენ და ერთგვარ სამეურნეო აპათიისაკენ მოგვიწოდებს. ის ასტიმულირებს, იწონებს შრომით საქმიანობას, სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც მოგება მოაქვს, მაგრამ განსაზღვრავს მოგების გამოყენების მორალურ მხარესაც (მფლანგველობითი დამოპკიდებულების აღკვეთა, გულისხმიერება და ქველმოქმედება და ა.შ.).

11. რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოშიშობა შესაძლოა ბაზრის ეფექტიანობის რღვევის სერიოზულ მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა.შ.
12. მიგვაჩნია, რომ საეკლესიო მოღვაწეების, თეოლოგების, სწავლული ეკონომისტებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით უნდა შეიქმნას ქართველი მეწარმის ეთიკური კოდექსი, რომელიც ბაზრის კონტრაგენტებისათვის იქნება მოკლე, მარტივი, გასაგები და მისაღები. მავანი შემოგვედავება, რომ კოდექსი უკვე მიღებულია ათი მცნების სახით, რომლის აღსრულება არ გვსურს. თუმცა, ვეცადოთ, იქნებ ათ მცნებაზე და წმინდა წერილზე დამყარებულმა, სამეწარმეო ენაზე შექმნილმა ქარტიამ მაინც „იმუშაოს“.
13. გადაუდებლად მიგვაჩნია ბიზნესის მართვის და ეკონომიკის სპეციალობებზე „მართლმადიდებლობის ეკონომიკური პრინციპების“ ან სხვა მსგავსი დისციპლინის შემოტანა, თუნდაც არჩევითი საგნის სახით. ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის სტუდენტობის მობრუნება მართლმადიდებლობისაკენ და უმაღლეს სკოლაში ჩვენი მუშაობის თხუთმეტწლიანი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ეს აუცილებელია. არ შეიძლება ეკონომისტთა ახალი თაობების აღზრდა მხოლოდ სამეწარმეო სულისკვეთებით, მათი ეკონომიკური აღქმის უნარის აღჭურვით და პირადი ინტერესის როლის ჩანერგვით, რასაც საბაზრო ურთიერთობებში კონკურენციული მექანიზმი „გვთავაზობს“.
14. მიგვაჩნია, რომ საქართველოში აუცილებელია ბიზნესსა და საზოგადოებას შორის, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ნდობის აღდგენა და სოციალურად პასუხისმგებელი მეწარმეობის ტრადიციების აღორძინება. ამით, გაიზრდება სამეწარმეო სექტორის მხრიდან დაბანდებები სოციალურ ურთიერთობებში.
15. საერო ხელისუფლებამ, რომელიც იზიარებს და ეყრდნობა მართლმადიდებლურ პრინციპებს, შესაბამისი ნორმატიული ბაზით უნდა უზრუნველყოს ქველმოქმედების

სტიმულირება. შესაძლებელლად მიგვაჩნია ასეთი ვარიანტების განხილვა, როგორიცაა დასაბეგრი მოგების შემცირება საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული ხარჯებით (მთლიანად ან ნაწილობრივ), გარკვეული თანხის ქველმოქმედების გაწევისას, საწარმოს სიდიდის მიხედვით (მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები) შემცირებული საგადასახადო განაკვეთებით სარგებლობა (ზოგიერთ გადასახადზე), ,,უპოვართა სახლებისათვის“ გარკვეული საბიუჯეტო ხარჯვითი ნორმატივის შემოღება თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის, რომელიც შეიძლება დიფერენცირებულიც იყოს წლიური ბიუჯეტების მოცულობის მიხედვით და ა.შ.

16. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში საბაზრო პრინციპების დამკვიდრების ფონზე სულ იზრდება საბაზრო მეურნეობისა და სულიერი ტრადიციების შერწყმის საჭიროება. ჩვენი ერის სისხლით მორწყულ ისტორიაში გამოიკვეთა ტრადიციული ქართული მეწარმეობის განსაკუთრებულობანი და სპეციფიურობანი, რომლის ფესვები მართლმადიდებლური ეთიკის შეურყვნელი პრინციპებია. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ: ქველმოქმედება, როგორც გარდაუვალი პირობა სულის გადასარჩენად, შრომითა და ოფლით მოპოვებული სიმდიდრის აღიარება, მეწარმეთა მაღალი თვითშეგნება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეთა საკეთებლად, სინდისისა და პატიოსნების აუცილებელი დაცვა სამეწარმეო საქმიანობისას და ა.შ.

17.

უარყოფითს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ სამეწარმეო სუბიექტმა კრედიტი აიღოს სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, არსებული საქმიანობის გასაფართოვებლად, საბრუნავი საშუალებების შესავსებად. მოგების მიღების მისწრაფების გარდა, კრედიტის აღება რეალური წარმოებისა და მომსახურების შექმნის, საზოგადოების ერთი ნაწილის დასაქმების, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, ასევე უცხოურ ბაზრებზე გასვლისა და სავალუტო რეზერვების მობილიზების წყაროდ იქცეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანიზაცია იძულებულია აიღოს კრედიტი რომელიმე მიმწოდებლის ან პარტნიორის დაუდევრობით.

18. რაც უფრო წარმატებულია მეწარმე (სხვებისათვის), მით მეტი რესურსების კონცენტრაცია ხდება მასთან – საბაზრო მექანიზმის მაღალი ეფექტიანობა

აჯილდოებს მეწარმეს წარმატებული მუშაობისათვის. მეწარმე სიკეთის მქმნელია, თუკი ბიზნესის ეფექტიანი ორგანიზებით (მაგ., ხელმისაწვდომი ფასები ხარისხიან საქონელზე და ა.შ.) ადამიანებს აძლევს შესაფერის, ანაზღაურებად სამუშაოს.

19. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ძლიერდება შრომის რიტმის ინდივიდულიზაციის და ასინქრონულობის ტენდენცია. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოება თითქმის უწყვეტი რიტმით შრომობს და ვერ ახდენს ჰარმონიზაციას საეკლესიო რიტმთან. ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, მორწმუნე ქრისტიანისათვის, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორისთვისაც, გარდაუვალად და შესაძლებლად მიგვაჩნია ინდივიდუალური შრომის რიტმის იმგვარად დაგეგმვა (შემუშავება), რომ უფალს შევწიროთ და მოვახმაროთ დროის ბიუჯეტის სათანადო ნაწილი, თანაც მთელი სულითა და გულით და არა მოვალეობის მოხდის მიზნით.

20. გადასახადის გადახდა (საგადასახადო ადმინისტრირება) და საბაჟოს გავლა იმდენადაა გაიგივებული "იოლადსაცდურ" საქმიანობასთან, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოხსენიება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად. თვით უფალიც ემორჩილება გადასახადის გადახდის სავალდებულობას. იგი ერიდება დიდრაქმის, ანუ გადასახადის ამკრებთა ცდუნებას და პეტრეს ავალებს სტატირის (ფულის) მოტანას და საგადასახადო ვალდებულების გასტუმრებას. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ჩვენთვის, მიწიერთათვის, ქრთამის მოყვარული, "ქრთამის მქმნელი" ბოლომდე არასდროსაა განწირული: ამის ნათელი დადასტურებაა მეზვერე ზაქეს შენდობა იესოს მიერ, ცოდვილი სულის მხარდაჭერა, რაც ღვთის გზაზე მისი დადგომის მიზეზი გახდა;

21. ადამიანი ყოველთვის ვალშია უფალთან და მისი ცოდვები ვერასოდეს გადაწონის უფლის წყალობის იმედს. თუმცა იგი იღწვის ღვთივსათნოდ იცხოვროს და უფლის მოსაწონი საქმეები აკეთოს, რათა უსასყიდლოდ იქნას შეწყალებული. „მიწიერი დაკვირვებით" შეიძლება აღინიშნოს, რომ რაც მეტია ღვთივსათნო, უფლის მოსაწონი საქმეები, მით უფრო ახლოა წყალობა უფლისა.

22. საზოგადოებისათვის, მისი უმრავლესობისათვის, მოხმარების ქრისტიანული მორალის და პრინციპების დაცვა ერთგვარად შეუძლებლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ცალკეულ ინდივიდებს ამ პრინციპების დაცვა შეუძლიათ და დარწმუნებული ვართ იცავენ კიდეც

(ამის არაერთი მაგალითიც არსებობს). ამასთან მოხმარების ქრისტიანული მორალის დამკვიდრება სასიკეთოდ შეცვლის მოთხოვნის სტრუქტურას. მიგვაჩნია, რომ ქრისტიანულ ეთიკას დაქვემდებარებული მოხმარების ძირითადი პრინციპების პრაქტიკული რელიზება, საოჯახო მეურნეობებსა და რეალურ სექტორში ეროვნული ეკონომიკის სასიკეთოდ გარდაქმნის რეალურ ქვაკუთხედად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ათი მცნების განმარტება. ცოდვა და საჯელი. საუბრები ათონელ ბერებთან“. თბ. „ხარება“, 2006. (ელექტრონული ვერსია ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ვებგვერდის მიხედვით: www.eparchy – batumi.ge)
2. ათონელი ბერის ეპისტოლე. ლოცვა-კურთხევა ქართველ ხალხს.
3. არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე), იუდეველთა სამეფოს გაუქმება და განადგურება. ჟურნ. „კარიბჭე“, №2, 2011.
4. არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი), აღსარების აგების გამოცდილება. (ამონარიდების ელვერსია სატზე: www.kvirike.ge)
5. ასათიანი რ., ფული და ფულადი სისტემები. თბ., „სიახლე“, 1996.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.
7. ბაკურაძე ა., „სიმდიდრის ცნების გაგების ერთი საკითხისათვის“ ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“, №5, 2009.
8. ბაკურაძე ა., ვირსალაძე ნ., შრომის არსის გაგების საკითხისათვის. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“. შრომების კრებული. 2010.
9. ბაკურაძე ა., კირთაძე შ. სიღარიბესთან ბრძოლის ქრისტიანული საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დიდაჭარობა“ (მასალები). ხულო-დიდაჭარა 2009.
10. ბაკურაძე ა., სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ერთი საკითხისათვის. ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“, №3, 2007
11. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 2009.
12. ბიბლია. საქაერთველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი 1989
13. ბიზნესი ბიბლიის მიხედვით. ჟურნ. “გადასახადები”, №22, 2004.
14. გველესიანი მ., რა არის ეკონომიკური პოლიტიკა? თბ., „კომენტარი“, 2008.
15. გოგებაშვილი ი., საღმრთო ისტორია. თბ., „პალიტრა L“, 2010.
16. დეკანოზი რაჟდენ გიგაური., ოთხი მახარებლის ცხოვრება. თბ., 2010.
17. “დიდი სჯულის კანონი”. თბ. 2007.
18. ზენკოვსკი ვ., აპოლეგეტიკა. ქრისტიანული სარწმუნეობა და თანამედროვე ცოდნა, თბ., 2005
19. იაშვილი რ., საბანკო საქმის საფუძვლები. ქუთაისი, 2005.
20. კაკულია რ., ხელაია გ., ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ. 2000.
21. კოღუაშვილი პ., ქრისტე ვენახია. მეხუთე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ შრომათა კრებული. თსუ, თბ., „უნივერსალი“, 2010. გვ. 79-90.
22. კურტანიძე კ., “რაც უნდა რწმენა და ღმერთის მადლი გქონდეს, იმას რაც ნამდვილად შენი გასაკეთებელია, ღმერთი ვერ გააკეთებს“. ჟურნალი „კარიბჭე“ N18, 2009. გვ.36-38.
23. ლოსკი ვ., დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007.
24. მდიდრები და ღარიბები (შემდგენელი გ. ხარებაშვილი). თბილისი 2006.
25. მათეს სახარების განმარტება. წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, I-IV თავი, თბ., 1998.
26. მათეს სახარების განმარტება. წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, XV-XVIII თავი, თბ., 2000
27. მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები. თბ. ”დიოგენე”, 2008.
28. მესხია ი. გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა. ჟურნ. „სოციალურიეკონომიკა“, №2, 2009

29. მესხია ი., ბიბლიური და ეკონომიკური მცნებები და თანამედროვე საქართველო. ჟურნ. „რელიგია“, №1, 2008.
30. მღ. ბასილ ახვლედიანი, შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., „მერიდიანი“, 2009.
31. მღ. მელიტონ კელენჯერიძე ,,გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა” 2006.
32. მღ. გრიგოლ დიაჩენკო „საკვირაო სახარებათა განმარტება“, თბილისი, 2001 წ. (http://www.orthodoxy.ge ინტერნეტ ვერსიის მიხედვით)
33. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს სახარების განმარტება, ნაწ. 1-2, „მრწამსი“, თბ. 2008
34. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მარკოზის სახარების განმარტება, „მრწამსი“,თბ. 2008
35. ოთინაშვილი რ. ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია. თბილისი 2002.
36. პერკინსი ჯ., ეკონომიკური მკვლელის აღსარება. თბ., „ქართული წიგნი“, 2007.
37. ჟურნალი „კარიბჭე“, 2007, 2008, 2009 წ. ნომრები.
38. „რას გვეტყვი მამაო?“ თბ., „პალიტრა“, 2005.
39. “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ” (შემდგენელ-გამომცემელი გ. შიხაშვილი). თბ., 2004.
40. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლეები;
41. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლეები;
42. სწავლა მოძღვრება ჭეშმარიტ სიყვარულზე, ქ. 1998.
43. სწავლა მოძღვრება ჭეშმარიტ სიყვარულზე, ქ. 2000.
44. ღვთიური სიბრძნის მართმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები, თბ., 2007.
45. უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე. 1999.
46. ფანჯიკიძე თ., რელიგიური პროცესები საქართველოში მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე (ელვერსია:http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000002/religiuri_procesebi.pdf)
47. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ I და II. ქუთაისი 1989.
48. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. „ზედაშე”, თბ., 1996 წ.
49. შიხაშვილი გ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის რელიგიური გააზრება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004, №10.
50. შიხაშვილი გ., თეოლოგიური ეკონომიკა - ახალი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში?! მეხუთე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ შრომათა კრებული. თსუ, თბ., „უნივერსალი“, 2010. გვ. 162-168.
51. ჩიქობავა მ., „რატომ არის შეუძლებელი ნულოვანი ინფლაციის მიღწევა?“ მეორე რესპუბლიკური კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკა და მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2010.
52. ჩიხლაძე ნ., ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლურ ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ჟურნ. ,,ეკონომიკური პროფილი“, №4, 2008.
53. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი. 2004.

54. ჩიხლაძე ნ., შრომისა და სამეწარმეო უნარის მართლმადიდებლური გააზრების საკთხისათვის. ჟურნ. “ეკონომიკური პროფილი“, №5, 2009.
55. ჩიხლაძე ნ., ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგირთი საკითხის გააზრება მართლმადიდებლური მრწამსის მიხედვით. ჟურნ. “ეკონომიკური პროფილი“, №4, 2008.
56. ჩიხლაძე ნ., წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“ (მასალები) ხულო-დიდაჭარა. 2009.
57. ჩიხლაძე ნ., ჩრდილოვანი ეკონომიკა - რეგიონული ასპექტები. ქუთაისი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005.
58. ჩიხლაძე ნ., ზოგადი ეკონომიკსი. ქუთაისი, 2008.
59. ჩიხლაძე ნ., გადასახადები, გამოცდილება, პრობლემები, ქუთაისი, „სარკმელი საქართველოსი“, 1999.
60. ჩიხლაძე ნ., ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება. თბ., 2009.
61. ჩიხლაძე ნ., რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების მიხედვით. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №1, 2011.
62. ჩიხლაძე ნ., „დიდაქეს“ ეკონომიკური სწავლება. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“. შრომების კრებული. 2010.
63. წმ. იოანე ოქროპირი, სამოთხის ყვავილი, თბ., 1995 .
64. წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწ. 1, თბ., 1993.
65. წმ. იოანე კრონშტანტდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003.
66. ცეცხლაძე მ., რელიგია და ეკონომიკა. ბათუმი, 2010.
67. ხადური ნ., მაკროეკონომიკური პოლიტიკა. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (ელვერსია).
68. წმინდა ეფრემ ასური, “ტანჯვათა სხვადასხვაგვარობაზე” (კრებულში “ჯოჯოხეთი და სამოთხე”, თბ. 2004.)
69. ჭელიძე ე. ეკლესია – სძალი უფლისა. თხ., თბ. 1990 (ელვერსია საიტზე www.orthodoxy.ge.
70. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. 1. თბ. 1951.
71. “ჯოჯოხეთი და სამოთხე” (მთარგმნელი და შემდგენელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი), თბ. 2004.
72. www.orthodoxy.ge - ქართული მართლმადიდებლური ვებგვერდი;
73. www.geostat.ge – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი;
74. www.nbg.gov.ge – საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი;
75. www.sangu.ge - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ვებგვერდი;
76. www.smartbible.narod.ru - ბიბლიის საძიებელი საიტი;
77. Авдиев В. История древнего востока, М.: 1953.
78. Аристотель. «Политика». Соч. т. 4. М., «Мысль», 1984.
79. Аристотель, Никомахова этика. Политика//Соч; Т. 4 М.: Мысль, 1984.
80. Белявский В. Вавилон легендарный и вавилон исторический. М.: "Мысль", 1957.
81. Брызгалин и др. Налоги, люди, время, или этот безграничный мир налогов. Екатеринбург, 2008 г.
82. Василенко И., Православская этика и цивилизационний архетип/Трибуна русской мысли/ №2, 2002.
83. Всемирная история экономической мысли. Т.1.М.: Мысль, 1987.

84. Головин С., О классификации явлении теневой экономики // Вестник МГУ. Сер. Экономика. 1992.
85. Дорнбуш Р., Фишер С., Макроэкономика, М., Инфра-М, 1997.
86. История экономических учении. Под ред. В Автономова. М., «Инфра», 2001.
87. Иоанн Златоуст, святитель. Толкование на Евангелие от Матфея . Т.7. М, 2000. Репринг.
88. Кандалинцев В., Бизнес во Христе. Эльверсия, www.sobor.vinchi.ru
89. Каутский К. Происхождение христианства. М., 1990.
90. Кнутов Алексей, иерей. Ростовщичество и современные банки. (http://www.bogoslov.ru/text/466194.html);
91. Кнутов А. Ростовщичество и современные банки. www. bogoslov.ru
92. Котлер Ф. Основы маркетинга. М., «Прогресс», 1991.
93. Кодисовский З. Сказания Евангелистов. М., 1985.
94. Крживецкая Е.А., Эволюция организации и структуры управления в раннехристианской церкви : дис. канд. филос. наук. Владикавказ, 2005.
95. Ксенофонт. Домострой//Воспоминания о Сократе. М.: Наука, 1993.
96. Кульпин Э. Человек и природа в Китае. М.: Наука, 1990.
97. Лукин С. Книга бытия о разделении труда. журн. „Проблемы современной экономики“, 2004, №1
98. Лукин С. Христианский ритм труда. журн. „Проблемы современной экономики“, 2005, №3-4
99. Лукин С. Основополагающий принцип христианской экономии, журн. ,,Проблемы современной экономики“, №3/4 , 2005.
100. Макконнелл К., Брю С., Экономикс. М., Инфра-М, 2000.
101. Олейник А. Страны Мира в Цифрах / 2010. Электронное издание. (www.alleng.ru)
102. Райзберг, Б., Лозовский Л., Стродубцева Е. Современный экономический словарь. М, “Инфра-М,” 1996.
103. Румянцева М., Православие и социальная ответственность предпринимательства. журн. „Проблемы современной экономики“, №3, 2008.
104. Сакс Дж., Ларрен Ф. Макроэкономика. Глобальный подход. М.: Дело, 1996.
105. Святитель Василий Великий. Беседы на псалмы Информационно-аналитический портал. Саратовской епархии Русской Православной Церкви. www.lib.eparhia-saratov.ru
106. Священник Дионисий Дунаев. Десятина в Библии и в современном протестантизме. Благовещение – библиотека православного христианина. Интернет версия. www.wco.ru/biblio
107. Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов А. П. Лопухина (www.lopbible.narod.ru);
108. Шумпетер И, История экономического анализа// Истоки: Вопросы истории народного хозяйства и экономической мысли. Вып. 1, 2. М.: Экономика, 1989-1990.
109. www.bogoslov.ru – Научный богословный портал
110. www.rokf.ru – Информационный сайт


T
T4
T3
T2
1
M4
M3
M2
M1